საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დოდო ჭუმბურიძე

განათლება 1918-1921 წლებში

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის გრანტის პროექტით

თბილისი
2000

ББК 74 (2г)
УДК 37 (479.22)
ჭ 838

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918-1921 წლებში გატარებული განათლების რეფორმა.

საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და პროფესიულ-ტექნიკური სკოლების ახალი სისტემის შექმნის პროცესი, სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების, პედაგოგთა კადრების მომზადების, მათი მატერიალური მდგომარეობის, სასულიერო სკოლებისა და საღვთო სჯულის სწავლების საკითხები, ასევე განხილულია „გაეროვნების" პროცესები საქართველოს სკოლებში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული და საქართველოსაგან დროებით მოწყვეტილი (აჭარა, ახალციხე-ახალქალაქი) რაიონების ქართულ სკოლათა მუშაობა, ეროვნულ უმცირესობათა სკოლების საკითხი და სხვ.

ნაშრომი გათვალისწინებულია საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართათვის და კულტურის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალექსანდრე ბენდიანიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მიხეილ სამსონაძე;
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
კახაბერ კახაძე.

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი: **თამაზ ჭყონია**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: მ. ბუტიკაშვილი
ა. რუაძე

დ---23---
2000

შესავალი

საკითხის ისტორიოგრაფია მწირია. ლიტერატურა ძირითადად XIX და XX საუკუნეების დასაწყისის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეხება. სამ ნაწილად გამოცემული კრებული - „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს საქართველოში სკოლების დაარსებისა და გამოჩენილი ქართველი პედაგოგების შესახებ[1], მაგრამ ეს ცნობები სრულყოფილი მაინც არ არის, ჯერ ერთი, ზოგადად მცირე ნარკვევებია წარმოდგენილი მასში და სახალხო განათლების ბევრი პრობლემა სასხვათაშორისოდაა მოხსენიებული. მეორეც, არსად და არაფერია ნათქვამი საქართველოში 1918-20 წლებში გატარებულ განათლების რეფორმაზე, პედაგოგთა ბიოგრაფიებიდან ამოგლეჯილია ეს წლები, არათუ მენშევიკური პერიოდია უგულვებელყოფილი, არამედ ხშირად მთელი 10-იანი წლებიც, რადგან მოწინავე პედაგოგთა უმეტესობა ეროვნულ პარტიებში (სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა) რიგებში იყო გაწევრიანებული, ეს კი 50-60-იან წლებში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაში, გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრების (უფრო სწორად, დევნის) გამო არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული და უკრიტიკოდ წარმოდგენილი, კრებულში შესული პედაგოგები კი თავიანთი დამსახურებით, ასეთ მიდგომას არ იმსახურებდნენ, ამიტომ მთლიანად ამოაგდეს მათი ცხოვრებიდან ეს მეტად ამაღელვებელი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ხანა. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია არ გამთლიანდეს ასე უსამართლოდ შეკვეცილ-შეწყვეტილი ჩვენი განათლებისა და სასკოლო ცხოვრების ისტორია. 1918-1921 წლების სასკოლო რეფორმა და ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მონაწილეობა მასში (თუ დამოკიდებულება მის მიმართ) სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი. მითუმეტეს, საარქივო და პრესის

მასალები ამ მხრივ ნამდვილად სრულ სურათს იძლევა. ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ დიდი როლი ითამაშა ეროვნული ცნობიერების, ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევისა და ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება-განმტკიცების საქმეში. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, მონაწილეობდა სკოლების, სტამბების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებაში.

ქართველი ხალხისათვის განათლება ეთნოკულტურული ყოფის უპირველესი ნიშანია. ქვეყნის პოლიტიკურ აღორძინებას ყოველთვის წინ უძღოდა სულიერი კათარზისი, განათლებისა და კულტურის კერების შექმნა, ერის სულიერი გაერთიანება და გონებრივი განვითარება.

XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებულმა მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხელი შეუწყო სულიერ აღორძინებას, რაც უპირველესად ახალი სკოლების დაარსების, სტამბებისა და ბიბლიოთეკების, ქართული პრესისა და წიგნების ბეჭდვის გააქტიურებით გამოიხატა. განათლების აუცილებლობას და უპირატესობას გრძნობდნენ და ქადაგებდნენ დიდი ქართველი მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა და სხვები. მათ ნაწერებში ბევრი საგულისხმო იდეაა გამოთქმული ახალგაზრდობის სწავლების ფორმებზე, სკოლათა ტიპების შესახებ[2].

ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის განათლების საქმეს. ქართველი ხალხის ჩამორჩენისა და უბედურების მიზეზად იგი უმეცრებასა და უცოდინარობას თვლიდა და ყველაფერს აკეთებდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში მას უპირველეს ღონისძიებად სკოლა მიაჩნდა: „ყველამ იცის, რომ უმეცრებისა და უსწავლელობის წამალი, სხვათა შორის, სკოლაა, სხვათა შორის - მეთქი, სხვათა

შორის კი არა, ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიებაა სასწავლებელი"[3].

სკოლის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ერის ცხოვრებაში იგი წერდა: „საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსაჯულობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვივებული კაცი იმდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს"[4].

ამიერკავკასიისა და საქართველოსთვის, როგორც აგრარული ქვეყნისათვის, ილია უმთავრესად მოითხოვდასამეურნეო განათლებასა და მის შესაფერის სამეურნეო სკოლებს[5].

მისი აზრით, ახალგაზრდობა უნდა დაუფლებოდა ევროპულ ცოდნასა და „ამ თოფ-იარაღით" შედგომოდა ჩვენი ქვეყნის განახლების საქმეს[6].

ქართველი ერის სულიერმა ბელადმა კარგად იცოდა, რომ ცოდნა სულიერი სიმდიდრეა, რაც ზნეობრივად განწმენდს და განასპეტაკებს ადამიანებს, ასეთი ადამიანები კი ყოველი საზოგადოების დულაბს, ჭეშმარიტად ძლიერი სახელმწიფოს აშენების წინაპირობას შეადგენენ. ამ დიდ მისიას კისრულობენ განათლების კერები სამშობლოს წინაშე და ამაში კარგად გაცნობიერებული მწერალი ასეთ, ენციკლოპედიური მნიშვნელობის სიტყვას ამბობდა ცოდნის რაობასა და საკაცობრიო დანიშნულებაზე: „ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც არ უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არა მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს, ერთს სანთელზედ რომ ათას სხვა სანთელს მოუ-

კიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპს... სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს ცოდნა, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე, ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა; მამიდან შვილზედ გადადის, შვილიდან შვილიშვილებზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული"[7].

„უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან, განათლება, სწავლა, ცოდნა, - აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დადოს ჩვენს ცხოვრებას", - წერდა იგი სხვაგან[8].

ლუარსაბობა უბედურება იყო ქვეყნისა, რომლის მიზეზს უწიგნურობა წარმოადგენდა, მაგრამ წიგნიერებაც მხოლოდ მაშინ მოიტანდა საქვეყნო სიკეთეს, თუკი იგი პრაქტიკულ საქმიანობასთან იქნებოდა შეთავსებული, თუ ცოდნა-განათლებას ადამიანები ქვეყნის აღორძინებისათვის ბრძოლაში გამოიყენებდნენ („არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა ვარგა"...). ილია ჭავჭავაძე მოქმედების, კეთილის ქმნის იდეოლოგი იყო და სწავლა-განათლებაც ამ ქმნადობის ნაწილად მიაჩნდა.

ეროვნულ სკოლას უდიდეს როლს ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი, იგი მას თვლიდა უძლიერეს ფაქტორად, მთელი ერის კულტურული აღორძინებისა და განვითარების პირობად[9].

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ეროვნული სკოლა წარმოადგენს ერის მომავლის ჭეშმარიტ სამჭედლოს. „ეროვნული სკოლა ის ადგილია, - წერდა დიდი ქართველი პედაგოგი, - სადაც პირველად თვალი უნდა აახილოს გონებამ მთელის მოზარდი თაობისამ, საცა პირველი ფეხი უნდა აიდგას კაცის სულმა და გულმა, საცა პირველი უნდა ჩაინერგოს თესლი ზნეობისა, სიკეთისა, კაი კაცობისა, ადამიანობისა. მან უნდა მოამზადოს მოზარდი იმ დიდი იარაღის სახმარებლად, რომელიც ბუნებისა და კაცთა უსამართლობის წინააღმდეგაა საჭირო. მან მეო-

რედ უნდა შექმნას, ანუ უკეთ ვთქვათ, მან ბუნებისაგან შექმნილი ულონო ორფეხი ისე უნდა გამართოს სულით და ხორცით, რომ ძლიერ და მორჭმულ არსებად გადააქციოს..."[10]

ცნობილია, თუ რა დიდი ამაგი დასდო მან არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკული საქმანობითაც ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. გოგებაშვილის „დედა-ენა" მოვლენა გახდა ქართველი ერის ცხოვრებაში. როგორც მწიგნობრიობის შექმნის ახალი ეტაპი, ეროვნული ცნობიერების გაღვივების საშუალება, იგი ისე მოევლინა ქართულ სულიერებას. მასში შეტანილმა ნაწარმოებებმა შეძლო ქართველი ბავშვის სულის სიღრმეს ჩასწვდომოდა და შიგ ჩაედო ყველაფერი საუკეთესო, რაც ჩვენი ხალხის ისტორიულ თუ თანამედროვე ცხოვრებას ჰქონდა.

სწავლა-განათლების აუცილებლობის, ერის ცხოვრებაში სკოლის დიდი მნიშვნელობის შესახებ წერდა ვაჟა ფშაველა. მას მიაჩნდა, რომ სკოლა საპყრობილე კი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობისათვის, არამედ ცოდნის ისეთი ტაძარი, სადაც სიამოვნებით შეაბიჯებდნენ[11]. მისი აზრით, ყველა განათლებული კაცის ვალი იყო, „მოეკრიფა სწავლა", გადაეცა იგი მომავალი თაობებისათვის. ამიტომ, თავადაც დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდების აღზრდა-განათლების საქმეს.

საქართველოში ყოველთვის იცოდნენ განათლების დიდი მნიშვნელობა და როლი, ამიტომ სკოლების გახსნას განსაკუთრებულად ექცეოდა ყურადღება, მითუმეტეს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ; 1918 წლის 26 მაისის აქტმა ეროვნული განათლებისა და კულტურის განვითარება სახელმწიფო პროგრამით განამტკიცა, ხოლო ახალი სასკოლო რეფორმის გატარებამ ეს პროგრამა რეალობად აქცია.

1. განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა 1918-1921 წლებში

ღმერთო, იმას გევედრები –
მამულს კაცი ჰყოლოდესო,
ქვეყნის მოვლა-პატრონობა
შესწავლილი ჰქონოდესო...

სახალხო განათლებაზე ლეჩხუმელი
კორესპონდენტის „სახალხო საქმე-
ში" გამოქვეყნებული წერილიდან.

განათლების რეფორმას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ხელისუფლება ცდილობდა ამ სფეროს აღორძინებას, მთელს სისტემაში ეროვნული სულისკვეთების დანერგვას, განათლებისთვის იმ მისიის დაკისრებას, რასაც პატრიოტი და განსწავლული ახალგაზრდა თაობების აღზრდა ერქვა, რომელთაც ყველა ის საუკეთესო თვისებები ექნებოდათ, რაც საქართველოს შეაძლებინებდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომას. პროფესიონალიზმი, საკუთარი ენისა და ისტორიის ღრმა ცოდნასთან ერთად უცხოური ენებისა და კულტურის შესწავლა, ქართველი ხალხის უძველესი ეთნოკულტურული ტრადიციების ღრმა შემეცნება, - აი ის ძირითადი, რის მიცემასაც აპირებდა ამ დროის ქართული სკოლა ახალგაზრდობისათვის.

მთავრობამ დაიწყო სასკოლო რეფორმის გატარება, რათა ეს მიზანდასახულება განათლების სისტემას უკეთ განეხორციელებინა.

განათლების რეფორმა და სკოლების შემდგომი რეორგანიზაცია ითვალისწინებდა საყოველთაო უფასო,

სავალდებულო სწავლების შემოღებას, ხალხის სულიერი ცხოვრების აღმავლობას და ტრადიციული პედაგოგიური მეთოდების შერწყმას თანამედროვე მოწინავე პედაგოგიურ მეთოდებთან, სკოლების მთლიანად გაეროვნულებას, ნაციონალური უმცირესობებისათვის ახალი სკოლების გახსნას (სადაც მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება), პროფესიული და ტექნიკური სკოლების დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექნას, ახალი სკოლების გახსნას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, მასწავლებლებისა და სტუდენტების გაგზავნას საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ა. შ.

1918 წლის 25-26 ივლისს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. დოკუმენტი დარგის მთლიან რეორგანიზაციას ითვალისწინებდა. იმავე წლის აგვისტოში სახალხო განთლების მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება განათლების რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ.

განათლების მინისტრის მოხსენებიდან თბილისის სახელმწიფო საშუალო სასწავლებელთა შესახებ, 20 აგვისტო, 1918 წ.

„ყოველ სახელმწიფოს თავის პირობების შესაფერი სწავლა-აღზრდის სისტემა ესაჭიროება, საქართველოს დღესდღეობით ეს არა აქვს და ამიტომ ჩვენში გაბატონებული სწავლა-აღზრდის სისტემა ძირითადად უნდა შეიცვალოს. მაგრამ ამ მიზნის განხორციელება დროს მოითხოვს, მანამდე კი ზოგი რამ მაინც ეხლავე, პირველ რიგშივე უნდა გადაწყდეს. ჩვენს სკოლებში სწავლების ენად ყველგან რუსული ენაა შემოღებული. ეს ძირითადი უკუღმართობაა და იგი ეხლავე ძირიანად უნდა აღმოიფხვრეს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწავლების ენად

ყველგან მოწაფეთა მშობლიური ენა უნდა იყოს მიჩნეული, ამიტომ ეხლავე გადასაწყვეტია ორი რამ:

1. ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლების ენად ქართული უნდა იყოს დაუყოვნებლივ შემოღებული,

2. ხოლო ეროვნულ უმცირეს მოქალაქეთაც უნდა ჰქონდეთ საშუალება განათლება საკუთარ ენაზე მიიღონ.

ამ გადაუდებელი საკითხის განხორციელებას სხვა და სხვა ალაგს სხვადასხვა დაბრკოლება ეღობება წინ, მაგრამ ძირითადი დაბრკოლება უნდა იქნას დაძლეული, ეს არსებულ სასწავლებელთა ეროვნული შემადგენლობის სიჭრელეა, ეს კი განსაკუთრებით თბილისშია. სამინისტრო ფიქრობდა, რომ აქ ერთადერთი რადიკალური საშუალება იქნებოდა ყველა სამთავრობო სასწავლებლის დახურვა და შემდგომ რესპუბლიკის ამათუ იმ ერის მოქალაქეთათვის საჭირო და შესაფერისი ოდენობის სასწავლებლების გახსნა, რომლებშიც ეროვნების მიხედვით უნდა დანაწილებულიყვნენ უკვე არსებული და შემდეგ გაუქმებული სასწავლებლის მოწაფეები. ასეთი სასწავლებლების რიცხვი შედგებოდა მოწაფეთა რაოდენობისაგან"...

მინისტრმა მოიყვანა თბილისის ვაჟთა გიმნაზიების მოწაფეთა რიცხვი, რომელთა შორის სათავადაზნაურო გიმნაზიაც ჩაითვალა, ეს რიცხვი წარმოადგენდა 5500-ს; ეროვნების მიხედვით მოსწავლეთა ასეთი რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ქართველი - 1736, რუსი - 1624, სომეხი - 1477, დანარჩენი მცირე ნაწილი ეკუთვნოდა სხვა ერებს. „აქ ცხადად სჩანს, - განაგრძობდა მინისტრი, - რომ მთავრობის სასწავლებელში უმეტესობას ქართველები შეადგენენ, მაგრამ, ამასთანავე, თუ გავიხსენებთ განსაკუთრებულ ხელოვნურ დაბრკოლებასაც, რომელნიც ძველი მთავრობის გიმნაზიაში გაბატონებული ანტიქართული პოლიტიკის გამო ქართველებს ხვდებოდათ, მივხვდებით, რომ დასახელებული რიცხვი საშუ-

ალო .სკოლისა იმ ნამდვილ მოთხოვნილებას სრულიად არ გამოხატავს, რომელიც აქაურ ქართველობას აქვს. ამას ზედმეტად ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ იმ 2541 მოსწავლიდან, რომელიც ტფილისის სხვადასხვა კერძო სასწავლებლებში სწავლობენ, 1624 ქართველია, ხოლო დანარჩენი 917 მოსწავლე 13 სხვადასხვა ერს ეკუთვნის - არც ერთ სხვა ერს არა აქვს იმდენი მოთხოვნილება ტფილისში საშუალო სასწავლებლების მიმართ, რამდენიც ქართველობას, ჩვენ არ შეგვიძლია წარსული უკულმართი პოლიტიკის გამო სახელმწიფო სასწავლებლების მიხურული კარები კერძო სასწავლებლებში გარეკილ ქართველ ახალგაზრდებს არ გავუღოთ.

ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომავალ სასწ. წლისათვის 3000 ქართველი მოსწავლე მაინც იქნება ისეთი, რომელსაც უნდა მიეცეს ადგილი სახელმწიფო სასწავლებელში. რაც შეეხება სომხებს და რუსებს, მათი საერთო რიცხვი - 1624, 1477, სულ 3101-ია და, მაშასადამე, მათაც იმდენივე სასწავლებელი დასჭირდებათ, რამდენიც ქართველ მოქალაქეთა შვილებს".

მინისტრი სვავდა მოქალაქეობის საკითხს, ვინც არ იქნებოდა საქართველოს ქვეშევრდომი, მათ არ მიეცემოდათ სახელმწიფო სკოლებში სწავლის საშუალება, ამიტომ, გაცილებით ნაკლები სკოლა იქნებოდა საჭირო უცხოელთათვის, რადგან მათ არ სურთ ან არ შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებად გახდომაო.

სწავლის გაგრძელების საშუალება უნდა მისცემოდათ მათ, ვინც მანამდე სწავლობდნენ სახელმწიფო სასწავლებლებში.

ამის მიხედვით - ასკვნიდა მინისტრი, - ტფილისში საჭირო იქნება 4 საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლება იქნება ქართულ ენაზე, ხოლო 3 ისეთი, სადაც რუსები ან სომხები ისწავლიანო. სასწავლებლის ადგილის ამორჩევასაც ახდენდა მინისტრი: ქართველთათვის 2 საშუალო სასწავლებელი მტკვრის მარცხენა ნაპირზე იქნება, ეხლანდელი 2 გიმნაზია და რეალური სასწავლე-

ბელი - და ორი მარჯვენა სანაპიროზე - 1 გიმნაზია და ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია, რომელიც კადეტთა კორპუსის სადგომში უნდა მოთავსდესო. რუსებსა და სომხებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ექნებათ გიმნაზიები, რუსებს - 6, სომხებს - 3, ხოლო მარჯვენა ნაპირზე ორივეს ერთი გიმნაზია, ეხლანდელი მე-4-ე გიმნაზია რომელშიც სომხებს სომხურ ენაზე პარალელ კლასებში ექნებათ სწავლებაო.

მინისტრი ითხოვდა განაპირა უბნებში - ავლაბარში შერეულს - ქართულ-სომხურს, ნაძალადევში ქართული სასწავლებლის გახსნას, ასევე ქალთა გიმნაზიების დაარსებას.

დასასრულ, სახალხო განათლების მინისტრი ასე აყალიბებდა მოთხოვნებს:

1. ქ. ტფილისში გაიხსნას 3 გიმნაზია ქართველთათვის, ერთი რუსთათვის, ერთი სომეხთათვის და ერთიც რუს-სომეხთათვის.

2. ნაძალადევში გაიხსნას 4-კლასიანი გიმნაზია ქართველთათვის, 1917 წლის 17 აპრილის შტატების მიხედვით.

3. ავლაბარში, მე-5 გიმნაზიაში გაიხსნას 4 პროგიმნაზიული კლასი ქართველთათვის და უფროსი მოსამზადებელი სომეხთათვის. დანარჩენ კლასებში მდგომარეობა 1918-19 წლებში უცვლელად დარჩეს.

4. ერთს ქართულს გიმნაზიას გადაეცეს ახლანდელი I გიმნაზია მთელი თავისი ქონებით და ეწოდოს მას ტფილისის I გიმნაზია, მეორეს გადაეცეს მეორე გიმნაზია, მთელი ქონებით და ეწოდოს მას ტფილისის II გიმნაზია, ყოფილ ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას დაეთმოს კადეტთა კორპუსის ერთი დიდი ნაწილი - სამინისტროს არჩევით და ეწოდოს მას ტფილისის მე-7 გიმნაზია.

5. ტფილისის რეალური სასწავლებლის პირველ 4 ძირითად კლასში სწავლების ენად გამოცხადდეს ქართული და დანარჩენ კლასებში 1918-1919 სასწ. წლის გან-

მავლობაში სწავლების ენად რუსული დარჩეს, რუსული საანბანო კლასი დაიხუროს.

6. სომხურ გიმნაზიას გადაეცეს ეხლანდელი მე-3 გიმნაზია და ეწოდოს მას მე-3 გიმნაზია.

7. რუსულ გიმნაზიას გადაეცეს მე-6 გიმნაზია და ეწოდოს მას მე-6 გიმნაზია.

8. ყველა დასახელებულ სასწავლებელში ყოფილი სახაზინო გიმნაზიების მოსწავლეები გადანაწილდნენ ეროვნებისა და ერის მიხედვით.

9. პირველს, მეორესა და ავლაბრის გიმნაზიებში 4 პროგიმნაზიურ კლასში ტარდება ნაციონალიზაცია, დანარჩენში შეძლებისდაგვარად, მე-3 და ნაძალადევის გიმნაზიაში სწავლება ყველა კლასში ქართულად იწარმოებს.

10. ტფილისის ქალთა ინსტიტუტი დაიხუროს. შენობა და ინვენტარის ნაწილი გადაეცეს ყოფილ ქალთა სათავადაზნაურო გიმნაზიას და განათლების ქალთა საოსტატო სემინარიას და აქ სწავლა ყველა კლასში ქართულად იწარმოოს.

11. ქალთა I და II გიმნაზიების და წმ. ნინოს სასწავლებლის 4 პროგიმნაზიული კლასის ძირითად განყოფილებებში სხვადასხვა, მთავრობის ქალთა გიმნაზიის მონაფეები გადაჯგუფდნენ და სწავლება ქართულ ენაზე იქნეს შემოღებული.

12. მე-3 გიმნაზია სომხურად გამოცხადდეს, მე-4 - რუსულად, და მე-5 - რუსულ-სომხურად.

13. ქალთა მე-6 გიმნაზიაში გაიხსნას ქართული და სომხური უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი კლასები, დანარჩენ კლასებში მდგომარეობა ერთი წლით უცვლელად დარჩეს.

14. ყოფილ I გიმნაზიას ტფილისის I გიმნაზია ეწოდოს, მე-2-ს მე-2 გიმნაზია, ყოფილ სათავადაზნაურო ქალთა გიმნაზიას - მე-7 გიმნაზია, ყოფილ წმ. ნინოს სასწავლებელს - წმინდა ნინოს გიმნაზია, ყოფილ III, IV, V,

და VI გიმნაზიებს თავისი ძველი სახელწოდებები შერჩეთ[12].

მინისტრის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში ნათლად გამოიკვეთა განათლების დარგის მდგომარეობა და მისი შემდგომი რეორგანიზაციის აუცილებლობა.

1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის - ნოე რამიშვილის თავჯდომარეობით შედგა საგანგებო თათბირი განათლების რეფორმის გატარების აუცილებლობაზე - განიხილეს საკითხი სასკოლო და მოზრდილი (40 წლამდე) ასაკის ადამიანებისთვის საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. გადაწყდა, რომ ყველგან გაეხსნათ სკოლები და, გარდა ამისა, მოეწყოთ „ბუნდოვანი სურათები, სახალხო კითხვები და საკვირაო სკოლები", სოფლის სკოლებთან უნდა გახსნილიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, სადაც სკოლა არ იყო, ბიბლიოთეკები იქაც უნდა დაარსებულიყო, რაც ხალხის განათლების დონეს გაზრდიდა[13].

შედგა დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.

დებულება
საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა

1. საქართველოს რესპუბლიკის საერთო განთლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა ინახავს, ერთი ტიპისაა.

შენიშვნა: საერთო (ზოგადი) განათლების საშუალო სკოლა, რომელიც ქალაქთა, ერობათა, საზოგადოებათა ან კერძო პირთა საშულებით ინახება, შესაძლებელია განსხვავდებოდეს პირველ მუხლში აღნიშნულ სკოლის საერთო ტიპისაგან იმ აუცილებელი პირობით, თუ ეს

განსხვავება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულია განთლების სამინისტროს მიერ.

2. საერთო განთლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და ამავე დროს მოამზადოს უმაღლეს სასწავლებლისათვის.

3. განათლების საშუალო სკოლას 4 კლასი აქვს, ერთი წლის კურსით თვითეული.

შენიშვნა 1: 1919-20 და 1920-21 სასწ. წლებში გიმნაზიაში არსებულ 8 და 7 კლასიან საზოგადო განათლების საშ. სკოლის და აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქნეს უმაღლეს დაწყებით სკოლებად.

შენიშვნა 2: გაუქმებულ იქნეს საერთო განათლების საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები.

4. განახლებულ საშუალო სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე - არჩევით, ან ფრანგული ან გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოლიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა, და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.

5. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი ამოღებულ იქნა[14].

კანონ-პროექტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სკოლების მართვისა და სწავლა-აღზრდის ერთიანი პრინციპის შემოღების შესახებ მოიწონა მთავრობამ და წარუდგინა ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 3 ივნისს დასამტკიცებლად[15].

იმავდროულად გამოქვეყნდა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ დეკრეტის პროექტი[16].

რეფორმის გატარებას ხელმძღვანელობდა განათლების სამინიტრო, რომლის ძირითადი ორგანიზაცია და შტატები დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა, 1918 წლის 6 სექტემბერს. სამინისტროს ჰქონდა თავისი საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: მინისტრი და მისი ამხანაგი, სამი მთავარგამგე, სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, ქალაქის და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი და აგრეთვე ის პირები, რომელთა მოწვევას საჭიროდ დაინახავდა მინისტრი.

სამინისტროს კანცელარიაში მუშაობდა 19 კაცი, რაც მთავრობას უჯდებოდა წლიურად 273 000 მანეთი, ნაცვლად 1 356 750 მანეთისა, რაც ყოფილი კავკასიის განათლების ოლქისა და დირექციების შესანახად იხარჯებოდა. დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი იყო ჯერ სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი, შემდეგ კი ეს თანამდებობა შეუთავსეს შინაგან საქმეთა მინისტრს სოციალ-დემოკრატ ნოე რამიშვილს, 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში, ქვეყანაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარების გამო, განათლების სფერო სამხედრო მინისტრს - გრიგოლ ლორთქიფანიძეს დაუქვემდებარდა.

საჭირო იყო განათლების დაწესებულებათა რიცხვის შემცირება და ადმინისტრაციული აპარატის ისე გამარტივება, როგორც ამას მოითხოვდა სწავლა-აღზრდის დარგის შემდგომი განვითარება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობაც.

გაუქმებულ იქნა კავკასიის სასწავლო კომისარიატი და გუბერნიებში არსებული სახალხო სკოლების დირექტორთა თანამდებობანი, რამაც 80-მდე შტატი გამოათავისუფლა. სკოლების მუშაობას განაგებდა სამინისტროს სამი მთავარგამგე: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების, 2. სახალხო სკოლების და 3. საპროფესიო და სატეხნიკო სკოლების მთავარგამგეები[17].

სკოლების მეთვალყურეობისათვის სამინისტრომ დატოვა სახალხო სკოლების ინსპექტორთა ინსტიტუტი.

სახალხო განათლების მინისტრის 1918 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით (№ 27) გაუქმდა კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ყოფილი ოლქი და მისი თანამშრომლები დათხოვნილნი იქნენ სამსახურიდან, ოლქის ყოფილი უფროსი ლეონიდე ალექსანდრეს ძე იშკოვი ხელმძღვანელობდა ლიკვიდაციის პროცესს[18].

კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნაცვლად, განათლების სამინისტროსთან მოგვიანებით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ე. წ. „სამოსწავლო საბჭო", რომელიც ყოფილი რუსეთის სამოსწავლო კომისარიატის დებულებით იმუშავებდა და იმავე მიზანს ემსახურებოდა. ამ კომიტეტის პირველი შეკრება მოხდა 1919 წლის 20 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მ. ზანდუკელი, ს. კაკაბაძე, ალ ჯავახიშვილი, ე. ჭოლოშვილი, პ. დგებუაძე, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალ. ჯავახიშვილი, მდივნად ს. კაკაბაძე. სამოსწავლო საბჭოს „სამეცნიერო კომიტეტი" უნდა ჩარიცხულიყო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში. მასში უნდა შესულიყვნენ ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები, კერძოდ: 1. საზოგადო ისტორიის; 2. საქართველოს ისტორიის; 3. ქართული ენისა და ლიტერატურის; 4. უცხოური ლიტერატურების; 5. მათემატიკის; 6. ფიზიკისა და ქიმიის; 7. გეოგრაფიის 8. ბიოლოგიურ მეცნიერებათა; 9. ჰიგიენისა; 10. ფილოსოფიური საგნების; 11. იურიდიული დარგების; 12. სამხატვრო საგნების; 13. მუსიკის სფეროს წარმომადგენლები[19].

კომიტეტი შეადგინა სამინისტრომ, მას ჰყავდა თავჯდომარე, მდივანი, საქმის მწარმოებელი და განყოფილებათა გამგეები, კომისიის წევრები, რომლებიც გაწეული მუშაობისათვის გარკვეულ ჰონორარს იღებდნენ.

კომიტეტის დებულების პროექტი შეადგინა და 1919 წლის 15 ივნისს განსახილველად წარუდგინა განათლების მინისტრს ალექსანდრე ჯავახიშვილმა. დებულების პროექტი სამინისტრომ დაამტკიცა[20]

1918-1919 სასწავლო წლის ბოლოსათვის (1919 წლის აპრილი) საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროში შედიოდა შემდეგი სასწავლებლები და დაწესებულებები[21]:

I. უმაღლესი სასწავლებლები

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 3 ფაკულტეტისაგან შედგებოდა:

ა) სიბრძნისმეტყველების,

ბ) ფიზიკა-მათემატიკის,

გ) სამკურნალო.

პროფესორთა კორპორაციაში შედიოდა 31 კაცი, ლაბორანტ-ასისტენტებად ირიცხებოდა 80 თანამშრომელი.

2. კერძო უნივერსიტეტი (მთავრობის სუბსიდიით);

3. თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი;

4. თბილისის უმაღლესი საინჟინრო კურსები;

5. თბილისის კერძო იურიდიული კურსები;

6. თბილისის კონსერვატორია;

7. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც ჰქონდა ორი განყოფილება: ისტორია-ფილოლოგიის და ფიზიკა მათემატიკის.

II. სამეცნიერო დაწესებულებანი

1. ფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც ჰქონდა საკვლევი სადგური მცხეთასთან ახლოს, კარსანში;
2. გეოგრაფიული ინსტიტუტი;
3. არქეოლოგიური ინსტიტუტი;
4. მუზეუმები:
   - ა. ეროვნული, რომელსაც ხუთი განყოფილება ჰქონდა: ისტორია-არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის;
   - ბ. თბილისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი;

გ. ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი;
დ. საეკლესიო მუზეუმი;
ე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი;
ვ. პედაგოგიური მუზეუმი ქ. თბილისში.

5. წიგნთსაცავები:
ა. ეროვნული - საჯარო;
ბ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავი ქ. თბილისში;
გ. საეკლესიო მუზეუმის ბიბლიოთეკა;
დ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა;
ე. პედაგოგიური მუზეუმის ბიბლიოთეკა.
6. საზოგადოებანი:
ა. საისტორიო-საეთნოგრაფიო;
ბ. საარქეოლოგიო;
გ. საარქეოგრაფიო;
დ. საფილოსოფიო;
ე. საიურიდიო;
ვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა;
ზ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება;
თ. ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება;
ი. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება;
კ. ფარმაცევტთა;
ლ. ბეითალთა

III. საშუალო სასწავლებლები

სახაზინო
1. ვაჟთა გიმნაზია - 28;
2. ქალთა გიმნაზია - 24;
3. რეალური სასწავლებელი - 3;
4. საკომერციო სასწავლებელი - 3;

5. პოლიტექნიკური სასწავლებელი - 1;
6. ტექნიკური სასწავლებელი - 3;
7. საოსტატო სემინარიები - 5;
8. საბებიო ინსტიტუტი - 1;
9. კბილის ექიმთა კურსები - 1;
10. საზღვაოსნო სასწავლებელი ქ. ფოთში - 1;
11. სამუსიკო სკოლა - 1;
12. ექიმის თანაშემწის სასწავლებელი - 1;
13. საფერშლო სკოლა - 1;
14. მიწათმზომელთა სასწავლებელი - 1;
15. დრამატული კურსები - 1;
16. საბუღალტრო კურსები - 5.

ამ სკოლებში ასწავლიდა (საპედაგოგო კორპორაციაში შედიოდა) 1926 კაცი.

IV. დაბალი სასწავლებლები

1. უმაღლესი დაწყებითი სკოლა - 108, სადაც 735 მასწავლებელი ასწავლიდა;
2. პირველდაწყებითი - 108 სკოლა, 3252 მასწავლებლით;
3. საპროფესიო-სატეხნიკო - 12 სკოლა, 85 მასწავლებლით;
4. საკერამიკო 2 სკოლა, 12 მასწავლებლით.

1860 პირველდაწყებითი სკოლიდან 120 სკოლა არაქართველების იყო, და ეროვნების მიხედვით ასე იყო განაწილებული:

ა) ბერძნების - 52;
ბ) რუსული - 22;
გ) სომხური - 16;
დ) მუსულმანური - 12;
ე) ოსური - 10;
ვ) გერმანული - 8.

V. კერძო უფლებიანი სასწავლებლები

ა. ვაჟთა გიმნაზია - 14;

ბ. ქალთა გიმნაზია - 12;
გ. რეალური სასწავლებელი - 3;
დ. საკომერციო სასწავლებელი - 2;
საბუღალტრო კურსები - 6;
სავაჭრო სკოლები - 8.

VI. მოკლევადიანი ყოველწლიური კურსები

ა. სახალხო მასწავლებელთა კურსები თბილისსა და ქუთაისში;
ბ. საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსები;
გ. სატეხნიკო კურსები სახალხო მასწავლებელთათვის.

VII. ლიტერატურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებული საზოგადოებანი

ა. თეატრები - 24;
ბ. ქართველ მხატვართა საზოგადოება - 1;
გ. ქართველ მწერალთა საზოგადოება - 1.
დ. სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოება - 1;
ე. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება - 1;
ვ. დრამატული საზოგადოება - 4;
ზ. ფილარმონიული საზოგადოება - 1;
თ. სამუსიკო საზოგადოება - 1.

VIII. სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებანი

ა. მოძრავი ბიბლიოთეკა - 3;
ბ. სახალხო წიგნსაცავები და სამკითხველოები ქალაქებსა და დაბა-სოფლებში - 2112;
გ. სახალხო უნივერსიტეტები: თბილისში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ხონში, ფოთში, თელავში, თბილისსა და ქუთაისში, ასეთი უნივერსიტეტების რიცხვი უდრიდა 12-ს;
დ. საბავშვო ბაღები - 16;

ე. ხელბურთის (ფრებოლის) კურსები - 8;

ვ. საკვირაო და საღამოს კურსები მოზრდილთათვის - 216;

ზ. უცხო ენათა კურსები - 10;

თ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა ფილიალები და სკოლები როგორც საქართველოში, ასევე კავკასიის თვალსაჩინო ქალაქებში: კავკავში, არმავირში,პეტროვსკში, დერბენტში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, გუმბრში, ნახჭევანში, შემახიაში, შუშაში და სხვაგან[22].

საქართელოში დაიწყო საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. ყველა სოციალური ფენა ეწაფებოდა ცოდნის წყაროს, მათ შორის ულარიბესი გლეხობაც, განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამგვარი მისწრაფება საქართველოს გლეხობაში, რასაც შენიშნავდა ნიკო ნიკოლაძე: „სიმართლეს მოკლებულია ის აზრი, თითქოს ქართველი გლეხები სკოლების მოსაწყობად და შესანახად საჭირო თანხების გაღებაში სიძუნწეს იჩენდნენ... სიმართლეს მოკლებულია ისიც, რომ თითქოს მათ არ ესმოდეთ სწავლის სარგებლობა და ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ სასკოლო საქმეებს... თუ საკითხს უფრო ახლოს გავეცნობით, იგი გაგვაკვირვებს კიდევაც იმ დიდი სურვილით, რომელსაც გლეხები შვილების სკოლებში მიბარებისადმი იჩენენ... ამის დასადასტურებლად ჩვენ ვურჩევდით სხვა აზრის მქონეთ, რომ 29 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე გაჩერებულიყვნენ ქუთაისის სასწავლებლის კართან..."[23] ვითარება კარგად აისახა ქუთაისის გუბერნიაში არსებული სკოლების რაოდენობაშიც.

1918-1921 წლების განათლების ფონდში დაცულ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „ტფილისის გუბერნია სწავლა განათლების მხრით ძლიერ ჩამორჩენილია ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით. 1916 წლის კავკასიის კალენდარში მოთავსებული ცნობების მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში დაახლოებით 1 მილიონი მცხოვრებია, სახალხო სკოლების რიცხვი კი - 900, ასე

რომ, ერთი სკოლა მოდის დაახლოებით 1100 მცხოვრებზედ.

ამავე დროს ტფილისის გუბერნიაში 600 000 მცხოვრებზედ ითვლება 240 ქართული სკოლა, ე. ი. ერთი სკოლა მოდის 2500 მცხოვრებზედ.

უმაღლესი დაწყებითი სკოლა ქუთაისის გუბერნიაში, ამ დოკუმენტის მიხედვით, ყოფილა - 70, თითო სასწავლებელი მოდიოდა 14280 მცხოვრებზედ, ტფილისის გუბერნიაში კი 6, ე. ი. ამ ტიპის სკოლა აქ მოდიოდა 100 ათას მცხოვრებზედ.

ამ განსხვავების მოსასპობად სამინისტრო საჭიროდ თვლიდა 1918 წელსვე ახალი სკოლების სასწრაფოდ გახსნას. უმაღლესი დაწყებითი და პირველდაწყებითი სკოლები იმ მაზრებში უნდა გახსნილიყო, რომლებიც დაშორებულნი იყვნენ რკინიგზას და სადაც სკოლების ნაკლებობა იყო. სამინისტრო ასეთად სთვლიდა დუშეთისა და თიანეთის მაზრებს და გორის მაზრის ზოგიერთ განაპირა ადგილებს - ბორჯომისა და ცხინვალის ხეობებს.

მონაცემების მიხედვით შედგა ცხრილი, სადაც უნდა გახსნილიყო ახალი სკოლები[24].

სკოლები უნდა გახსნილიყო აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ სოფლებში:

№	მაზრა და სოფელი	მცხოვრებთა რიცხვი	სასკოლო ასაკის ბავშვთა რიცხვი	შენიშვნა
	I. დუშეთის მაზრა			
1.	სოფ. ქსოვრისი	300	50	
2.	ძალისი	420	60	
3.	ყანჩავეთი	400	65	
4.	იკოთი	510	110	
5.	ჟინვალი	170	35	
6.	ხეობა	215	35	

7.	ანანური	160	25	ახლო სოფელში 40-ია
	II. თიანეთის მაზრა			
1.	ბარისახო	430	40	
2.	ხევსურთ სოფელი	550	60	
3.	დიგმელაქი	200	50	
4.	ფხო	200	30	ახლო სოფელში 30-მდეა
	III. გორის მაზრა			
	ბორჯომის ხეობა			
1.	ქობის ხევი	550	90	
2.	ყვიბისი	780	100	
3.	კორთანეთი	205	45	
4.	მზეთამზე	300	50	
5.	ზანავი	290	50	
	ოსეთი			
6.	ტონტობეთი	400	70	
7.	კრებულთა	300	60	
8.	ქოთანთო	300	50	
9.	ერწო	300	60	
10.	ტეზერი	300	60	
11.	თაგოეთი	300	45	
12.	სკრა	640	60	
13.	ნერონისი	540	60	
14.	ვარიანი	520	85	ი. გოგებაშვილის სახ. სკოლა
15.	კავთისხევი	5400	550	უნდა გაიხსნას 2 სასწავლებ.
16.	რუისი	2500	420	უნდა გაიხსნას 2 სასწავლებ.
17.	საღოლაშენი	150	25	ახლო სოფ-ში 100-მდე ბავშვია
18.	ბარნაბიანთკარი	300	45	
	IV. თელავის მაზრა			
1.	შაქრიანი	400	60	
2.	კურდღელაური	2500	300	უნდა გაიხსნას 2 კომპლექსური სკოლა
3.	აგურა	2000	200	„ - "
4.	ბუმათი	1200	160	„ - "
	V. სიღნაღის მაზრა			
1.	მელაანი	1500	150	უნდა გაიხსნას 2 კომპლექსური სკოლა
2.	მუკუზანი	650	70	
3.	ჯიმითი	2800	260	უნდა გაიხსნას 2 სკოლა
4.	ფანიანი			
	საჭიროა მასწავლებელთა თითო შტატის დამატება:			
1.	კებოტისაში	750	100	2 მასწავლებელი

	(თიანეთის მაზრა)			
2.	მეჯვრისხევში	1800	420	1 მასნავლებელი
3.	ხელისში	630	105	1 მასნავლებელი
4.	ძეგვში	1600	280	1 მასნავლებელი
5.	ზემო აგორისში	500	100	1 მასნავლებელი
6.	შინდისში	830	130	1 მასნავლებელი
7.	ხაშურში	-	160	1 მასნავლებელი
8.	ზემო აუჭალაში	800	100	1 მასნავლებელი

უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი საჭიროა გაიხსნას შემდეგ ადგილებში:

№	მაზრა და სოფელი	მცხოვრებლების რაოდენობა	სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რიცხვი	შენიშვნა
1.	ბორჯომში	4000	500	
2.	მცხეთაში	1500	200	
3.	გურჯაანში	5000	500	
4.	თბილისში (ნაძალადევი)			
5.	საგარეჯოში	5000	500	
6.	ქვემო მაჩხაანში			
7.	ოსეთში			

დუშეთისა და ცხინვალის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები, რომლებიც საზოგადოების ხარჯზე ინახებიან, საჭიროა ხაზინამ თავის ხარჯზედ მიიღოს[25], - აღნიშნული იყო დოკუმენტში.

გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სკოლებს კრიტიკული ვითარება შეექმნა. ზოგიერთი დაიხურა, ზოგიც დახურვის პირას აღმოჩნდა. მოწაფეებიდან შემოსული თანხა სკოლის გასავალს ვერ ფარავდა. ხაზინას არ შეეძლო გაფართოებული სკოლების ქსელის უზრუნველყოფა, ერთადერთ გზად რჩებოდა სწავლის ქირის გადიდება. გაჭირვებულ მოსახლეობას იმ თანხის გადახდაც უძნელდებოდა, რაც იყო, და თუ ეს გადასახადი გაიზრდებოდა, მშობლები იძულებულნი იქნებოდნენ შვილები სკოლებიდან გაეყვანათ. ეს კი, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო-საგანმანათლებლო პროგრამას ეწინააღმდეგებოდა, საყოველთაო-სახალხო განა-

თლების გეგმას შლიდა. ამიტომ სამინისტრო ამ პროცესს, როგორც შეეძლო, ისე ეწინააღმდეგებოდა.

1920 წლის 7 ოქტომბერს გამოცემულ ცირკულარში, რომელიც განათლების სამინისტრომ სკოლებს დაუგზავნა, ეწერა, რომ რვაწლიან სასწავლებელში უნდა განხორციელებულიყო უფასო სწავლება, ამ პროგრამის განხორციელება 1918-19 სასწ. წელსვე დაიწყო და 4 წლიან დაწყებით სასწავლებლებში, ზოგიერთ სკოლაში, განხორციელდა. პროცესის დასრულება განზრახული იყო 1923-24 სასწ. წლისათვის.

მეორე საფეხურზე - უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში უფასო სწავლების შემოღება თანდათანობით, დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა განხორციელებულიყო. ამისათვის სკოლებს ეკრძალებოდათ შტატების გაზრდა, სამეურნეო ხარჯები უნდა გაეწიათ არსებული ხარჯთაღრიცხვის თარგლებში და თუ გაზრდიდნენ მას, იგი უნდა დაეფარათ საქალაქო მმართველობებისა და ერობების ადგილობრივი თანხებით. დასკვნაში ეწერა: „ხელმძღვანელობს რა ყველა ამ დებულებითა და მოსაზრებით, განათლების სამინისტრო შეუძლებლად სცნობს უმაღლეს დაწყ. სასწავლებლებში არსებული სასწავლო გადასახადის რაოდენობის გადიდებას. მომავალში ეს გადასახადი უნდა შემცირდეს მინიმუმამდე, რათა შემდეგ სრულიად გაუქმდეს იგი, და ამნაირად, ამ საფეხურზეც განხორციელდეს უფასო სავალდებულო სწავლება"[26].

საშუალო სკოლის რეორგანიზაციის გამო ქართველი რეფორმატორები ცდილობდნენ ევროპული განათლების სისტემის გამოცდილების გადმოღებას, განსაკუთრებით კი ამ დროს საქართველოს ყველაზე ახლო პოლიტიკური პარტნიორის - გერმანიის სკოლების ტიპების გაცნობასა და იქედან საჭირო გამოცდილების გაზიარებას.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" დაბეჭდა ამ საკითხის ირგვლივ მთავრობის სხდომაზე ნ. ქუთათე-

ლაძის მიერ გაკეთებული მოსაზრება, სადაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიაში არსებობდა სამი ტიპის საშუალო სკოლა; მომხსენებელი ახასიათებდა სკოლის ამ ტიპებს, აყენებდა საკითხს - გამოდგებოდა თუ არა ისინი ქართული სინამდვილისათვის.

მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ კლასიკურ ენებს გერმანიაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. გერმანული მეცნიერება უმთავრესად კლასიკურ ნიადაგზე აღმოცენდა. ინგლისში და საფრანგეთში ლათინურ ენას ანიჭებდნენ უპირატესობას, საქართველოში კი პრიორიტეტი გერმანულ სკოლას უნდა მივანიჭოთ. ძნელი წარმოსადგენია, - აღნიშნავდა ნ. ქუთათელაძე, - ქართული საერთო განათლება, თუ ბერძნული ენა არ იქნება შესწავლილი. ბერძნული ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება უნდა გავიხადოთ უმთავრეს მძლავრ ნაკადად ჩვენი ეროვნული და კულტურული განვითარების პროცესში - ამას მოითხოვს ისტორიული ნაანდერძევი და მასთან ერთად ღრმა, სპეტაკი და მრავალსახოვანი სული ანტიკური კულტურისა"[27].

მომხსენებელი მხარს უჭერდა აგრეთვე სხვა უცხო ენების შესწავლას, რომელთაგან უპირატესობას გერმანულ ენას ანიჭებდა, რადგან მეცნიერული სიღრმეების დაუფლების უფრო მეტ საშუალებას ეს ენა იძლეოდა. გერმანია მეცნიერების სამშობლოა, - ამბობდა იგი, - საუნივერსიტეტო განათლება იქ უმაღლეს საფეხურს აღწევს, ქართველი მეცნიერების კადრები გერმანიაში უნდა გაიწვრთნან. ინგლისური ენა, რომელიც მსოფლიო ენად მკვიდრდება, ასევე აუცილებელია, ქართველი ტექნიკოსს, მეცნიერს, კომერსანტს, მხედარს, გარდა გერმანულისა, ინგლისურიც ესაჭიროება, ამიტომ მას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სპეციალურ და რეალურ სასწავლებლებში მაინცო.

რაც შეეხებოდა სხვა საგნებს, ნ. ქუთათელაძის აზრით, აქაც ეროვნული თვალსაზრისი უნდა გატარებულიყო, მაგ.: ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლას გადამ-

წყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლასთან ერთად. „სხვა ერების ისტორია რუსი ერის თვალსაზრისით არ შეისწავლება", ამტკიცებდა იგი. მომხსენებელი ასკვნიდა, რომ საშუალო სკოლის განვითარება-აყვავება სრულ გაეროვნებას გულისხმობდა, მაგრამ საზოგადოება უნდა მორიდებოდა უკიდურესობას. „გვახსოვდეს, რომ ნამდვილი ეროვნული გრძნობა უფრო ნაკლებად იქ ვითარდება, სადაც მის შესახებ უსაფუძვლოდ ზედმეტს ყვირიან"-ო, - დასძენდა ნ. ქუთათელაძე.

საშუალო სასწავლებლის ნაციონალიზაციას შეეხებოდა ა. ცეცხლაძის წერილი, სადაც ნათქვამი იყო, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა ქართული სკოლა და მისი პედაგოგები. მასწავლებლებს არ შეეძლოთ დახელოვნების კურსებზე წასვლა, რადგან მთავრობის მიცემული თანხის გარდა საჭირო მცირეოდენი საშუალებაც კი არ ჰქონდათ. თანაც სკოლის გაეროვნებას მარტო პედაგოგების მომზადება არ ჰყოფნიდა: საჭირო იყო ქართულ ენაზე შედგენილი და თარგმნილი სახელმძღვანელოები[28].

საშუალო სკოლის რეორგანიზაციის პროცესი 1918-1919 სასწავლო წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ბოლომდე გაგრძელდა და მისი ბევრი საკითხი საკამათო გახდა. დავას იწვევდა საგნების, სახელმძღვანელოების, საათების რაოდენობის, პროფესიონალური და კლასიკური განათლების მრავალი პრობლემა.

1919 წლის 11 მაისს განათლების მინისტრის ამხანაგის - ნ. ცინცაძის ხელმძღვანელობით შედგა გაფართოებული სხდომა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საკითხზე.

ნ. ცინცაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მთავრობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სკოლის განახლებას, რადგან მიაჩნია, რომ ჩვენი სასკოლო მემკვიდრეობა ფრიად ცუდიაო. სამინისტრო, მისი თქმით, შეუდგა სკო-

ლის გარდაქმნას და ძირითადად სამ საფეხურიანი სკოლის შემოღება გადაწყვიტა. ეს იყო პირველდაწყებითი, უმაღლესი პირველდაწყებითი და საშუალო ტიპის სკოლები.

მინისტრის ამხანაგმა უარყო საქართველოს ე. წ. კლასიკური სკოლების ტიპი, რადგან ძველი მკვდარი ენების შესწავლა გონების ფორმალურ ვარჯიშობად მიიჩნია, მოიყვანა ამ დროისთვის ცნობილი პედაგოგების - მირნოვის, პაულსენის, შვარცის და სხვათა უარყოფითი აზრი კლასიკური ტიპის სკოლებზე. მის აზრით, ჰუმანიტარული სკოლა უნდა დაყრდნობოდა „ახალ ეროვნულ ენებს".

გარკვეული მსჯელობის შემდეგ მომხსენებელმა დასვა საკითხი - საშუალო სკოლის იმ ტიპზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაენერგა და ითქვა: „ადამიანის შესწავლით წავალთ ბუნებისაკენ, თუ ბუნების შესწავლით ადამიანისაკენ. რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა, რომ სხვადასხვა ტიპის საშუალო სკოლა გვქონდეს, რომ მოწაფეს შეეძლოს თავისი მიდრეკილების მიხედვით სათანადო განათლების მიღება, მაგრამ ვინაიდან დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს ასეთი ხარჯები გავწიოთ, იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ერთი ტიპით, რომელიც შეაერთებს ჰუმანიტარული და რეალური სკოლის ტიპებს".

ასეთი სკოლა სამი კატეგორიის საგნებს შეასწავლიდა:

1. საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნები;
2. ჰუმანიტარული საგნები რუსული და ერთ-ერთი ევროპული ენით;
3. აღმზრდელობითი საგნები[29].

ასეთი იყო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, რასაც მოჰყვა სკოლების რეორგანიზაციის ამ სახით გატარება.

მსჯელობა რეორგანიზაციის ცალკეულ საკითხებზე გრძელდებოდა 1920 წელსაც[30]. დიმიტრი უზნაძემ, სერგი დანელიამ და სხვებმა განათლების სამინისტროს სპეციალურ თათბირზე აღნიშნეს სპეციალური კომისიების მუშაობის გააქტიურების აუცილებლობა, სამეცნიერო საზოგადოების მიერ ახალი სახელმძღვანელოების შედგენის, ძველი სახელმძღვანელოების განხილვის აუცილებლობა და სხვა.

შეიქმნა სიტყვიერების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ქართული ენის და სხვა კომისიები. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" აღნიშნავდა, რომ კომისიები მოკლე ხანში შეუდგებოდნენ მუშაობას და აირჩევდნენ მთავარ კომისიას, რომელიც რეორგანიზებასთან დაკავშირებულ ყველა მასალას გადასინჯავდა[31].

გერმანიის სასწავლებლების შესახებ ქართულ საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა 1919 წელს ბერლინში მყოფი ცნობილი ქართველი მწერალი - კონსტანტინე გამსახურდია.

მწერლის ვრცელი პუბლიკაცია გერმანიის სახალხო განათლების უმაღლეს საფეხურსა და სასწავლო პრინციპის ყველა სახეს რომ აანალიზებდა, იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (1919 წლის №№ 231, 232, 233, 234). მწერალი ქართველ მკითხველს აცნობდა ბერლინის, ბონის, ბრესლაუს, ერლანგენის, ფრანკფურტემაინის, ფრაიბერგის, გოტინგენის, გრაიფსვალდის, ჰალლეს, ჰაიდენბერგის, იენას, კილის, კიონიგსბერგის, ლაიპციგის, მარბურგის, მიუნჰენის, მიუნსტერის და სხვა უნივერსიტეტების მუშაობას, გერმანიის უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლებს, კომერციულ, სამთო, სასოფლო-სამეურნეო, საბეითლო სასწავლებლებს, ხელოვნების აკადემიებსა და სხვ. ამომწურავი ინფორმაციის მოცემის შემდეგ, კონსტანტინე გამსახურდია ასკვნიდა: „საქართველოს აღარ შეუძლია ტრადიციული გზით სიარული, ჩვენი ბედი და ჩვენი კულტურა ამიერიდან გეზს იცვლის. იაპონიის მაგალითმა გვიჩვენა,

რომ აღმოსავლეთი, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი კულტურის სასიცოცხლო ძარღვები, დღეს დასავლეთით იღებს სასიცოცხლო შუქსა და ენერგიას.

კერძოდ, ქართველი ერი დასავლეთის კულტურისა და რელიგიის პიონერი იყო ლევანტში. ჩვენი ისტორიულ-კულტურული მისია დღეს ყველაზე ნათლად დგას ჩვენს წინაშე, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებლად გამოვიდა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. წარსულში ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეთ მუდამ ნათლად ჰქონდათ შეგნებული, რომ საქართველოს პოლიტიკურ სიმაგრეს კულტურული უპირატესობა უნდა ჰქონოდა სარჩულად და საფუძვლად. ჩვენც გვჯერა, ამ შეგნებითა და რწმენით შეუდგება ჩვენი ახალგაზრდობა განახლებული საქართველოს შენებას. ამ ნათელ გზაზე შემდგარი ახალგაზრდობისათვის არის დაწერილი ეს მცირე სტრიქონები, ბატონო მინისტრო. მარად თქვენი აღმატებულების ერთგული, ფილოსოფიის დოქტორი, კონსტანტინე გამსახურდია"[32].

ხელისუფლება ცდილობდა საშუალო სკოლა საერთო-სახალხო, ყველასათვის მისაწვდომ სიმდიდრედ ექცია.

1919 წლის 5 აგვისტოს ცირკულარში საშუალო სკოლების დირექტორებისათვის ვკითხულობთ:

„თანამედროვე სახალხო განათლების სისტემის მთავარი ნაკლი არის ის, რომ მას წოდებრივი ხასიათი აქვს. არსებობს ორი ტიპი სკოლისა: საშუალო, ერის უმდიდრესი წრისათვის და დაწყებითი, ერის უღარიბესი ნაწილისათვის.

სახალხო განათლების ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ რუსეთიდან და რომელიც მრავალჯერ დაგმობილია პედაგოგიური თვალსაზრისით, არის მხოლოდ განხორციელება საზოგადოებრივი პრინციპისა სასკოლო საქმეში, მისი მიზანია გადაეღობოს წინ ერის

დემოკრატიული ნაწილის მისწრაფებას მაღალი ხარისხის განათლებისადმი.

ეჭვს გარეშეა, რომ ძველს, უთანასწორობაზედ აგებულს წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სახალხო განათლების სისტემაც უნდა ძირითადად შეიცვალოს. ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლება, რომელსაც არავითარი პედაგოგიური საბუთი არ მოეპოვება და რომელიც ხელს უშლის დაწყებითი სკოლების მოწაფეებს განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანებული იქნას სოციალურად.

ამისთვის, თანახმად 1919 წლის 22 ივლისის მთავრობის დადგენილებისა, გაცნობებთ:

1. 1919-20 სასწავლო წელს ყველა საზოგადო განათლების საშუალო სკოლის პირველი სამი კლასის კურსი გათანასწორებული უნდა იქმნეს უმაღლეს დაწყებითი სკოლის პირველი სამი კლასის პროგრამასთან.

2. 1920-21 სასწავლო წელს საზოგადო განთლების საშუალო სკოლის IV კლასის კურსიც უნდა გაუთანასწორდეს უმაღლეს დაწყებითი სკოლის IV კლასის პროგრამას.

3. უმაღლეს დაწყებითი სკოლის პროგრამის შეფარდება თითოეულ საშუალო სკოლის მოწაფეთა ცოდნასთან და სათანადო პედაგოგიური ზომების მიღება ამ პროგრამის შესასრულებლად, თანახმად არსებული სასკოლო წესდებისა, ევალება პედაგოგიურ საბჭოს.

მთავარგამგე ს. დანელია[33]

სკოლებს შორის გამოირჩეოდნენ თბილისის რიგი სკოლები, ასევე - ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ახალციხის, გორის, თელავის და სხვა ქალაქების გიმნაზიები და სხვა საშუალო სასწავლებლები, სადაც უამრავი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა და სადაც ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწენი მასწავლებლობდნენ. ყვე-

ლა ამ სკოლის დახასიათება, რა თქმა უნდა შეუძლებელია, შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს:

ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზია 1918-21 წლებში

ეს იყო ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია, რომელიც 1880 წლის 3 თებერვალს გაიხსნა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით. სკოლის გახსნას ხელმძღვანელობდა ქუთაისში მცხოვრები ამ საზოგადოების 7 წევრი: ანა ბესარიონის ას.. ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა, ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძისა, ალაქსანდრე ივანეს ძე ფიფინაშვილი, სიმონ ბესარიონის ძე ღოღობერიძე, ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი, კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე[34].

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ:

1. ალექსი ჭიჭინაძე - 1880-1886 წ.წ.
2. სპირიდონ ჯორჯიკია - 1886-1888 წ.წ.
3. ვასილ ყიფიანი - 1888-1895 წ.წ.
4. სიმონ ღოღობერიძე - 1895-1897 წ.წ.
5. ალექსანდრე გარსევანიშვილი - 1897-1901 წ.წ.
6. იოსებ ივანეს ძე ოცხელი - 1901-1919 წ.წ.
7. სილოვან თომას ძე ხუნდაძე - 1919-1920 წ.წ.
8. გერასიმე ცაგარეიშვილი - 1920-1921 წ.წ.

სკოლა მდებარეობდა ანტონ ლორთქიფანიძის სახლში, 1898 წელს კი გადატანილ იქნა საფიჩხიაზე, ივანე ჯაიანის სახლში.

ეს იყო ისტორიულად პირველი ქართული სასწავლებელი XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში[35].

სასწავლებელმა, მისმა შესანიშნავმა პედაგოგიურმა კოლექტივმა უდიდესი ეროვნული საქმე იტვირთეს: ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა, ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლების მაღალ დონე-

ზე დაყენება, ეროვნული იდეოლოგიის დანერგვა სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. სკოლა აგრძელებდა იმ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც სამოციანელებმა დაიწყეს და რომლის პრაქტიკული განხორციელებაც 1918 წლის 26 მაისის აქტით მოხდა.

დამოუკიდებლობის წლებში სასწავლებელი არა თუ აგრძელებდა ამ ტრადიციებს, არამედ ავითარებდა მას, ყოველმხრივ ცდილობდა დახმარებოდა მთავრობას განათლების რეფორმის განხორციელებაში. ამას იგი ახერხებდა შესანიშნავი კოლექტივისა და სასწავლებლის სახელგანთქმულ ხელმძღვანელთა საშუალებით.

1918-21 წლებში ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიამ სამი დირექტორი გამოიცვალა: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე და გერასიმე ცაგარეიშვილი. ეს უკანასკნელი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა დამოუკიდებლობის წლებში ხუნდაძის გადადგომის შემდეგ.

ამ სასწავლებელში ასწავლიდნენ: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, სიმონ ოცხელი, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე გერსამია, ნიკოლოზ შარაბიძე, ლონგინოზ ჩიმაკაძე, ანდრო შუბლაძე, კარპე აბაშიძე, ივანე გედენიძე, ანტონ აბესაძე, ვასილ წერეთელი, სამსონ შარაძე, დიმიტრი უზნაძე, ტრ. ჯაფარიძე, ვუკოლ ბერიძე, აკაკი ფაღავა, ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, ბესარიონ ნიჟარაძე, ნიკოლოზ სვანიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, ალექსანდრე წერეთელი, ჯაჯუ ჯორჯიკია, დიმიტრი თომაშვილი და სხვ.[36]

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს შორის იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ დონდუა, კონსტანტინე ერისთავი, გიორგი ახვლედიანი გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ირაკლი მიქელაძე, დავით ლორთქიფანიძე, ბესარიონ ულენტი, დიმიტრი მჭედლიძე, პეტრე ქავთარაძე, გიორგი მდივანი, პლატონ შუშანია, ტროფიმე ხუნდაძე, დავით რონდელი, კიტა აბაშიძე, ლევან ასათიანი, შალვა გოგია-

შვილი (კარმელი), სერგო კლდიაშვილი, აკაკი ვასაძე, სამსონ ქვარიანი, სერგო რობაქიძე, სიმონ გაჩეჩილაძე, დავით გაჩეჩილაძე, შალვა რატიანი და სხვ.

1919 წლის 28 მარტს სილოვან ხუნდაძე ქუთაისიდან განათლების მინისტრს უდეპეშებდა, რომ 27 მარტს, საღამოს 5 საათზე პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა II გიმნაზიის დირექტორი - იოსებ ოცხელი[37].

იოსებ ოცხელი ამ დროს 54 წლისა იყო.

მისი ნეშტი 1 აპრილს დაკრძალეს ჩვეულებრივ სასაფლაოზე, საიდანაც შემდეგში მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაიტანეს.

გვირგვინები, განსვენებულის ანდერძის მიხედვით, არავის მიუტანია, გვირგვინებისათვის განკუთვნილი ფული დამკრძალავი კომისიის თავჯდომარეს - გერასიმე ცაგარეიშვილს გადაეცა, რომელმაც ეს თანხა ოცხელის სტიპენდიის ფონდში ჩარიცხა[38].

ოცხელის ადგილზე, 1919 წლის 9 აპრილს პედაგოგიური კოლექტივის მიერ სილოვან ხუნდაძე იქნა არჩეული. პედსაბჭოს სხდომაზე 3 წევრის გარდა ყველამ მისცა ხმა მის კანდიდატურას. საბჭოს გადაწყვეტილებაში ეწერა, რომ „იგი იყო საუკეთესო პედაგოგი, ამავე გიმნაზიასთან მთელი თავისი წარსული მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობით დაკავშირებული, ნდობითა და პატივისცემით აღჭურვილი მასწავლებელი მოწაფეთა და საზოგადების მიერ".

პედაგოგიური საბჭო იმედოვნებდა, რომ იგი უნარიანად გაუძღვებოდა ხსენებული გიმნაზიის საქმეებს[39].

სილოვან ხუნდაძეს დიდხანს არ დასცალდა ამ თანამდებობაზე ყოფნა. იგი დაავადმყოფდა და ველარ შესძლო სამსახურის გაგრძელება. საოცრად უჭირდა 6 შვილის მამას, მაგრამ იძულებული იყო მაინც გაენებებინა თავი სამსახურისათვის.

1920 წლის 8 ივნისს იგი თხოვნით მიმართავდა სახალხო განათლების მინისტრს: „1920-21 სასწავლო წლიდან, ავადმყოფობის გამო, იძულებული ვარ სამსახურს

თავი დავანებო. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით - მოახდინოთ განკარგულება, რათა მომავალი სექტემბრიდან სრულიად თავისუფალი ვიქნე დღევანდელი ჩემი თანამდებობისაგან"[40].

თხოვნაში იგი განმარტავდა თავის ოჯახურ მდგომარეობას, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: პენსიის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო, ერთად-ერთი იმედი იყო ე. წ. „სასურსათო მაგიდა", ანუ მთავრობის მიერ პედაგოგთათვის გამოყოფილი პროდუქტების მიღება, რაც გარკვეულ შეღავათს აძლევდა მათ. ეს ყველაფერი კარგად ჩანს სილოვან ხუნდაძის განცხადებაში: „ოზურგეთის მაზრაში, სოფელში პატარა მინის ნაჭერი და იმერული ოდა მაქვს, - წერდა იგი მინისტრს, - მაგრამ მათით არ ვსარგებლობ, რადგან იქ ცხოვრობენ მეტად მოხუცებულნი და ფიზიკურად დაავადებულნი ჩემი ძმა და რძალი, რომლებსაც იქით ვუჩენ ნივთიერ დახმარებას, ქუთაისში მაქვს ხუთი თვალი სახლი, სადაც ვცხოვრობ ახლა, მაგრამ იმდენი გადასახადი და ხარჯი მოსდევს მას, რომ თითქმის დაქირავებულად ჩაითვლება. ნორმალურ პირობებში შესაძლებელი იყო ჩემი სახელმძღვანელო წიგნები შემოსავლის წყაროდ გამხდომოდა, მაგრამ დღეს, ქაღალდის უქონლობისა და საზოგადოთ გამომცემლობის უკიდურესათ დუხჭირი მდგომარეობის გამო, ეს წყაროც მეტად უიმედოდ შეიქმნა.

რაც შეეხება ოჯახის საჭიროებას, იგი შემდეგი გარემოებით განისაზღვრება: სამ შვილს ჯერ სწავლა არ დაუმთავრებია და ძნელი იქნება უმაღლესში არ ვასწავლო, რადგან ნიჭიერები არიან, მე და ჩემი ცოლი ხნიერები ვართ და ვუძლებთ..." (მისი ცოლი იყო პარასკევა მიქელაძის ასული, დაქორწინდნენ 1886 წლის 1 ივნისს, შვილები: გიორგი, ლეონი, ელენე, ფატმანი და ტყუპი დები - თამარი და მარიამი).

ხუნდაძე თხოვდა სამინისტროს: „მომავალი სექტემბრიდან სამსახურიდან გამათავისუფლეთ და დღიდან განთავისუფლებისა, ერთი წლის განმავლობაში იმდენი საშუალება მიბოძეთ, რამდენიც დღევანდელ პირობებში ოჯახის ზომიერი ხარჯების გასაძღოლადაა აუცილებელი. ამ პირველ წელს ნუ ჩამაგდებთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ხოლო წლის განმავლობაში ვეცდები რაიმე წყარო გავიჩინო და პატივცემული სამინისტრო კვლავ აღარ შევაწუხო"[41].

სილოვან ხუნდაძე დახმარებას ითხოვდა ასევე ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარს, წერდა - სასურსათო მაგიდით სარგებლობის უფლება გამიგრძელეთო[42].

მის დასახმარებლად 1920 წლის 8 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ქუთაისის გიმნაზიაში გაიხსნა კრედიტი - 3000 მანეთი[43].

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებობდა ფონდი - „დახმარება საზოგადო მოღვაწეთ", საიდანაც, 1920 წლის ოქტომბერში, ერთდროული დახმარების სახით მას გადასცეს 4 ათასი მანეთი[44].

1920 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით კი განათლების სამინისტრო ქუთაისის ხაზინაში მას უხსნიდა კრედიტს - 12 ათასი მანეთის რაოდენობით[45].

სკოლის დროებით გამგედ დაინიშნა მისი მოადგილე გერასიმე ცაგარეიშვილი[46].

იგი ამ თანამდებობაზე დარჩა გიმნაზიის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთებამდე[47]. მან გააგრძელა გიმნაზიის დიდი ტრადიციეები, თუმცა არსებული ეკონომიკური პირობები ხშირად უშლიდა ხელს, განსაკუთრებით ჭირდა სკოლის შენობის გათბობა, რასაც ისეთი მასშტაბური ხასიათი მიუღია 1920 წლის ზამთარში, რომ შეწყვეტილა სწავლა, სამინისტრო იძულებული გამხდარა მიეღო განსაკუთრებული ზომები და დროებით მოეგვარებინა საკითხი[48].

ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიამ სამჯერ შეიცვალა ბინა, მესამედ იგი ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე გადავიდა ჯაი-

ანის სახლიდან, გიორგი ზდანოვიჩის ყოფილი მამულის გვერდით, თავადაზნაურთა ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შემდეგ ეს მამულიც სახელმწიფოს ხელში გადავიდა[49].

გიმნაზიის დირექციამ მოითხოვა ზდანოვიჩის მამულისა და სახლის გადაცემა. ქალაქის გამგეობა დაეთანხმა იმ პირობით, თუ სასწავლებელი წარადგენდა პედსაბჭოს დასაბუთებულ მოთხოვნას[50]. ამ დროს დირექტორი ჯერ კიდევ სილოვან ხუნდაძე იყო.

1919 წლის 5 იანვარს სილოვან ხუნდაძე მიმართავდა სამინისტროს: „განსვენებულის გიორგი ზდანოვიჩის მამული ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, რომელიც ქ. შ. წ. კ. ვ. საზოგადოებას ჰქონდა ნაანდერძევი, სრულიად მოულოდნელად გაიყიდა და არა სასურველ კერძო პირის ხელში გადავიდა. ამ გარემოებამ ადგილობრივ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმიტომ, რომ აღნიშნულ ადგილთან ბევრნაირად არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესი. ზნეობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ამ მამულთან დაკავშირებულია სახელმწიფოებრივი ინტერესიც, ვინაიდან იგი ფასადის მხრით ეკვრის სახელმწიფოს კუთვნილ მამულს, ვაჟთა II გიმნაზიის ეზოს, რომელშიც ისეა შეჭრილი, რომ ამით გიმნაზიის ეზო-მიდამოს ფასი და ღირსება ნახევრად ერთმევა. ამ გარემოებამ გამოიწვია ამ საქმეში გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს ჩარევა: პედაგოგიურმა საბჭომ ამ საკითხის გამო განსაკუთრებულ სხდომაზე მსჯელობა იქონია და ერთხმად დაადგინა: იშუამდგომლოს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მან გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განმარტებული მნიშვნელობა დასახელებული მამულისა და იზრუნოს იმისათვის, რომ ეს მამული საზოგადოებას დაუბრუნდეს გიმნაზიის მამულთან შესაერთებლად. პედაგოგიური საბჭო აზრს გამოთქვამს, რომ II გიმნაზიის დღევანდელი მდგომარეობის გამორკვევა მინდობილი აქვს ამავე საბჭოს წევრს ბატონ ვარლამ იმნაძეს.

გიმნაზიის დირექტორი - სილოვან ხუნდაძე;
საქმის მწარმოებელი - ანტონ ლორთქიფანიძე[51].

სასწავლებელს მართლაც გადაეცა ზდანოვიჩის მამული და სახლი.

ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზია, როგორც მემკვიდრე ქართული გიმნაზიისა, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი იყო.

ქუთაისის სასწავლებლებს შორის გამოირჩეოდა წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელი.

სასწავლებელში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობდნენ, მასწავლებელთა შემადგენლობაც მრავალეროვნული იყო.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, სკოლების გაეროვნებასთან დაკავშირებით, ამ სასწავლებლიდანაც გაიგზავნა სამინისტროში იმ მასწავლებელთა სია რომელთაც არ შეეძლოთ ქართულად მუშაობა[52].

სასწავლებელი 1918 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით გადაკეთდა „წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიად"[53].

კანონით, მასწავლებელთა შვილები გათავისუფლებული იყვნენ სწავლის გადასახადისაგან, მაგრამ ვინაიდან გიმნაზიების შენახვას არ კისრულობდა ხაზინა, წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელთა შვილები არ გაათავისუფლეს გადასახადისაგან[54]. ყველაფერმა ამანრთული მდგომარეობა შექმნა, დაიწყეს ასეთი მოწაფეების დათხოვნა სკოლიდან, რამაც მასწავლებელთა პროტესტი გამოიწვია. საქმეში ჩაერია სამინისტრო. სპეციალური ბრძენებით სამინისტრომ შეაჩერა ეს პრტესტი, მოწაფეების დათხოვნა შეჩერდა, საბოლოოდ კი ისინი გაათავისუფლეს გადასახადებისაგან, სკოლის სპეციალური ხარჯით თუ ხაზინის საშუალებით, უცნობია[55].

ხონის საოსტატო სემინარია დიდი ტრადიციების მქონე პედეგოგიური სასწავლებელი იყო. მასთან არსებობდა პირველდაწყებითი სკოლა, სადაც საოსტატო

სემინარიის მსმენელები ატარებდნენ სანიმუშო გაკვეთილებს, რომელსაც ესწრებოდნენ სემინარიის მასწავლებლები და დირექტორი. ხდებოდა გაკვეთილის საჯაროდ გარჩევა, რაშიდაც მასწავლებლებს ფულადი ანაზღაურება არ ეძლეოდათ[56].

სკოლები ზოგჯერ ტერორიზმის საგნად იქცეოდნენ, სწორედ ხონის საოსტატო სემინარიაში მოხდა ასეთი ფაქტი: ბოროტგანმზრახველებმა შენობის სარდაფში ნავთიანი ბოთლი შეაგდეს, რასაც დიდი აურზაური და სამინისტროს სპეციალური ღონისძიებანი მოჰყვა[57].

ბოროტმოქმედები შეიპყრეს სემინარიის დარაჯებმა, რისთვისაც მათ სამინისტრომ ჯილდოც კი მისცა.

ხონის საოსტატო სემინარიასთან არსებული სკოლის მასწავლებლებს განსაკუთრებით უჭირდათ, რაც ჩანს პედაგოგიური საბჭოსადმი წარდგენილ მათ განცხადებაში[58].

დოკუმენტში აღნიშნული იყო ამ სასწავლებლის განსაკუთრებული დანიშნულება, მომავალი პედაგოგების პრაქტიკული დაოსტატება, რაც გაცილებით მძიმე სამუშაო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სკოლების მასწავლებლების საქმე. ამიტომ, მათი აზრით, ისინი მატერიალურად უფრო მაღალი ანაზღაურებით უნდა გამოერჩიათ, „რათა სემინარიაში შრომის მეტად დაფასებამ გამოიწვიოს სემინარიის მასწავლებლად ასარჩევ კანდიდატურათა შორის მეტი კონკურსი და, ამრიგად, სემინარიის კორპორაციაში მოუყაროს თავი უფრო მომზადებულ და გამოცდილ პედაგოგიურ პერსონალს" - ეწერა მიმართვაში[59].

1919 წლის 28 იანვრის საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ახალი შტატები, მასწავლებლის ჯამაგირი წელიწადში - 4800 მანეთით განისაზღვრა, ეს იყო თვეში 400 მანეთი, მაშინ როდესაც სემინარიის დარაჯს ჰქონდა თვეში 350 მანეთი, ამასთანავე, უფასოდ ჰქონდა განათება და გათბობა. მასწავლებლები ჩიოდნენ და ითხოვდნენ სხვა ტიპის სკოლების მასწავ-

ლებლებთან მაინც გაეთანაბრებინათ სემინარიის მასწავლებლები[60].

სამინისტრომ გაითვალისწინა ეს თხოვნა და ნება დართო სასწავლებელს, თავისი სპეციალური ფონდიდან - 100-100 მანეთი დაემატებიათ პედაგოგებისათვის, სესხის სახით, 1920 წლის იანვრამდე, როდესაც გაირკვეოდა მათი ჯამაგირის საკითხი[61].

ამასთანავე, სამინისტროს საქმეთა სამმართველოს - დირექტორმა ვუკოლ ბერიძემ და საქმისმწარმოებელმა ნიკოლოზ აბესაძემ აღნიშნული საკითხი დასვეს ფინანსთა სამინისტროს წინაშე[62], რათა გამოეყოთ სამასწავლებლო სემინარიისათვის თანხა, რომელიც უნდა გადაეგზავნათ ქუთაისის ხაზინაში, ხაზინიდან ისინი მიიღებდნენ ფულს, რისთვისაც სასწავლებელს სახელის გადარქმევაც უწევდა, - მას ხონის ნაცვლად ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია დაერქვა[63].

ხონის საოსტატო სემინარიის 1919 წლის 9 აპრილის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ დაპირებული 100-100 მანეთი პედაგოგებს ვერ მისცეს, ვერც სტუდენტების სტიპენდიები გაუღიათ, ამიტომ, დამფუძნებელი კრების მიერ ახალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე სემინარია მთავრობიდან ითხოვდა სესხად - 75 000 მანეთს[64].

(ხონის საოსტატო სემინარიასთან ბინა დაიდო ასევე ქალთა გიმნაზიამ, მხოლოდ დროებით, 1919-1920 სასწავლო წელს, შემდეგ კი გიმნაზიას ბინა სხვაგან უნდა ეშოვა[65]).

შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ მასწავლებლები აიძულა გაფიცულიყვნენ. სასწავლებლის დირექტორმა - ხარაბაძემ ეს გადაწყვეტილება აცნობა სამინისტროს, 23 მაისს კი დაიწყო გაფიცვა[66].

გაფიცულები ითხოვდნენ 1918 წლის 1 ენკენისთვიდან 1919 წლის 1 იანვრამდე აუღებელ ჯამაგირებს, აღნიშნავდნენ, რომ ეს ნაბიჯი უკიდურეს მდგომარეობის გამო გადადგეს, გულისტკივილს გამოხატავდნენ გაფიცვის დაწყებისათის, რომელსაც უვადოდ მიმართა-

ვდნენ, ჯამაგირების აღებამდე. დირექტორი სპეციალურად არ დაასწრეს კრებას, მას თავმჯდომარეობდა მასწავლებელი ვლ. მაჭარაძე, მასწავლებლებმა - ქ. ცაგარეიშვილმა, ვ. ლექვინაძემ, ს. ქუთათელაძემ, ა. ჰაუდეკმა, სულ 10-მა მოაწერეს ხელი საგაფიცვო ტექსტს - თავმჯდომარესა და მდივანთან ერთად[67].

28 მაისს გაფიცვა შეწყდა, რადგან სამინისტრომ იქ მიავლინა სპეციალური წარმომადგენელი - ბახტაძე[68].

1920 წლისათვის საქართველოს რაიონებსა და სოფლებში სკოლების მდგომარეობას, მათ პრობლემებს კარგად ასახავს მასწავლებელთა ყრილობის მასალები, რომელიც 1920 წლის იანვარში შეიკრიბა ქ. თბილისში. შემოკლებით მოვიტანთ მასწავლებელთა ყრილობაზე გამოსულ პედაგოგთა სიტყვებს:

ჩიქოვანი (ბათუმი): ბათუმში ორი პირველდაწყებითი და ერთი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაა. ქალაქში არაა მასწავლებლთა კავშირი. ოსმალების შემოსევისას სკოლები განადგურდნენ, უმწეო მდგოარეობაშია ბათუმის ქართული გიმნაზია, რადგანაც მას ვერც მთავრობა ეხმარება და ვერც ადგილობრივი მმართველობა. ამჟამად ბევრი სწავლის მსურველია მაგრამ მათი დაკმაყოფილება ძალიან ძნელია, რადგან სკოლების უმეტესობას არა აქვს საკუთარი შენობა, ანდა უვარგის ბინებში არიან ისინი განლაგებულნი, აკლიათ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, რომელთა შეძენა, სიძვირის გამო შეუძლებელია. გიმნაზიაში ქრისტიან ქართველებთან ერთად, მაჰმადიანი ქართველებიც სწავლობენ. საჭიროა საქართველოს მთავრობამ და განათლების სამინისტრომ მეტი დახმარება გაუწიოს აჭარის განათლების სისტემას.

ქობულია (ზუგდიდი): მაზრაში არის 100 დაწყებითი სკოლა, 1919 წელს სკოლები გაერთიანდნენ სამაზრო კავშირში, რომელიც ერობასთან ერთად მუშაობს.

მჟავანაძე (ფოთი): აქ არის 8 დაწყებითი და 7 უმაღლესი აგრონომიული სკოლა. არსებობს ფილიალი, რო-

მელშიც შედიან ყველა ტიპის მასწავლებლები; ქალაქს არ ჰყავს განსაკუთრებული ინსტრუქტორი. ფოთის მასწავლებელთა კავშირმა დააარსა პედაგოგიური კურსები.

სამსონაძე (ფოთის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი) - შეეხო ფოთის, ხონის და ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლების ცუდ მდგომარეობას.

ნ. ძიძიგური (რკინიგზის სკოლა): აღნიშნა, რომ რკინიგზის სკოლები გაცილებით კარგ მდგომარეობაში იყვნენ, დაცული იყო მათი უფლებრივი და ეკონომიკური ინტერესები, მთელ რკინიგზის ხაზზე 200-მდე სკოლა იყო, თითო მასწავლებელზე მოდიოდა 40 მოწაფე, ჯამაგირებს დროზე იღებდნენ, ეძლეოდათ გირვანქა პურისათვის 3 მანეთი.

ღუდუშაური (თელავის მაზრა): მაზრაში არის 41 დაწყებითი სასწავლებელი, როგორც საქალაქო, ასევე სამაზრო მასწავლებლები 112 კავშირში შედიან. სამაზრო ერობასთან დაარსებულია სასკოლო საბჭო, რომელიც განაგებს სკოლის საქმეებს. საბჭომ მოაწყო ხატვა-ძერწვის კურსები. ერობა მასწავლებლებს აძლევს 2 ფუთ პურს და 1 ფუთ სიმინდს თვეში უფასოდ.

პატარაშვილი (გორის მაზრა): გორში ახალი 47 სკოლა გაიხსნა, სკოლის მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან ჯამაგირით, რაც განათლების განყოფილების გამგის დამსახურებაა.

კობიაშვილი (დუშეთის მაზრა): დუშეთში არის 35 სკოლა, მაგრამ ქაღალდზე, მასწავლებლებს ვერ ნახავთ ადგილზე, ბოლშევიკებმა გაანადგურეს სკოლების ინვენტარი, ერობა ცდილობს მათ აღდგენას.

ყაზბეგი (სიღნაღის მაზრა): სიღნაღის მაზრაში 100 დაწყებითი სკოლაა, ისინი მოუწყობელია, ბინები უვარგისია, ერობა თავის დროზე არ იძლევა ჯამაგირებს.

ია კარგარეთელი (თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელი): ისაუბრა სასულიერო განათლებისა და გალობის სწავლების აუცილებლობაზე. დახმარება ითხოვა ამ საკითხზე. ყრილობამ გამოყო კო-

მისია და მას შესაფერისი რეზოლუციის გამოტანა დაავალა - სკოლებში მუსიკის სწავლების გაუმჯობესებაზე.

ვ. ბურჯანაძე (ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრა): ბორჩალოს მაზრაში არის 12 ქართული სოფელი, სადაც ქართული სკოლების გახსნა შეიძლება, მაგრამ ვერ უშოვიათ მასწავლებლები, თუმცა პროდუქტებისათვის იქ მუშაობა უკეთესია.

ქადაგიძე: - ილაპარაკა თუშეთ-ფშავ-ხევსურეთზე. იქ სამიოდე სკოლაა, არც რაიმე კულტურული დაწესებულებაა და ხალხი, გეგონება, უძველეს დროს რომ შეიხიზნა ამ მხარეს მის დასაცავად, დღემდე დარჩა და არც პატრონი ჰყავს, რომ მის საჭიროებას ანგარიში გაუწიოს...

ნ. ნაკაშიძე („ნაკადულის" დირექტორი): კითხულობს ვრცელ მოხსენებას საბავშვო გამომცემლობაზე, რომელიც ყრილობამ გაიზიარა და მხურვალე ტაშითაც დააჯილდოვა.

გ. ჭუმბურიძე (დაბალ სკოლათა მთავარგამგე): ეხება აფხაზეთ-სამურზაყანოსა და მესხეთ-ჯავახეთის მაზრებს, რომელთა წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ ყრილობაზე. აფხაზეთ-სამურზაყანოში, - ამბობს იგი, - 135 დაწყებითი სკოლაა, ახალციხეში - 5, ახალციხის მაზრაში 6, ეხლა გაიხსნა - 2. სკოლები არის ქართული, თათრული და სომხური. უფრო ნაკლებია სკოლების რიცხვი ახალქალაქში. ილაპარაკა ერობებსა და სკოლების ურთიერთობაზე. დადებითად შეაფასა ერობათა მუშაობა ამ მხრივ და ნაკლოვანებანი მიაწერა მძიმე ეკონომიკურ ვითარებას ქვეყანაში. საერთოდ, დადებითად ჩათვალა, წინა წლებთან შედარებით, 1919-1920 სასწავლო წლის მიღწევები[69].

სახალხო განათლების სამინისტროს არ ემორჩილებოდა ზოგიერთი სასწავლებელი. ეს მოდელი გადმოღებული იყო ძველი რუსეთის სამინისტროსაგან, სადაც სკოლები ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა უწყებას: სა-

ფინანსო, სავაჭრო და სამრეწველო, შინაგან საქმეთა, სამინათმოქმედო და სხვა სამინისტროებს.

ამგვარივე მდგომარეობაში დარჩა მრავალი სასწავლებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კომერციული სასწავლებლები და სავაჭრო სკოლები იმყოფებოდა ვაჭრობისა და სამრეწველო სამინისტროებში, მაჰმადიანური სკოლები ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიწისმზომელთა სასწავლებელი იუსტიციის სამინისტროს და ა. შ. ეს რა თქმა უნდა, არ იყო სწორი, რაზედაც მიუთითებდა კიდეც განათლების სამინისტროს მიერ 1918 წლის 3 ივლისის წარმოდგენილი კანონპროექტი განათლების სამინისტროსადმი მთელი სასწავლო დაწესებულებების დაქვემდებარების შეახებ[70]. მხოლოდ სამეურნეო სასწავლებლები არ უნდა დაქვემდებარებოდა ამ სამინისტროს[71].

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა: **კომერციული სასწავლებლები:**

1. თბილისის I კომერციული სასწავლებელი;
2. თბილისის II კომერციული სასწავლებელი;
3. თბილისის პეტრაშევსკის სასწავლებელი;
4. ქუთაისის კომერციული სასწავლებლი.

სავაჭრო სკოლები:

5. თბილისის მანთაშევის სავაჭრო სკოლა;
6. თბილისის ტერ-სტეპანოვის სავაჭრო სასწავლებელი;

საბუღალტრო კურსები:

7. ნ. ვ. აბრამიანის თბილისის საბუღალტრო კურსები;
8. ტერ-სტეპანოვის სახელობის საბუღალტრო კურსები;
9. I კომერციული სასწავლებელთან არსებული კურსები;

10. თბილისის ფილოიანის კომერციული ცოდნის მისაღები კურსები[72].

სასულიერო სკოლები ირიცხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში[73].

იყო სკოლის განსაკუთრებული ტიპიც. ასეთი იყო კერძო სამკურნალო სკოლები, სადაც სწავლება სპეციალური პროგრამით მიმდინარეობდა და სადაც ფიზიკურად სუსტი ან ავადმყოფი ბავშვები სწავლობდნენ. წალვერში, ტყეში, იმყოფებოდა არჯევანიძის კერძო სკოლა, სადაც სწავლა იყო მთელი ზაფხული, შესვენება კი შემოდგომაზე. აქედან მოწაფეები უბრუნდებოდნენ მშობლიურ სკოლებს გაჯანმრთელებულნი, ანდა რჩებოდნენ სკოლის მუშაობის საზამთრო სეზონზეც. 1918 წლის „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობით, არჯევანიძის სკოლაში, მეცადინეობა 7 სექტემბერს დამთავრებულა. აქ 28 ბავშვს უსწავლია, საიდანაც 17 ქალი და 11 ვაჟი ყოფილა. სკოლაში 8 ქართველი სწავლობდა, 8 რუსი, 9 სომეხი, ერთი ოსი, ერთი პოლონელი და ერთი იტალიელი ეროვნების მოწაფე. ბავშვები ერთობოდნენ ძერწვით, გიმნასტიკით, პლასტიკური ცეკვებით, გალობით და ქსოვით, უვლიდნენ ცხოველებს და ფრინველებს. არჯევანიძეს სკოლის ხელმძღვანელობაში ეხმარებოდნენ დები შარაშიძეები, მარო გეწაძე და ნ. პერვილევისა. გაზეთის ცნობით, „ბავშვები შესამჩნევად მოკეთდნენ"[74].

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია საქმე განათლების სამინისტროს კანცელარიაში, დაბალსასწავლებელთა განყოფილებაში შედგენილი, და შეიცავს საანკეტო მონაცემებს საქართველოს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების შესახებ - 1918-1919 წლებში. მასში მოცემულია სკოლების დაარსების, იქ მოღვაწე მასწავლებლების, მათი ხელფასების, განათლების და სხვა საინტერესო მონაცემები. ჩვენ მოვიტანთ სასწავლებლების სიას და მათი დაარსების თარიღებს. მოცულობის გამო ყველა ცნობის მოტანა და სათანადო ცხრილების წარმოდგენა არ ხერხდება.

სასწავლებლის დასახელება	დაარსების წელი	მასწავლებლების რაოდენობა	სწავლის ფული (მანეთებში)	სასწავლებლის გამგე
1. თერჯოლის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[75]	1917	7	I.ნახევარი - 25 II - 50	გ. გველესიანი
2. ქუთაისის I უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[76]	1882 წლის 1 ივლისს	13	35-50	ტყებუჩავა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე
3. ზესტაფონის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[77]	1902 წ.	5	60	პავლე გრიგოლის ძე მეტრეველი
4. აბაშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[78]	1916 წ.	12	120 მან. კვათარის საზოგადოებისათვის, 140 გარეშეთათვის	არჩილ სტეფანეს ძე სულაძე
5. მეორე აბაშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[79]	1918 წ.	3	100	ნიკოლოზ ირაკლის ძე თოფურიძე
6. სუჯუმის უმაღლესი დაწ. სასწავლებელი[80]	1917 წ.	7	200	ეროდიონ ფარნაოზის ძე თოფურიძე
7. მარტვილის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[81]	1902 წ.	10	60	მიხეილ პეტრეს ძე ლაბარტყავა
8. ახალსენაკის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[82]	14 სექტ. 1916 წ.	9	300	მიხეილ პავლეს ძე თათარიშვილი
9. ფოთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[83]	1918 წ.	8		ვარდენ მაქსიმეს ძე ჩხაიძე
10. ცაგერის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[84]	1911 წ.	10	20	ივანე ივანეს ძე ნიჟარაძე

11. ქრებალოს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[85]	1917 წ.	4	120	ლონგინოზ ილარიონის ძე კიკვიძე სტუდენტი
12. საჩხერის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[86]	1913 წ.	5	აღნიწნული არაა	სოსო გიორგის ძე კიკაჩეიშვილი. დაარსებული იქნა როგორც პარალელური კლასები ქიათურის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლისა. 1918 წლის 23 სექტემბერს გადაკეთდა დამოუკიდებელ სასწავლებლად გადაკეთდა
13. კულაშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[87]	1909 წ.	13	250	ვ. ა. მამაგეიშვილი
14. დიდი ჯიხაიშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[88]	1915 წ.	10	130	ათანასე ზურაბის ძე ლეფავა
15. ღანირის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[89]	1917 წ.	9	75	დომენტი ჩხაიძე
16. გორის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[90]	1830 წ.	5	100	გიორგი ბეროზაშვილი
17. ტობანიერის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[91]	1916 წ.	8	200	პროკლე ვასილის ძე ტაბიძე
18. თელავის სამოქალაქო სასწავლებელი[92]	1914 წ.	8	200	დიმიტრი გაბრიელის ძე ცისკარაშვილი
19. ხონის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[93]	1899 წ.	9	40	ვალერიან მერაბის ძე მებუკე
20. შემოქმედის ორადი შერეული უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[94]	1916 წ.	12	600 მან. გადაუბდ. საზოგადოებას, დანარჩენი სპეც-თანხიდან	იოსებ ივანეს ძე მელიქიშვილი

21. ნიგოითის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[95]	1917 წ.	7	200	იოსებ ნიკიფორეს ძე მებუკე
22. ნაგომრის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[96]	1917 წ.	4	I-25 II-85	ლუკა კეკელია
23. სუფსის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[97]	1916 წ.	7	40 ადგ. 60 მოს.	ევგენი ნიკოლოზის ძე ოდიშარია
24. ლანჩხუთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[98]	1902 წ.	9	I-20 II-40	ანანია ჯამლეთის ძე გოგოლაძე
25. აკეთის პირველდაწყებითი სასწავლებელი[99]	1917 წ.	5	120	თერაპონტ არჩილის ძე მანჯავიძე
26. ებალაურის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[100]	1917 წ.	4		კონსტანტინე რომანის ძე ქაჯაია
27. ამბლორაურის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[101]	1917 წ.	7		აბიბო ლუკას ძე კორიფაძე
28. სკისის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[102]	1917 წ.	7	100	ალექსანდრე ჭურაძე
29. ბაღდათის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[103]	1916 წ.	6	100-200	აღათონიკე ზურაბის ძე გეგეშიძე
30. ქუთაისის II უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[104]	1912	9	80	ემილიანე ივანეს ძე ცაგარეიშვილი
31 ახუთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[105]	1917	5	60	ბესარიონ ცაკვას ძე ნიფურია
32. მარნის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[106]	1918	2	100-ადგილ. 150-გარეშ.	გამგის მოვ. შემს. კონსტანტინე ბეუანის ძე თოფურიძე
33. სალხინოს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[107]	1917	4	70-ადგილ. 80-გარეშ.	მაქსიმე ივანეს ძე პაპავა

34. კინიის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[108]	1918	3	30	გედეონ ივანეს ძე ბუხუნი
35. ჩხორონყუს უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[109]	1917	6	74-ადგილ. 100-გარეშ.	ერასტი ასლანის ძე როდონაია
36. ძველი სენაკის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[110]	1916	6	60	ვარლამ სპირიდონეს ძე ქუთათელაძე
37. ნიკორწმინდის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[111]	1914	5	10 I ნახ. 50 II ნახ.	მინა სპირიდონის ძე მესხი
38. ზუგდიდის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[112]	1918	2	50	მიხეილ დიმიტრის ძე კორძახია
39. თამაკონის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[113]	1917	4	60	ივანე ნიკოლოზის ძე ფარცვანია
40. სამიქაოს უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[114]	1917	4	100-ადგილ. 150-გარეშ.	გრიგოლ ანდრიას ძე მიქაძე
41. ონტოფის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[115]	1917	4	100	ნესტორ რომანის ძე კოვზირიძე
42. ზანის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[116]	1917	4	50	ნესტორ სიმონის ძე შურღაია
43. ნყალტუბოს უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[117]	1917	7	100	ივანე იულონის ძე ოსიძე
44. ხობის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[118]	1917	11	20 I ნახ. 30 II ნახ.	ვარლამ მაქსიმეს ძე ქობალია
45 ხეთის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[119]	1916	7	100	მიხეილ პეტრეს ძე პაატარაია
46. ბორგის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[120]	1917	8	30	ესტატე ბესარიონის ძე შუშანია

47. ზუგდიდის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[121]	1893	11	100	პავლე დიმიტრის ძე ნადარია
48. ჭოლის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[122]	1917	7	100	სამსონ გრიგოლის ძე გახარია
49. ცაცხვის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[123]	1916	6	15-60	ნიკოლოზ საბას ძე ბუკია
50. ხარაგოულის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[124]	1916	7	200	ტრიფონ ერმანოზის ძე თაბუკაშვილი
51. ონის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[125]	1913	9	I კლ. 100 დანარჩ. 60	მალაქია ნესტორის ძე ჯაფარიძე.
52. ბახვის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[126]	1915	10		ექვთიმე ივანეს ძე თოდრაძე
53. ჩიბითის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[127]	1917	4	100	ალექსანდრე მიხეილის ძე ჭავჭანიძე
54. ლიხაურის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[128]	1917	6	180	ირაკლი ნიკოლოზის ძე ღლონტი
55. ხვარბეთის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[129]	1918	3		გიორგი სიმონის ძე ნიფიძე
56. ძიმითის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[130]	1917	3	40	გაბრიელ ჯამლეტის ძე გოგუაძე
57. ამაღლების უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[131]	1915	5	50	რაფიელ ფილიპეს ძე ლომინაძე
58. ვანის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[132]	1917	7	100	მიხეილ ივანეს ძე თავართქილაძე
59. ჯურუყვათის უმაღლესი დანყებითი სასნავლებელი[133]	1917	4		ალექსანდრეთადეოზის ძე შვანირაძე

60. ოზურგეთის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[134]	1872 გადაკეთდა უ.დ.ს.-1914	14	100	გიორგი სვიმონის ძე ჭყონია
61. აცანის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[135]	1917	4	I-30 II-100	კალისტრატე ამბაკოს ძე ღიბრაძე
62. ასკანის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[136]	1918	5	80	ვასილ სოლომონის ძე გულაძე
63 ხევის უმაღლესი პირველ დაწყებითი სასნავლებელი[137]	1917	8	160	ვასილ ლუკას ძე მამალაძე
64 საქარიას სერის პირველ დაწყებითი სასნავლებელი[138]		7		ლუკა სოფრომის ძე ხუნდაძე
65. სამების უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[139]	1917	4	50 მომდ.წ.-დან 100	სტეფანე ბესარიონის ძე ბურჭულაძე
66. ჩოხატაურის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[140]	1918	8	50 მომდ.წ.-დან 100	ავთანდილ ცინცაძე
67. ლაშეღვერკის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[141]	1917	4	120	სიმონ მიხეილის ძე მჭედლიძე
68 იანეთის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[142]	1917	3	60	ბარნაბა კიმოს ძე გელაზანია
69. სიღნაღის ორკომპლექსიანი უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[143]	1914	26	100	ყაზბეგი ნიკოლოზ დიმიტრის ძე
70. სიღნაღის სომეხთა უმაღლესი და პირველ-დაწყებითი სასნავლებელი[144]	1018 წ. 1 იანვარი	8	100 პირველ-დაწ. - 60	ალექსანდრე მზაცაკანის ძე აბრამიანი
71. ხიდისთავის უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[145]	1916	7	80	პოლიკარპე ილარიონის ძე კინწურაშვილი
72. საჩიჯაოს უმაღლესი დაწყებითი სასნავლებელი[146]	1917 წ. ნოემბერი	1 ამგე	100	აკაკი მიხეილის ძე ქვარიანი

73. ცხინვალის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[147]	1917 წ. 20 ნოემბერი	3	90	გიორგი ივანეს ძე ბასილაშვილი
74. ლაილაშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[148]	1918	5		კონსტანტინე ბურდღუს ძე ინჯია
75. ჭიათურის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[149]	1904	8	უფასო	თედორე ანტონის ძე ანთელიძე
76. ქუთაისის III უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[150]	1902	13	I-35 II-50	პავლე თედორეს ძე არაჩემია
77. ჭიათურის ქალთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[151]	1913	6	უფასო	რებეკა ისაიას ასული გამსახურდია
78. სამტრედიის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი[152]	1913	15	350	ა. ზოდელავა ერასტის ძე

2. სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები 1918-1921 წლებში

1918-1919 სასწავლო წელს დაწყებული განათლების რეფორმა ითვალისწინებდა სკოლების რეოგრანიზაციას, რაც უწინარესად ახალ სასკოლო პროგრამებს ეყრდნობოდა.

„გაეროვნების" შემდეგ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. ეს იყო, უპირველესად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, რაც ყველა ტიპის სკოლისათვის (ქართული,

რუსული, სომხური, გერმანული, ოსური და სხვ.) იყო აუ-ცილებელი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ტე-რიტორიაზე ფუნქციონირებდა.

საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, პროგრამები და სასკოლო საგნები ხშირად იცვლებოდა, მითუმეტეს, სკოლებს ერთგვარი ავტონომია გააჩნდათ ამ საკითხში.

დაიწყო სასწავლო წრეების ჩამოყალიბება სხვადა-სხვა საგნებში, რაც ხელს უწყობდა სასწავლო პროგრა-მების უკეთ ათვისებას და განმტკიცებას.

1919 წლის 20 ოქტომბერს საშუალო სკოლათა გამ-გეებს დაეგზავნათ განათლების სამინისტროს სპეცია-ლური ცირკულარი საგნობრივი წრეების ჩამოყალიბების შესახებ. ეს ჩაითვალა მოწაფეებში საზოგადოებრივ-ორ-განიზატორული მუშაობის ჩვევების გამომუშავების სა-შუალებად, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნისთვის ამ მეტად უმნიშვნელოვანეს პერიოდში[1].

სასკოლო პროგრამებიდან ამოღებული იქნა ბევრი ძველი საგანი, მაგ.: საღვთო სჯულის, ფსიქოლოგიის და სხვა საგნების სწავლება, მაგრამ, ზოგიერთი სკოლა, სა-მინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც ასწა-ვლიდა მათ. სამინისტრომ ჯერ ნება დართო საკუთარი ხარჯებით ესწავლებინათ ისინი, შემდეგ კი სასტიკად აუკრძალა. კერძოდ სკოლებში წარმოებული ღვთისმსა-ხურებისა და ლოცვებისათვის, რაც თან ახლდა საღვთო სჯულის სწავლებას, მან პროტესტი გამოუცხადა ასეთ სკოლებს[2].

სანიმუშოდ მოვიტანთ ამ დროისთვის არსებულ პროგრამებს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ისტორიის სწავლების პროგრამა

საქართველოს ისტორიის შესწავლა იწყებოდა I კლასიდანვე. I კლასში შეისწავლებოდა ზოგადი ცნებები პირველყოფილ კულტურაზე, ხოლო II კლასში - საქართ-ველოს ისტორია არაბთა შემოსევამდე და მსოფლიო ის-

ტორია რომის იმპერატორების ხანამდე, ე. ი. ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი და რომი.

III კლასში - ახალი პროგრამით მოსწავლეები იწყებდნენ რომის ისტორიას იმპერატორების ხანიდან და გადიოდნენ შუა საუკუნეების ისტორიას ჰუმანიზმამდე, მაგრამ, ვინაიდან 1918-1919 სასწავლო წელს III კლასში ისეთი მოსწავლეები იყვნენ, რომელთაც წინა წელს ჰქონდათ ნასწავლი საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორიიდან კი არაფერი, ამიტომ ისინი ვერ შეძლებდნენ რომის ისტორიის შესწავლას იმპერატორების ხანიდან. რისთვისაც საჭირო გახდა, მათ დაესრულებინათ წინა წელს დაწყებული საქართველოს ისტორიის კურსი და თან ეპიზოდურად შეესწავლათ მსოფლიო ისტორია უძველესი დროიდან ჰუმანიზმამდე, ე. ი. ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი და საშუალო საუკუნეები. ეს დიდი პროგრამა იყო, ამიტომ მასწავლებლებს უფლება მისცეს, გაედიდებინათ ისტორიის საათები, ზოგიერთი ისტორიული მოვლენა გამოეტოვებინათ, ან შეემოკლებინათ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, უფლება ჰქონდათ, გადაედოთ საშუალო საუკუნეების ისტორიის კურსის ნაწილი შემდეგი სასწავლო წლისათვის[3].

გეოგრაფიის სწავლების პროგრამა 1919-20 სასწ. წელს

I კლასში ისწავლებოდა ზოგადი ცნებები გეოგრაფიიდან;

II კლასში - აზია, აფრიკა, ამიერიკა, ავსტრალია;

III კლასში - ევროპა (ევროპის რუსეთით);

IV კლასში - საქართველო და მისი მოსაზღვრე ქვეყნები.

დანარჩენ კლასებში გეოგრაფიის სწავლება შემდეგი წესით ნაწილდებოდა:

V კლასში ისწავლებოდა ფიზიკური გეოგრაფია, ვინაიდან ქართული სახელმძღვანელო ამ კლასისათვის არ მოიპოვებოდა, მასწავლებლებს უფლება ჰქონდათ, თავისი კურსი შეეფარდებინათ ლეზგაფტის ან ბრონოვის სახელმძღვანელოებისათვის.

VI კლასში უნდა შესწავლილიყო საქართველოს გეოგრაფიის ვრცელი კურსი, რომელიც ამავე კლასში უნდა დასრულებულიყო.

VII კლასშიც ასევე საქართველოს გეოგრაფია ისწავლებოდა.

VIII კლასში, ვაჟთა გიმნაზიებში, 1919-20 წლებში არ ისწავლებოდა საქართველოს გეოგრაფია, რასაც ნაკლად თვლიდა სამინისტრო, ქალთა გიმნაზიებში კი მას დათმობილი ჰქონდა ორი გაკვეთილი.

სასკოლო პროგრამებისა და ცალკეული საგნების სწალებაში არსებულ პრობლემებზე, მასწავლებელთა დამოკიდებულებაზე სამინისტროსაგან შეთავაზებული პროგრამების მიმართ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება პედაგოგიური საბჭოების სხდომის ოქმებით. სანიმუშოდ ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიის პედსაბჭოს სხდომის ოქმებიც იკმარებს (დირექტორი იოსებ ოცხელი, პედაგოგები: დიმიტრი ოყრეშიძე-თომაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი)[4].

1919 წელს სახალხო განთლების სამინისტროს ინიციატივით შედგა კომისია დაბალ სკოლათათვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად.

კომისიის თავჯდომარედ მიწვეული იქნა პროფ. ივანე ჯავახიშვილი, კომისიაში შევიდნენ პროფესორები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დაბალ სკოლათა მთავარგამგე - გიორგი ჭუმბურიძე და სხვა დამსახურებული პედაგოგები[5].

განათლების სამინისტროში იმართებოდა თათბირები თბილისის სკოლების დირექტორებისა და ცნობილი პედაგოგების მონაწილეობით. უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგის - სერგი დანელიას თავჯდომა-

რეობით - საშუალო სკოლებისათვის ყველა საგანში პროგრამების შესამუშავებლად[6].

სამინისტროს მიერ მუშავდებოდა და სკოლებს ეგზავნებოდა სასკოლო პროგრამები, რასაც ყველა სკოლა თავისებურად ანხორციელებდა, სკოლის პირობების შესაბამისად.

1919-20 სასწ. წლის გეგმის თანახმად I კლასიდანვე იწყებოდა უცხო ენის შესწავლა. სკოლა ირჩევდა ერთ-ერთ უცხო ენას, გერმანულს ან ფრანგულს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პრესის ზოგი პუბლიკაციის მსჯელობისა ინგლისური ენის დიდ მნიშვნელობაზე, საქართველოს სკოლებში ინგლისურს ძალიან ცოტა სკოლაში ასწავლიდნენ, ეს, ალბათ, პოლიტიკურ საკითხსაც უკავშირდებოდა. 1919-20 წლებში საქართველოში ინგლისის პოლიტიკა იმდენად უარყოფით რეაქციას იწვევდა, რომ ქართული საზოგადოება ამ ენასაც ბოიკოტს უცხადებდა.

არითმეტიკის კურსი ისწავლებოდა I-III კლასებში, თუ ვერ მოესწრებოდა, IV კლასში გადატანილი იქნებოდა 1 ან 2 გაკვეთილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელგარჯილობის სწავლებას. ვაჟთა სასწავლებლებში ასწავლიდნენ წმინდად ხელგარჯილობას, ქალთა სკოლაში კი ხელსაქმეს[7].

მშობლები ითხოვდნენ ორი უცხო ენის სწავლებას, ეს ტრადიცია არსებობდა 1918-19 სასწ. წელს. 1919-20 წლიდან კი, სამინისტროს ბრძანებით ორის ნაცვლად ერთი უცხო ენა უნდა შეესწავლათ: არჩევანი მშობლებსა და მოწაფეებს ეკუთვნოდათ. სამინისტრო თავის მიმართვაში წერდა: „სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა ზეგავლენით ჩვენი მოზარდი თაობა ფრიად არანორმალურ სწავლების პირობებში იმყოფება. ამ პირობათა გამო ნორჩ ბავშვებს, რომელთაც ჯერ თავისი დედა-ენა ვერ შეუთვისებიათ რიგიანად, რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად შესწავლა უხდებათ, ხშირად ამისთვის მოწაფე

ისე ამთავრებს სასწავლებელს, რომ არც ერთი ენა არ იცის წარჩინებულად. გარდა ამისა, მრავალ ენათა შესწავლა იმ ზომაზე იპყრობს მოწაფის ენერგიას, რომ მას ნაკლებად რჩება დრო რეალური ცოდნის მისაღებად. ეს ნაკლოვანება მოითხოვს ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის შეცვლას, რათა, ერთი მხრით, ვერბალური სწავლების შეკვეთით მეტი ადგილი დაეთმოს რეალურ სწავლებას, მეორე მხრით კი, თვით ენების სწავლება უფრო რაციონალურად წარმოებდეს მოსწავლის ენერგიის მეტი კონცენტრაციის დაცვით".

მთავარგამგე სერგი დანელია[8].

ასევე გამოიცა სპეციალური ცირკულარი რუსული ენის სწავლების შესახებ. გადაისინჯა ძველი პროგრამები და მიღებული იქნა ახალი პროგრამა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში. ეს პროგრამა გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში"[9].

სწორად შედგენილ სასწავლო პრგორამებს მოწაფეთა დაინტერესება უნდა გამოეწვია. სამინისტრო თვლიდა, რომ სკოლაში გაცდენებსა და ფორმალურ ნიშნებს, სწორედ არასაინტერესოდ შედგენილი სასწავლო პროგრამები იწვევდნენ. ვრცელ ცირკულარში, რომელსაც სამინისტრო საშ. სკოლების გამგეებს უგზავნიდა, სწორედ ამ ფაქტზე იყო საუბარი[10].

რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტანვარჯიშის განვითარებას, ანუ მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. 1919 წლის 5 აგვისტოს სამინისტრომ მიმართვები დაუგზავნა ყველა სასწავლებელს, სადაც განსაზღვრული იყო ტანვარჯიშის დარბაზების მოწყობა, სპეციალური პროგრამის შექმნა და პედაგოგების შერჩევა. მიმართვას ხელს აწერდა ტანვარჯიშის მთავარი ინსტრუქტორი გ. ეგნატაშვილი და სამინისტროს საქმისმწარმოებელი მაქსიმე ბერძნიშვილი[11].

მალე ტანვარჯიშის ინსტრუქტორის თანამდებობა მთავარგამგის თანამდებობად გადაკეთდა. მთავარგა-

მგეს ნიშნავდა მინისტრი ქართული საგიმნასტიკო საზოგადოება „შევარდენის" ნარდგენით. მთავარგამგესთან დაარსდა სპეციალისტების საბჭო, რომელიც მუშაობდა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის გამოცემაზე[12]. საზოგადოება „შევარდენში" გაიხსნა ორთვიანი კურსები ტანვარჯიშის მასწავლებლებისათვის. კურსებზე სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, მეცადინეობა ტარდებოდა ყოველდღე, 7 საათიდან 12 საათამდე, კვირაში სამჯერ კი, საღამოობით, ტარდებოდა პრაქტიკული ვარჯიშები. მსმენელებს ეძლეოდათ საცხოვრებელი ბინა თავად ამ საზოგადოებასთან („შევარდენი" მდებარეობდა ანდრიასა და ფეიეევერკის ქუჩათა შესაყარში). ვინც კურსებს არ გაივლიდა, ის სკოლაში ფიზკულტურას ვერ ასწავლიდა[13].

არსებულ პროგრამებსა და სასწავლო გეგმებს ხშირად აკრიტიკებდნენ ქართველი მწერლები, პუბლიცისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

„სკოლა ერის ყოველმხრივი წარმატების საფუძველია", - წერდა გაზეთი „საქართველო". მისი აზრით, ევროპის ქვეყნების დონემდე საქართველოს აყვანა სკოლას შეეძლო, ოლონდ იმ შემთხვევაში, თუ თავის დანიშნულებას შეასრულებდა და ორგანიზებული იქნებოდა თანამედროვე მეცნიერების დონეზე.

პუბლიცისტ ვასილ წერეთლის თქმით, ახალი სკოლა არათუ გაუმჯობესდა, პირიქით: სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მისი მუშაობის პირობები გააუარესა, მას მხოლოდ სკოლების გაეროვნება მიაჩნდა პროგრესულ მოვლენად, სწავლების მეთოდი კი არა, რომელსაც ერთადერთი სიტყვით ახასიათებდა - „სქოლასტიკა". იმ დროინდელი სკოლა წინანდელ რუსულ სკოლაზე უარესად მიაჩნდა. პუბლიცისტი აკრიტიკებდა სკოლის პროგრამებს, ჩამოთვლიდა საგნებს, რომელსაც ან არ ასწავლიდნენ, ანდა არასაკმარისი საათები ჰქონდათ დათმობილი. ასეთად მიაჩნდა ბუნებისმეტყველებაც, მის

უსწავლელობას თვლიდა მიუტევებელ ცოდვად, - იგი წერდა: „და ეს - მიუტევებელი ცოდვა, უმეტესია, ვიდრე რომელიმე მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური დეკრეტი. ფინანსური და ეკონომიკური დეკრეტების გამოცვლა ადვილია, არ ცოდნის შეცვლა ცოდნით კი - ძნელი. საკანონმდებლო მუშაობა ცვალებადია, მოწამლული სულის განახლება კი - შეუძლებელი. დიაღ, ცუდად არის საქმე, ქართულ სკოლაში მოწაფის სული იჩაგრება, იწამლება", - ასკვნიდა იგი[14].

ვასილ წერეთელი აკრიტიკებდა სკოლაში ფიზკულტურის უსწავლელობასაც. ეს კი, როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტებით ვნახეთ, მართალი არ იყო, რადგანაც ამ დროს, მთავრობის მითითებით, დიდი ყურადღება ეთმობოდა ფიზკულტურისა და ჰიგიენის სწავლებას და საამისოდ ბევრი ღონისძიებაც გატარდა.

ამდენად, ვასილ წერეთლისა და, ზოგადად, ოპოზიციის კრიტიკა მაშინდელი სკოლისადმი, მძაფრი იყო. დღევანდელი გადასახედიდან იგი გაზვიადებული და არაობიექტურიც მოჩანს. სკოლას ჰქონდა ნაკლი, მაგრამ იმ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, რომელშიდაც მას უხდებოდა მუშაობა, არც შეიძლებოდა განათლების სისტემა უნაკლო ყოფილიყო. რაც მთავარია, იყო ეროვნული ცნობიერებით მიდგომა ამ სისტემისადმი, სასწავლო პროგრამებში შეტანილი იყო ის საგნები, რაც აუცილებელი იყო განვითარებული ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის, ყველაფერი კეთდებოდა პედაგოგიური კადრების მაღალპროფესიულად მომზადებისთვის. ამიტომ გაზეთ „საქართველოს" ნიჰილიზმი ოდნავ გადაჭარბებულიც მოჩანს, თუნდაც ამ ვრცელი პუბლიკაციის დასასრული: „ნუთუ ქართული სკოლა ვერ განახლდება? ნუთუ დამოუკიდებლობის სულმა სკოლას ახალი სიცოცხლის სული ვერ უნდა შთაბეროს? ნუთუ ქართულ სკოლას ბედად უსიცოცხლობა უწერია?

არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომასთან ერთად სკოლაც არ აღდგება მკვდრეთით და არ განახლდება. მაშინ კი ქართულ სოლას ახლანდელ სკოლასთან საერთო არა ექნება რა"[15].

ამ წერილის დაწერიდან ათეული წლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ სკოლის ყველა პრობლემა მოგვარებული იყო; პრესაც, სპეციალური ლიტერატურაც საბჭოთა სკოლის დიდ მიღწევებზე და მენშევიკური პერიოდის საშინელებაზე წერდა, მაგრამ... ეს ხელისუფლებაც დაეცა და სიმართლე გაირკვა: საბჭოთა სკოლა, ეს იყო იდეური მარწუხი, პარტიული შტამპით დაღდასმული დაწესებულება, სადაც ახალგაზრდობას უაზრო ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმით წამლავდნენ, სადაც იდევნებოდა და იჩაგრებოდა ეროვნული სულიერება და კულტურა; რომ არა ცალკეულ პედაგოგთა სიმამაცე და თავად ქართული კულტურის სიდიადე, განსაკუთრებით ჩვენი მწერლობის დიდი პატრიოტული სულისკვეთება, საუკუნეების მანძილზე რომ კვებავდა ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულს, მაშინ ერი ნამდვილად გადაგვარდებოდა და მოსწყდებოდა დიდი ეთნოკულტურის ფესვებს. მენშევიკური პერიოდის ქართულ სკოლას ჰქონდა დიდი მატერიალური გასაჭირი, ჰქონდა ბევრი ნაკლი, მაგრამ მისი ნიადაგი განოყიერებული იყო სწორედ ეროვნული სულიერებით. რა იცოდნენ ამ დროის კრიტიკოსებმა, თუ რა ელოდა ბოლშევიზმის გამარჯვების შემთხვევაში ქართულ სკოლას!

1918-21 წლების ქართული სკოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო სახელმძღვანელოები. სხვადასხვა საგნის სწავლება ხდებოდა ქართულ ენაზე შედგენილი თუ გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით. „იმდენად მომწიფებული გამოდგა იდეურად გაეროვნების საქმე, რომ ქაღალდის ზღაპრულმა სიძვირემ ოდნავადაც ვერ შეაფერხა იგი და ჩვენი წიგნის მაღაზიები სახელმძღვანელოებით არის სავსე", - წერდა 1920 წელს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"[16].

სახელმძღვანელოების გამოცემამ არნახული მასშტაბები მიიღო 1918 წლიდანვე. ამ საქმეს სათავეში ედგა „წიგნების გამომცემელი ქართველი ამხანაგობა", რომლის გამგე - ალექსანდრე ჯაბადარი 1918 წელს მიმართავდა განათლების მინისტრს, რათა ნება დაერთოთ ქართველი გამომცემლებისათვის გერმანიაში დაებეჭდათ წიგნები. ამ საქმეს უხელმძღვანელებდა მისი ვაჟი, სტუდენტი შალვა ჯაბადარი. მიმართვაში ლაპარაკი იყო საქართველოში წიგნის გამოცემაში არსებულ წინააღმდეგობებზე, მასალის სიძვირეზე და სხვ.[17]

1919 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი „ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობისადმი წარდგენის შესახებ": ვინც დაბეჭდვიდან ერთი კვირის განმავლობაში არ წარადგენდა თავის ნაბეჭდს 12 ცალად და არ მიიღებდა მისი გაყიდვის ნებართვას მთავრობისაგან,. კანონის მე-5 მუხლით 3000 მანეთის ჯარიმას ან სამი თვით ციხეს მიიღებდა[18].

ამასთანავე, განათლების სამინისტრომ შეიმუშავა დებულება, რომლის მიხედვით, ახალი, საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორები ჯილდოვდებოდნენ სპეციალური პრემიით. ამით მთავრობა ახალისებდა ავტორებს და ხელს უწყობდა ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი ქართული სახელმძღვანელოების შექმნას.

ავტორთა საპრემიოდ განათლების სამინისტროს მთავრობამ გადასცა 100 ათასი მანეთი. სამინისტროსთან ცნობილი სპეციალისტებისაგან შედგა სახელმძღვანელოთა სარეცენზიო კომისია[19].

მთავრობამ ასევე 5 მილიონი შეღავათიანი სესხი მისცა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლების დასაარსებლად. ამ საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის თავჯდომარე - თედო კიკვიძე ამ სესხს თხოვდა მთავრობის მეთაურს[20].

განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა (თავჯდომარე - ივანე ჯავახიშვილი, მდივანი - მიხეილ ზანდუკელი) სხვა მრავალ საქმესთან ერთად საყმაწვილო წიგნების გამოცემასა და საჭირო ტერმინოლოგიის შემუშავებასაც შეუწყო ხელი[21].

სახელმძღვანელოებს ხშირად აკრიტიკებდნენ. კრიტიკის ცეცხლში ექცეოდნენ აღიარებული მეცნიერები და პედაგოგებიც. პუბლიკაციაში - „სახელმძღვანელოთა შესახებ", - ვარლამ ძიძიგური აკრიტიკებდა საქართველოს ისტორიაში არსებულ სახელმძღვანელოებს - სიმონ ქვარიანის, გორგაძის, სპილიოტ-კასრაძის, ილია ფერაძის წიგნებს. პუბლიცისტი ზოგ ავტორს ენას უწუნებდა, ზოგს - მსჯელობის სიღრმეს, ზოგს ისტორიულ ფაქტთა ანალიზის უნარს, ზოგიერთი დებულების ვარგისიანობაში შეჰქონდა ეჭვი და ა. შ. იგი აქებდა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის შრომას, მაგრამ მას პროგიმნაზიის მოწაფეთათვის მიუწვდომლად თვლიდა. იგი დადებითად ახასიათებდა დიმიტრი უზნაძის კულტურის ისტორიის სახელმძღვანელოს, თვლიდა, რომ ასეთი „სიმსუბუქით" უნდა დანერილიყო საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებიც[22].

ვარლამ ძიძიგურის ეს წერილი გააკრიტიკა და დაუსაბუთებლად მიიჩნია ილია ფერაძემ[23].

სახელმძღვანელოების შედგენაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის ვაჟთა მე-4 გიმნაზიის დირექტორმა მიხეილ ზაალიშვილმა, მან დამოუკიდებლობის წლებში ცხრა წიგნი შეადგინა[24].

მან გაზეთ „ერთობაში" გააკრიტიკა ს. იაშვილის შედგენილი ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები, რაც თავად გამოასწორა საკუთარი წიგნებით ამ დარგში[25].

წიგნის გამოცემის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის „წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა", სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები - იოსებ

ოცხელი, სიმონ ყიფიანი, თომა მთავრიშვილი, დომენტი ოყრეშიძე (თომაშვილი) და სხვ.[26]

ავტორები სახელმძღვანელოებს საკუთარი ხარჯით ბეჭდავდნენ, საკონკურსოდ აგზავნიდნენ სამინისტროში. ზოგს მშობლიურ ენაზე დაწერილი საუკეთესო წიგნისათვის მიღებული ჯილდო ეამაყებოდა, ზოგს ფინანსურად სასიცოცხლოდ სჭირდებოდა მათგან მიღებული თანხა, ზოგისათვის კი ასეთი შრომა სულიერი მოთხოვნილება იყო, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განათლების სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილებში[27].

სახელმძღვანელოების ნაკლებობითა და მათზე მოთხოვნილებით სარგებლობდნენ გარკვეული ადამიანები და ვაჭრობდნენ. მშობლებს უჭირდათ გაძვირებული წიგნების შეძენა. მთავრობა ხშირად ახდენდა ასეთი წიგნების რეკვიზიციას[28].

სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის გამოცემას.

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულთან" დაარსდა წრე, რომელსაც უნდა გამოეცა სხვადასხვა სალიტერატურო და სამეცნიერო-საბავშვო წიგნი, რითაც დაეხმარებოდა სასკოლო ასაკის მოწაფეებს ლიტერატურულ-მხატვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, ხელს შეუწყობდა მათ ესთეტიკურ აღზრდას.

წრე სცემდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კლასიკას, მსოფლიო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს. ზღაპრებს, ლეგენდებს, არაკებს,. ამ წრის ხელმძღვანელი იყო ჟურნალ „ნაკადულის"რედაქტორი, მწერალი ნინო ნაკაშიძე. მან ბევრი რამ გააკეთა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის საქმეში. 1918 წელს მწერალმა მიმართა მთავრობას - ფინანსური დახმარება გაეწია წრის მუშაობისათვის. მიმართვაში იგი იმედს გამოთქვამდა, რომ მთავრობა გაითვალისწინებდა საბავშვო მხატვრული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, თავის მხრივ კი, მზადყო-

ფნას გამოთქვამდა, ბინით და საგამომცემლო საქმიანობით უზრუნველეყო წრის მუშაობა. მან მთავრობას და განათლების სამინისტროს წარუდგინა იმ 11 წიგნის სია, რომელიც 1918 წლის 15 ივლისისათვის მზად იყო დასაბეჭდად. ესენი იყო:

1. ქართველ მწერალთა ლექსები და მოთხრობები, დასურათებული, 7-10 წლის ასაკის ბავშვებისათვის - 80 გვ.

2. ქართველ მწერალთა ლექსები და მოთხრობები, დასურათებული, 10-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის – 80 გვ.

3. დასურათებული კოლხური ზღაპრები, ჩაწერილი სამეგრელოში იოსებ ყიფშიძის მიერ - 80 გვ.

4. დასურათებული კოლხური ზღაპრები - ნოშრევან მეფე და მისი ვაჟიშვილი, ლექსად, 80 გვ.

5. ჩიტ-ბეღურა, ხალხური ზღაპარი, კორტოსასი, ლექსად, 7-10 წლის ბავშვებისათვის, 32 გვ.

6. პირველყოფილი ბავშვის თავგადასავალი, მოთხრობა დ. ერვილისა, თარგმნა იაშვილმა, დასურათებული, 140 გვ.

7. ევალდის ზღაპრები (სამეცნიერო-მხატვრული მოთხრობები), 80 გვ.

8. ანდერსენის ზღაპრები, 7-10 წლის ბავშვებისათვის.

9. მეტერლინკის - „ლურჯი ფრინველი", ფრანგულიდან თარგმანი გ. ჯაბადარისა, 160 გვ.

10. კრებული, ისტორიულ-გეორგაფიული და ეთნოგრაფიული შინაარსის, სხვადასხვა ავტორების, 80 გვ.

11. წიგნი სხვადასხვა მოძრავ სათამაშოებისა და სამუშაო-გართობებისა, 64 გვ.

თითოეული გამოცემა 80 გვერდიანი დასურათებული წიგნისა (2000 ცალად) ჯდებოდა 2750 მანეთი.

„ნაკადულთან" არსებულ გამომცემელთა წრეში შედიოდნენ:

1. ნინო ნაკაშიძე - „ნაკადულის" რედაქტორი

2. ლიდია მეგრელიძე - მწერალი
3. ილია ნაკაშიძე - მწერალი
4. ანა ხახუტაიშვილი (ცქვიტი) - მწერალი
5. ირაკლი სურგულაძე - ბუნებისმეტყველი, ლიტერატორი[29].

საინტერესოა დავით დონდუას, სიმონ ჯაფარიძის, ნინო ნაკაშიძის, ზაქარია ჭიჭინაძის, ალექსანდრე ჯაბადარის და სხვათა მიმოწერები განათლების სამინისტროსთან ქართულ საბავშვო გამომცემლობის - „სურათები-ზღაპრები"-ს შესახებ, ასევე ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიპიკონის გამომცემლობის, გერმანიაში ქართული წიგნების ბეჭდვასა და სხვა საკითხებზე[30].

გამომცემლობა - „სურათები-ზღაპრები" სიმონ ჯაფარიძესა და დავით დონდუას შეუქმნიათ ქუთაისში. მათ გამოუციათ 4 წიგნი, მაგრამ წიგნების დაბეჭდვა ისე ძვირი დამჯდარა, რომ შეუწყვეტიათ იგი. თუმცა გამოცემულ წიგნებზე საუკეთესო რეცენზიები დაიწერა იმ დროის პრესაში (გაზეთი „მეგობარი", №118, 25 თებერვალი 1916 წლის., „სკოლა და ოჯახი", №3, 8 აპრილი, 1916 წ., „განათლება", №1, იანვარი, 1917 წ., „სახალხო საქმე", №87, 27.X-1917 წ., „სოციალ-დემოკრატი", 1917 წ., №12 და სხვ.), გამოცემები ვერ განაგრძეს, რადგან გამომცემლობას დიდი ვალი დაედო, მიზეზი ამისა გახდა ის, რომ რეალურ ღირებულებაზე იაფად გაყიდეს წიგნები, რათა ბავშვებს მათი ყიდვის საშუალება ჰქონოდათ.

გამომცემლები ითხოვდნენ განათლების სამინისტროსაგან ან ერთდროულ, ან ყოველწლიურ დახმარებას, ანდა უპროცენტო სესხის გაცემას[31].

ქართული საზოგადოებრივი აზრი დიდ როლს ანიჭებდა ინტელექტუალური ახალგაზრდა თაობის აღზრდას, მოუწოდებდა მთავრობასა და ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემაში დახმარებისაკენ.

3. სკოლების „გაეროვნების" საკითხი და ეროვნულ უმცირესობათა სასწავლებლები 1918-1921 წლებში

ეს დიდი მოძრაობა, რაც საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო ქვეყნების ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულებების გაქართულებისათვის, ეროვნული მიმართულების დანერგვისათვის ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, გამოიხატებოდა ტერმინით - „გაეროვნება".

ეს პროცესი საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისთანავე დაიწყო. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა, 20 ნოემბრის სხდომაზე დასვა „სკოლების ნაციონალიზაციის" საკითხი და სხვადასხვა სექციებთან ერთად შექმნა „სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია". სექციას ხელმძღვანელობდა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. მას უნდა შეემუშავებინა და ყრილობისათვის განსახილველად წარედგინა სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი[1].

ყრილობის გადაწყვეტილებით დაწყებულმა მოძრაობამ - სკოლების გაქართულებამ ფართო მასშტაბები მიიღო.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ და მის მიერ შექმნილმა განათლების სამინისტრომ გაეროვნების პროცესი გააღრმავა. განათლების რეფორმის ვრცელი პროგრამა ამ საკითხის გადაჭრას გულისხმობდა პირველ ეტაპზევე.

განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული მოწყობის შემდეგ, როდესაც იქ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ (გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი, სერგი დანელია და სხვ.), დაიწყო ძველი სკო-

ლების ტიპის შეცვლა, მისი მოწყობა „ახალ" საფუძველზე. 1918-1919 სასწავლო წელს დასრულდა სკოლების გაეროვნება, ამიერკავკასიის კომისარიატის მოღვაწეობისას დაბალი საფეხურის სკოლები გაეროვნდა, შემდეგ კი - საშუალო ტიპის სასწავლებლები. 1919-20 სასწვლო წლისათვის განხორციელდა სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლება[2].

სკოლების გაქართულებისათვის საჭირო იყო ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი მასწავლებლები, რისთვისაც, პირველ რიგში, რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლებლების გაეროვნება უნდა მომხდარიყო: დამოუკიდებლობის პირველსავე წელს სრულიად „გაეროვნდა" თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები[3].

გაეროვნებისათვის საჭირო ღონისძიებების ადვილად გასატარებლად სამინისტრომ თავის გამგებლობაში მიიღო და სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანა საზოგადოება „განათლების" ქალთა სემინარია თბილისში და ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სამასწავლებლო სკოლა.

სკოლების გაქართულების გასაადვილებლად სამინისტრომ მოაწყო დროებითი საზაფხულო კურსები საშუალო და დაბალი სკოლების მასწავლებლებისათვის. კურსებთან დაარსდა სატერმინოლოგიო სექციები, რომელთაც შეიმუშავეს სხვადასხვა საგნის ტერმინები რესპუბლიკის სკოლებისათვის სათანადო ქართული სახელმძღვანელოების გამოცემამდე[4]. ასეთმა კურსებმა დიდი დახმარება გაუწია პედაგოგებს საჭირო საგნების ქართულად სწავლებაში, შესაძლებელი გახდა 1918-1919 სასწავლო წელსვე რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის გაქართულება, გარდა ქ. თბილისის სკოლებისა, სადაც ნაციონალიზაცია შეეხო მხოლოდ პირველ ოთხ კლასს. გამონაკლისს წარმოადგენდა ქ. თბილისის ვაჟთა მე-7 და მე-8, ქალთა მე-7 და საეპარქიო გიმნაზიები, რომლებიც

1919 წლის დასაწყისისათვის სრულად იყვნენ გაქართულებულნი[5].

„გაქართულების" პროცესს ხელს უწყობდა განათლების სამინისტროს მიერ სამასწავლებლო სემინარიებთან დაარსებული პანსიონები. ამასთან, იგი ამზადებდა კადრებს პროვინციებისათვის, რადგან აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ნიჭიერ და ღარიბ ქართველ ახალგაზრდობას შეეძლო სწავლა[6].

„გაეროვნების" ღონისძიების გამო სკოლებიდან ბევრი პედაგოგი დაითხოვეს. თუმცა დათხოვნილებს 1918 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით რამდენიმე თვის ჯამაგირიც მისცეს[7], ბევრმა პედაგოგმა ეს ფაქტი მაინც უკანონოდ ჩათვალა და საპროტესტო განცხადებები წარადგინა სამინისტროში. ასეთები იყვნენ გორელი პედაგოგები - ბარბარე ივანეს ასული ამილახვარი8, ელენე მიხეილის ასული მამაცაშვილი-ლისოვსკისა[9], მარია რამინის ასული ღვინიაშვილი[10], თამარ ილარიონის ასული ციციშვილი-გუბარიოვისა[11], ქეთევან გიორგის ასული ჯავახიშვილი[12] და სხვ.

მასწავლებელთა ძველი კადრების გაშვების გამო ახლით შევსება დროზე ვერ ხდებოდა, რაც სკოლების მუშაობას აფერხებდა. ამის გამო განაწყენებული გორის ქალაქის თავი - რობაქიძე განთლების მინისტრს თხოვდა მასწავლებელთა დათხოვნის შეჩერებას, მაგრამ ამ პროცესს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. რობაქიძეს უარი უთხრეს, რამაც გაამწვავა გორის მაზრების სკოლებში შექმნილი მდგომარეობა[13].

ბევრი მასწავლებელი ცდილობდა, ახალი მოთხოვნილების პასუხად, ქართული ენის შესწავლას, ითხოვდა დახელოვნების კურსებზე გაგზავნას, ზოგი კი - თავს ანებებდა პედაგოგობას და სხვა საქმიანობას იწყებდა[14].

განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ქართული ენა-ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საკითხი არა მარტო ქართულ, არამედ რესპუბლიკაში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა სკო-

ლებშიც. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ქართული ენის მასწავლებლები ვერ პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. როგორც გაზეთი „ერთობა" აღნიშნავდა, ისინი მასწავლებლად იმ წლებში იყვნენ დანიშნულნი, როდესაც საქართველოში რუსული სკოლა იყო და ხელისუფლება მშობლიური ენის სწავლებას არა თუ ხელს უწყობდა, არამედ დევნიდა კიდეც.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობამ მიაქცია ყურადღება და 1918 წლის 29 იანვარს გამოსცა კანონი ქართული ენის სწავლების შესახებ საქართველოს სკოლებში[15].

დამოუკიდებლობის შემდეგ ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა სკოლაში, მაგრამ, ვინაიდან არაქართველებმა ქართული ენა სულ არ იცოდნენ და ზოგიერთი ჩვენში დროებით ცხოვრობდა, შეუძლებელი იყო მათთვის სახელმწიფო ენის სწავლების დაძალება. მხოლოდ I კლასში გამოცხადდა ქართული ენა სავალდებულოდ, ზედა კლასებში კი - სურვილის მიხედვით ირჩევდნენ მას. ვინაიდან კანონი კრძალავდა სახელმწიფოში საქმეების სხვა ენაზე წარმოებას და ქართული ენის უცოდინარებს წართმეული ჰქონდათ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა, ამიტომ, ყველა, ვინც საქართველოში აპირებდა ცხოვრებას, თავის ნებით სწავლობდა მის სახელმწიფო ენასაც. ყველა ტიპის სასწავლებელს დაემატა 1 შტატის მასწავლებელი ქართულ ენაში, რისთვისაც, დროებით, ჯამაგირი სასწავლებლის სპეციალური ხარჯიდან უნდა მიეცათ[16].

ასევე სავალდებულო გახდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებაც. მათ, ვინც ქართული ენა არ იცოდა, ამ საგნებს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ[17].

ყველა სკოლაში შეიქმნა ქართული და რუსული ენის სწავლების კომისია, რომელიც იხილავდა მთავრობის მიერ გამოცემულ სპეციალურ პროგრამებს და მისი შესწავლისათვის გარკვეულ პირობებს ქმნიდა.

სანიმუშოდ მოვიტანთ ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის ამგვარი კომისიის სხდომის ოქმიდან ამონაწერს, რაც თვალსაჩინოს გახდის ქართული ენის სწავლების პრობლემისადმი სკოლების დამოუკიდებლობას:

„ქუთაისის რეალური სასწავლებლისა და მასთან არსებული უმაღლეს-დაწყებითი სწავლების ქართული ენის მასწავლებელთა კომისიის სხდომამ განიხილა მთავრობის გამოცემული ქართული ენის სანიმუშო პროგრამები და მსჯელობის შემდეგ დაადგინა: უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს მიზნად უნდა ჰქონდეს შეასწავლოს მოწაფეს მკაფიო, თავისუფალი და შეგნებული კითხვა, მიაჩვიოს ქართული სალიტერატურო ენით ლაპარაკსა და წერას, შეათვისებინოს შეგნებულად ქართული ენის საგრამატიკო და სიტყვიერების ფორმები და კანონები, მისცეს ზოგადი დამთავრებული ცოდნა, მოამზადოს იმდენად, რომ საშ. სასწავლებელში აღარ გაუჭირდეს მას სიტყვიერების ისტორიის სისტემატიურად შესწავლა.

ამ მიზნით მოსწავლეები 4 კლასში უნდა გაეცნონ ყველა დიდ თვალსაჩინო ქართველ მწერალს. სახელმძღვანელოებად გამოყენებული იქნება: I კლასში - ბუნების კარი (იანვრამდე), ქართველი მწერლები (I ნაწ., იანვრიდან); II კლასში - ქრესტომათია ოცხელისა, ნიკოლაიშვილისა და მამფორიასი, II კლასში - იგივე ქრესტომათია (ნაწ. II); IV კლასში - გორგაძის „ჩვენი ახალი მწერლობა", ნაწ. I, „სიტყვიერების ისტორია" - ა. ხახანაშვილისა[18].

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე, ამ პრობლემის განსაკუთრებულობაზე წერდა მარტვილის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ქართული ენის პედაგოგი აქვსენტი ფარულავა - 1918 წლის 26 მაისს დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც მას მთავრობისათვის წარუდგენია[19].

ამ ვრცელი დოკუმენტის შესავალში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „საყოველთაო სახალხო განათლების გარეშე შეუძლებელია პიროვნების თავისუფალი განვითარება, სიმართლისა და სიკეთის იდეის ცხოველმყოფელობა, სა-

ხალხო სიმდიდრის მოპოვება". განათლების კერას - სკოლას, პედაგოგის აზრით, ჭირდებოდა სრული განახლება. განათლების მთავარ ძარღვს შეადგენდა „მშობლიური ენა, ურომლისოდაც ვერცერთი ადამიანი ვერ შეიტანს თავის წვლილს საკაცობრიო კულტურაში, მშობლიური ენის არსებობით შეუძლია შეინარჩუნოს მან თავისი არსებობა და ორიგინალობა, შექმნას მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა",- წერდა იგი.

სკოლის ნაციონალიზაციას, ა. ფარულავას აზრით, ხელს უშლიდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ნაწამოებების უქონლობა, მეთოდურ-დიდაქტიკური ლიტერატურის ნაკლებობა, პედაგოგთა მომზადების დაბალი დონე. იგი იძლეოდა რეკომენდაციებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სახავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალ დონეზე სწავლების გზებს.

სკოლებისა და დაწესებულებების „გაეროვნების" პროცესი, სინამდვილეში წარმოადგენდა ქართული ენის განვითარებისადმი ახალ, ფართო სახელმწიფო პროგრამას, რომელშიდაც ჩართული იყო მთელი ქართველი ინტელიგენცია, საზოგადოების ფართო წრეები, ხელმძღვანელი კი ამ კამპანიისა თავად ხელისუფლება იყო.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტის დადგენილებით, 1920 წლის 24 მაისს თბილისში გაიხსნა ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა. ყრილობის მიზანი იყო - ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა.

ყრილობის შემადგენლობა ასეთი იყო:

ა. ყრილობა შედგებოდა სასწავლო კომიტეტისაგან არჩეული პირებისაგან, რომელთა რიცხვი თვით ამ კომიტეტმა დაადგინა;

ბ. განათლების სამინისტროსაგან მოწვეულ პირთაგან;

გ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი წარმომადგენლისაგან;

დ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთი წარმომადგენლისაგან;

ე. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთი წარმომადგენლისაგან;

ვ. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორი წარმომადგენლისაგან.

წინასწარ, ყრილობის მოწვევამდე შედგა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც შეკრიბა სალიტერატურო ქართულში სადავოდ გამხდარი ყველა საკითხის შესახებ მასალები, რაც სხვადასხვა დროს გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა.

ყრილობამ იმსჯელა ფონეტიკასა, მორფოლოგიასა თუ სინტაქსში არსებული ზოგიერთი ფორმის სისწორეზე.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიის წევრები იყვნენ: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, სერგი გორგაძე, ვუკოლ ბერიძე.

ახალმა ტერმინოლოგიურმა ლექსიკონებმა შეავსო და გაამდიდრა ენა და შესაძლებელი გახადა მოსწავლეებს უფრო ადვილად შეძლებოდათ მეცნიერების უახლესი მიღწევების დაუფლება, ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსუდან ნიკოლაძის მიერ შედგენილ ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონს.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ განათლების სისტემაში გაბატონებული ე. წ. „გაეროვნების" ღონისძიებასთან ერთად საკმაო ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათათვის სასკოლო სისტემის შექმნას.

თუ დამოუკიდებლობამდე საქართველოს სკოლებში სწავლა ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კი თბილისში დიდი რაოდენობით რუსული სკოლა იყო, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ მოხდა სკოლების ახლებური კვალიფიკაცია: ბევრი ძველი სკოლა გაუქმდა, მაგრამ ამასთანავე დაარსდა ახალი

სკოლებიც. და ეს ეხებოდა როგორც ქართულს, ისევე ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს.

თბილისის სკოლები ასეთი პროპორციით განაწილდა:

ვაჟთა სასწავლებლები: I, II, V ვაჟთა გიმნაზიები იყო სანახევროდ ქართული, VII-VIII გიმნაზიები - ქართული, III-IV სანახევროდ ქართული, V სანახევროდ სომხური, VI - სომხურ-რუსული.

ქალთა გიმნაზიები: VII გიმნაზია და საეპარქიო სასწავლებელი ქართული იყო, III-IV გიმნაზია - სანახევროდ ქართული, VI გიმნაზია - სანახევროდ სომხური, V - მთლიანად რუსული.

ამგვარადვე განაწილდა უმაღლესდაწყებითი და დაბალი სკოლებიც.

ასევე განაწილდა ეროვნულ უმცირესობათათვის პროვინციების გიმნაზიები - გორში, ქუთაისსა და ფოთში.

სოხუმის საოსტატო სემინარიასთან დაარსდა პარალელური კლასები აფხაზებისათვის, ხოლო ოსთათვის - უმაღლესდაწყებითი სკოლა ჯავაში.

ქართული სკოლის „გაეროვნებამ" ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევამ, განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ სომხებში. ისინი პარალელურად - ქართულისა - სახელმწიფო - ადმინისტრაციის ენად ითხოვდნენ სომხურსა და რუსულს, უკიდურეს შემთხვევაში სომხურ-ქართულს. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც სომხური პრესა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ, ცილს სწამებდა ქვეყნის დემოკრატიულ მთავრობას, ადანაშაულებდა მას სხვა ეროვნებათა ჩაგვრაში, ადამიანის უფლებების დარღვევაში. განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა ომის შემდეგ მათი ავანტიურა საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკის მიმართ გააქტიურდა.

მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობისა, საქართველოს სამთავრობო ძალები დემოკრატიული მეთოდებით უდგებოდნენ როგორც ყველა სხვა ეროვნების, ასევე სომეხთა კულტურული ცხოვრებას, მათ აძლევდნენ საკუთარი პრესის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ეროვნული სკოლების დაარსების უფლებას, შეუზღუდავი იყო მათი რელიგიური კერების საქმიანობა და სხვა.

1920 წელს საქართველოში სულ იყო 80 სომხური სკოლა. აქედან თბილისში - 27, თბილისის მაზრაში - 1 (დიდი დურნუკის დაწყებითი სომხური სკოლა), ქუთაისში - ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი, თელავში - 2 პირველდაწყებითი, ბორჯომში - 1, სიღნაღში - 2 პირველდაწყებითი და 1 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, სოხუმში - 1, ახალციხეში - 2 პირველდაწყებითი სასწავლებელი, ახალციხის მაზრაში - 4 პ/დაწ. სასწავლებელი: სხვილის, სუფიის, ნეოხრეპის, წყალთბილის, ახალციხის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ახალქალაქის მაზრაში - 8 პირველდაწყებითი სასწავლებელი: ეშთინის, ალასთანის, ხოსპიის, ხანდოის, სირჯის, ვარევანის, აზავრეთის, არაქვინის დაწყებითი სკოლები, ბორჩალოს მაზრაში - 3: ბოლნის - ხაჩინის, შულავერის, კუშინის დაწყებითი სკოლები; კოდორის მაზრაში - 6, ლაბრჩის, ჯერგუნის, ათარის, წურგილის, ათარო-ერმიანსკის, არაქეჩინიჩ დაწყებითი სკოლები; გუმისთის მაზრაში - 15, დრანდის, ბოგოპოჩტინის, II სიმაღლის, მერხეულის, III - მერხეულის, წებელდის, ლემის, ზახაროვკის, ლეჩკოპის, იაშკუტის დაწყებითი სომხური სკოლები, გუმისთის დაწყებითი სასწავლებელი, გუმისთის უმაღლესი დაწყებითი სასაწავლებელი, სოხუმის ორკლასიანი, ეშერის დაწყებითი სასწავლებლები; გუდაუთის მაზრაში - 5 დაწყებითი სასწავლებელი: გუდაუთის, მწარის, ანუხვინის, ვესელსკოეს, ფსირტეხანის; გაგრის რაიონში - 3 პირველ დაწყებითი სასწავლებელი: კავაკლუკის, კალდეხ-

ვარის, ქირაშენის[20]. (ცნობა აღებულია 1920 წლის 18 დეკემბერს შედგენილი ცხრილიდან).

თურქეთ-სომხეთის კონფლიქტის გამო უამრავი სომეხი ლტოლვილი გაჩნდა საქართველოში. ლტოლვილმა პედაგოგებმა აქ გახსნეს კერძო სასწავლებლები. ეს იყო ყარსისა და გუმბრის (ალექსანდროპოლის) გიმნაზიები, რომლებიც ემორჩილებოდნენ რუსულ ეროვნულ საბჭოს, სახალხო განათლების სამინისტრომ გააუქმა ეს დაქვემდებარება 1919 წლის იანვარში და ისინი ჯერ საქართველოს განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანა, შემდეგ კი, მოხდა ამ სასწავლებლების ძირეული რევიზია, რამაც ბევრი არასასურველი ფაქტი გამოავლინა და ამ სკოლების დახურვის საკითხი დააყენა[21].

სომხური სასწავლებლები არ ემორჩილებოდნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს - რელიგიის სწავლების გაუქმებას სკოლებში. ისინი არამარტო ასწავლიდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას, არამედ ითხოვდნენ თავიანთ სკოლებში გრიგორიანული დღესასწაულების აღნიშვნას[22].

მაშინ, როდესაც ინტელიგენცია აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობას და არადემოკრატიულად მიიჩნევდა მის დამოკიდებულებას მართლმადიდებლური რელიგიის მიმართ, მათ მიიღეს უფლება რელიგიის სწავლებაზე, რასაც არ შეიძლება არ აღეშფოთებინა ძალზე შევიწროვებული მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები, ქართული ეკლესიის მესვეურნი. ისინი აღნიშნავდნენ ამას მთავრობისადმი მიმართვებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში: საქართველოში არც ერთი რელიგია არ იდევნება, მართლმადიდებლურის გარდაო. ეროვნულ უმცირესობათა სკოლები იმაზეც კი გამოხატავდნენ პროტესტს - რატომ ავალებდნენ ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას, რაც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოში[23].

თბილისში არსებობდა გერმანული რეალური გიმნაზია, რომლის შესახებ სახალხო განათლების სამინისტროსადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ საშუალო სკოლების დაარსების იდეა დიდი ხანია ჰქონდა ადგილობრივ გერმანულ საზოგადოებას. კავკასიაში ამ დროს 20 ათასი გერმანელი ცხოვრობდა, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ კულტურული ერთობა და ეროვნული თვითშეგნება. ძველი რეჟიმის დროს ეს იდეა ვერ განხორციელდა, რადგან მთავრობის მხარდაჭერა არ იყო, მას შემდეგ კი, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, თანაც გერმანია-საქართველოს პოლიტიკური კავშირიც შეიკრა, გერმანელთა მისიამ მხარი დაუჭირა იმგვარი სასწავლებლის გახსნას, სადაც გერმანელი ახალგაზრდები მშობლიურ გერმანულ ენაზე მიიღებენ განათლებასო. სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯებს კისრულობდა „ადგილობრივი სამწყსო" - გერმანული საზოგადოება.

გერმანული გიმნაზია გაიხსნა 1918 წლის 15 ოქტომბერს. თავდაპირველად შენობის სიმცირის გამო, შეიქმნა ორი შერეული კლასი - მეხუთე და მეექვსე, თითოში 8 ბავშვით. ამ 16 მოსწავლიდან 10 - სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლე იყო, 2 - ეკატერინოფელდის სასწავლებლის, 4 - რუსული გიმნაზიების. მე-6 კლასის კონტიგენტი ამგვარად შედგა: ლათინური შესაფერისი მომზადების შემდეგ, პირდაპირ მე-6 კლასში დასვეს - 2 ბავშვი, დანარჩენი გადმოიყვანეს რუსული გიმნაზიებიდან. ნამდვილი მსმენელის გარდა, გიმნაზიას ჰყავდა თავისუფალი მსმენელები, როგორც გერმანელები, ისე ქართველები, ისინი იხდიდნენ გადასახადს - 100 მანეთს.

სასწავლებელში 7 პედაგოგი იყო, მაგრამ ერთი, როგორც ოფიცერი, გააძევა ინგლისის წარმომადგენლობამ. ამან განაკვეთი გაზარდა და მასწავლებლებს 24 საათზე მეტი გაკვეთილი ჰქონდათ. ზოგჯერ ზოგიერთი მასწავლებელი 3-4 საგანსაც ასწავლიდა[24].

სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: გერმანული ენისა და ლიტერატურის, ასევე გერმანიის ისტორიის გარდა, ლათინური (4 საათი), მათემატიკა (2), გეოგრაფია (2), ქართული ენა (3), ქართული წერა (2), ისტორია (3), რუსული ენა (3), გეომეტრია (2), საღმრთო სჯული (1), ფიზიკა (1).

სასკოლო ენა იყო გერმანული, ამიტომ შეგირდები ზოგიერთი საგნის სპეციალური ტერმინოლოგიის უცოდინარნი აღმოჩნდნენ, ზოგჯერ აერთებდნენ კლასებს სხვადასხვა საგნებში.

სამინისტრომ გერმანულ გიმნაზიას 10 ოთახიანი შენობა დაუთმო, რომელიც მას ეკუთვნოდა, თუმცა მისმა ადრინდელმა მეპატრონემ, კოვალენსკიმ, დიდი დავა გამართა შენობაზე, გააქირავა იგი და გიმნაზიას გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

გიმნაზიაში მძიმე იყო სახელმძღვანელოების საკითხი. ვინაიდან ყველა საგანი გერმანულ ენაზე ისწავლებოდა, საჭირო იყო სახელმძღვანელოების გამოწერა გერმანიიდან. საქართველოს მთავრობა და განათლების სამინისტრო ამას აკეთებდა კიდეც, მაგრამ ევროპის ქვეყნები დამარცხებული გერმანიის ტვირთს არ ატარებდნენ. ამან დიდი გავლენა იქონია სწავლის ხარისხზე. ოღონდ ესაა, კლასების სიმცირის გამო, რაც ნასწავლი ჰქონდათ, ძალიან კარგად სცოდნიათ[25].

1918 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს განათლების სამინისტროს ოსთა ეროვნულმა საბჭომ წარუდგინა მოთხოვნა ცხინვალში ოსური გიმნაზიის დაარსების შესახებ, სადაც სწავლება ოსურად და რუსულად იქნებოდა[26].

განათლების სამინიტრომ განიხილა მიმართვა და უარი განაცხადა ფინანსური მდგომარეობის გამო; თუ ამას არ დაჯერდებოდა ოსთა ეროვნული საბჭო, მას უფლებას აძლევდნენ, საკუთარი ხარჯებით გაეხსნა ასეთი სასწავლებელი, ოღონდ სწავლება მხოლოდ ოსურ ენაზე უნდა ეწარმოებინათ და არა ოსურ-რუსულად. ეს, რა

თქმა უნდა, ცალმხრივი დათმობა იყო, რადგან ქართულ მხარეს უნდა მოეთხოვა ოსურ გიმნაზიაში სწავლება ოსურთან ერთად საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ქართულადაც. ამასთან, სამინისტრო იუწყებოდა, რომ მთავრობის მიერ მონონებული პროექტი ოსურ ენაზე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნის თაობაზე ცხინვალში, უკვე არსებობდა[27].

საქართველოს განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთის სკოლებს. აქაურ სკოლებში პედაგოგები იგზავნებოდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან, მაგრამ ძირითადად სამასწავლებლო კადრებს თვით სოხუმის სამასწავლებლო სემინარია ამზადებდა, რომელიც სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა.

ეს სასწავლებელი დაამთავრა ცნობილმა აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ - დიმიტრი გულიამ. მან სახელმწიფო-საგამოცდო ნაშრომად წარადგინა - „აფხაზეთის ხალხური ეპოსი", რომელიც კომისიამ ფრიადზე შეაფასა და დაადგინა, რომ მიეცა მისთვის აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება სამასწავლებლო ინსტიტუტში[28].

არა მარტო საქართველოში მცხოვრები ერები, არამედ მეზობელი ქვეყნებიც აყენებდნენ წინადადებას, ესწავლებინათ ქართულ სკოლებში მათი ენა და კულტურა. თურქეთის მთავრობას მიუმართავს კონსტანტინოპოლში მყოფ საქართველოს მისიისათვის კითხვით: ასწავლიდნენ თუ არა საქართველოს სკოლებში - სავალდებულო საგანდ - კავკასიის ისტორიას, ოსმალეთისა და სპარსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას, მათ ენებს[29].

პასუხად სამინისტრო იუწყებოდა, რომ საქართველოს სკოლებში მეზობელი ქვეყნების ისტორია და გეოგრაფია იმდენად ისწავლებოდა, რამდენადაც იგი უკავშირდებოდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებს.

პასუხში ნათქვამი იყო, რომ განათლების სამინისტროსთან არსებული სასკოლო რეფორმის კომიტეტი არკვევდა სკოლების ტიპებს, საფეხურებსა და სასწავლო გეგმებს. იგი დასვამდა და გადწყვეტდა მომავალში აღმოსავლეთის ხალხთა ენების შესწავლის საკითხსაც. რაც შეეხებოდა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს - თათრულს, სომხურს და სხვა, ისინი არსებობდნენ საქართველოში და მათში ისწავლებოდა კიდეც ეროვნული საგნები: ენები, ისტორია და გეოგრაფია[30].

4. მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი

1918-1921 წლებში მთელი საქართველოს მოსახლეობას უჭირდა. რადგანაც ქვეყანა ომის პირობებში ცხოვრობდა. განსაკუთრებით ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის, პედაგოგთა ეკონომიკური მდგომარეობა იყო მძიმე. თვეების მანძილზე მათ არ ეძლეოდათ ხელფასები, რომელიც თავისთავად ისე მცირე იყო, რომ მასწავლებელთა მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

საქართველოს ყველა რაიონში გახშირდა მასწავლებელთა გაფიცვები, რაც მუშაობას უძნელებდა განათლების სამინისტროს, ძაბავდა ქვეყანაში შექმნილ ისედაც მძიმე პოლიტიკურ სიტუაციას. ამიტომ, გაფიცვის ყველა შემთხვევას სამინისტრო სპეციალურ სხდომაზე იხილავდა და მთავარგამგეებს გზავნიდა ადგილებზე მდგომარეობის გასარკვევად. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერი იყო ფოთის მასწავლებელთა გაფიცვა 1919 წლის იანვარში[1].

ამ საკითხს მიეძღვნა ამავე წლის 23 თებერვალს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში შემდგარი აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გამგეობის კრება. ითქვა, რომ სასწრაფოდ უნდა გამოსწორებულიყო მდგომარეობა, მიემართათ მთავრობის თავჯდომარისა და განათლების მინისტრისათვის ამ საქმეში დასახმარებლად, რათა სხვებსაც „არ მიებაძათ და დაეწყოთ გაფიცვები, რითაც შეფერხდებოდა ნორჩი რესპუბლიკის სწავლა-განათლების საქმე"[2].

გაზეთი „სახალხო საქმე" წერდა სკოლებში შექმნილ მდგომარეობაზე, დაბალ ხელფასებზე, სასწავლო ინვენტარის ნაკლებობაზე, გათბობისა და შენობის უვარგისობაზე და სხვ. ერთ-ერთ წერილში განათლების პასუხისმგებელი მუშაკი - გიორგი ჭუმბურიძე წერდა, რომ სკოლა ასეთ მძიმე პირობებში ვერ შეასრულებდა საჭირო ფუნქციას, ახალი ტიპის სკოლის შექმნამდე, ძველს უნდა შეესრულებინა ახალგაზრდობის აღზრდის მოვალეობა. მისი თქმით, ინსტრუქტორები უძლურები იყვნენ პრაქტიკულად დახმარებოდნენ სკოლებს პრობლემების მოგვარებაში, ისინი მხოლოდ რჩევა-დარიგებების მიცემით ასრულებდნენ მოვალეობას.

სკოლა მხოლოდ ერობებისა და ქალაქის თვითმმართველობის იმედზე იყო.

1919 წლის თებერვალში, თბილისში გამართულმა საქართველოს ერობის წარმომადგენელთა ყრილობამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა, რომ ერობასაც და ქალაქის თვითმმართველობასაც სკოლისადმი დახმარებაში ავტონომიურად უნდა ემოქმედა, თუმცა ეს დამოკიდებულება თვითნებობად არ უნდა გადაქცეულიყო[3].

აქამდე საშუალო სახელმწიფო სკოლების მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა განისაზღვრებოდა 1912 წლის 10 მაისის და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოღებული 1912 წლის 3 მარტის კანონით.

1912 წლის 10 მაისის კანონით უმაღლესდამთავრებულ მასწავლებელს საშუალო სკოლაში ეძლეოდა თვეში

195 მანეთი. 3 მარტის კანონით კი, ფულის გაუფასურების გამო, მას მიეცა დამატება თვეში 300 მანეთი. მასწავლებელთა მთელი თვიური ჯამაგირი არ აღემატებოდა 495 მანეთს[4]. ესეც ძალიან ცოტა იყო, რადგან სწრაფი ინფლაციის პერიოდში იგი კარგავდა რეალურ ძალას. ამიტომ 1918 წლის 18 ოქტომბრის კანონით დაბალი კლასების მასწავლებლებს, ნაცვლად 210 მანეთისა, დაენიშნათ თვიურად 400 მანეთი, მაგრამ, ვინაიდან არც ეს თანხა უზრუნველყოფდა მასწავლებლებს, სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი მასწავლებელთათვის 3-წლიან დამატებათა დანიშვნის შესახებ. ასევე შემოღებული იქნა 8 სამწლიანი დამატება.

1918 წლის ნოემბერში სამინისტრომ შეადგინა კანონ-პროექტი უმაღლესდაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო აღნიშნული კანონი, რომლის მიხედვით მასწავლებელთა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა.

ამავე დროს შემუშავდა კანონპროექტი სატეხნიკო და საპროფესიო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ[5].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართულ სკოლას ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ეხმარებოდა, ესენი იყვნენ უწინარესად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და თავადაზნაურთა საზოგადოებები. მაგრამ, 1917 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ თავადაზნაურთა საზოგადოებამ ვეღარ შეძლო ამ მოვალეობის შესრულება და სკოლა დარჩა უპატრონოდ. საქართველოს ეროვნული საბჭო მას ეხმარებოდა, მაგრამ ეს დახმარება იმდენად მცირე იყო, რომ მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა სკოლის მოთხოვნებს. ამიტომ, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სწავლა-განათლების საკითხებზე მთლიანად სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა. სკოლათა დიდი ნაწილი გადადიოდა სახელმწიფო დაფი-

ნანსებაზე, ნაწილი კი კერძო სექტორში რჩებოდა, თუ-მცა ეს კერძო სკოლებიც, უსახსრობის გამო, ხშირად მი-მართავდნენ დახმარებისთვის სახელმწიფოს, ამ უკანა-სკნელს კი, უაღრესად გართულებული პოლიტიკური სი-ტუაციის გამო, როდესაც ბოლშევიკებისა თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის დამოუკიდებ-ლობის კბილებით დაცვა უხდებოდა, უჭირდა ეკონომი-კურად, ამიტომ სკოლასაც ვერ ეხმარებოდა ისე, რო-გორც ეს საჭირო იყო, ანდა ამას სასკოლო-საგანმანათ-ლებლო რეფორმის სრულყოფილი გატარება მოითხო-ვდა.

სამთავრობო გაზეთი „ერთობა", 1918 წლის 21 ივ-ლისის ნომერში მეტად პათეტიკურად მიმართავდა მძიმე მატერიალურ მდომარეობაში ჩავარდნილ პედაგოგებს.

პუბლიცისტი გამოთქვამდა იმედს, რომ მასწავლებ-ლები გაამართლებდნენ საზოგადოების დიდ იმედებს, დაუმტკიცებდნენ მთავრობას, რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა". წერილში ვკითხულობთ: „თავისუფალი ეროვნული სკოლა უკვე ფაქტია, სოფლის მასწავლე-ბლის დიდი ხნის სულის სწრაფვა - სკოლის ნაციონალი-ზაცია, - განხორციელების სფეროში გადადის, ის სულ-თამხუთავი, რომელიც თავის ცირკულარებით სულს აც-ლიდა სკოლას, ჰბორკავდა მასწავლებელს, ფრთებს აჭ-რიდა მის თავისუფალ ინიციატივას და სულ იმის ცდაში იყო, რომ სულიერათ და ხორციელათ საღი მოქალაქეე-ბის ნაცვლად სკოლას ეწვრთნა ტახტისა და სამშობლო-სთვის უანგარო, უიდეო, უპრინციპო, საკუთარ ნებისყო-ფას მოკლებული ტიკინები - სამუდამოდ ისტორიას ჩა-ბარდა და მასწავლებლის შემოქმედებითმა ნიჭმა ფართო გასავალი იპოვა"[6].

წერილში დასმული იყო ყველა ის პრობლემა, რაც ამ დროს იდგა ქართული სკოლის წინაშე, პედაგოგთა კვალიფიკაციის, სახელმძღვანელოების, სასკოლო პრო-გრამების, ზოგადი განათლებისა და პროფესიონალური სკოლების ახალი ტიპების ჩამოყალიბების, ახალი ქარ-

თული ტერმინოლოგიის შექმნის და სხვა საკითხები. სახალხო მასწავლებლებს - პუბლიცისტის აზრით, - ზედმეტი იმედები არ უნდა დაემყარებინათ განათლების სამინისტროს ყოვლისშემძლეობაზე, ისინი თავად უნდა გარკვეულიყვნენ მეტად რთულ სკოლის ნაციონალიზაციის საქმეში. და ეს უნდა გაკეთებულიყო მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური სტაბილურობა, მეფობდა არნახული სიძვირე და შიმშილი, ნახევრად მშიერ და შიშველ სოფლის მასწავლებელს უდიდესი მისია ეკისრებოდა ქვეყნისა და ახალგაზრდობის წინაშე. ძნელი იყო ეს მისია, მაგრამ, როგორც პუბლიცისტი შუბნელი წერდა, - მასწავლებელს ყოველთვის უჭირდა, მაგრამ ყოველთვის დებდა თავის თავს მსხვერპლად ერის საკეთილდღეოდ[7].

პუბლიკაცია მთავრდებოდა ქართველი პედაგოგებისადმი მიმართვით: „ღირსეული წინაპრების და უძვირფასესი მარგალიტის მემკვიდრეე, სოფლის მასწავლებელო, ნუ დაუშვებ დაბლა იმ შენი წინაპრების დროშას, ნუ უღალატებ სახალხო მასწავლებლის ტრადიციას! ერთხელ კიდევ შეიშმუშნე მძიმე ჯვარით დაშვებული მხრები, დაეშურე სოფლად კულტურული მუშაობის გაჩაღებას და მით მხარი დაუჭირე მთავრობას, როგორც ანარქიასთან ბრძოლაში ისე სააღმშენებლო მუშაობაში. ნუ დაივიწყებ, რომ უდიდესი აქტის წინაშე დგეხარ, რაც შენგან გაორკეცებულ მხნეობას და ენერგიას მოითხოვს... ყური მიაპყარ! უკვე ისმის იმ ახალშობილის ტირილი, რომელიც ძიძას, მომავალს დაეძებს და ვინ უნდა იკისროს ეს ძიძაობა, თუ არა შენ, მისმა მოჭირნახულემ? თავი აართვი გულგატეხილობას. წრფელი გულით და განახლებული სულით კრძალვით მიუახლოვდი თავისუფალი სკოლის კედლებს, ამ ჩვენი მომავალი, სულიერად და ხორციელად საღი მოქალაქეების აღსაზრდელ აკვანს და მეტი მხნეობით, მეტი ოსტატობით და ცოდნით დაარწიე იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ...“[8].

მასწავლებლებმა თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი 1918-1919 სასწავლო წლის დასაწყისშივე დააყენეს თავიანთი პროფესიული კავშირის წინაშე, რის შედეგადაც საქართველოს განათლების მინისტრმა ამ საკითხზე მოხსენება წარუდგინა ეროვნულ საბჭოს. სამინისტრო ითხოვდა თვეში 115 მანეთის დამატებას პედაგოგებისათვის, რაც, არსებულ ხელფასთან ერთად, 325 მანეთს შეადგენდა, მაგრამ, ვინაიდან ინფლაცია სწრაფად მიდიოდა, ეროვნული საბჭოს სასკოლო კომისიამ მინისტრის მოხსენების განხილვის შემდეგ მასწავლებელთა ხელფასი 400 მანეთამდე გაზარდა. სასკოლო სექციამ ეს გადაწყვეტილება აცნობა ეროვნულ საბჭოს, რომელმაც დაამტკიცა იგი[9].

რაც შეეხებოდა ჯამაგირების დროზე მიცემას, აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გამგეობის თავჯდომარემ - რ. ბურჯანაძემ და სიღნაღის ფილიალის განყოფილების გამგემ - ნიკოლოზ ყაზბეგმა პირადად ინახულეს განათლების მინისტრის ამხანაგი და ამ საკითხზე დახმარება ითხოვეს. სამინისტრომ მათ აღუთქვა დახმარება[10].

მთავრობის სპეციალურ სხდომაზე 1918 წლის დეკემბერში კვლავ იქნა განხილული ეს საკითხი. მიღებული დადგენილებით განათლების მინისტრს დაევალა წარედგინა ცნობები იმ თანხის რაოდენობის შესახებ, რომელიც საჭირო იყო უმაღლეს დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში მომსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ამ ცნობის მიხედვით განხილული იყო ამ საკითხზე შედგენილი კანონ-პროექტი[11]. საერთოდ, სახელმწიფოს კრიზისული ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა სკოლებზე გასაწევი ხარჯების გაზრდის საშუალებას. განსაკუთრებით მძიმე იყო 1918-1919 სასწავლო წელი, როდესაც ქართულ სკოლას ჯერ კიდევ რუსული სკოლის ნაანდერძევი ტრადიციები ჰქონდა. რუსეთში კერძო ინიციატივა სკოლის ორგანიზაციის საქმეში ნაკლები იყო, საშუალო განათლება

უშუალოდ სახელმწიფო ხარჯით ვრცელდებოდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჰკიდებდნენ ამ საქმეს ხელს, საქართველოში კი სკოლის შესანხი ხარჯების გაღება ახლად დაარსებულ ერობებსა თუ ღარიბ ქალაქის თვითმმართველობებს არ შეეძლოთ, მთავრობა სწავლის ფულის გაზრდასაც ერიდებოდა, რადგან ის მოწაფეთა ერთი ნაწილის სკოლიდან გასვლას გამოიწვევდა, ამიტომ სამინისტროს მიაჩნდა, რომ ასეთ არაორდინალურ სიტუაციაში რაიმე საშუალო გზა აერჩია[12].

სამინისტროს, რომელიც ეძებდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებას სკოლების დარგში, 1918 წლის ნოემბერში შედგენილი, მთავრობაში წარსადგენი მოხსენებითი ბარათით, მიაჩნდა, რომ უნდა გაეანალიზებინა ეს გამოცდილება.

ევროპის ქვეყნებიდან - ინგლისი მთლიანად ინახავდა საშუალო სკოლებს, გერმანია - სანახევროდ; ინგლისი სკოლებს ინახავდა შემოწირული კაპიტალის პროცენტებით, სულ ცოტა თანხას ამატებდა ამ პროცენტებს. ინგლისში, სამინისტროს ცნობით, იყო 800-მდე სკოლა, რომელსაც 500-600 წლის ისტორია ჰქონდათ და მათი რენტა ყოველწლიურად 50 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. არ იყო ისეთი სასწავლებელი, რომელსაც 1000 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი არ ჰქონოდა. ასეთი რამ საქართველოში არ არის და ამიტომ ჩვენო - გერმანიის და საფრანგეთის მაგალითებით უნდა ვიხელმძღვანელოთო.

ეს ქვეყნები მხოლოდ სკოლების განსაზღვრულ რიცხვს ინახავენ თავიანი ხარჯზე, ჩვენ წელს ასე მოვიქცევით, შემდეგ კი საჭირო გახდება სკოლების განსაზღვრა და სახელმწიფო ხარჯების შემცირება განათლების დარგშიო[13].

დოკუმენტში ჩამოთვლილი იყო სკოლები და მათზე გაწეული ხარჯები:

საქართველოს სრესპუბლიკაში,- ნათქვამი იყო მასში,- 24 ვაჟთა გიმნაზიაა (ამასთან 4 ოთხკლასიანი, და-

ნარჩენი 8 კლასიანი), 3 რეალური სასწავლებელი, 21 ქალების გიმნაზია, 4 საოსტატო სემინარია, ერთი ინსტიტუტი და 3 კომერციული სასწავლებელი (2 თბილისში და 1 ქუთაისში).

23 ვაუთა გიმნაზიაზე იხარჯება 557 267 მანეთი და 85 კაპ. რეალურ სასწავლებლებზე 223 149 მან. და 08 კაპ., საოსტატო სემინარიებზე და ინსტიტუტებზე - 484 791 მან. 50 კაპ., 21 ქალთა გიმნაზიაზე 323 755 მან. და 90 კაპ., სულ 1940963 მან. 93 კაპ. კომერციულ სასწავლებლებზე იხარჯება მხოლოდ ის თანხა, რაც გაანგარიშებულია 1918 წლის 3 მარტის კანონით. გარდა ამ ხარჯებისა, სახელმწიფო ხაზინიდან, საშუალო სკოლებს ეძლევათ დამატება. ეს ხარჯები შეადგენს 5 137 703 მანეთს და 65 კაპ-ს. ეს ხარჯები გაცილებით მეტია, რადგან 3 მარტის კანონით დამატებული ხარჯების ცნობები ჯერ ბევრ სკოლას არ წარუდგენია. ასე რომ, მთლიანი ხარჯები საშუალო სკოლებზე შეადგენს 7138171 მანეთსა და 29 კაპიკს.

ამ დოკუმენტით, ერთი საშუალო სასწავლებლის (ერთ კომპლექტიანი) ხარჯები ამ დროისათვის უდრიდა 236 378 მანეთს[14].

ცოტა მოგვიანებით, 1919 წლის 16 დეკემბერს შედგენილი დოკუმენტით, ეს ხარჯები გაზრდილია და იგი შეადგენს 292 680 მან., ორკომპლექსიანი საშუალო სკოლის შესანახი ხარჯი კი 520 460 მანეთია. ამ დოკუმენტით ისიც ჩანს, რომ საოსტატო ინსტიტუტსა და სემინარიას თბილისში საკუთარი ბინა ჰქონია, სოხუმის სემინარია კი ნაქირავებ ბინაში ყოფილა და დამატებით, ბინის ქირად ჭირდებოდა 8000 მანეთი[15].

სამინისტროს მიაჩნდა, რომ დროებით, 3 წლის მანძილზე, პარალელური კლასების შესანახად ხაზინიდან უნდა გამოეთხოვა დახმარება სკოლებისათვის, არაუმეტეს 5400 მანეთისა, თითოეულ პარალელურ კლასზე. სკოლების დირექტორებს უფლება ჰქონდათ ავანსად მიეღოთ 1000 მანეთამდე თანხა სამეურნეო ხარჯისათვის.

სკოლების შენობების შესანახად თანხა გაიცემოდა ადგილობრივი პირობების მიხედვით[16].

დაბალი ხელფასები, რომელსაც თავის დროზეც ვერ ღებულობდნენ, ბევრ მასწავლებელს აიძულებდა ან დაეტოვებინა სკოლა, ანდა პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა. გახშირდა მასწავლებელთა გაფიცვები.

1918 წლის 12 დეკემბერს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გაფიცვის მომწყობმა ბიურომ გაავრცელა მიმართვა, რომელშიდაც ეწერა: „ამით გაცნობებთ, რომ დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლებლების მასწავლებელთა კავშირის კანონიერმა კრებამ 8 დეკემბერს ამა 1918 წელს, იქონია რა მსჯელობა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: კატეგორიულად მოეთხოვოს მთავრობას, რომ საშუალო სასწავლებელთა ახალი შტატების კანონპროექტი დაუყოვნებლივ იქნას გატარებული ცხოვრებაში იმ სახით, რა სახითაც ის წარდგენილ იყო განათლების მინისტრის მიერ მთავრობაში განსახილველად. თუ ვინიცობაა, ეს კანონპროექტი არ იქნა გატარებული 22 დეკემბრამდის (ახალი სტილით), დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირი აცხადებს გაფიცვას სრულიად დასავლეთ საქართველოს ყველა საშუალო სასწავლებელში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძოში)"[17].

ეს დადგენილება იმავე დღეს დეპეშით ეცნობა მთავრობის თავჯდომარეს და განათლების მინისტრს.

კრებამ ამ დადგენილების განსახორციელებლად აირჩია 11 კაციანი გაფიცვის მომწყობი ბიურო, რომელმაც დაადგინა: თუ 23 დეკემბრამდე არ იქნებოდა მიმართვა განხორციელებული, დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის მოთხოვნა თუ არ დაკმაყოფილდებოდა, 23 დეკემბერს შეწყდებოდა სწავლა და დაიწყებოდა გაფიცვა. ეს დადგენილება საგაფიცვო ბიურომ დაუგზავნა ყველა სკოლის დი-

რექციას, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა ამ დადგენილებაზე მინაწერი შენიშვნა: შეეკრიბა პედეგოგიური კოლექტივი, წაეკითხა მათთვის დადგენილება და ეცნობებინა საგაფიცვო ბიუროს გადაწყვეტილება.

1919 წლის მძიმე ეკონომიკური პირობებიც აისახა სკოლის და მასწავლებელთა ცხოვრებაზე.

არანაკლებ მძიმე ვითრება შეიქმნა 1920 წელს, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება გართულდა. მასწავლებელთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, სახელმძღვანელოების უქონლობაზე, ერობების მხრიდან სკოლებისადმი უყურადღებობაზე წერდა გაზეთი „მიწა". „ცოტა კიდევ ხანი ამისთანა მოღვაწეობისა და განათლების საქმე საქართველოში ისეთივე კატასტროფით დამთავრდება, როგორც ეკონომიური და ფინანსური საქმეები, რაც რესპუბლიკას კულტურული გადაშენებით დაემუქრება",- აღნიშნავდა გაზეთ „მიწის" პუბლიცისტი[18].

გაზეთი „საქართველო" მასწავლებელს, მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს მიიჩნევდა სკოლის ქვაკუთხედად, თავისთავად სკოლას კი - ერისა და ქვეყნის საფუძვლად. „ჭეშმარიტი მასწავლებლობა ძნელია,- წერდა გაზეთის კორესპონდენტი - ძმუისელის ფსევდონიმით.- არც არავინ უნდა იკისროს იგი ლუკმა პურის შოვნისათვის და არ ჩადგეს უმანკო მოზარდთა ცოდვაში. შედეგი ამ ხელობის აბუჩად აგდებისა მალე არ გამომჟღავნდება. ერი თავის პედაგოგთა უხეირობას მთელი მოდგმის შემდეგ იგემებს ხოლმე. მასწავლებლის დამფასებელი საზომი მისი პიროვნება და მის მიერ მიცემული გაკვეთილებია".

იგი არ თვლიდა დამაკმაყოფილებლად ამ დროინდელ ქართულ სკოლას, აყენებდა მისი გაჯანსაღების საკითხს[19].

საჩხერელ პედაგოგთა ხელმოკლეობასა და საშინელ პირობებზე ლაპარაკობდა „სახალხო საქმის" კორესპონდენტი - „აბანოელი" - წერილში - „მასწავლებლის

მდგომარეობა", ავტორი წერდა: „საცოდავი მასწავლებლები! მათ არა აქვთ უფლება მოჰშივდეთ, მოსწყურდეთ, ჩაიცვან, დაიხურონ და თურმე, არ ჰქონიათ უფლება შესცივდეთ, ნუთუ მართლა მასწავლებლებს აკვანში სწყევლის ვინმე და შუბლზე წარწერას უკეთებს, რომ ის მთელ სიცოცხლეში უნდა იყოს უბედური?"

ავტორი აღწერდა საჩხერის სკოლებში ნოე რამიშვილის სტუმრობას, რომელსაც მასწავლებლებმა შესჩივლეს თავიანთ მდგომარეობაზე, რისთვისაც საჩხერის ერობის გამგისაგან დიდი საყვედური მიიღეს[20].

თელავის გიმნაზიაში შექმნილ მდგომარეობაზე და მისი დირექტორის - კლიმიაშვილის არაპედაგოგიურ საქციელზე წერდა კორესპონდენტი ამავე გაზეთში[21], რასაც მშობლები უარყოფდნენ[22].

ზუგდიდის მაზრაში სახალხო მასწავლებლების მდგომარეობას ეხებოდა „სახალხო საქმეში" 1920 წლის 18 აპრილს გამოქვეყნებული წერილი, სადაც საუბარი იყო ზუგდიდის ერობის ცინიკურ დამოკიდებულებაზე აქაური სკოლებისადმი, მასწავლებლების ხელმოკლეობასა და სოციალ-დემოკრატი ერობელების მიერ ჩადენილ მრავალ მიუღებელ საქციელზე: მათ გაუუქმებიათ მასწავლებელთა დახმარება პრდუქტებით თუ სამეურნეო მასალებით, მასწავლებელთათვის არ მიუმატებიათ მანეთიც კი, როდესაც თავისი კანცელარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირები გაუდიდებიათ. ერობის კანცელარიის გადამწერის ხელფასი 2500 მანეთია, როდესაც მასწავლებელი, ყველა დამატებით, ძლივს ადის 2480 მანეთამდე და მაინც არ აძლევენო. ჯამაგირს ერობა უკავებს მასწავლებლებს, მას საკუთარი ხარჯებისათვის იყენებსო. ერთი ასეთი შემთხვევის გამო ზუგდიდელი მასწავლებლები დეპეშასაც კი უგზავნიდნენ მთავრობის მეთაურს, სახალხო განათლების მინისტრს და სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს. და მხოლოდ ამის შემდეგ მიუციათ მათთვის ჯამაგირები.

წერილის ავტორი დადებითად ახასიათებს ზუგდიდის თვითმმართველობას, რომელიც 600 მანეთიან დამატებას აძლევდა მასწავლებლებს ყოველთვიურად. „ძველი რეჟიმის დროს რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ძალიან ხშირად უწოდებდნენ ხალხის დაბნელების სამინისტროს და ზუგდიდის მაზრის მესვეურნიც უნდა ერიდონ, რომ არ დაიმსახურონ ასეთი სახელწოდება,- ასკვნიდა პუბლიცისტი[23].

მიუხედავად მასწავლებელთა უკიდურესი მდგომარეობისა, რაც იწვევდა გაფიცვებს, პრესა და საზოგადოების ნაწილი გმობდა მას, არ ამართლებდნენ გაფიცვების მომწყობთ, რადგან გაჭირვებულ ქვეყანაში მასწავლებელთა გასაჭირს მიიჩნევდნენ ჩვეულებრივ მოვლენად.

როდესაც 1920 წლის 12 მარტს შორაპნის მაზრის მასწავლებლებმა უკიდურესი გაჭირვების გამო გაფიცვა გადაწყვიტეს, მასწავლელთა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ 16 მარტს საგანგებო სხდომა გამართა და დაგმო ამგვარი გადაწყვეტილება. საბჭო მიიჩნევდა, რომ ეს იყო არასწორი ნაბიჯი, მასწავლებლებს უნდა მიეღოთ ქვეყნის განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მხედველობაში, გაფიცვა ასეთ პირობებში, მათი აზრით, იყო „ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი"[24].

პრესა იუწყებოდა გაფიცვების მომზადებას სენაკში, ზუგდიდში, ქალაქ ქუთაისისა და მისი რაიონის სკოლებში, ხონში, რაც კიდევ უფრო აძაფრებდა ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას[25].

განსაკუთრებული დიაპაზონი მიიღო ხონის საოსტატო სემინარიის გაფიცვამ, მათ მიმართვა გაუგზავნეს მთავრობას, სადაც აპროტესტებდნენ სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობას[26].

მასწავლებლები უკმაყოფილონი იყვნენ იმითაც, რომ ზოგიერთი საგნის სწავლება იყო უფასო. მაგ.: ხატვა, ხაზვა, ხელგარჯილობა, გალობა და გიმნასტიკა შე-

დიოდა საერთო-სასწავლო დისციპლინებში და არავითარი ცალკე გასამრჯელო ამისთვის მასწავლებლებს არ ეძლეობათ[27].

გაფიცვის ხანგრძლივობამ და დაძაბულობამ ისე შეაშინა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორი ხარაბაძე, რომ იგი განათლების სამინისტროს დეპეშებს უგზავნიდა შექმნილ მდგომარეობაზე და დახმარებას თხოვდა[28].

იმავდროულად გაიფიცნენ თბილისის საბებიო სკოლა და გორის ვაჟთა გიმნაზია, სოხუმის რაიონის სკოლები და სხვ.[29]

მასწავლებლების უკმაყოფილებას ზრდიდა ისიც, რომ მათ აკრძალული ჰქონდათ კერძო პედაგოგიური პრაქტიკა. 1920 წლის თებერვალში განათლების სამინისტროს სპეციალური ბრძანებით აიკრძალა კერძო მეცადინეობა მასწავლებლისა საკუთარ მოწაფესთან. იგი მხოლოდ მაშინ გააკეთებდა ამას, თუ ქალაქში საგნის სხვა მასწავლებელი არ იყო და პედსაბჭო სპეციალურ დადგენილებას გამოიტანდა პედაგოგის ასეთ საქმიანობაზე[30].

სკოლებს აკრძალული ჰქონდათ ფასიანი ლიტერატურული საღამოებისა და თეატრალური წარმოდგენების გამართვა, რაც წაადგებოდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას[31].

თუ დამოუკიდებლობამდე ქართული სკოლები ამგვარი საქველმოქმედო ღონისძიებებით ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ, ახლა ამგვარი ქმედება დანაშაულად ითვლებოდა, სახელმწიფო კი ყოველგვარ ხარჯებს ვეღარ აუდიოდა და სკოლაც უსახსროდ რჩებოდა. ამ გაჭირვებას ისიც ემატებოდა, რომ ყველა სკოლა იხდიდა შემოსავლებიდან 7%-იან გადასახადს განათლების სამინისტროს სპეციალური ფონდისათვის, რაც ამცირებდა თავად სკოლების სპეც. ფონდებს, იგი იმისთვისაც კი აღარ იყო საკმარისი, რომ ღატაკი მასწავლებლის დაკრძალვის ფული გაეღოთ. ამიტომ სკოლები

ხშირად არ იხდიდნენ ამ გადასახადს. 1919-20 სასწ. წელს ეს გადასახადი მხოლოდ 5 სკოლამ გადაიხადა, რაც გააპროტესტა სამინისტრომ და გარკვეული სასჯელითაც დაემუქრა მათ. „სამინისტრო ითხოვს დაიცვან ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე პასუხისმგებელ მოხელეს გადახდება მის მიერ შეუტანელი მთელი თანხის 1% თვიურად",- ეწერა სამინისტროს სპეციალურ მიმართვაში საშუალო სასწავლებელთა უფროსებისადმი[32].

1920 წლის იანვრიდან, ახალი ადმინისტრაციული მოწყობის გამო, განათლების სამინისტროს პორთფელი შეუთავსდა შინაგან საქმეთა მინისტრს - ნოე რამიშვილს. ამის გამო ეროვნული ოპოზიცია აკრიტიკებდა მთავრობას. თვლიდნენ, რომ რამიშვილი ამ თანამდებობისთვის შეუფერებული იყო, თუმცა იგი შესანიშნავი იყო თავის წინანდელ პოსტზე.

1920 წლის იანვარში, თბილისის რეალური სასწავლებლის დარბაზში გაიხსნა მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობა.

ყრილობა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ - ალექსანდრე მდივანმა.

მასწავლებელთა კავშირის შექმნასა და მის მიერ მოწვეულ ამ ყრილობას დიდ შეფასებას აძლებდა პრესა. გაზეთი „სახალხო საქმე" არც სკოლაში არსებულ ნაკლოვანებებს მალავდა, აღნიშნავდა მასწავლებელთა კადრების მოუმზადებლობასა და სიმცირეს[33].

ყრილობამ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელა.

სიტყვით გამოვიდა ახალი მინისტრი - ნოე რამიშვილიც. მან აღნიშნა, რომ სკოლა უნდა ქცეულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის ქვაკუთხედად, საქართველოში უნდა მომხდარიყო საყოველთაო სწავლა-განათლების გავრცელება, სკოლას უნდა შეეძინა ისეთი იდეური მასწავლებლები, რომლებიც კულტურულად და სულიერად აამაღლებდნენ ჩვენს ერს[34].

მინისტრის შემდეგ ყრილობას მიესალმა დამფუძნებელი კრების თავჯდომარის ამხანაგი - სიმონ მდივანი. ბედი და იღბალი ჩვენი ძვირფასი სამშობლოსი, მისი დემოკრატიის, მისი ახალგაზრდობისა, მასწავლებელთა ხელშია, - თქვა მან, - ჩვენი ერის სიმცირე, ეს უდიდესი ჩვენი ნაკლი, კულტურის გაძლიერებით უნდა შევავსოთ. ამჟამად, როდესაც თქვენს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიასა და სიყვარულს ფართო ასპარეზი მიეცემა, ეჭვი არ არის, თქვენ შეძლებთ აუნაზღაუროთ სამშობლოს ასი წლის უბედურება, თქვენ უნდა შექმნათ ნამდვილი ეროვნული სკოლა და ამით გვირგვინი დაადგათ მის დამოუკიდებლობას.

საქართველოს განათლების სისტემაში არსებული დაბრკოლებანი მან გარდამავალი დროის სირთულით ახსნა და იმედი მისცა ყრილობას, რომ ყველაფერი ეს გამოსწორდებოდა.

ყრილობას მიესალმნენ განათლების კომისიის წარმომადგენელი ლეო ნათაძე და სოციალისტ-ფედერალისტი - იოსებ ბარათაშვილი.

მასწავლებელთა კავშირის მუდმივ მდივნად არჩეულ იქნა - პ. ჭანიშვილი. შეირჩა შენობა ამ კავშირისთვის, სადაც განლაგდა კავშირის საბჭო და ბიურო, ჟურნალ „განათლების" რედაქცია, საბავშვო და პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემელი კომისია და ლექციების წასაკითხი აუდიტორია.

ბიუროს უნდა მოეწვია კვირაში ერთი სხდომა. მისი თაოსნობით მასწავლებელთა კავშირის საბჭოსთან დაარსდა მუდმივი პედაგოგიური ლიტერატურის კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია და ეთარგმნა პედაგოგიური წიგნები. ასევე გადაწყდა დაარსებულიყო საბავშვო ლიტერატურისა და ჟურნალის კომისია, რაზედაც ნივთიერი დახმარება სამინისტროს უნდა გაეწია.

განათლების სამინსტრომ მასწავლებელთა კავშირს 80 000 მანეთის დახმარება მისცა[35].

1920 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა მასწავლებელთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

გაზეთი „სახალხო საქმე" აღწერდა კონფერენციის მიმდინარეობას. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი ვახტანგ კოტეტიშვილი ვრცელ პუბლიკაციას აქვეყნებდა, სადაც არა მარტო აღნუსხავდა მოვლენებს, არამედ აანალიზებდა კიდეც. „ერთი თვალის გადავლებით, დარბაზი ლტოლვილთა ყაზარმას უფრო ჰგავდა,- წერდა იგი,- ვიდრე მასწავლებელთა საკრებულოს. არც თვალთა სიღრმე, არც სხეულის სისაღე, აღარც შუბლის კეთილშობილება. მოხსენებები: უსიცოცხლონი, ქედმოღუნულნი ადიან ტრიბუნაზე, არცერთი სიტყვა ხალისიანი, ყველა გარიყულია, დევნილი, სკოლის ბინა ცუდი, ერობა მისთვის ყრუ და ბრმა, მთავრობა გულმავიწყი. „გვცივა, გვშიან", ამ ორ სიტყვით ითქმის მათი ჩივილი, არც უფლებრივი საფარი, არც ნივთიერად ხელის გამართვა, შეიკრიბნენ, რომ თავს უშველონ, სკოლა განსაცდელს გადაარჩინონ. უსახურობით და სისტემატიურ შიმშილით მასწავლებელი გაველურდა, სკოლა უპატრონო რჩება, სწავლის საქმე აბსურდამდე არის მისული", - წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი. პუბლიცისტი სიყალბედ მიიჩნევდა მთავრობის განცხადებას, რომ მასწავლებლების საქმე არც ისე ცუდად იყო, მის მტკიცებას, რომ მასწავლებლების მდგომარეობაც არ იყო სხვაზე ცუდი. იგი აკრიტიკებდა სახალხო განათლების მინისტრს - ნოე რამიშვილს, რომლიც გამოვიდა ყრილობაზე და მასწავლებელს უსაყვედურა - საქართველოსთვის ურთულეს პოლიტიკურ ჟამს გაფიცვებისა და მთავრობის საწინააღმდეგო განწყობისათვის - „სკოლა კომისარიატი არ არის და მასწავლებლებსაც მეტი თავაზიანობით უნდათ მოპყრობა" - ასკვნიდა ვახტანგ კოტეტიშვილი. „იქნებ თქვენ გინდათ სასწავლებლები ინვალიდთა ბანაკად გადააქციოთ? ჩვენ ამის უფლებას არ მოგცემთ. ჩვენ შეგნებულად ვდგავართ რესპუბლიკის სადარაჯოზე, ვზრუნავთ სკოლის გაჯანსაღებისა-

თვის და ამ დიდი საქამინობისთვის ვიბრძოლებთ კიდეც" - წერდა პუბლიცისტი. კოტეტიშვილის აზრით, სკოლიდან გარბოდნენ კარგი მასწავლებლები, ასპარეზი უვარგისებს რჩებოდათ, ამიტომ სკოლასა და მასწავლებელთა საკითხი დროზე უნდა ქცეულიყო საზოგადოებრივ საკითხად, ყველას უნდა გაეგო, რას ითხოვდა „ეს სუფრის ბოლოს მიგდებული ინტელიგენტური პროლეტარიატი", ან უნდა მიეცათ მათთვის მშვიდად კლასში შესვლის, სახლში მზადების, ღამით წიგნის კითხვის საშუალება, ან არადა, უნდა დაეკეტათ სასწავლებლები.

ვახტანგ კოტეტიშვილი ჩამოთვლიდა ყრილობაზე წამოყენებულ პედაგოგთა მოთხოვნებს, - რაზედაც მათ უარი მიიღეს მთავრობისაგან. ეს იყო: 1. სწავლის ფულის მომატება, რაც გაზრდიდა სკოლის ფონდებს, ამაზე მთავრობამ უარი განაცხადა,- სწავლა სრულიად უფასო უნდა იყოს ჩვენი პროგრამით და ამ დროს ფულს ვერ მოვუმატებთო.

2. მთავრობისაგან ერთდროული დახმარება. არც ეს შეიძლება, სხვაც მოითხოვს და ხაზინას კი არაფერი გააჩნიაო, - უპასუხა ხელისუფლებამ.

3. სურსათ-სანოვაგით დახმარება. ამაზედაც უარი: მთავრობას არაფერი არა აქვსო.

ერთად-ერთი ხელისუფლებამ მილიონ ნახევარი მანეთი შესთავაზა მასწავლებლებს კოოპერატივისთვის, რაც მათ დაცინვად მიიღეს, იქ მიღებული 5%-იანი შეღავათი, უვარგისი პროდუქცია და ვაჭრობის ფერხულში ჩაბმა მასწავლებლებს არაფერში ჭირდებათო.

კოტეტიშვილის სიტყვით, - „რკინის მინისტრმა" (ნ. რამიშვილი) შეაშინა მასწავლებლები: გაფიცვა ჩაგიფიქრებიათ, ვერ შეგვაშინებთო, და იქეთ დაუწყო მუქარა. „როგორც არის, ასეთ მდგომარეობაში სკოლის დატოვება ბოროტმოქმედება არის და არა საქართველოს სამსახური"-ო, - ასკვნიდა პუბლიცისტი[36].

იგივე პრობლემას აყენებდა გაზეთი წერილში - „მასწავლებლის მდგომარეობა და გაზეთი „ერთობა". პუბ-

ლიკაციის ავტორი - ვლ. ჭუმბურიძე აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს მასწავლებელთა ბედისადმი გულგრილობისათვის, მასწავლებელთა კრიტიკული მდგომარეობა მიაჩნდა ეროვნულ ტრაგედიად, რადგან სკოლა ვეღარ ასრულებდა თავის ეროვნულ მისიას[37].

„ერთობა" ზოგჯერ მართლაც აკრიტიკებდა მასწავლებელთა უფლებების დამცველებს. ერთ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ - ლადო ნაცვლიშვილმა (მწერალი ლადო ბზვანელი) მთარობას პროტესტით მიმართა - მასწავლებელთა ხელშეკრულების დარღვევის გამო. „ერთობამ" გააკრიტიკა იგი, მასწავლებელთა განსაკუთრებული გამორჩევა არასწორად მიიჩნია, როდესაც ქვეყანას საერთოდ უჭირდა და ირონიულად დასძინა: იქნებ შემდეგში ხელშეუხებლობა მეეტლეებმა და მიკიტნებმაც მოითხოვონ და ქვეყანას რა ეშველებაო, გაზეთი ლანძღავდა ნაცვლიშვილს და მისი ცხოვრებიდან წვრილმან ამბებს აცნობდა მკითხველს[38].

ამ ფაქტს გულგრილად არ შეხვედრია „სახალხო საქმე". სოციალისტ-ფედერალისტმა პუბლიცისტებმა - დავით პარკაძემ[39] და ს. გოცირიძემ[40] მკაცრად გააკრიტიკეს „ერთობა" ამგვარი პოზიციისათვის.

მასწავლებელთა მდგომარეობას კარგად ასახავდა ლადო ბზვანელის ლექსი - ფელეტონი, რომელიც სახალხო საქმეში გამოქვეყნდა. ფელეტონის სათაური იყო - „სახალხო მასწავლებლის მოხსენება სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის გამგეობას ქუთაისიდან ტფილისს":

როგორც მე ვარ ამ ზამთარში,
ისე გახდეს თქვენი მტერი,
არ მაქვს ფქვილი, არცა ფული,
მენატრება მჭადის კვერი.
შიმშილით დასუსტებულსა

აღარ მადევს კაცის ფერი,
ცოლით, შვილით ვიყინები,
სახლში არ მაქვს შეშის ღერი.
საპონი ვერ მიყიდია,
მოვიშორო მწვირე, მტვერი,
პარიკმახერმა ნისიად
არ მომპარსა თმა და წვერი,
ტანსა, ფეხსა შემომაცვდა,
საცვლებიდან გამოვძვერი.
ქვეშაგებელი დამეხა,
ტახტზე გორვით დავიმტვერი,
ოცდაათ წელს ნამსახური -
ასე გავხდი ბედნიერი,
ჯილდოს, პენსიას ველოდი,
დღეს კი ვარ შიშველ-მშიერი.

* * *

ყრილობაზე ორჯერ-სამჯერ
გამოვგზავნეთ მოციქული,
გამოვრეკეთ კასა, ჯიბე,
შევუკრიბეთ ხარჯის ფული,
ჩამობრუნდა, მოხსენება
გაგვიკეთა, შეხტა გული,
მაგრამ ყველა დაპირება
გამოვიდა ტყუილად თქმული...

* * *

თქვენ ტფილისში პურს მიირთმევთ,
ჩვენ აქ არ გვაქვს აღარც მჭადი,
უფროსები გვაფრთხილებენ:
სამსახურში ადრე წადი,
დეპეშებით გამოვგზავნეთ
ოქმების ამონაწერი,

თავჯდომარემ გვიპასუხოს
რას გვპირდება მინისტერი,
ან მუნჯი მასწავლებელი
როდემდე იქნება გერი?...
თქვენი პატივისმცემელი,
მშიერი ლადო ბზვანელი...[41]

ამრიგად, 1918-20 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ გაატარა სასკოლო რეფორმა, რაც ითვალისწინებდა უფასო სწავლების შემოღებასა და ქვეყანაში განათლების საყოველთაო აღმავლობას, ამასთანავე ეროვნული მიმართულების დანერგვას ამ სისტემაში, ფართოდ ერუდირებული, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდას, მთავრობის მიდგომა განათლების პროცესებისადმი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, შექმნილ პირობებში, ქვეყნის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში მაქსიმალური მცდელობა საქართველოსთვის უაღრესად პრიორიტეტული მიმართულების - სწავლა-განათლების მაღალ დონეზე დაყენებისა.

უამრავი მიზეზები უშლიდა ხელს რეფორმის გატარებას, ქვეყნის ეკონომიკურად კატასტროფული მდგომარეობა არ იძლეოდა რეფორმის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას, რის გამოც, ობიექტურად აკრიტიკებდნენ სკოლებში შექმნილ მდგომარეობას ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი ადმიანები, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული თუ უპარტიო მოღვაწეები. მათი კრიტიკა ეფუძნებოდა სურვილს, რათა მდგომარეობა გამოსწორებულიყო განათლების სისტემაში. ამ დარგში იყო სუბიექტური, ცალკეული მოხელეების მიერ დაშვებული შეცდომებიც და ობიექტურიც, ანუ ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული. თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ რეალობას (ეკონომიკურს რომ თავი დავანებოთ, რის გარეშეც რომელიმე

რეფორმის გატარება შეუძლებელია), რაც საქართველოში იყო შექმნილი გარეშე ძალთა ინსპირაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დამხობის მიზნით, უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობაც და განათლების „რკინის მინისტრიც" - თავისთავად არ ტყუოდნენ, როდესაც პედაგოგებს მოთმენისა და თანადგომისაკენ მოუწოდებდნენ. მასწავლებელთა მდგომარეობა და მათი საპროტესტო გაფიცვები ხომ სოციალისტ-ბოლშევიკების აგიტაციის წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს მენშევიკური მთარობის დამხობისაკენ და კომუნისტურ სამოთხეს ჰპირდებოდნენ.

5. პედაგოგთა კადრების მომზადების საკითხი 1918-21 წლებში

პედაგოგთა კადრების შესახებ 1918-21 წლების ქართული პრესის მასალებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს კადრები არ იყო სრულყოფილი, არ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რაც ქართული სკოლის წინაშე დაისვა რეფორმის გატარებისათვის.

კადრების არასრულფასოვნება გამოიწვია იმან, რომ 1918 წლამდე საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები არ იყო, პედაგოგიურ განათლებას ღებულობდნენ რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში, პირველმა მსოფლიო ომმა და მიმდინარე რევოლუციურმა მოვლენებმა კი შეაფერხეს ეს პროცესი. ბევრმა ახალგაზრდამ მიატოვა სწავლა და სამშობლოში ისე დაბრუნდა, რომ განათლების დასრულება, სათანადო დოკუმენტების აღება ვერ შესძლო, ამის გარეშე კი ისინი ითვლებოდნენ დაბალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებად, ღებულობდნენ დაბალ ხელფასს, რაც, მასწავლებლის ისედაც მცირე ხელფასების პირობებში, აიძულებდა პედაგოგს,

მიეტოვებინა სკოლა და სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ბევრი ღონისძიება გაატარა, პირველ რიგში დააარსა უმაღლესი და საშუალო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები, საოსტატო სემინარიები, გაიხსნა მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, საზღვარგარეთ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნა უამრავი პედაგოგი.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმმა, 1918 წლის 1 მაისს თბილისში მოქმედ დახელოვნების კურსებზე მიიწვია საქართველოში არსებული სკოლების პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ ენებს, ღვთისმეტყველებასა და ისტორიას. კურსები 300 კაცზე იყო გათვალისწინებული ამიერკავკასიის სამივე ძირითადი ეროვნების 100-100 მსმენელისათვის. აქ ლექციებს საუკეთესო სპეციალისტები კითხულობდნენ[1].

შემდეგში ეს კურსები გადაკეთდა ქართული ეროვნული სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებად.

კურსების მსმენელებს მგზავრობის, ბინის და კვების თანხებს სახელმწიფო უნაზღაურებდა[2].

ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონით, 1918 წლის 1 აგვისტოდან სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავსა და ზუგდიდში. ამ კურსებს ხელმძღვანელობდნენ: თბილისში ბ. შიუკაშვილი, გორში - ვ. ჯაფარიძე, თელავში - ივ. გომელაური, ქუთაისში - მ. გავაშელი, ზუგდიდში - პავლე ნადირაძე[3].

შემდეგში კურსების ქსელი თანდათან გაიზარდა, იგი თითქმის ყველა რაიონში გაიხსნა. მისი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო დიდძალ ფულს იღებდა. ასე, მაგ: 1919 წლის ზაფხულში, თბილისის კურსებზე დახარჯულა 236 000 მანეთი[4]; თუ გავითვალისწინებთ ამ დროს

რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, ეს თანხა უდავოდ დიდი იყო და მოწმობდა მთავრობის სერიოზულ მიდგომას განათლების პრობლემებისადმი.

თუ რა დიდი ეროვნული მისია ეკისრებოდა ქართულ სკოლას, მასწავლებელს, კარგად ჩანს, სენაკის მაზრის პედაგოგთა დახელოვნების კურსების გამგის ვლადი გაგუას სიტყვიდან, რომელიც მას 1920 წლის 28 ივლისს, კურსების დახურვის დღეს წარმოუთქვამს. ამ ვრცელ მიმართვაში საუბარი იყო სენაკის მაზრის ერობის დახმარებაზე სკოლებისადმი, რომ გაჭირვების ჟამს, ერობამ კურსების ერთთვიანი შეკრების მონაწილეებს 200 000 მანეთი მისცა, რადგან იცოდა, რომ მისგან დიდ სარგებლობას მიიღებდა ქვეყანა; გაგუამ აღნიშნა, თუ როგორ ბეჯითად ეუფლებოდა კურსების 80 მსმენელი ახალ პედაგოგიურ ჩვევებს და გამოცდილებებს ერთი თვის მანძილზე, სწავლობდა, ეძებდა ახალ მეთოდებს, ემზადებოდა ახალი სასწავლო წლისათვის. „თქვენ იცით ლექციებიდან, - მიმართვდა ვ. გაგუა მსმენელებს, - თუ რამდენადაა საჭირო საზოგადოდ თითოეული მოქალაქისათვის და განსაკუთრებით სახალხო მასწავლებლისათვის მაღალი განვითარება, ნაკისრი საქმის გონივრული ცოდნა და მოვალეობის შეგნება... თუ უბრალო ქოხს ვერ ააშენებს ადამიანი, თუ ხუროობაში არ არის დახელოვნებული, თუ ქალის კაბას და მამაკაცის კოსტიუმს ვერ შეჰკერავს რიგიანად მკერაობის ხელობის უცოდინარი, უნდა დამეთანხმოთ, რომ კარგ მოქალაქეს ვერ აღგვიზრდის უდიდესი ხელოვნების, აღზრდის მეცნიერების - პედაგოგიკის უცოდინარი და უვიცი ადამიანი!

თუ ბრმა მიუძღვის ბრმას - ბრძანა უდიდესმა ღვთაებრივმა მორალისტმა, - ორივე ხრამში გადაიჩეხებაო".

იგი სახალხო სასწავლებლებს ადარებდა ბიბლიურ მოსეს, რომელსაც მისი ხალხი უნდა გაეყვანა უდაბნოდან. „განა მასწავლებელი, - ამბობდა გაგუა, - ამჟამად

მატერიალურად თითქმის ყველა დარგის მოქალაქეზედ დაბლა მდგარი, ამავე სიღარიბეში არა ჰქმნის, არ ამზადებს მომავალის სიმდიდრეს, ერის ბედნიერებას, განა ქვეყანა, ერი მაშინ არ არის უფრო ბედნიერი და მდიდარი, როცა მას ჰყავს მეცნიერებითა და ზნეობით აღჭურვილი შვილები?"

კურსები ფაქტიურად უმაღლესი სასწავლებლის შეცვლას წარმოადგენდა, რადგან მისი გავლის შემდეგ სპეციალისტს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო დიპლომი არ ჰქონდა, უფლება ეძლეოდა ემუშავა ამ სპეციალობით და მთავრობის მიერ ამ თანამდებობაზე დამტკიცებულიყო. უდიპლომობა კი ამ დროს ხშირი იყო. უცხოეთის სასწავლებლებიდან დაბრუნებულებს, უამისოდ უჭირდათ სამსახურში მოწყობა.

გარდა ამისა, ბევრი ისეთი კურსები გაიხსნა თბილისში, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვენელობა ჰქონდა ქართული კადრების მოსამზადებლად. ასეთი იყო უმაღლესი საინჟინრო კურსები, რომელსაც ორი განყოფილება ჰქონდა: საინჟინრო-საშენებლო და საინჟინრო-მექანიკური. სასწვლებელი ამზადებდა საინჟინრო დარგის ყველა სპეციალისტს, გარდა ქიმიური და სამთო დარგებისა. სასწავლებლის მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელობდა ინჟინერი გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, მისი ამხანაგი - გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი, პედაგოგთა საბჭოს ხელმძღვანელი კი იყო პეტრე პეტრეს ძე ლუკინი. კურსების დირექტორის მოვალეობას ასრულებდა გზათა მიმოსვლის ინჟინერი - გრიგოლ ვასილის ძე შარმაზანოვი[6].

როდესაც 1918-19 სასწავლო წლის დასაწყისში მთავრობის კომისიამ შეამოწმა თბილისის სასწავლებლები, ბევრი მათგანი დახურა მასწავლებელთა უცოდინრობის, ან დაბალი კვალიფიკაციის გამო. სულ 26 სასწავლებელი შემოწმდა, ბევრს წაერთვა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე ყოფნის უფლება, ბევრი გააუქმეს, რადგან დაუწუნეს პედაგოგიური მეთოდები, სასწავლო გეგმები

და პროგრამები, შრომის ექსპლოატაციის ფორმები, შემოწმებულ სასწავლებლებს შორის ბევრი არაქართული სასწავლებელი იყო, რომლებმაც ვერ შეძლეს გაქართულება[7].

რევიზია დიდ ყურადღებას აქცევდა იმას,. რომ ძველი პედაგოგების ნაწილი, რომელთაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ, ხელფასით გათანაბრებულნი იყვნენ უმაღლესდამთავრებულებთან[8].

რევიზიით გაირკვა, რომ ბევრ საგანს არასპეციალისტი ასწავლიდა. მაგალითად, ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში ფსიქოლოგიას რუსული ენის მასწავლებელი ასწავლიდა[9]. მითუმეტეს, ასეთი რამ ხშირად ხდებოდა სოფლის სკოლებში.

ასეთ შემთხვევებს, ასევე უცენზო მასწავლებლების საკითხს, განათლების სხვა პრობლემებთან ერთად, არკვევდნენ სასკოლო რევიზიები. ხშირად საყვედურობდნენ, რომ ამიერკავკასიის მთავრობის დროიდან დაკანონდა არაუმაღლესდამთავრებულ პედაგოგთა ხელფასით გათანაბრება დიპლომიან მასწავლებლებთან. საკოლო რევიზიები ამ საკითხს განსაკუთრებით ღრმად სწავლობდნენ და ასეთი მასწავლებლების მომზადების დონეს მსჯელობის თემად აქცევდნენ[10].

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდებოდა არა მარტო საქართველოში პედაგოგიური კურსების საშუალებით, არამედ საზღვარგარეთაც. განათლების სამინისტროს ხშირად თხოვდნენ ქალაქის საბჭოები და ერობები მასწავლებელთა გაგზავნას საზღვარგარეთ. საქართველოს სახელმწიფო არქივის განათლების ფონდში უამრავი ასეთი მიმართვა და პირადი განცხადებაა დაცული, რაც მოწმობს, რომ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება 1918-1919 წლებში ფრიად გავრცელებული მოვლენა იყო[11].

მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განათლების სამინისტრომ შემიოღო საგამოცდო კომისიებში მონაწილეობისათვის ჰონო-

რარი. სასკოლო შემოსავალს, რომელსაც სკოლა და პედაგოგებიც იყენებდნენ ნაწილობრივ, ზრდიდა ფასიანი მოწმობების გაცემა, ასევე ატესტატების თანხა და სხვ[12].

მასწავლებლები გაერთიანებულნი იყვნენ პროფესიულ კავშირებში. აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირები ხელმძღვანელობდნენ რეფორმების გატარებას და სკოლებში გაშლილ საგანმანათლებლო მუშაობას ხელმძღვანელობდნენ.

დასავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე წერდა წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლის გამგეს იმ დადგენილებაზე, რომელიც გამოიტანა 1918 წლის 5 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა საზოგადო ყრილობამ.

1. დასავლეთ საქართველოს საშ. სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კავშირის კრება მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიული განათლების სამინისტროს რეფორმებს, აღუთქვამს მას დახმარებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, რომ საშუალო სასწავლებლების მართვა-გამგეობის საკითხში იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი პრობლემების მიხედვით, მაგალითად-ქუთაისის გუბერნიაში, დაცული იქმნეს სავსებით სკოლის ავტონომია, ე. ი. მასწავლებლების, ინსპექტორების და დირექტორების კანდიდატურას უნდა ადგენდნენ პედაგოგიური საბჭოები და ამტკიცებდეს მთავრობა.

2. დასავლეთ საქართველოს საშ. სკოლების მასწავლებელთა კავშირმა იქონია მსჯელობა ამა თვის ოქტომბრის 1918 წლის კავშირის საერთო ყრილობაზე მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და დაადგინა: ა) მოსთხოვოს მთავრობას 3 მარტის კანონის ძალით ბოძებული დახმარების გაორება, მაგრამ ვინაიდან ეს გაორკეცებული დახმარება მთავრობისა ვერ დააკმაყოფილებს მოსამსახურე პირთ, ეთხოვოს პედაგოგიურ საბჭოებს, აღმოუჩინონ მათ ყოველთვიური

დახმარება დამატებითი ჯამაგირის სახით სპეციალური თანხიდან, მისი რაოდენობის მიხედვით.

წინადადება მიეცა საშუალო სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, სასტიკად დაეცვათ სკოლის ავტონომია და არავითარ შემთხვევაში არ მიეღოთ თავის წრეში მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირნი[13].

მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე საზოგადოებრივი აზრი აკრიტიკებდა განათლების დონეს, ქართული სკოლის მდგომარეობას, მიიჩნევდა მას ჩამორჩენილად, დღევანდელი გადასახედიდან დამოუკიდებული საქართველოს სკოლა და მისი პედაგოგებიც თვალსაჩინოდ და მოწინავე მოაზროვნეებად გამოიყურებიან - თუნდაც მცირე ნაწილი რომ დავასახელოთ ამ დროის ქართველი პედაგოგებისა, მივხვდებით, რომ ეს ასეა. დავიწყოთ განათლების სამინისტროდან, მისი ხელმძღვანელობა იყო ეროვნული, მისი დიდი ნაწილი არ ეკუთვნოდა მმართველ პარტიას და ატარებდა სრულიად ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას, რის დანერგვასაც ცდილობდნენ ეს მოღვაწეები ქართულ სკოლაში.

თბილისის ვაჟთა II გიმნაზიაში საქართველოს ისტორიას ასწავლიდა ცნობილი ქართველი ესთეტი, მწერალი, და მოაზროვნე - ვახტანგ კოტეტიშვილი (დასრულებული ჰქონდა დორპტის უნივერსიტეტი). მასაც ჰქონდა ის პრობლემა, რომ დიპლომის აღება ვერ მოუსწრია, რევოლუციური გამოსვლების გამო და უდიპლომო მასწავლებლის შტატში ჩარიცხვა კი, აკრძალული იყო კანონით. ამის გამო მას უთანხმოებაც მოსვლია ვაჟთა II გიმნაზიის დირექტორ იოსებ ლორთქიფანიძესთან, ლორთქიფანიძე მას ახასიათებდა სამინისტროში როგორც ჭკვიანს, განათლებულს და საუკეთესო აღმზრდელს, ითხოვდა სამინისტროს ნებართვას, უდიპლომოდ შტატში ჩარიცხვის გამო. კოტეტიშვილი განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მიეცათ დრო, რათა მომავალ წელს ჩამოეტანა დორპტიდან დიპლომი, თუ არა და თავს ვანებებ მასწავლებლობასო[14].

ამ განცხადებაზე სამინისტროს საშ. სკოლების მთავარგამგემ გრ. ნათაძემ უპასუხა, რომ უსაბუთო მასწავლებლის შტატში ჩარიცხვით ვერ დაარღვევდა კანონს, თუ კოტეტიშვილს უყვარს თავისი საქმე, ზაფხულამდე მოიცდის, მერე კი დოკუმენტებს მოიტანსო[15].

ვახტანგ კოტეტიშვილი დროებით, ქალთა II გიმნაზიის დირექტორს გიორგი ახვლედიანსაც მიუწვევია[16].

1919 წლის 25 სექტემბერს მინისტრის ბრძანებით მას მიენიჭა საშ. სკოლის მასწავლებლის წოდება[17].

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო ვუკოლ ბერიძე, 1918 წლის 1 ნოემბრიდან იგი ასწავლიდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტში. იყო სამინისტროს კანცელარიის გამგე, დროებით ასრულებდა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მთავარგამგის მოვალეობასაც[18].

ცნობილი მოღვაწე კონსტანტინე აბაშიძე, მუშაობდა განათლების სამინისტროში დაბალ სკოლათა განყოფილების საქმის მწარმოებლად; დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანვე, განათლების სამინისტროში მას წარუდგენია განცხადება, სადაც წარმოდგენილია ბიოგრაფიული ცნობები და მისი იმჟამინდელი მდგომარეობა. „სასურველია ჩემთვის, რომ დღეს, როდესაც საფუძველი ეყრება ჩვენს ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს და მოითხოვს ინტელიგენტთა ძალების ამოძრავებას, ერთი შესაფერი ადგილი მეც მქონდეს, რომ შევძლო ვემსახურო ჩემს სამშობლოს და შეძლებისდაგვარად ერთგვარი თანამდებობა მივიღო", - წერდა იგი მინისტრისადმი წარდგენილ განცხადებაში[19].

1917-1919 წლებში ფოთის ქალთა გიმნაზიის დირექტორი, შემდეგ კი ამავე გიმნაზიაში მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი სტეფანე დავითის ძე გაგუა (1860-1926 წწ.)[20].

1919 წლიდან თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი იყო ცნობილი პედაგოგი ანტონ ნატროშვილი (1852-1930), რომელიც 1918 წელს VIII სასუ-

ლიერო გიმნაზიის დირექტორად აირჩიეს. პედაგოგიურ ასპარეზზე დამსახურებისათვის იგი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს[21].

ცნობილი პედაგოგები იყვნენ - მწერალი ვასილ ბარნოვი[22], სილოვან ხუნდაძე[23], ილია ფერაძე[24], მიხეილ თაქთაქიშვილი[25], თედო სახოკია[26], (ასწავლიდა თბილისის მე-8 გიმნაზიაში ქართულ და ფრანგულ ენებს), მიხეილ ზაალიშვილი (ცნობილი სახელმძღვანელოების ავტორი, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში), გიორგი წერეთლის დისწული, 1918-19 წლებში ძველი სენაკის მასწავლებელი, 1919 წლიდან კი ფოთის უმაღლეს დაწყ. სასწავლებლის გამგე-გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია (1868-1947)[27] პეტრე ჭარაია, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენის ნორმების შესახებ ეკამათებოდა ალ. ხახანაშვილს, ნ. ცხვედაძეს და სხვებს[28], ვასილ ყიფიანი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი და სხვ.

უკვე ამ დროს მასწავლებლობდნენ აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, ვ. იმნაძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე წერეთელი, და სხვები. 1918-21 წლებში ჩოხატაურის გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იაკობ ცინცაძე, (ია ეკალაძე). მან ამ წლებში ბევრი სახელმძღვანელო დაწერა ქართული სიტყვიერების დარგში, აღსანიშნავია „სამართლის მეცნიერება", რომელიც ია ეკალაძემ შეადგინა ნაციონალიზაციის გზაზე ახალშემდგარი ქართული გიმნაზიების, რეალური და კომერციული სასწავლებლებისათვის. ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიაში მასწავლებლობდნენ ცნობილი მწერლები - დომენტი ოყრეშიძე -თომაშვილი და კონსტანტინე (ჯაჯუ) ჯორჯიკია და სხვანი და სხვანი. ასე რომ, დამოუკიდებლობის ხანაში მოღვაწე ქართველი პედაგოგები იყვნენ განათლების ნამდვილი და შესანიშნავი მუშაკები.

განათლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სამინისტროს წამყვანი მუშაკი იყო ცნობილი პედაგოგი, ლიტე-

რატორი და ისტორიკოსი, განათლებით იურისტი - ალექსანდრე მიქაბერიძე (1866-1942).

იგი წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავიდან იყო. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დასრულა. სამშობლოში დაბრუნებული ჯერ განჯაში მსახურობდა, შემდეგ კი - თბილისის და ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიებში. მონაწილეობდა ქ. შ. წ. კ. ვამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, იყო მისი მდივანი დ. კარიჭაშვილის შემდეგ, მოღვაწეობდა საბავშვო ჟურნალებში, აქვეყნებდა პუბლიკაციებს პრესაში. იგი მეგობრობდა დიდ იაკობ გოგებაშვილთან, მასთან ერთად, ახალგაზრდოსაში, შეამოწმა ახალსენაკის სასულიერო და ნორმალური სასწავლებლები, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ: ვასილ ბარნოვი, ამბროსი ხელაშვილი, ქრისტეფორე უღრელიძე, ნიკო ჭარაია, ნიკო თუთბერიძე და სხვები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ სასწავლებლების წარმატებით საქმიანობაში, კერძოდ, ე. წ. „მუნჯური მეთოდის" განდევნაში ქართული სკოლიდან[29].

იგი მხარს უჭერდა ბათუმის ქართული სკოლის დაარსებას, აჭარელი ბავშვების უფასო სწავლებას[30]. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დადგა დღის წესრიგში საშუალო სკოლის რეფორმის გატარება, მაგრამ იმპერიული რეჟიმის პირობებში მისი ეროვნული პრინციპით განხორციელება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე მიქაბერიძემ ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა რეფორმის ირგვლივ, სკოლისა და მასწავლებლის დანიშნულებაზე[31].

მის მიერ „ივერიაში" გამოქვეყნებული პედაგოგიური იდეები მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღსრულდა[32].

მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ნარკვევში, რომელიც 1955 წელს გამოცემულ კრებულშია შესული, არაფერია ნათქვამი ამ მისთვის მეტად ნაყოფიერ პერიოდზე. არ შეიძლება ვისაუბროთ 1918-1921

წლების დემოკრატიული საქართველოს განათლების სისტემაზე, რეფორმის გატარებაზე, თუ მის ღვაწლსაც არ გავითვალისწინებთ[33].

განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კონსტანტინე აბაშიძე.

ფონდში დაცული მისი განცხადებები და სხვა პირადი ხასიათის მასალები ცხადყოფენ, თუ რა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა პედაგოგიური ინტელიგენცია. კანცელარიის საქმის მწარმოებლად ისეთი ერუდიტის მოღვაწეობა, როგორიც კონსტანტინე აბაშიძე იყო, მიუთითებდა იმაზე, თუ რა მაღალი დონის ინტერესები და მიზნები გააჩნდა განათლების სამინისტროს, როგორი მუშაობა წარმოებდა ხელისუფლების ამ ერთ-ერთ სერიოზულ ორგანიზაციაში[34].

1918-1921 წლების ქართული სკოლის გამოჩენილ პედაგოგთა შორის შეიძლება დავასახელოთ უამრავი სახელმძღვანელოს ავტორი, მიხეილ ზაალიშვილი.

იგი 1865 წელს დაიბადა სოფელ იგოეთში, კასპის რაიონში. მშობლებს - ყარამან ზაალიშვილსა და მარინე ჯავახიშვილს 8 ვაჟი და 1 ქალი ჰყავდათ. მიხეილი უშვილო მამიდამ - ნატალია კარგარეთელმა წაიყვანა თბილისში და აღზარდა. მან ჩინებული განათლება მ[illegible] წარჩინებით დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სასწავლებელი, ანუ საოსტატო ინსტიტუტი, 1888 წელს კი გაემგზავრა პოლონეთში, - შევიდა ნოვო ალექსანდრიის ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, 1891 წელს დაასრულა იგი და გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ასევე წარმატებით დაასრულა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

მ. ზაალიშვილს ეკუთვნის უამრავი წერილი სოფლის მეურნეობაზე, ქართული ტერმინების შექმნაზე;

1918-1920 წლებში მან შეადგინა 6 დასახელების 9 სახელმძღვანელო და დიდი სახელიც მოიხვეჭა: ეს იყო

გეოგრაფიის, ბუნების, ზოოლოგიის, ანატომიის და სხვა სახელმძღვანელოები.

მუშაობდა გორისა და თბილისის ვაჟთა გიმნაზიების დირექტორად. სამწუხაროდ, ხელი შეუშალა პირადმა ცხოვრებამ, რომელიც მეტად დრამატული იყო. ცოლად ჰყავდა რუსი ეროვნების მარიამ პანოვა, რომელიც დენიკინის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, სტავროპოლს წავიდა, რადგან არ სწამდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ხშირად ეკამათებოდა ქმარს, თან შვილებიც წაიყვანა, რამაც საოცრად იმოქმედა მასზე. 1920 წლის 10 სექტემბერს, მიხეილ ზაალიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში[35].

ქუთაისის რეალური სასწავლებლის ეროვნული საგნების მასწავლებლები 1918-1919 სასწავლო წელს იყვნენ:

მელიტონ სპირიდონის ძე კელენჯერიძე, სიტყვიერებისა და ქართული ენის მასწავლებელი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, დამთავრებული ჰქონდა კიევის სასულიერო აკადემიის სრული კურსი. 1894-1896 წლებში მუშაობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, 1906 წლამდე ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში, 1906-1917 წლებში ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში, 1917 წლის 1 სექტემბრიდან ასწავლიდა რეალურ სასწავლებელში. იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, აქვეყნებდა ეროვნული სულისკვეთებით სავსე წერილებს ქართულ პრესაში, შეადგინა სახელმძღვანელოები.

საუკეთესო პედაგოგები მოღვაწეობდნენ ქალაქ ქუთაისის სკოლებში. მაგალითად:

მაღრაძე კორნელი ლუკას ძე - ქართული ენისა და სიტყვიერების პედაგოგი, დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი.

დუგლაძე თომა სპირიდონის ძე - თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ასწავლიდა ქართულ ენასა და საღვთო სჯულს.

ცაგარეიშვილი სერგო პლატონის ძე - სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, გაიარა მასწავლებელთა კურსები, ასწავლიდა საქართველოს ისტორიას.

მამალაძე ტარასი - ასწავლიდა საქართველოს გეოგრაფიას, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო კურსები.

ქართულ ენასა და საღმრთო სჯულს ასწავლიდა დიაკონი მ. ნ. ანანჩენკო, დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ასევე ისწავლებოდა სომხური ენა და სომხური საღმრთო სჯული, ასწავლიდა აპრილიანცი იუსუფ ოვანესოვის ძე, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ნერსესიანის სასულიერო სემინარია და გაიარა თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში არსებული კურსების 4 სემესტრი.

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში 1918-1919 სასწ. წელს სწავლობდა 813 მოწაფე.

აქედან: ქართველი - 641, სომეხი - 27, მუსულმანი - 1, პოლონელი - 4, ბერძენი - 5, კორეელი - 26, ფრანგი - 1, გერმანელი - 2, რუსი - 106.[36]

განსაკუთრებით განთქმული იყო ქ. ქუთაისში მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო სასწავლებელი, სადაც ბევრმა ღირსეულმა ქალბატონმა მიიღო განათლება. სასწავლებელი არსებობდა 1907-1920 წლებში. მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილი დაიბადა 1860 წელს ქ. ქუთაისში, ღარიბი მოქალაქის ოჯახში, 1886 წელს დაასრულა ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი, რის შემდეგაც იგი დაინიშნა კათოლიკეთა პირველდაწყებით სკოლაში ყველა საგნის მასწავლებლად. აქ იგი 1892 წლამდე მუშაობდა. 1892 წელს იოსებ ოცხელმა ქუთაისში გახსნა პირველი საჩვენებული საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. ოცხელმა მარიამ ყაუხჩიშვილი ბაღის მასწავლებლად მიიწვია, 1895 წელს კი, სამი თვით პეტერბურგში გაგზავნა ფრებელის სისტემით მომუშავე საბავშვო ბაღების მუშაობის გასაცნობად. 1896 წელს ყაუხჩი-

შვილი შევიდა ჟენევის პედაგოგიურ კურსებზე, 1899 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მასწავლებლობა ლიდია ანჯაფარიძის კერძო სასწავლებელში.

1903 წელს მარიამ ყაუხჩიშვილმა ქუთაისში გახსნა კერძო, 4 კლასიანი პროგიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით, ეს იყო კერძო სასწავლებელი, მარიამ ყაუხჩიშვილი წლობით იბრძოდა ამ სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებისათვის - სასწავლო ოლქის მზრუნველთან შეიტანა განცხადება და 1913 წელს დანიშნული რევიზიით სასწავლებლის მუშაობა შემოწმდა, მთავრობის ნებართვით სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა.

1909 წელს დირექტორმა სესხი აიღო ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან და შენობა შეიძინა სასწავლებლისათვის მოზრდილი ხეხილის ბაღით. მის გიმნაზიაში ასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: ალექსანდრე ჯანელიძე, შემდეგში აკადემიკოსი - ჯაჯუ ჯორჯიკია, ცნობილი მწერალი - ასწავლიდა გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, ტრიფონ ჯაფარიძე - ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას - ქრისტინე შარაშიძე, აგრაფინა იოსელიანი და ფატი ხუნდაძე, ჰიგიენას ასწავლიდა ცნობილი ექიმი ვასილ წერეთელი. მაშინ, როდესაც ბევრ სასწავლებელში ქართული ენა იდევნებოდა, ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში მას წამყვანი ადგილი ეჭირა, სასწავლებელს ჰქონდა ქართული და რუსული გამოცემების მდიდარი ბიბლიოთეკა. აქ მაღალ დონეზე იდგა პროფესიონალური განათლება: - მოსწავლეებს ასწავლიდნენ ჭრაკერვასა და ქარგვას, სახელოსნოში მოსწავლე გოგონები თავისი ხელით იკერავდნენ სკოლაში სატარებელ ტანსაცმელს. სწავლის გადასახადი სკოლაში ძალიან მცირე, ზოგჯერ კი უფასო იყო. დირექტორი სკოლის ხარჯებს ბაღის შემოსავლით, შემოწირულობებითა და საქველმოქმედო საღამოებით ინაზღაურებდა[37]. სკოლა განსაკუთრებით პოპულარული იყო 1918-1921 წლებში.

გარდაიცვალა იგი 1939 წლის მარტში, საკუთარი სკოლის კედლებში.

1919-20 წლებში პედაგოგობის სარბიელზე მოღვაწეობდა ცნობილი პედაგოგი ივანე სიმონის ძე მესხი. იგი იყო წარსულში განთქმული მოღვაწე, სწავლობდა ციურიხში, იყო ციურიხის ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „უღელის" პასუხისმგებელი მდივანი (გარდაიცვალა 1932 წელს, თბილისში).

აჭარის ურთულეს პოლიტიკურ პირობებს არ უშინდებოდნენ ქართველი პედაგოგები და სამოღვაწეო სარბიელად სწორედ ამ კუთხეს ირჩევდნენ, სადაც მათი მცდელობითაც არ ნელდებოდა ეროვნული სულისკვეთება. 1917 წელს ქობულეთის უმაღლეს-დაწყებითი სკოლის გამგედ დაინიშნა მიხეილ სიმონის ძე შარაშიძე (1864-1930), თურქების ოკუპაციის შემდეგ იგი გადავიდა ლანჩხუთში, ქალთა გიმნაზიის და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლად. 1919 წლის 1 სექტემბრიდან დაბრუნდა ქობულეთში, 1920 წლიდან კი მუშაობდა ბათუმის ქალთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგედ[38].

ონში მოღვაწეობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი მალაქია ნესტორის ძე ჯაფარიძე (1862-1924 წწ.)[39];

დამოუკიდებლობის წლების მოწინავე პედაგოგთა შორის იყო იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი (1863-1958), რომელიც ჯერ მშობლიურ გიორგიწმიდაში ასწავლიდა, 1919 წელს საგარეჯოში დაარსა საშუალო სკოლა, სადაც მასწავლებლობდა, 1921 წელს კი დანიშნული იქნა საგარეჯოს რაიონის სკოლებისა და ქოხ-სამკითხველოების გამგედ[40].

ხონის საოსტატო სემინარიაში სახელი გაითქვა ხელსაქმის მასწავლებელმა ანა ცაგარეიშვილმა, მას დამთავრებული ჰქონდა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი, სადაც შეუსწავლია „ნოხ-ფარდაგის და ყოველგვარი ფართლეულობის (აბრეშუმის, ტილოს, შალის, ბამბის და სხვ.) ქსოვა, ჰქონია ამისათვის საჭირო მანქანები, ხელსაწყოები და მასალა. მანამდე, სანამ ხონში დაიწყებდა მუშაობას, მას უმუშავნია თბილისის „საქველმოქმედო

საზოგადოებისა" და „განათლების" სკოლებში[41]. ამ სასწავლებელში, რომელიც დას. საქართველოს პედაგოგთა სამჭედლოს წარმოადგენდა, უმაღლესი განათლებით ძალიან ცოტა პედაგოგი იყო, რასაც სასწავლებლის ნაკლად თვლიდნენ. ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიას გაცილებით კვალიფიციური პედაგოგები ჰყავდა, ვიდრე ხონის საოსტატო სასწავლებელს, სადაც პედაგოგებს ამზადებდნენ[42].

აქაურ მოსწავლეებს ეძლეოდათ სტიპენდია, თვეში - 50 მანეთი, რასაც ზოგჯერ რამდენიმე თვისას ერთად ღებულობდნენ[43].

ხონის ვაჟთა გიმნაზიას ხელმძღვანელობდა პედაგოგი გიორგი პეტრეს ძე ბახტაძე, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის კურსდამთავრებული[44].

კვალიფიციური პედაგოები საერთოდ ჭირდა, ბევრს არ ჰქონდა ჩაბარებული სახელმწიფო გამოცდები, ზოგი სტუდენტი უკვე მასწავლებლობდა.

სასწავლებლებს ჰქონდათ ერთგვარი ავტონომია: კანდიდატურებს მასწავლებელთა ვაკანსურ ადგილებზე ისინი ადგენდნენ სახალხო განათლების სამინისტროში, სადაც მტკიცდებოდა ეს კანდიდატურები, ანდა უარი გამოეცხადებოდა სერიოზული მიზეზის არსებობის შემთხვევაში.როდესაც, სამინისტრომ, 1920 წელს, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში დაიწყო ინსპექტორ-დირექტორებისა და მასწავლებლების თავისი სურვილით დანიშვნა, მაშინ ქუთაისში მოეწყო ყველა ტიპის სასწავლებელთა პროფკავშირების კრება, სადაც მასწავლებლებმა პროტესტი განაცხადეს სასწავლებლების ავტონომიის დარღვევის გამო სამინისტროს მხრიდან და მოუწოდეს ყველა მასწავლებელს ებრძოლათ ამ წინადადების მხარდასაჭერად[45].

იმისათვის, რომ ვნახოთ რა კონტინგენტი ასწავლიდა ქართულ სკოლებში, მოვიტანთ რამდენიმე სკოლის

პედაგოგთა შემადგენლობას: ფოთის სახალხო სკოლები და მათი პედაგოგები 1918-1920 სასწავლო წელს:

I პირველდაწყებითი სკოლა

პედაგოგები:

პარკაია ნინა - გამგე მასწავლებელი, საშ. განათლებით.

კარპუსი ანასატასია - საშ. განათლებით.

გრიგოლია აგნესა - საშ. განათლებით.

ქავთარაძე ნინა - საშ. განათლებით.

ფეოფილაქტო პელაგია - ხელსაქმის მასწავლებელი, დაბალი განათლებით.

II პირველდაწყებითი სკოლა

კილაძე ოლღა - გამგე მასწავლებელი, საშ. განათლებით.

მეისრაპეიშვილი ვერა - საშ. განათლებით.

ხოჭოლავა ანა - საშ. განათლებით.

გაბუნია ქეთევანი - საშ. განათლებით.

III პირველდაწყებითი სკოლა

ხოჭოლავა ალექსანდრე - გამგე მასწავლებელი, საშ. განათლებით.

ხაბურზანია ეკატერინა - საშ. განათლებით.

გაბუნია ნადეჟდა - საშ. განათლებით.

კარპუს ოლღა - საშ. განათლებით.

კუპრაძე ალექსანდრა - ხელსაქმის მასწავლებელი, დაბალი განათლებით.

IV პირველდაწყებითი სკოლა

კასრაძე ნადეჟდა - გამგე მასწავლებელი, საშ. განათლებით.
ხუბუა მაკარი - მასწ. საშ. განათლებით.
ხუბუა ვერა - საშ. განათლებით.
შმიდტი ქსენია - საშ. განათლებით.
არისტოვა სოფიო - საშ. განათლებით.
დარაცკაია ალექსანდრა - საშ. განათლებით.
მესეროპე სევერიანე - დაბალი განათლებით.

V პირველდაწყებითი სკოლა

თურქია ქსენია - საშ. განათლებით.
ცანავა არსენი - დაბალი განათლებით
ამირანაშვილი თამარ - საშ. განათლებით.

IV პირველდაწყებითი სკოლა

ჯაკობია თომა - გამგე მასწავლებელი, საშ. განათლებით.
პატარაია სოფიო - საშ. განათლებით.
გოგუა ქსენია - საშ. განათლებით.

VII პირველდაწყებითი სკოლა

გვასალია ალექსანდრე - გამგე მასწავლებელი, დაბალი განათლებით, აქვს მასწავლებლის წოდება
გვიჩია პარასკევა - მასწვლებელი, საშ. განათლებით.

VIII პირველდაწყებითი სკოლა

ხავთასი მიხეილ - გამგე მასწავლებელი, დაბალი განათლებით, აქვს მასწავლებლის მოწმობა[46].

როგორც ამ ჩამონაწერიდან ჩანს, პირველდაწყებითი სკოლების პედაგოგები იყვნენ საშუალო განათლების, უმაღლესდაწყებით სკოლებში კი როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლების პედაგოგებიც ასწავლიდნენ. ამაზე მიუთითებს ქუთაისის ვაჟთა III გიმნაზიის მასწავლებლების პირადი შემადგენლობა, სადაც ინსპექტორი - ონოფრე შუშანია უმაღლესი განათლებით იყო, ასევე უმაღლესი განათლებით იყვნენ მასწავლებლები: ტარასი აბზიანიძე, სოფიო ბახტაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გრიგოლ კვიცარიძე, ანთიმოზ გორგაძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი, ნიკოლაძე და სხვ[47].

ქუთაისის ეგნატე ნინოშვილის სახელობის ქალთა უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის გამგე იყო ჟენევის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტდამთავრებული ანა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა[48].

საუკთესო პედაგოგებით გამოირჩეოდა აბაშის უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი შენობა და 1918-19 წლებში ძლიერ უჭირდა. იქ ქართულ ენას ასწავლიდა კავკავიდან გადმოყვანილი იქაური ქართული სკოლის მასწავლებელი სტეფანე კიკაჩეიშვილი, მას დამთავრებული ჰქონდა, წ. კ. გ. საზოგადოების ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, მასწავლებელთა კურსები49. 1918 წლის 10 ნოემბერს შედგა აბაშის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური და საბუნებისმეტყველო საბჭოების და სხვა დაბა აბაშაში არსებულ ორგანიზაციათა დაწესებულებების წარმომადგენელთა შეერთებული კრება აბაშის გიმნაზიისათვის და უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლისათვის მუდმივი ბინის აშენების შესახებ, საკითხის გადასაჭრელად შეიქმნა კომისია: სასწავლებლის გამგის - არჩილ სულავას, სპირიდონ კაჭახიძისა და მასწავლებელ ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით. საჭირო ხარჯი შენობის ასაგებად უნდა გაეღო აბაშის უმაღლესდაწყებით სასწავლებელს საკუთარი თანხიდან[50]. სა-

სწავლებელს ამ დროს შემცირებული ჰქონდა კლასების რიცხვი შენობის უქონლობის გამო[51].

საკუთარი თანხები შენობის ასაგებად სკოლას რა თქმა უნდა არ გააჩნდა, ამიტომ იგი მიმართავდა შემოწირულობებს და მართავდა ფასიან კონცერტებს. ასეთი კონცერტი დაუდგამთ 1919 წლის 4 აგვისტოს აბაშის უმაღლესდაწყებითი სკოლის სასარგებლოდ, სადაც ბილეთებიდან, ლატარიიდან, საპრიზო ბილეთებიდან, ფოსტიდან და ყვავილებიდან, აუქციონიდან, ვახშმიდან და სხვ. სულ მიუღიათ შემოსავალი 4959 მან. 50 კაპ., გასავალი კონცერტს ჰქონია 2582 მან., დარჩენილი მოგება შედიოდა სკოლის შენობის აგების ხარჯებში[52].

სკოლები საკუთარი ხარჯით იძენდნენ ეროვნულ დროშებს, რომელსაც იყენებდნენ სადღესასწაულო ღონისძიებების დროს. დაკლებულ ფასებში ამ დროშებს სკოლებისათვის ამზადებდა კულტურისა და შრომის კავშირი[53].

პრობლემა იყო სასწვალებელთა გამგეების თანამდებობა. ხშირად სკოლის გამგედ ინიშნებოდა სხვა რაიონებიდან თუ სოფლებიდან მოსულნი, რომელთაც არ ჰქონდათ ადგილობრივ ბინა და საცხოვრებელი პირობები, არ იცნობდნენ მოსახლეობას. მათ გაცილებით ბევრი პრობლემა ჰქონდათ, ვიდრე ადგილობრივ კადრს ექნებოდა, ამიტომ, ხშირად, სოფლის მცხოვრებნი წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი კადრისა და ითხოვდნენ ადგილობრივი მასწავლებლის დანიშავნას გამგის თანამედბობაზე. ასეთი იყო აბაშის უმაღლეს დაწყებითი სასნავლებლის გამგედ გრიგოლ კაჭარავას დანიშვნის მოთხოვნა, რომელსაც სასულიერო სემინარია დაესრულებინა და 12 წლის პედაგოგის სტაჟი ჰქონდა[54].

მიუხედავად კადრების სიმცირისა, ქართული სკოლები შესანიშნავად მუშაობდნენ და ხშირად, საშუალო სკოლადამთავრებულებს ისეთი დონე ჰქონდათ, რომ თავად მასწავლებლობდნენ. მაღალი ზნეობა, კეთილშობილება, თავდადებული ერთგულება დაკისრებული მო-

ვალეობისადმი, პატრიოტიზმი და სიძნელეების ატანის უნარი დამოუკიდებელი საქართველოს პედაგოგებს განათლების სფეროში სახელოვანი მიღწევების მოპოვების საშუალებას აძლევდათ.

6. დროებით, საქართველოსაგან ჩამოშორებულ რაიონებში სკოლების დაარსების საკითხი

განათლების სამინისტრო არ ივიწყებდა იმ რაიონებსაც, რომლებიც დროებით, სამშობლოს იქნა მოწყვეტილი.

ამ მიზნით მან გაგზავნა თავისი რწმუნებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ადგილობრივი სკოლების მუშაობის შესასწავლად და მათი დახმარებისათვის ღონისძიებების მისაღებად.

მას შემდეგ, რაც 1918 წლის გაზაფხულზე აჭარა-ბათუმის ოლქთან ერთად თურქებმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაც დაიკავეს, ყველა ადგილობრივი დაწესებულება გააუქმეს, მათ შორის ქართული სკოლების მდგომარეობაც კრიტიკული გახდა.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რომ აქაური სკოლების მასწავლებლები არ დაეტოვებინა საზაფხულო ჯამაგირებისა (1918 წ.) და სალიკვიდაციო ფულის გარეშე. სამინისტრო ამ თანხების გაცემას ბიუჯეტიდან ვერ ახერხებდა, რადგან ეს ტერიტორია სახელმწიფოს ფარგლებში აღარ შემოდიოდა, ამიტომ აქაურ პედაგოგებს საოცრად გაუჭირდათ 1918-1919 წლისათვის, მომდევნო წელს კი, როგორც გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა" აღნიშნავდა, ახალციხე უკვე საქართველოს ტერიტორიული კუთვნილება გახდა. ამიტომ იქაურ მასწავლებლებს უნდა მიეღოთ როგორც სალიკვიდა-

ციო თანხები, ასევე ის დამატება, რაც მთავრობის დადგენილებით გადაეცა პედაგოგებს, განათლების მინისტრი მთავრობის წინაშე შუამდგომლობდა ახალციხის სკოლებისათვის დამატებითი თანხების გამოყოფას[1]. ამასთანავე, ითხოვდა ქართველ მასწავლებლებს ახალციხის მაზრის სკოლებისათვის. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ უპირატესობა ქალებს მიეცემოდათ[2].

1919 წლის 6 მარტს ქ. ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კუთხეში ეროვნული სულისკვეთების გასაძლიერებლად. მთავრობამ ამ საქმისათვის გამოჰყო 100 000 მანეთი[3].

გიმნაზიის გახსნას ხელმძღვანელობდა სამუსულმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება, რომელმაც 1919 წლის იანვარში ქართულ პრესაში გაავრცელა მიმართვა მასწავლებლებისადმი, რომელსაც ხელს აწერდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული - ი. თევზაძე.

მიმართვაში სათანადო პირობების გაუმჯობესებას ჰპირდებოდნენ იმ პედაგოგებს, რომლებიც ბათუმის გიმნაზიაში წავიდოდნენ სამუშაოდ. აჭარის სკოლებს მთავრობა ზაფხულის ხელფასების მიღებაშიც დაეხმარა[4].

ქართული ეროვნული საბჭოს თაოსნობით ბათუმში გაიხსნა ქალთა გიმნაზიაც[5].

განათლების სამინისტროს 10 მილიონიანი ფონდიდან დიდი ნაწილი სწორედ იმ რაიონების ქართულ სკოლებს ერიცხებოდა, რომლებიც ქვეყნის გარეთ მდებარეობდა და მეტად ძნელ, ხშირად მტრულ გარემოცვაში მუშაობდა.

1918 წლის 7 ოქტომბერს (ბრძანება №10268) სახალხო განათლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის სახალხო კონტროლს ახალციხის ქართული, საქველმოქმედო საზოგადოების სკოლისათვის წლიურად 19200 მანეთის გამოყოფის შესახებ. კონტროლის თავმჯდომარე დაეთანხმა განათლების სამინისტროს ამ

თხოვნას და ნება დართო ფინანსთა მინისტრს თანხის გამოყოფაზე[6].

ფინანსთა მინისტრი საქართველოს მთავრობის საქმეთა სამმართველოში გაგზავნილ დოკუმენტში აღნიშნავდა, რომ ახალციხის სკოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აქაური მოსახლეობისათვის და ამიტომ მიაჩნდა საჭიროდ მისთვის ყოველწლიური დახმარების გამოყოფა ხაზინიდან[7].

განათლების სამინისტრო კურირებდა ყველა იმ რაიონის სკოლას, რომლებიც დროებით იყო მოწყვეტილი საქართველოს და რომლის დაბრუნება აუცილებელი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ. ამათ შორის იყო სოჭის ოლქიც. 1917-18 სასწავლო წელს ეს ოლქი ტუაფსეს რაიონის სახალხო სკოლების ინსპექციას ემორჩილებოდა და საჭირო კრედიტსაც ტუაფსეს ხაზინიდან იღებდა. სოჭის რაიონში ამ დროს პოლიტიკურად ურთულესი პირობები შეიქმნა. იგი ჯერ ბოლშევიკებმა დაიჭირეს, შემდეგ დენიკინის მოხალისეთა ძალებმა, მოხალისეთა უკანდახევის შემდეგ კი, იქ ქართული ჯარი შევიდა. საქართველოს მთავრობამ აუცილებლად ჩათვალა ამ ისტორიულად ქართული ტერიტორიის შემომტკიცება და აღიარება მისი დიდი მნიშვნელობისა ერთიანი საქართველოსთვის. ეს უფრო გვიან მოხდა. ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სოჭის რაიონი ტუაფსეს ოლქს გამოეყო, გაუქმდა ტუაფსეს განათლების ინსპექცია და შეიქმნა საკუთარი, სოჭის საქალაქო ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა თბილისის სასწავლო კომისარიატთან კავშირის დასამყარებლად. თბილისიდან განკარგულება კრედიტის გაცემაზე და სოჭის ოლქის სკოლების დახმარებაზე დაგვიანდა, ამის შემდეგ კი, 1918 წლის თებერვალში ეს ოლქი ბოლშევიკებმა დაიკავეს, აქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს და სკოლების ხარჯებიც საკუთარ თავზე აიღეს.

1918 წლის აპრილში მათ გასცეს განკარგულება სასკოლო კომიტეტის გაუქმებაზე, მაგრამ როდესაც ეს მთავრობა დაეცა, ხელახლა აღდგა სასკოლოდ კომიტეტიც და საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლების - ნოე რამიშვილის, მთავრობის კომისრის - ფერაძის და გაერთიანებულ სპეციალისტთა საბჭოს თანხმობით, ხელახლა აიღო თავის თავზე სოჭის ოლქის სასკოლო საქმეებზე ზრუნვა მანამ, სანამ „საბოლოოდ არ მოეწყობოდა საერთო - სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა"[8]. 1918 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვიდა სოჭის ოლქის სასკოლო კომიტეტის წარმომადგენელი ი. აბულაშვილი, რომელსაც განათლების მინისტრმა სიტყვიერად აღუთქვა დახმარება, მანამდე ურჩია სასკოლო კომიტეტის მუშაობის გაგრძელება, სანამ საქართველოს განათლების სამინისტროდან ახალ ბრძანებას არ მიიღებდა. განათლების სამინისტროს სოჭის სასკოლო კომიტეტთან ჰქონდა კავშირი მიწერ-მოწერითა თუ სხვადასხვა პირთა საშუალებით.

სოჭის ოლქის სასკოლო კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს განათლების სამინისტროს წინაშე მასწავლებელთა ხელფასების გაცემისა, სკოლების სამეურნეო ხარჯების, სიძვირის გამო ხელფასების დამატებისა და სხვა პრობლემებზე, მოითხოვა სულ 192880 მანეთი, რაც გადაეცა კიდეც[9].

ქართული ეროვნული საბჭო იყო ქ. ტუაფსეში, რომლის თავმჯდომარე - ბარათაშვილი უგზავნიდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნას, იქაური ქართული სკოლისათვის გაეგზავნათ მასწავლებელი, რომლიც მუდმივად იცხოვრებდა ტუაფსეში, ჩაატარებდა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას[10].

1918 წლის აგვისტოში ამავე საბჭოს ინიციატივით ტუაფსეს ოლქში შექმნილი სახალხო განათლების საქმეთა მმართველობის დროებითი კომისარიატი თხოვდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს, რომ გაეღო ხარჯები ტუაფსეს ქართული სკოლის შესაკეთე-

ბლად, ასევე მის უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით.

ამასთან აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკების მიერ ტუაფსეს დაკარგვამ და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, შექმნა მძიმე ეკონომიკური პირობები ქართველი მასწავლებლებისათვის, მინისტრს თხოვდა მათ ფულად დახმარებას[11].

განათლების სამინისტრომ მთავრობის მიერ გამოყოფილი 10 მილიონიანი ფონდიდან 100 000 მანეთის კრედიტი გაუხსნა სოჭის ოლქის სკოლებს[12].

სამწუხაროდ, ეს თანხა ქაღალდზე დარჩა, რადგან პოლიტიკური სიტუაცია სოჭის ოლქსა და გაგრის რაიონში უკიდურესად დაიძაბა. ჯერ დენიკინმა დაიკავა სოჭი და გაგრა, მაგრამ მოხალისეების ჯარი აქედან ქართულმა ჯარმა განდევნა, მან არა მარტო სოხუმისა და გაგრის რაიონი, არამედ, სოჭიც დაიკავა, მდ. მეხადირიდან ბზიფამდე და ბზიფს აქეთ ტერიტორიას მთლიანად საქართველოს რესპუბლიკა აკონტროლებდა. როდესაც ინგლისელები ჩაერივნენ უკიდურესად გამწვავებულ სიტუაციაში, რასაც დენიკინი ქმნიდა, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. დენიკინის და ინგლისელი გენერლების მოთხოვნით, ქართულმა ჯარმა დროებით უკანდახევა ამჯობინა, სოჭის ოლქი მან გამოაცხადა დროებით, ნეიტრალურ ზონად, რომელსაც ინგლისელთა ან იტალიელთა ძალები გააკონტროლებდნენ. გენერალი დენიკინი კი ცდილობდა ეს რაიონი კვლავ ეკატერინოდარისათვის მიეერთებინა.

ფინანსთა მინისტრის მიწერილობიდან განათლების სამინისტროსადმი სჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესაც მოსვლია დეპეშები ამ რაიონებიდან, აქაური ქართული მოსახლეობა ითხოვდა, რომ ეკატორინოდარის სახაზინო პალატის ნაცვლად, საქართველოს რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადმოეყვანათ. მთავრობის თავმჯდომარე, პოლიტიკური სიტუაციის გარკვევამდე, ამ საკითხის გადაწყვე-

ტას აყოვნებდა[13], ამიტომ ფინანსთა სამინისტრომაც ვერ შეძლო მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება - სოჭის სკოლებისათვის ფულადი დახმარების მიცემა[14].

1918 წლის 1 აპრილიდან, აზერბაიჯანმა დაიკავა საქართველოს ძველი კუთხე - საინგილო. დახურეს ქართული სკოლები: ერთი ორკლასიანი ვაჟთა გიმნაზია, ქალთა სკოლა და 4 ქალ-ვაჟთა სამრევლო სკოლა, სულ 6 სასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში გაურკვეველი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა მთავრობისაგან საინგილოს ქართული სკოლების დასახმარებლად 20 250 მანეთის გამოყოფა მოითხოვა[15], რაზედაც სახელმწიფოს კონტროლის პალატამ თანხმობა განაცხადა[16]. დახმარება მიიღეს საინგილოს შემდეგმა ქართულმა სკოლებმა: კახის ქალთა, ალიბეგლოს, ქოთოკლის, ეშაბაშის, ყორაღანის სკოლებმა (კახში ორი ქართული სკოლა იყო)[17].

განათლების სამინისტროში განუწყვეტლივ შედიოდა იმ მასწავლებელთა განცხადებები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ მუშაობდნენ. ისინი საქართველოს მთავრობისაგან ითხოვდნენ პენსიებს[18] და იმ წლების ჩათვლას სამსახურში ხუთწლიანი დამატებისა და პენსიის მისაღებად, რაც საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სკოლებში იმუშავეს.

სამინისტრომ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეადგინა საგანგებო კომისია, სადაც იხილავდნენ თითოეულ შემოსულ განცხადებას[19].

7. ერობებისა და სკოლების ურთიერთობა

სახალხო განათლების სისტემაში წავავედ იდგა საკითხი იმაზე - თუ ვის უნდა დაქვემდებარებოდნენ, რომელ უწყებას უნდა ეგრ პასუხი სკოლების მუშაობაზე. კარგახანს იყო ეს საკითხი სადავო. ცალკეული სპეციალური სკოლები - შესაბამის უწყებებს დაუტოვეს: - სასოფლო სკოლები - მიწათმოქმედების სამინისტროს, სავაჭრო-ეკონომიკური - ვაჭრობის სამინისტროს და ა. შ. მაგრამ ცხადი გახდა, რომ განათლების სამინისტრო უნდა ყოფილიყო ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის კოორდინატორი, ხოლო მას უნდა დახმარებოდნენ საქალაქო და სასოფლო საზოგადოებები. ესენი იყვნენ ქალაქის გამგეობები და ერობები.

დაიწყო სკოლების გადაცემა - ჩაბარება ერობისათვის.

1918 წლის 25 დეკემბრიდან ეს პროცესი დაიწყო დასავლეთ საქართველოშიც. დას. საქართველოს ერობათა წარმომადგენლების თათბირის გადაწყვეტილებით აქაური ერობები შეუდგნენ „სამინისტროს უწყების ყველა სახალხო სკოლის ადგილობრივად მიღებას თავისი ინვენტარით, რისთვისაც, საქმის გაადვილებისათვის, თითოეულმა სკოლამ წინასწარ შეადგინა ჩასაბარებელი უწყება"[1].

თუკი ერობებს არ გააჩნდათ სკოლების დახმარებისათვის თანხები, მაშინ ამ თანხას განათლების სამინისტრო აძლევდა მათ. სწორედ ამ სამინისტრომ გაუგზავნა 1919 წელს ქუთაისისა და ზუგდიდის ერობებს 150 ათასი მანეთი, შორაპნის, ლეჩხუმის და სენაკის ერობებს 100 ათასი მანეთი - „სახალხო განათლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად"[2].

1919 წელს თელავის სამაზრო ერობას ჩაუბარებია მაზრის 26 სკოლა, 1920 წლისთვის მას მაზრაში უნდა გაეხსნა 8 ახალი სკოლა, უფასო სწავლება უნდა განხორციელებულიყო თანდათანობით. ერობის ხელმძღვანე-

ლობით მაზრაში გაიხსნა 4 ახალი მოძრავი სკოლა, რომელიც სამსახურს უწევდა 12 სოფელს - დაარსებული იქნა ე. წ. „სამაგალითო" სკოლა, სადაც ჩარიცხეს წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი 24 ბავშვი; თელავის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი ვ. მამალაძე ერობის გამგეობასთან ერთად ბევრ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასაც ატარებდა სახალხო განათლების სფეროში[3].

თიანეთის მაზრაში ერობისა და განათლების განყოფილების ინსპექტორს ვლადიმერ პაპავას სკოლები სრულიად განადგურებული დახვედრია. მას დიდი მუშაობა გაუწევია სკოლების აღსადგენად, გაფანტული მასწავლებლების შესაკრებად. 1919-20 სასწავლო წელს მაზრაში 13 სასწავლებელი იყო, 28 მასწავლებლითა და 679 მოსწავლით. სკოლებში მუშაობდა ერთი ინსპექტორი. მალე კი, ერობის დიდი მცდელობით, კვლავ 7 სასწავლებელი აღდგენილა[4].

ერობებს განათლების სამინისტროსაგან შემდეგი ინსტრუქცია მიუციათ სკოლების ხელმძღვანელობისათვის: „დაბალი სკოლების (პირველ და უმაღლეს-დაწყებითი და სატეხნიკო-საპროფესიო) თვითმმართველობათა ხელში გადასვლის შემდეგ, ამ სასწავლებელთა საერთო ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა და მათი სამეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს თვითმმართველობათა კომპეტენციას, მათ უფლებებსა და მოვალეობას. ამის მიხედვით, სკოლების საქმეთა გასაძღოლად თვითმმართველობა სარგებლობს შემდეგი საშუალებით:

I - სკოლების გამგე ინსტრუქტორებსა და მასწავლებლებს იწვევს ასეთი წესით: 1. უმაღლესი-დაწყებითი და საპროფესიო-სატეხნიკო სკოლათა გამგე მასწავლებელნი უნდა წარდგენილ იქმნენ სახალხო განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად.

2. პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთ თვითმმართველობა იწვევს არსებული კანონის მიერ და-

წესებული ცენზის მიხედვით და საერთო სიის საშუალებით აცნობებს სამინისტროს.

შენიშვნა: გამგეთა ცალკე თანამდებობა განსაკუთრებული სასყიდლით არ არსებობს.

II - სკოლებისათვის საჭირო კრედიტები გადადის თვითმმართველობათა განკარგულებაში ხარჯთაღრიცხვის პარაგრაფებსა და მუხლებში აღნიშნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

შენიშვნა: უმაღლეს-დაწყებით და სატეხნიკო-საპროფესიო სკოლების კრედიტები დროებით გახსნილია ამ სასწავლებელთა გამგეობის სახელზე. ინსტრუქციას ხელს აწერდა მთავარგამგე გიორგი ჭუმბურიძე[5].

ერობებისა და სკოლების ურთიერთობა კარგად ჩანს დოკუმენტში - „თეზისები და დასკვნები განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მოხსენების მთავრობასა და ერობათა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ".

განათლების სამინისტრო საკითხს აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ ჰყოფდა 2 ნაწილად:

1. დამოკიდებულებათა პრინციპიალური მხარე, ძირითადი დებულებები, რომლებიც უნდა შემუშავებულიყო სამინისტროს მიერ - იგი შევიდოდა რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონებში.

2. მეორე ეხებოდა სკოლების თვითმმართველობათა ხელში გადასვლით გამოწვეულ მდგომარეობას, რომელიც მოითხოვდა სამინისტროსაგან კონკრეტული შემთხვევების შესაფერი პრაქტიკული ზომების მიღებას.

განათლების სამინისტრომ თავის მსჯელობას პრაქტიკულ საშუალებათა შესახებ დაუდო ორი საფუძველი, რომელსაც ასე აყალიბებდა:

1. საბაღო სკოლას დღეს ფაქტიურად ინახავს სახელმწიფო ხაზინა, სამინისტრო არის ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვის შემდგენი და განმანაწილებელი საზოგადოებრივ თვითმმართველობას შორის.

2. საყოველთაო სასკოლო განათლებას ხელმძღვანელობს მთავრობა და ანხორციელებს ერობათა საშუალებით.

დასკვნაში ეწერა: „გამოდის რა ამ დებულებათაგან, სამინისტრო სამართლიანად ცნობს, რომ სკოლის ხელმძღვანელობა და საერთო კონტროლი დარჩეს მთავრობის ხელში, ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია:

1. დღევანდელი სახალხო სკოლების ინსპექტორები დარჩნენ მანამდე, სანამ არ მოხდება მათი კანონიერი ლიკვიდაცია.

2. ინსპექტორები არიან სამინისტროს წარმომადგენელნი, უწევენ სკოლებს მეთვალყურეობას სწავლა-აღზრდის მხრივ, ანხორციელებენ სამინისტროს კონტროლს და ერობასთან დამოუკიდებლად უდგენენ მას მოხსენებებსა და ანგარიშებს, ინსპექტორები არ ერევიან სკოლის საადმინისტრაციო და სამეურნეო საქმეებში.

3. სამინისტრო გამოთქვამს სურვილს, რომ დღევანდელი ინსტრუქტორები, შეძლებისდაგვარად, იყვნენ აღჭურვილნი უმაღლესი განათლებით და ჰქონდეთ შესაფერისი პედაგოგიური სტაჟი. იშვიათ შემთხვევაში ინსტრუქტორის განათლების ცენზი უნდა იყოს არანაკლებ სამასწვლებლო ინსტიტუტისა, თვითონ კი მას ჰქონდეს 8-10 წლის პედაგოგიური პრაქტიკა.

4. ახალ დებულებათა შემოღებამდე, ინსტრუქტორებს ჯამაგირით აკმაყოფილებს ერობა.

5. ერობის ხელში გადადის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებიც.

6. ერობას აქვს უფლება გახსნას თავის რაიონში საკუთარი ხარჯით სასწავლებელი მხოლოდ სამინისტროს მიერ შემუშავებული სასკოლო სქემის მიხედვით, რათა დაცული იქნას სისტემის წესი და მთლიანობა"[6].

დოკუმენტი 1919 წელსაა შედგენილი.

საკითხი იმავე წელს განმეორებით განიხილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კომისიამ. სხდომა შედგა 1919 წლის 18 თე-

ბერვალს. ესწრებოდნენ: პარლამენტის განათლების კომისიის თავმჯდომარე ლ. ი. ნათაძე, განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ვ. მ. ბერიძე, თბილისის I გიმნაზიის დირექტორი ი. ს. ღულაძე და მეშვიდე გიმნაზიის მასწავლებელი ლ. ბოცვაძე. კრებას ხელმძღვანელობდა სახალხო სკოლების მთავარი გამგე გიორგი ალექსანდრეს ძე ჭუმბურიძე. სხდომის მიერ მიღებული დადგენილება თითქმის იგივეა, რაც პირველი სხდომისა, იგი 6 პუნქტისაგან შედგებოდა და სრულიად არკვევდა ერობებისა და განათლების სისტემის ურთიერთობას, მათ უფლება-მოვალეობებს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში[7].

ერობას სკოლის მუშაობის გაუმჯობესება ყოველთვის როდი შეეძლო. ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, რაც იმ დროს იყო ქვეყანაში, ეს ძნელი ამოცანა იყო, რასაც ყველგან როდი ართმევდნენ თავს.

წერილში - „აბუჩად აგდებული სახალხო სკოლა და მასწავლებელი", გაზეთი „სახალხო საქმე" აღწერდა შორაპნის მაზრის სკოლებში შექმნილ მდგომარეობას. წერილში ნაჩვენები იყო აქაურ მასწავლებელთა უხელფასობა, ერობის სისუსტე, რომელიც ვერ ახერხებდა მასწავლებლებისათვის დაპირებული ხელფასების მიცემას, ვერც ახლადდარსებულ შორაპნის მაზრის მასწავლებელთა კავშირს უშველია მასწავლებლების გაჭირვებისათვის, ვერ გამოუჩენია თავი სასკოლო პრობლემების გადაწყვეტაში, კრებაც კი ვერ მოუწვევია, რომ საზოგადოებისათვის ეს პრობლემები გაეცნო[8].

წერილზე პასუხს სცემდა შორაპნის სამაზრო ერობის სასკოლო განყოფილების გამგე - ჯუღელი. იგი ამართლებდა ერობას, იშველიებდა ობიექტურ მიზეზებს, ზოგ საკითხში ეთანხმებოდა წერილის ავტორს: გადასახადების აკრეფა ვერ შევძელით ცუდი მდგომარეობის გამო და მასწავლებლებისადმი მიცემული პირობაც დაგვერღვაო[9].

იმავე შორაპნის მაზრის სკოლების მდგომარეობაზე ლაპარაკობდა აქაური პედაგოგი: როდესაც სამინისტროში ჩივილი გადაუწყვეტიათ მათ დამუქრებიან ერობის წარმომადგენლები. გულდაწყვეტილი პედაგოგი წერდა: „ჩვენ, ნახევრად მშივრები, სიცივისაგან აკანკალებულნი ვემსახურებით ხალხს, არ გავფიცულვართ და არც ვიფიცებით, რადგან გათვალისწინებული გვაქვს მომავალი, როგორც საზოგადოების შეგნებულ ნაწილს. და აი, სწორედ მის მაგიერ, რომ დაგვაფასონ და მხედველობაში მიიღონ ჩვენი აუტანელი შრომა, ასე უპატივცემულოდ გვეპყრობიან. გონს უნდა მოვიდნენ ის პირები მაინც, რომლებიც წინათ მასწავლებლობდნენ და ჩვენს მდგომარეობას კარგად იცნობენ"-ო[10].

„ღმერთო იმას მომასწარი, -
მამულს კაცი ჰყოლოდესო,
საქმის ცოდნა-მოგვარება
შესწავლილი ჰქონოდესო", - ასეთი გულშიჩამწვდომი ლექსით იწყებდა ფსევდონიმიანი ავტორი, ლეჩხუმიდან გამოგზავნილ პუბლიკაციას, სადაც ლაპარაკი იყო ლეჩხუმის მაზრის ერობის მუშაობაზე.

„სკოლები, ეს განათლების პირველი საფეხური, ისეა გავერანებული, ზოგიერთ ალაგას მეტადრე, რომ მოწაფე-მასწავლებელი ერთიმეორეს სიტყვებს ვერ აგონებენ სიცივით ტან-დამზრალნი და კბილ-შეკრულნი", - ვკითხულობთ წერილში[11].

8. ნივთიერი დახმარება მოწაფეთათვის

ე. წ. „დახურულ" სასწავლებელთა გაუქმებამ ბევრი მოწაფე, რომელიც წინათ სახელმწიფოს ხარჯით იზრდებოდა, უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო.

განათლების სამინისტროს შუამდგომლობით მთავრობამ გაიღო 150 000 მანეთი, რომელიც მიეცა სწავლის ფულად აღნიშნული კატეგორიის მოწაფეებს[1].

1918-19 სასწავლო წელს სწავლისათვის გადასახდელი ფული საშულო სკოლებში იყო მინიმუმ 300 და მაქსიმუმ 400 მანეთი. გამონაკლისს შეადგენდა რამდენიმე სასწავლებელი (მაგ. თბილისის III ქალ-ვაჟთა გიმნაზიები), სადაც სწავლის ფული 500 მანეთს უდრიდა.

1919-20 სასწ. წლისთვის ეს თანხა გაიზარდა, მაგრამ სამინისტროს სპეციალური დადგენილებით პირველ სამ კლასში დარჩა 300 მანეთი, ზედა კლასებში გადასახადი 500-800 მანეთი გახდა, იყო სკოლებიც, სადაც ეს თანხა 750-800 მანეთს უდრიდა, რადგან მათ ჰქონდათ განსაკუთრებული მდგომარეობა: ჭირდებოდათ ინვენტარის შეძენა, ჰქონდათ ძველი ვალები და ა. შ.

მაშასადამე, სწავლის ფული ყველგან ერთნაირი არ იყო, მისი რაოდენობა სხვადასხვა პირობებზე იყო დამოკიდებული: მოწაფეთა რიცხვზე, ჰქონდა თუ არა თანხები საზოგადო პირთა მომსახურებისათვის სკოლას, შენობა ჰქონდა თუ ნაქირავებ ბინაში იყო და სხვ.

სწავლის ფულის რაოდენობაზე იმსჯელებდა პედაგოგიური საბჭო, საბოლოოდ კი მას განათლების სამინისტრო განსაზღვრავდა. ამ საკითხში სკოლებს ავტონომია არ ჰქონდათ, მათ შემცირება შეეძლოთ, მაგრამ სწავლის გადასახადის თვითნებური გაზრდა კი არა.

მოწაფეთა მიერ შემოტანილი თანხა გადადიოდა ადგილობრივ ხაზინაში, სადაც თითოეული სკოლისთვის გახსნილი იყო სათანადო ანგარიში.

თანახმად 1919 წლის 20 იანვრის დროებითი დებულების 26-ე მუხლისა, ეს თანხა ხმარდებოდა სასწავლებელს, სამინისტროს მიერ სასწავლებლებისათვის დამტკიცებული წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ყოველგვარი დანარჩენი საჭიროებისათვის, რაც გათვალისწინებული არ იყო წლიურ ხარჯთაღრიცხვაში, „აღნიშნუ-

ლი ფულის დახარჯვა შეიძლებოდა მხოლოდ სამინისტროს ნებართვით ყოველ კერძო შემთხვევაში"[2].

განათლების რეფორმით ლიკვიდირებულ სასწავლებლებში დარჩენილი მოწაფეები სახელმწიფოს ხაზინიდან გამოყოფილი ფულით ასრულებდნენ სწავლას. 1919 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე - ამიერკავკასიის ყოფილი ინსტიტუტის მოწაფეთათვის გამოიყო 122730 მანეთი, ყოფილ კადეტთა კორპუსის მონაფეთათვის კი - 41430 მანეთი[3].

არსებობდა „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება", რომელსაც გადაეცა იმერეთისა და ქართლ-კახეთის ყოფილ თავადაზნაურთა ქონება და თანხები[4].

1917 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ ყოველი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, რაც შეადგენდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის საკუთრებას და აგრეთვე თავისი ქონებრივი უფლებანი და ვალდებულებანი - აღიარა მთელი ქართველი ერის კუთვნილებად და უნდა გადაეცა „საქართველოს თვითმმართველობის საჯარო-უფლებრივი ორგანოსათვის, როცა იგი დამყარდებოდა"[5].

იმ დროს, როდესაც თავადაზნაურობას ასეთი გადაწვეტილება გამოჰქონდა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას არავინ თვლიდა რეალურად, მაგრამ თავადაზნაურთა ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, საქართველო პოლიტიკურ თვითმმართველობას - ავტონომიას მაინც მიიღებდა. სწორედ ასეთი მმართველობა იყო ნაგულისხმევი დადგენილებაში - „საქართველოს თვითმმართველობის საჯარო-უფლებრივი ორგანოს" სახით.

ეს დადგენილება მიღებული იყო ჯერ კიდევ საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოსთან შეთანხმებით.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო იმერეთის თავადაზნაურობამაც 1917 წლის 8 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის ქონების შესახებ.

იმავე 1917 წლის ნოემბერში მოწვეულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 23 ნოემბრის სხდომაზე მოისმინა ორივე გუბერნიის ქართველ თავადაზნაურთა გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ეროვნულ საბჭოს ჩაებარებინა თავადაზნაურობის ქონება, ასევე მისი ვალდებულებანი (ვალები), ჩაებარებინა თავადაზნაურობის საკრებულოსაგან არქივები და საქმეები, ეკისრებინა ამ ქონების მოვლა-პატრონობა და ვალდებულებათა აღსრულება.

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, 1917 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, თავადაზნაურობის ქონების ჩაბარებისა და მოვლა-პატრონობისათვის დანიშნა ქონებათა გამგე (გიორგი გვაზავა) და სექცია, რომელიც შედგა ფრაქციათა წარმომადგენლებისაგან.

სექციის შემადგენლობაში შევიდნენ: გიორგი გვაზავა (ქონებათა გამგე), სილიბისტრო ჯიბლაძე, პეტრე ქავთარაძე, გიორგი ლასხიშვილი, კონსტანტინე მესხი და რევაზ გაბაშვილი.

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე დაადასტურა როგორც თავადაზნაურობის, ასევე ეროვნული ყრილობის დადგენილებანი და მიანიჭა ეროვნული საბჭოს იურიდიული პიროვნების უფლებები.

ოფიციალურად ქონებათა სექცია თავადაზნაურობისეულ ქონების საქმის ხელმძღვანელობას 1917 წლის 14 დეკემბრიდან შეუდგა, რაც სექციის სხდომის პირველი ოქმიდან ჩანს.

ქონების ჩაბარება ფორმალურად შეეხო სხვადასხვა დოკუმენტების - ნასყიდობისა და გირავნობის აქტების და სარგებლიანი ქაღალდების მიღებას, რაც 1918 წლის 9 იანვარს მოხდა.

თვით ქონების ჩაბარება დოკუმენტურად არ მომხდარა, თუმცა სექციამ გამოყო პირები, რომლებმაც დაათვალიერეს ქარვასლისა და ელექტროსადგურის შენო-

ბები და მოძრავი ქონება, შეადარეს ისინი აღწერილობასთან. აქტი ამის შესახებ არ შემდგარა.

1918 წლის 13 იანვარს ყველა ბანკს მიეწერა, რომ ფულადი ანგარიშები გადმორიცხულიყო ეროვნული საბჭოს სახელზე.

ეროვნული საბჭოს ქონებათა სექცია ამ ქონებას განაგებდა 1917 წლის 14 დეკემბრიდან 1918 წლის 16 მაისამდე. - ამ დღიდან სექციამ თავისი თავი დამოუკიდებლად ჩათვალა, თუმცა ამის შესახებ დადგენილება არ ყოფილა მიღებული. უკანასკნელი მისი სხდომა 24 მაისს ჩატარდა. ეს იმ გარემოებით აიხსნება რომ საქართველოში იყო დაძაბული პოლიტიკური ვითარება და სექციის წევრები, როგორც აქტიური პოლიტ. და საზოგადო მოღვაწენი, დაკავებულნი იყვნენ საზოგადოებრივი პრობლემებით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ ქონების გამგებლობას სათავეში ჩაუდგა მამულების მოურავი-ინჟინერი პეტრე მამრაძე[6].

მთელი ეს ქონება გადაეცა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას.

თბილისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას გადაეცა:

1. სახლი ველიამინოვისა და განოვის ქუჩებზე და ეზო, ზომით 495 საჟენი.

2. ოთხსართულიანი სახლი წყნეთის ქუჩაზე, ზომით 318 საჟენი და 12 დღიური.

3. ერთი ნაჭერი მინა წყნეთის ქუჩაზე, ზომით 210 საჟენი.

4. სალომე გურგენიძის მიერ ნაანდერძევი ნაწილი სახლისა და მამულისა შორაპნის მაზრაში, სოფ. ფარცნალში.

5. ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების მოძრავი ქონება, 32302 მანეთისა და 66 კაპიკის ღირებულების.

6. ფასიანი ქაღალდები 400 მანეთის.

7. დავით სარაჯიშვილის მიერ ფიზიკური კაბინეტის მოსაწყობად შეპირებული 3652 მან. 37 კაპ.
8. საპენსიო თანხა - 114092 მან. 67 კაპ.

სასტიპენდიო თანხები:

9. ტურიაშვილის სახელობისა - 2834 მან. 22 კაპ.
10. ციციშვილისა - 100 მან.
11. ვართანოვისა - 1000 მან.
12. თ. ი. ხერხეულიძისა - 9141 მან. 77 კაპ.
13. თ. ა. ორბელიანისა - 4000 მან.
14. კ. ი. ზუბალაშვილისა - 6000 მან.
15. ს. გურგენიძისა - 5 311 მან. 48 კაპ7.
ასევე ვალები და სხვა ვალდებულებანი.

1918 წლის 21 სექტემბერს მთავრობამ დაადგინა კომისიის შედგენა ფინანსთა, მიწათმოქმედების, გზათა და სახალხო განათლების მინისტრებისაგან იმ ქონების მართვა-გამგეობის წესის შესამუშავებლად, რომელიც სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და რომელიც ადრე ეკუთვნოდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას და აგრეთვე ღარიბ მოწაფეთა შემწე თავადაზნაურთა საზოგადოებას[8].

განათლების სამინისტროს უწყებას მთავრობის დადგენილებით გადაეცა შემდეგი მამულები და ქონება: სოფელ ყვარლის მამული ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკით, სასტიპენდიო ფონდები, გრიგოლ ორბელიანის ძეგლის ასაგები ფონდი, გიმნაზიის შენობა ეზოთი ქ. ქუთაისში და სასწავლებლის შენობა ეზოთი ქ. სენაკში; გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა აგრეთვე „ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა თავადაზნაურთა დამხმარე საზოგადოების ქონება: გიმნაზიის შენობა ვაკეზე, სახლი ქ. თბილისში განოვის ქუჩაზე და სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც კი ამ საზოგადოების კუთვნილებაში იყო"[9].

ესენი იყო: 1. ქარვასლა, 3400 საჟენი ფართობის, შეძენილი იყო 340 000 მანეთად, შეფასდა 800 000 მანეთად, სავარაუდო ღირებულება იყო 8 მილიონი მანეთი, ქარვასლას ჰქონდა ვალი 399 650 მან. ყოველწლიური პროცენტი გადასახადი და ვალის ნაწილის გადასახადი თანხა იყო 30 100 მან. ქარვასლის წმინდა შემოსავალი უდრიდა 30 000 მანეთს. .

2. ელექტროსადგური ფრეილინის ქუჩაზე, შეძენილი იყო 165 ათას მანეთად, მიახლოებითი ღირებულება იყო 500 ათასი მანეთი, იძენდა წმინდა შემოსავალს - 50 ათას მანეთს.

3. საგაბაშვილო თხინვალის მამული, 120 დესეტინა, ნაყიდი იყო 20 000 მანეთად, ღირდა 300 ათასი მანეთი, წმინდა შემოსავალი - 700 მან. ჰქონდა. ეკუთვნოდა მიწათმოქმედების სამინისტროს.

4. ატენის მამული გორის მაზრაში, ატენის ხეობაში, 37 დესეტინა შეძენილი იყო 12 300 მანეთად, ღირდა 20 000 მანეთი, ეს მამული ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ხელში იყო.

5. ყვარლის ილიასეული მამული 1 დესეტინა, 315 კვ. საჟენი, ეს მამული წ. კ. გ. საზოგადოების ხელში იყო.

6. წინამძღვრიშვილისეული მამული, დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში - 630 დესეტინა, ღირებულება, მიახლოებით ჰქონდა 100 ათასი მანეთი, ეს მამული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ხელში იყო.

7. ნავთის მიწები - ეკუთვნოდა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, ბაქოს გუბერნიის ყარაგიოზის მიდამოებში 6 1/2 დესეტინა[10].

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას ეკუთვნოდა სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც ასევე გადავიდა საზოგადოების საკუთრებაში:

1. კახეთის რკინიგზის აქციები - 9500 ცალი, რომელთა ნომინალური ღირებულება იყო თითოსი - 100 მანეთი, სულ 950 ათასი მანეთი. აქედან 907 ათასი მანეთის

ღირებულების აქციები შეტანილი იყო აზოვ-დონის ბანკში სპეციალური ანგარიშის უზრუნველსაყოფად. 43 ათასი მანეთის ღირებულების აქციები შეტანილი იყო კახეთის რკინიგზის გამგეობაში გირავნობად, გამგეობის დირექტორთათვის, კახეთის რკინიგზის სხვა აქციები ეკუთვნოდა ფინანსთა სამინისტროს.

2. ამიერკავკასიის ბანკის აქციები - 30 ცალი, თითო 250 მანეთი, სულ 7 530 მანეთის ნომინალური ღირებულებით, მასში შესული იყო 30 მანეთი - ბანკის მოწყობის ხარჯად გაღებული.

3. 5%-იანი გირავნობის ფურცელი ტფილისის საათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისა - ნომინალური ღირებულება 1000 მანეთი.

4. რუსეთის მე-3 შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი 1100 მანეთის ღირებულების[11].

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ქონებაში შედიოდა ასევე სხვადასხვა ხელუხლები ფონდები: 1. გრიგოლ დიმიტრის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის ძეგლის ასაგებად: ა) რუსეთის სახელმწიფოს 4%-იანი რენტა;

ბ) ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკებში ვადით შენატანი 2067 ნომრიანი ბილეთით. 4%-იანი რენტა იყო 3 ცალი, 3 900 მანეთის ღირებულების, ინახებოდა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში 347 ნომრით.

გ) სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ სალაროში ფულად ინახებოდა 710 მან. 47 კაპ.

2) დავით ვახტანგის ძე გაბაშვილის სახ. სტიპენდია - 1000 მანეთი.

3) ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია 5000 მანეთი.

4) ეკატერინე დიმიტრის ას ტურიაშვილის სახ. სტიპენდია - 10418 მან. 80 კაპ.

5) იერემია ანტონის ძე ჩიქოვანის სახ. სტიპენდია 1000 მანეთი[12].

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას ჰქონდა ვალები:

1) თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის

2) აზოვ-დონის ბანკის - პირველს ქარვასლის გირავნობით, მეორეს კახეთის რკინიგზის აქციებით უზრუნველყოფდა.

3) ქართული მუზეუმის ასაშენებლად 35 000 მანეთი ჰქონდა ვალი.

4) თბილისის პოლიტეხნიკურის ასაშენებლად 10 ათასი მან.

5) ყოველწლიური გადასახადი რუსეთის სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში შესატანად ეკატერინე დავითის ასულ მელიქიშვილის ხოჟორნის მამულისა 1650 მანეთი.

6) ქართული გიმნაზიის შენობის დარჩენილი გადასახადის შესატანად ტფილისის საადგილმამულო ბანკში და აგრეთვე ზოგიერთი ხარჯის დასაფარავად 22 419 მანეთი.

7) განათლების საზოგადოების სემინარიისათვის ყოველწლიური გადასახადი 300 მანეთი[13].

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას ჰყავდა თავისი პენსიონერები:

1. აკაკის მეუღლე - ნატალია პეტრეს ასული წერეთლისა, 1200 მან.

2. თავადაზნაურთა ყოფილი გუბერნიის წინამძღოლის ასულ ელენე მაღალაშვილისა - 1200 მანეთი.

3. თავადაზნაურობის ყოფილი არქივარიუსი სოლომონ ჯავრიშვილი - 1200 მან.

4. თავადაზნაურობის ყოფილი მოხელე გრიგოლ კორინთელი 900 მან.

5. თავადაზნაურობის ყოფილი მდივნის ქვრივი ე. ასლამაზოვისა - 300 მან[14].

დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ქონებაც სასწავლებელთა ხელში გადავიდა, ქუთაისში - გიორგი ზდანოვიჩის, პრინცი ოლდენბურგელის, ანანოვის

მამულები, ასევე მოხდა ოზურგეთსა, ჩოხატაურსა, ზუგდიდსა და სხვა რაიონებში.

დაბა ჩოხატაურში, რაიონის ცენტრში, შესანიშნავი ორსართულიანი ქვის შენობა სხვა პატარა საოჯახო შენობებით, რომელსაც ჰქონდა 8 ქცევა ეზო, ეკუთვნოდა ოზურგეთის თავადაზნაურთა წინამძოლს - კონსტანტინე ერისთავს, რომელიც მან, შელავათიან ფასებში გადასცა ჩოხატაურის სასწავლებელს - 150 ათას მანეთად ღირებული - 10 ათას მანეთად. ამ თანხას, 10 ათას მანეთს, ითხოვდა ჩოხატაურის სასწავლებელი სახელმწიფოსაგან სესხად, ან დახმარების სახით; პირობას იძლეოდნენ, რომ სესხს ნაწილ-ნაწილ გადაიხდიდნენ. სკოლა იმყოფებოდა ცუდ შენობაში, ერისთავის სახლი და მამული კი მისთვის საუკეთესო მუშაობის პირობების შექმნას ნიშნავდა. ამიტომ განათლების მინისტრი ითხოვდა მთავრობისაგან ამ თანხას და აღნიშნავდა, რომ „ეს კუთხე ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა ჩვენი ქვეყნისა, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მიუხედავად მრავალწლიანი დაბრკოლებისა, მაღალ დონეზეა"-ო[15].

ეს მიმართვა 1918 წლის 20 აგვისტოს გაკეთდა, 24 აგვისტოს კი მთავრობამ უარი განაცხადა ჩოხატაურის სკოლისათვის 10 ათასი მანეთის გამოყოფაზე. მიუხედავად ამისა, შემდეგში ეს შენობა მაინც გადაეცა ჩოხატაურის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს.

თავადაზნაურთა მამულები ხშირად საკუთარი ანდერძით, ანდა სახელმწიფოს მიერ მოხდენილი კონფისკაციის შემდეგ გადადიოდა სკოლების ხელში. ასე გადაეცა ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიას გიორგი ზდანოვიჩის კუთვნილი მამული და სახლი.

როდესაც სასწავლებლების რეორგანიზაციის საკითხი დადგა, საქართველოს განათლების სამინისტრომ იმსჯელა გაგრის სასწავლებლების შესახებაც. მან მთავრობაში წარადგინა მოხსენება გაგრის რეალური სასწავლებლის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს სასწავ-

ლებელი წარმოადგენდა პრინც ოლდენბურგელის თავ-შესაფრის განყოფილებას. ამ გარემოებას თავისი გავ-ლენა მოეხდინა სასწავლებელზე, როგორც პედაგოგთა შემადგენლობაზე, ასევე თავად სწავლა-აღზრდის მიმა-რთულებაზეც. მაგალითად მოტანილი იყო ის, რომ სას-წავლებელს განაგებდა აგრონომი, რომელიც უფროს კლასებში ასწავლიდა მათემატიკას, ინჟინერ-ტექნოლო-გი ასწავლიდა შუა საუკუნეების ისტორიას, ბუნებისმეტ-ყველი - ახალ ისტორიას და სხვ. მშობლებმა და მოსწავ-ლეებმა ეს პირობები ვერ აიტანეს და მოითხოვეს სასწავ-ლებლის გადასვლა განათლების სამინისტროს ხელში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ქალაქ გაგრის თვითმმარ-თველობას, რომელმაც ბოლშევიკური ბატონობის ხანა განიცადა, არ შეეძლო ეტვირთა განათლების ხარჯები, რომელიც 50 000-იან მოსახლეობას ემსახურებოდა. დახ-მარება ესაჭიროებოდა იმ ორ სახალხო სკოლასაც, რო-მელიც გაგრაში მოქმედებსო, აღნიშნავდა იგი.

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 22 500 მანეთი იყო საჭირო ამ სკოლისათვის, მაგრამ თუ მხედველობაში იქნებოდა მიღებული სავარაუდო შემო-სავალი - 12 500 მანეთი, მაშინ სახელმწიფო ხაზინას 10 ათასი მანეთი სუბსიდიის მიცემა დასჭირდებოდა.

გაგრის რეალური სასწავლებლის შენობას და რამ-დენიმე ქცევა მიწას უფასო იჯარით ითხოვდა ბოლშევი-კი გენერალი - ლევანდოვსკი. ეს ის ლევანდოვსკი იყო, რომელმაც 1921 წლის თებერვალში - სერგო ორჯონიკი-ძესა და სერგეი კიროვთან (კოსტრიკოვი) ერთად დაამხო საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუ-ბლიკის მთავრობა და აქ ბოლშევიკური წყობილება დაა-მყარა. გენერალ ლევანდოვსკის სახელობის ქუჩაც ამშ-ვენებდა თბილისს კომუნისტური რეჟიმის დროს.

1918 წლის სექტემბერში რუსი გენერალი ჯერ ფრ-თხილად მოქმედებდა. მან კარგად იცოდა, რომ პოლიტი-კური ინტრიგებით არაფერი გამოუვიდოდა და ცდილო-ბდა თავისებური გზით მოეკიდებინა აქ ფეხი.

მან წამოაყენა გაგრაში ლიცეუმის შექმნის გეგმა. ახალი ტიპის ეს სასწავლებელი, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, 4 საფეხურისაგან იქნებოდა შედგენილი: 1. ელემენტარული სკოლა (7-11 წ.); 2. დაწყებითი სკოლა (11-15 წ.); 3. საშუალო სკოლა (15-18წ.); 4. უმაღლესი სკოლა - 3 ფაკულტეტით: აგრონომიული, სამთო და საზღვაო ფაკულტეტებით.

ლიცეუმის მუშაობას ლევანდოვსკი საფუძვლად უდებდა ლიცის, ბედლეის და სხვათა პრინციპებს.

სახალხო განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი, რომელიც დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას განახორციელებდა სახალხო განათლების სისტემაში, კარგად მიხვდა ლევანდოვსკის მიზნებს და მოხერხებულად გააბათილა მისი თეორია - ლიცეუმის შექმნის საკითხში. იგი აღნიშნავდა: „სახალხო განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ კერძო ინიციატივას ფართო სარბიელი უნდა ჰქონდეს სწავლა-აღზრდის საქმეში დათმობილი და ამიტომაც პრინციპიალურად შესაძლოდ მიმაჩნია ბატონ ლევანდოვსკის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას, მაგრამ რადგანაც გაგრის რეალურ სასწავლებელში უკვე საკმაო რიცხვია მოწაფეებისა და მათ შეძლება უნდა მიეცეთ სწავლის გაგრძელებისა, ხოლო ბატონ ლევანდოვსკის ახალი ლიცეუმი თავის მიზნებით, სწავლების გეგმებითა და საერთო მიმართულებით სრულიად არ შეეფერება იმ საფუძვლებს, რომლებზეც გაგრის რეალურ სასწავლებელში იყო სწავლა დაფუძნებული, ამიტომ სამინისტროს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გაგრის თვითმმართველობის შუამდგომლობა დააკმაყოფილოს:

1. მიიღოს თავის შემადგენლობაში გაგრის რეალური სასწავლებელი; 2. გაგრის ქალაქის თვითმმართველობის სამზრუნველო საბჭოს უფლებები მიაკუთვნოს".

თანხა, რომელიც გაგრის რეალურ სასწავლებელს ესაჭიროებოდა - 10 ათასი მანეთი, უნდა გაეღო ქალაქის თვითმმართველობას 1919 წლის იანვრამდე.

ეს მოხსენება, რომელიც გაკეთდა 1918 წლის 27 აგვისტოს გაგრის რეალური სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნა 1918 წლის 6 სექტემბერს[16].

გაგრის თვითმმართველობამ უარი განაცხადა ამ თანხის გაღებაზე, ქალაქის თვითმმართველობა მხოლოდ 9 თვეა არსებობს, საიდანაც 4 თვე უმოქმედოდ იყო ბოლშევიკების ბატონობის გამოო. სამინისტრო იძულებული გახდა საკუთარი ფონდიდან გაეღო გაგრის სასწავლებლისთვის დახმარება[17].

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატი ეხმარებოდა დაწყებით სასწავლებლებს[18].

1917 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას გადაეცა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა დამხმარე ქონება, მაგრამ 1918 წლის 1 იანვრიდან გართულებულმა მდგომარეობამ მთავრობას მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარებინა სკოლების დასახმარებლად. სკოლებს გამოეყო 10 მილიონი მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან. უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დაეკისრა გადასაჭრელად ამ 10 მილიონიან ფონდს, რის აღსრულებაც ამ თანხით ძალზე გაძნელდა.

ცალკეულ სკოლებში შექმნილ მდგომარეობას კარგად აჩვენებენ დოკუმენტები, მიმართვები სამინისტროებისადმი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ამ სკოლების ფინანსური მდგომარეობა.

მოვიტანთ სახალხო განათლების მინისტრის - გიორგი ლასხიშვილის მოხსენებას თბილისის ქართული გიმნაზიისადმი ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ. მინისტრმა ამ მოხსენებით მთავრობას მიმართა. მიმართვის ტექსტი ასეთი იყო: „გამგე კომიტეტი თბილისის ქალთა და ვაჟთა ქართული გიმნაზიების შესანახად ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისაგან ყოველწლივ ღებულობდა დახმარებას 85 000 მანეთს. შეცვლილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო მოხსენებული სუბსი-

დია 1918 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებას მოესპო და ამ რიგით მოხსენებული სასწავლებლების შენახვა აუტანელ ტვირთად დააწვა საზოგადოების გამგე კომიტეტს. მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სასწავლებელს შემწეობა აღმოუჩინა 30 000 მანეთით, მაგრამ ამ საშუალებამ სხვადასხვა შემოსავალთან ერთად მაინც ვერ დაფარა ორივე სასწავლებლის აუცილებელი საჭიროებანი. ამჟამათ გიმნაზიას არ მოეპოვება არავითარი საშუალება და ამის გამო გამგე კომიტეტმა 5 ივნისს, 1918 წელს (№224) აღძრა თხოვნა, რომ მას მიეცეს სახაზინო თანხიდან დახმარება 18893 მან. და 54 კაპ., რათა დაფაროს ხარჯები და დააკმაყოფილოს ივნისის და ივლისის ჯამაგირებით თბილისის ქალთა და ვაჟთა ქართული გიმნაზიების მასწავლებელნი.

გაუწყებთ რა ამას და ვღებულობთ რა ამასთანავე მხედველობაში იმ გარემოებას, რომ აღნიშნული გიმნაზიები ამ მოკლე ხანაში უნდა გადავიდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელში, ვთხოვ სამინისტროს საბჭოს მისცეს ერთდროული დახმარება 188930 მან. და 54 კაპ. ხაზინიდან.

სახალხო განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი[19].

განსაკუთრებით უჭირდათ ისეთ სასწავლებლებს, სადაც არსებობდა პანსიონები, ჩამოსული მოწაფეები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, პანსიონთა გაუქმების შემდეგ საშინელ დღეში ჩავარდნენ. სასწავლებლის გარეთ დარჩნენ ობლები, ან ნახევრად ობლები, რომელთაც პანსიონს გარეთ, არავითარი ბინა არ ჰქონდათ.

ასეთ დღეში ჩავარდნენ თბილისის ქალთა ინსტიტუტის პანსიონის მოსწავლეები.

ამ სასწავლებელში 274 ქალი სწავლობდა, ამაში 63 იყო თბილისს გარეთ მცხოვრები (საქართველოში, სამხრეთ კავკასიაში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სპარსეთში), 18 უმისამართო, აქედან 8-ის მისამართი იყო ინსტიტუტი.

1918 წლის 10 ივლისის ცნობით ინსტიტუტში იყო 52 მოწაფე, ამათში 7 უდედ-მამო ბავშვი, უმამო 28 (უმეტესობის მამა ომში მოკლული იყო), 2 უდედო, 8 მოწაფის გარდა ყველანი უსახსრონი იყვნენ. განათლების მინისტრი მთავრობისაგან ითხოვდა ამ უდედ-მამო ბავშვების თავმოყრას და მათზე მთავრობის ზრუნვას. მათთვის უნდა გახსნილიყო ინტერნატი სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვით და შტატებით. ეს ინტერნატი გათვალისწინებული იყო უმეტესად საქართველოში მცხოვრებთათვის, ვინც აქაური იყო, ან აქ ცხოვრების სურვილი ჰქონდა[20].

ქალთა ინსტიუტის ინსპექტორი იყო ივანე პოლუმორდვინოვი, რომელიც ქართულად წარმოადგენდა მოსხენებით ბარათს სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ[21].

მასწავლებელთა გაფიცვებთან ერთად, შექმნილი მდგომარეობის გამო, იფიცებოდნენ მოწაფეებიც. ასეთი გაფიცვა მოხდა ფოთში, რაც განიხილა სამინისტრომ და ასეთი დასკვნა გააკეთა: „საჭიროა მომავალში ზომები იქნეს მიღებული, რათა მოსწავლეთა გამოსვლები კვლავაც წესიერების ფარგლებს არ გასცილდეს"-ო[22].

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად იქმნებოდა „მოწაფეთა კავშირები", რომლებიც ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა სკოლაში. მოსწავლეთა კავშირების შექმნის აუცილებლობის საკითხს სვამდა პუბლიცისტი მიხეილ მახვილაძე წერილში - „სკოლა და თვითგანვითარება". იგი აკრიტიკებდა სკოლას, მიაჩნდა რა, რომ ასეთი სკოლა ვერ აღზრდიდა მტკიცე ხასიათის, ძლიერი ენერგიის განათლებულ და კულტურულ თაობას, იმიტომ, რომ ეს იყო მემკვიდრე ძველი რუსული სკოლისა და არავითარი ცვლილება არ იყო ქართულ სკოლაში მომხდარი. მთავრობამ იცოდა ეს და ცდილობდა კიდეც სკოლის რეორგანიზაციას, მაგრამ, - პუბლიცისტის თქმით, - ეს მომავლის საქმე იყო. მანამდე კი სწავლა - აღზრდის პრობლემებზე უნდა ემსჯელათ თავად მოსწავლეებს, მათ უნდა დაეფუძნებინათ მოსწავ-

ლეთა კავშირები, შეექმნათ წრეები და გაეტარებინათ სხვა ღონისძიებანი.

ავტორი მაგალითად ასახელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის წრეს, რომელიც ბევრს აკეთებდა როგორც ეროვნული კულტურის, ასევე ეროვნული საზოგადოებრივი ცნობიერების დანერგვის საქმეში[23].

9. სასულიერო სასწავლებლები და საღვთო სჯულის სწავლების საკითხი 1918-1921 წლებში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918-1921 წლებში, დამოუკიდებელი ფორმირებისა და განმტკიცებისათვის, რეფორმები გაატარა ადმინისტრაციული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

გატარებული რეფორმებიდან მნიშვნელოვანი იყო განათლების დარგში მომხდარი დიდი რეორგანიზაცია: ძველი სასკოლო სისტემის გაუქმება და ახლის შექმნა, დაბალი და საშუალო სკოლების ტიპების შეცვლა, უმაღლესი სასწავლებლების დაარსება და სხვ.

სახელმწიფოებრივი მიდგომა განათლების დარგისადმი იყო ეროვნული და მიზნად ისახავდა საყოველთაო, უფასო, სავალდებულო სწავლების შემოღებას.

სამწუხაროდ, არაეროვნული აღმოჩნდა დემოკრატიული მთავრობის დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი, რამაც განსაზღვრა სასულიერო სკოლების ბედიც: დაიწყო ამ ტიპის სკოლების რეორგანიზაცია, მათი გადაკეთება საერო და პროფესიულ სკოლებად. 1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ, სასულიერო სკოლების რეორგანიზაცია, საეკ-

ლესიო ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმებაც ამ კანონპროექტით განისაზღვრა. კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებაზე კი ამავე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა. იგი ხუთი მუხლისაგან შედგებოდა და ასე იყო ფორმულირებული:

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში უნდა გაუქმებულიყო საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

2. დაიხურებოდა კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის ხსენებულ სკოლებში.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცემოდათ 1918 წლის 5 ივლისის კანონით გათვალისწინებული ჯილდო.

4. ეს კანონი ძალაში შედიოდა დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში", - კანონი გამოქვეყნდა 1918 წლის 26 ნოემბერს[1].

კანონის მიღებამდე, ცნობა საღვთო სჯულის სასკოლო პროგრამებიდან ამოღების შესახებ დაეგზავნა ზუგდიდის[2], სოხუმის[3], დასავლეთ საქართველოს 4 რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორებს[4].

მომხდარმა აქტმა საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები, გმობდნენ მთავრობის ამგვარ გადაწყვეტილებას, ღრმა ქრისტიანული კულტურის მქონე ქვეყნისათვის მას მიუღებლად მიიჩნევდნენ, თვლიდნენ, რომ ამგვარი ღონისძიება ხელს შეუშლიდა სულიერად ამაღლებული ღირსეული თაობების აღზრდას, ურომლისოდაც დამოუკიდებელი საქართველო ვერ შესძლებდა მომავლისათვის მტკიცე სახელმწიფოდ გადაქცევას. მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად,

ეს კარგად იგრძნო უბრალო ხალხმაც: საქართველოს ყველა კუთხიდან მთავრობასა და სახალხო განათლების სამინისტროში მოდიოდა საჩივრები, წერილები, მოთხოვნები - საღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვებაზე. სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი ყრილობები, საიდანაც ზემდგომ ორგანოებში იგზავნებოდა მიღებული დადგენილებები. ასეთი ყრილობები ჩატარდა სენაკში[5], სოხუმსა და სოხუმის რაიონის სოფლებში.

საღვთო სჯულის სწავლების აღდგენის მოთხოვნას სოხუმის სამღვდელოების კრებამ დაუმატა ამ საგნის მასწავლებელთათვის საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსაგან ხელფასის მომატების მოთხოვნა. აღინიშნა, რომ „ჩვენი ერი განსაკუთრებით მორწმუნეა და ქრისტიანობის დაცვისათვის საუკუნეების მანძილზე მებრძოლი". მათი აზრით, ეკლესია განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულება იყო და ხაზინასაც უნდა მიეცა ჯამაგირი მისი თანამშრომლებისათვის"[6].

ასეთივე მოთხოვნები მიიღო განათლების სამინისტრომ სოხუმის რაონის სოფელ ლერქოფიდან[7], წებელდიდან[8], აგაფო კილასურიდან[9], მერხეულიდან[10] და სხვ.

მიუხედავად ამგვარი საერთო-სახალხო დამოკიდებულებისა, პარლამენტმა იმსჯელა საღვთო სჯულის სწავლებაზე სკოლებში და აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს რელიგიის საკითხებში, საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება კი ასეთ გადაწყვეტილებას ხელს შეუშლისო. რელიგიური მრწამსი თავისუფალი ადამიანის პირადი საქმე უნდა ყოფილიყო. თუ მთავრობა ერთი რელიგიის მსახურთ დააფინანსებს, სხვამ რა დააშავა, ეს იქნება იმ სხვა რელიგიების დაჩაგვრა სახელმწიფოსაგანო, - განაცხადეს პარლამენტის სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა და გადაჭრით მოითხოვეს სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე,

რევაზ გაბაშვილი და სხვ. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რევაზ გაბაშვილმა[11].

საზოგადოება უკმაყოფილებას ვერ ფარავდა მთავრობის ამგვარ გადაწყვეტილებაზე და პროტესტის გამოხატვას არ ერიდებოდა.

განსაკუთრებულად მწავავე რეაქცია გამოხატეს დასავლეთ საქართველოს სკოლებმა, სასოფლო და საქალაქო საზოგადოებებმა.

1918 წლის 24 სექტემბერს, ქუთათელი მიტროპოლიტის - ანტონის დასაფლავების დღეს, ქალაქ ქუთაისში, საარქიელო სახლში, საღამოს 8 საათზე შეიკრიბნენ საქართველოს საკათალიკოსო და გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოთა წარმომადგენლები და მთელი შემადგენლობა იმერეთის საეპარქიო საბჭოსი, ქალაქის სამღვდელოებითურთ. კრებას დაესწრნენ მიტროპოლიტები - ლეონიდი და ამბროსი. თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული მიტროპოლიტი ლეონიდი, დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა შეხვედროდა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას საღმრთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ რესპუბლიკის სასწავლებლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით, წამოიჭრა მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც - საქართველოს სამღვდელოების ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ. დიდი კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. ვინაიდან ქართველი ერი ისტორიულად შეთვისებულია თავის სჯულთან და მისი დიდი უმრავლესობა კვლავაც ღრმად მორწმუნეა, სარწმუნოების ცოდნა აუცილებელია მისი შემდგომი განვითარებისათვის, ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ საღმრთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში სავალდებულო სასწავლო საგნად.

2. მოეთხოვოს საოლქო საბჭოებს, საშუალო სასწავლებლების მშობელთა წრეებს და, სადაც ასეთი არ არის, მშობელთა კრებებს, გამოიტანონ თავიანთი აზრი

სასწავლებლებში საღმრთო სჯულის სწავლების აუცილებლობაზე და დადგენილება ამის შესახებ წარადგინონ პირდაპირ ეროვნულ საბჭოში.

3. საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით ეროვნულმა საბჭომ უნდა მისცეს დამატებითი ჯამაგირები სამღვდელოებას, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და უამისოდ იძულებული იქნება შეწყვიტოს თავისი სამსახური, თუ მალე ვერ მიიღებს სათანადო ნივთიერ დახმარებას.

4. რადგანაც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და მისი მსახური სამღვდელოება წარმოადგნს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას და ეწევა უპირატესად სახელმწიფო სამსახურს, იგი ხაზინამ უნდა შეინახოს, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, ხალხმა უნდა იტვირთოს მისი შენახვა, ხალხს კი ამჟამად ეს არ შეუძლია. ამიტომ, საქართველოს მორწმუნე ერი ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა შეიკრიბოს, მოიწვიოს ყრილობა და მიმართოს ეროვნულ საბჭოს - ეკლესიის ხაზინიდან დაკმაყოფილების შესახებ.

პირველი სამი მუხლი საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეგზავნა, ბოლო ორი კი - საეგზარქოსო საბჭოებს, რათა მათ მოეწვიათ საოლქო და სასოფლო ყრილობები აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად და მათ ეროვნულ საბჭოში წარსადგენად.

ამონაწერი ამ დადგენილებიდან დაეგზავნა რესპუბლიკის სკოლებსაც, სადაც მშობელთა კრებებზე ღებულობდნენ გადაწყვეტილებას საღმრთო სჯულის სასკოლო პროგრამებში კვლავ ძირითად სასწავლო საგნად შეტანაზე[12].

1919 წლის 6 მარტს ქუთაისის კლასიკური ვაჟთა გიმნაზიის მშობელთა კრებამ ასეთი დადგენილება გამოიტანა და გაუგზავნა სახალხო განათლების სამინისტროს:

„მივიღეთ რა მხედველობაში გარდამავალი არაჩვეულებრივი ისტორიული მომენტი, სკოლებში არასასურ-

ველი, თიქმის ანარქიული მდგომარეობა, ბავშვების გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება, მათი ხშირი არასასურველი თვითნებობა - სწავლის შეწყვეტა, ომში, ვითომდა სამშობლოს დასაცავად წასვლა მთავრობის და მშობლების დაუკითხავად, ინდიფერენტული დამოკიდებულება სწავლა-განათლების საქმესთან, ჩვენ, მშობლები, ქრისტიანულ სწავლას ვთვლით მაღალისტორიულ მორალურ ფაქტორად სკოლებში და დარწმუნებული მასში, რომ მარტო თეორეტიკული, განყენებული ცოდნა, თუ მასთან ერთად არ ვითარდებიან ორგანული ხასიათი, ზნე-ჩვეულება-გრძნობა ნამდვილ ადამიანს ვერ შექმნის და ჩვენ ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას ნამდვილ მაღალ იდეალებით აღჭურვილ მოქალაქეების ნაცვლად, მისცემს არასასურველ მავნე ელემენტებს. ყოველივე ამის მიხედვით, მშობელთა წრე მოითხოვს:

1. საღმრთო შჯული ისწავლებოდეს სურვილისამებრ, მასწავლებელს ექნება ჯამაგირი იმ ფულებიდან, რომელსაც მშობლები ვიხდით ოფლით და სისხლით ნაშოვარს სწავლისათვის.

2. ჩაეთვალოს შტატში სამსახური ისე, როგორც საზოგადოთ მუშებს ერიცხებათ შრომა და პენსიით და ჯამაგირით უზრუნველყოფა კანონდება მათთვის შრომის სამინისტროსაგან.

3. ისწავლებოდეს განსაზღვრულ დროს, როცა ბავშვები მიდიან სწავლისათვის გიმნაზიაში, ამას მოითხოვს ძირითადი პედაგოგიური პრინციპი და თვალთა საზრისი.

4. როცა მთავრობა გამოსცემს რაიმეს სახელმძღვანელოთ მაღალმორალური სწავლისას, ეთიკის დარგიდან, მაშინ ექნება ადგილი ამ საგანზე საკითხს, დღეს ჩვენი პროგრამები დღიდან ამ საგნის გაძევებისა, არავითარ მორალურ დარიგებას ბავშვებს არ აწვდიან. დაბეჯითებით მოვითხოვთ მშობლები, რომ ჩვენმა შვილებმა სასწავლებელში ისწავლონ საღმრთო შჯული, თუნდა არა სავალდებულო"[13].

კრებამ ეს საკითხი განმეორებითაც მწვავედ დააყენა, აღნიშნა, რომ საჭირო იყო არა საყვედურების გამოთქმა სარწმუნოების დაკარგვაზე, არამედ მთავრობის წინაშე სამი საკითხის დასმა:

1. რა მიზეზით და რა პირობით გამოაცხადეს საქართველოში სინდისის თავისუფლება და როგორ მოხდა ეს ევროპაში.

2. იყო თუ არა რაიმე კავშირი ეკლესიასა და საღვთო სჯულს შორის.

3. ჰქონდა თუ არა ხალხს მსჯელობის უფლება იმ საკითხზე, რომელმაც უკვე მიიღო სანქცია პარლამენტში.

მღვდელმა ნესტორ აბესაძემ საზოგადოებას განუმარტა, რომ სახელმწიფოს გამოყოფა ეკლესიისაგან მოხდა ევროპაში, ეს იყო კათოლიკური ეკლესიის რეაქციული პოლიტიკის შედეგი, რაც ხელს უშლიდა ევროპული ქვეყნების განვითარებას, საქართველოში კი სახელმწიფოებრივი წინსვლა და სიმტკიცე ეკლესიას უკავშირდებოდა, ხელისუფლება და ეკლესია იყო ერთიანი, თავი რომ დავანებოთ უძველეს დროს, ახალ პერიოდშიც იგი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა: ასწავლიდა ხალხს სჯულისა და სამშობლოს დაცვას, აძლევდა განათლებას, ამასთან არ ერეოდა პოლიტიკაში და ხელს არ უშლიდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლას.

გამომსვლელის აზრით, ეკლესია ვერ შეასრულებდა სკოლის ფუნქციას, იგი არის ღვთის სამლოცველო სახლი, სადაც სწავლება არ ხდებაო. ის აკრიტიკებდა სახელმწიფო კანონს და ამბობდა: სჯული არ ასწავლო ბავშვებს და ეკლესიაში ატარო, ეს იგივეა, გეოგრაფია რომ არ ასწავლო სკოლაში და მინდორში ატარო მოწაფეებიო, ეკლესიაში სიარული და სჯულის უსწავლელობა ხელის შეწყობა იქნება უვიცობისა და ურწმუნოებისათვისო.

ამ საკითხზე მსჯელობას ეკლესიის მამა აუცილებლად თვლიდა, რადგან პარლამენტში ქვეყნის პატრიოტ

შვილებთან ერთად, მისი აზრით, უვიცებიც იყვნენ და მათი გადაწყვეტილება არ შეიძლებოდა შეუმცდარი ყოფილიყო. ეს რთული საკითხი უნდა გადაეჭრა დამფუძნებელ კრებას და არა მხოლოდ სოციალისტურ დროებით პარლამენტს, რადგან სოციალისტები, მისი განცხადებით, არაკომპეტენტურნი იყვნენ რწმენის საკითხში[14].

საღვთო სჯულის სწავლებაზე მიღებული ხობის რაიონის სამღვდელოების კრების დადგენილებაც მტკიცე და შეუვალი იყო. „ეკლესიას უნდა ეჭიროს სახელმწიფოში განსაკუთრებული მდგომარეობა, - ეწერა მასში, - უნდა იყოს შეერთებული სახელმწიფოსთან და არა განცალკევებული. წარსული ისტორია, დასავლეთის მაგალითი და ეკლესიის კანონები წინააღმდეგნი არიან ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებისა. სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკლესია კი ზნეობრივად ამაღლებს მას ქრისტეს ჭეშმარიტების შედარებით და შეფარდებით".

კრება ითხოვდა საღვთო სჯულის სწავლების აღდგენას საქართველოს ყველა ტიპის სკოლაში[15].

მიუხედავად ასეთი საერთო-სახალხო განწყობისა, პარლამენტმა ამ საკითხზე იმსჯელა და დაადგინა საღვთო სჯულის სწავლების სავალდებულო საგნებიდან ამოღება, მისი სწავლება ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო, ჯამაგირს ამ საგნის მასწავლებლებისათვის გადაიხდიდნენ მშობლები, დანარჩენ პრივილეგიებზე საღვთო სჯულის მასწავლებელთა მიმართ კანონში ლაპარაკი არ ყოფილა[16].

ყოფილი სასულიერო სასწავლებლები ან გაუქმდა, ანდა გადაკეთდა საერო სასწავლებლებად. მაგ: ხონისა და ზაქათალის წმ. მარინეს სასწავლებლები გადაკეთებულა უმაღლეს დაწყებით სკოლებად, ასევე მომხდარა ორკლასიან ბანძის ვაჟთა და ზუგდიდის ქალთა საეკლესიო სკოლებში, ამასთან ბანძის სკოლა ხაზინის ხარჯზე გადასულა, ზუგდიდის კი - ქალაქის თვითმმართველობას უნდა დაეფინანსებინა[17].

მაშინ, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პრესა ამ კანონის წინააღმდეგ იბრძოდა, სამთავრობო გაზეთები აკრიტიკებდნენ სასულიერო სასწავლებლებს, იწუნებდნენ იქ არსებულ სწავლების დონეს. გაზეთი „ერთობა" წერდა, რომ საერო სასწავლებლებში სწავლების დონე ისე ამაღლდა, როგორც ეს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეშვენის, სასულიერო სემინარიაში კი ყველაფერი ძველებურად მიდისო. პირველ გაკვეთილებს ეგზეგეტიკას უთმობენ, მათემატიკას კი მხოლოდ ბოლო გაკვეთილებზე ასწავლიან, რის გამოც უკმაყოფილებას გამოთქვამენ მოწაფეები და სანამ უთანხმოება მოხდებოდეს, ყურადღების მიქცევაა საჭირო, ვისგანაც ჯერ-არსო[18].

კანონ-პროექტის გამოქვეყნებიდან (1918 წ. ივლისი) მის მიღებამდე (1918 წ. ნოემბერი), საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში მიმდინარეობდა, მაგრამ მასწავლებლების შერჩევას არ ეკითხებოდნენ ეკლესიას, ამ საკითხს საერო პირები წყვეტდნენ, რის გამოც უკმაყოფილო თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდმა მიმართა განათლების მინისტრს გიორგი ლასხიშვილს.

„ბატონო მინისტრო, - წერდა მიტროპოლიტი, - მაქვს ცნობები, რომ ზოგიერთ სასწავლებლებში დანიშნულან მღვდლები სჯულის მასწავლებლებად. ჩემდა გასაოცრად, მათი დანიშვნის შესახებ არამცთუ არავითარი შეკითხვა არ მომსვლია, ცნობადაც კი არავის უცნობებია. ეს მოვლენა ვგონებ სასურველი არ უნდა იყოს განათლების საქმისათვის, რომლის ინსტიტუტებსაც დღეს თქვენ ემსახურებით, რადგან, თუკი მღვდლის დანიშვნა საჭიროდ არის ცნობილი, ცხადია, რომ იგი ყველაფრით შესაფერისი უნდა იყოს სასწავლებლისათვის და ამის ცნობები კი თქვენ არა გაქვთ და ვერც მოგეპოვებათ, ჩვენ კი, ყველა მღვდლის სამსახურიც ვიცით და მისი ავკარგიც. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხდებოდა სრულებით შეუმჩნევლად და არა განზრახ, ამისათვის და საქმის სარგებლობისათვის, უმორჩილესად გთხოვთ, კეთილი ინებოთ, მოახდინოთ განკარგულება, რომ საკვლავისოდ

მაინც, ყოველ ამისთანა შემთხვევაში შეკითხვა წარმომეგზავნოს და სჯულის მასწავლებელი ჩემის თანხმობით ინიშნებოდეს.

სრული პატივისცემით თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი".

დოკუმენტი 1918 წლის 26 ოქტომბრითაა დათარიღებული[19].

26 ნოემბრის კანონმა უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა საღვთო სჯულის უმუშევრად დარჩენილი პედაგოგები. ეს კარგად ჩანს საკათალიკოსო საბჭოსა და განათლების სამინისტროს კანცელარიის მიმოწერიდანაც, სადაც ბევრი, მატერიალურად მწირ მდგომარეობაში აღმოჩენილი მასწავლებლის თხოვნაა დაცული. ერთ-ერთია თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის ყოფილი საღვთო სჯულის პედაგოგი კირილე კელენჯერიძე[20]. მის თხოვნაში, განათლების მინისტრისადმი ნათქვამია, რომ სამუშაოს დაკარგვის შემდეგ ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილა ეკლესიის მამა.

იმის ნაცვლად, რომ კელენჯერიძის თხოვნა თავად დაეკმაყოფილებინა, განათლების მინისტრი საკათალიკოსო საბჭოს თხოვდა მის დახმარებას[21].

შემდეგში კ. კელენჯირაძემ საინტერესო წერილები მოათავსა გაზეთ „საქართველოში"ქრისტიანული რელიგიისადმი მთავრობის ასეთი დამოკიდებულების თაობაზე[22].

„ბიბლია უპირველესი წიგნია, - წერდა იგი, - ის აჩვევს ადამიანს ღმერთთან ურთიერთობას, წყაროა ეთიკისა, ზნეობისა, ადამიანთა ცხოვრების ყველა კარგი მხარისა. ამერიკაში იგი უპირველეს წიგნად დაუსახელებიათ, ჩვენს მთავრობას კი ისეთი კულტურა დაუმყარებია უცებ, რომ იგი სიცრუედ და ბოროტებად ჩაუთვლია.

მოსპეთ, ბატონებო, საღვთო სჯული, რელიგია - როგორც ბოროტება, როგორც შემფერხებელი ცხოვრებისა და სოციალიზმის დამყარებისა, მაგრამ უკეთესი მიეცით ხალხს მანამდე, რადგან ეგ თქვენი სოციალიზმი

ასი ან ათასი წლის შემდეგ თუ დამყარდება"-ო, - წერდა დეკანოზი. „ბიბლიაზე აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა, მან დაბადა საუკეთესო თვისებანი ერისა, ხასიათის სიმტკიცე, ფაქიზი ზნეობა, ზრდილობა და თავის გაწირვა მამულისათვის, ბიბლია, რომელიც ასე გამოსჭვივის შოთას „ვეფხისტყაოსანში", კვლავ უნდა დარჩეს საყვარელ წიგნად და სავალდებულო შესწავლის საგნად მოზარდი თაობისა, თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერისა", - ასკვნიდა იგი[23].

საღვთო სჯულის მასწავლებლები ითხოვდნენ საღიკვიდაციოდ გამოყოფილ ხელფასს, ჩიოდნენ სასამართლოში. ამ საჩივრებიდან ჩანს, რომ ყველაზე ცუდ დღეში ჩავარდნილან საოსტატო სემინარიების მასწავლებლები, სადაც საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება უფრო ადრე, სკოლების გაეროვნებისთანავე მომხდარა, მაშინვე, როდესაც ამ სასწავლებელთა ნაციონალიზაცია გამოცხადდა, მხოლოდ 1918 წლის 1 დეკემბრიდან გავრცელდა კანონი ყველა დანარჩენი ტიპის სკოლაზე[24]. ამ ფაქტს აუწყებდა განათლების სამინისტრო ქ. ახალსენაკის II უბნის სასამართლოს გამომძიებელს გერასიმე ხაჟომიას. ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი ითხოვდა 1918 წლის 1 დეკემბრამდე კუთვნილ ხელფასს, რაზედაც უარი მიიღო[25].

ხდებოდა საეკლესიო პირთა ერთგვარი დისკრიმინაცია. რადგან, სკოლებიდან დათხოვნილებს, მათ არც საერო სამსახურში იღებდნენ. ამას მოწმობს 1920 წლის 4 აგვისტოს საკათალიკოსო საბჭოს მიმართვა სახალხო განათლების მინისტრისადმი, რასაც განცხადებაზე დადებულ რეზოლუციაში აპროტესტებდა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკი.

მიმართვაში ეწერა:

„საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ფარგლებში არც ერთი მოქალაქის უფლებები არ არის შეზღუდული სოციალური მდგომარეობის და სარწმუნოების

მიხედვით. ზოგიერთი უწყების მეთაურნი კი არ ღებულობენ სამსახურში მღვდლებს მარტო იმისათვის, რომ ისინი არიან მღვდლები და ატარებენ სამღვდლო პირთათვის მიჩნეულ ტანსაცმელს, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩინებულად არიან მომზადებულნი საქვეყნო საქმის სამსახურისათვის.

გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული, არც სახელმწიფო ინტერესებისათვის და არც მთხოვნელთათვის სასურველი მოვლენა, მეორე საეკლესიო კრებამ ა. წ. ივლისის 5-ს განაჩინა, ეთხოვოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და ბატონ მინისტრებს, ინებონ განკარგულება, რათა სამღვდელო პირნი მიღებულნი იყვნენ ყველა საერო სამსახურში დაუბრკოლებლად, თუკი თავის მომზადებით და პირადი ღირსებით შესაფერისი აღმოჩნდებიან ამათუიმ ხელისუფლებისათვის.

ზემოთმოყვანილ საეკლესიო კრების განჩინებას საკათალიკოსო საბჭო პატივისცემით გაცნობებთ თქვენ, მოწყალეო ბატონო, სათანადო განკარგებისათვის"[26].

დოკუმენტს ხელს აწერდა საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

განათლების სამინისტროს უწყებაში სასულიერო სასწავლებლების გადასვლა საერთოდ გაუგებარი იყო ქართველი სამღვდელოებისათვის. თუ სამეურნეო სკოლები დატოვეს ამ უწყების გარეშე[27], რატომ არ შეიძლებოდა სასულიერო სასწავლებლებიც ეკლესიის მფარველობაში დარჩენილიყო! 1 დეკემბრამდე ამ სასწავლებლებს ძველი პროფილი შეუნარჩუნდათ, მაგრამ ეს იყო ფორმალურად. სასწავლებლებს შეუცვალეს დირექტორები, საერო პირები დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე, ანუ ისინი, ვინც სკოლების რეორგანიზაციას მოითხოვდნენ: სპეციალური ბრძანებით თელავის სასულიერო პროგიმნაზია დაექვემდებარა სამინისტროს და არჩეული იქნა ახალი დირექტორი - თელავის ვაჟთა გიმნაზიიდან - ზაქარია კლიმიაშვილი[28].

1918 წლის 13 ოქტომბერს თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიის დირექტორად არჩეულ იქნა ცნობილი მეცნიერი გიორგი ახვლედიანი, ქუთაისისა და ხარკოვის გიმნაზიების ყოფილი მასწავლებელი და 1919 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი[29].

1918 წლის 9 დეკემბერს საკათალიკოსო საბჭომ თხოვნით მიმართა სამინისტროს - ოზურგეთის სასულიერო პროგიმნაზიაში დირექტორად დაენიშნა ღვთისმეტყველების კანდიდატი, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის ყოფილი ქართული ენის მასწავლებელი ილია ფერაძე, მასწავლებლებად კი - ვარლამ მახარაძე, ვლადიმერ მგელაძე, იონა ღლონტი და პავლე კილურაძე[30].

სასულიერო სასწავლებლები ისეთ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ, რომ ერთხანს, სანამ განათლების უწყებაში გადაიყვანდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროსაც კი დაუქვემდებარეს, სადაც მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ[31].

საქართველოს უწმინდესი ეკლესიის მესვეურნი ვერ ურიგდებოდნენ სარწმუნოებისადმი ამგვარ სახელმწიფოებრივ მიდგომას და გულისტკივილით წერდნენ ამაზე პრესაში, საქვეყნოდ ლაპარაკობდნენ და ცდილობდნენ ხალხის გამოფხიზლებას. რელიგიის კანონით, ეკლესია სახელმწიფოს დაექვემდებარა, ეს სახელმწიფო კი სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე იყო აგებული, სადაც ათეისტური სულისკვეთება სჭარბობდა. ამან ხალხის მართლმადიდებლური ცნობიერება შეასუსტა. რევოლუციურმა სულისკვეთებამ, წითელი დროშების ფრიალმა, ინტერნაციონალიზმის დამახინჯებულად ქადაგებამ ერთგვარად შეანელა ის რწმენის ცეცხლი, ქართველთა გულში საუკუნეების მანძილზე რომ მძლავრად ფეთქავდა, ქართველობას და ქრისტიანობას იდენტურ ცნებებად აქცევდა.

ეკლესიის მესვეურნი, ქართველი სამღვდელოება უპირველესად იცავდნენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს,

იბრძოდნენ, რათა არ ამოვარდნილიყო იგი ისტორიული სვლის სწორი კალაპოტიდან.

ამ მხრივ, დიდი იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდის მოღვაწეობა. იგი მიტროპოლიტად ყოფნის დროსაც ყველა მტკივნეულ საზოგადოებრივ მოვლენას ეპასუხებოდა, კათალიკოს პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების შემდეგ კი უფრო გააძლიერა და გააცხოველა ეროვნული საქმიანობა. 1918 წელს მან პირველმა აღიმაღლა ხმა მთავრობის გულგრილობაზე ინგილოთა ბედის მიმართ[32], ხელჩართული ბრძოლა გაუმართა მთავრობას საეკლესიო ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის გამო - უწმინდესი მამა განსაკუთრებით შეძრა გელათიდან საუკუნეობით ნაგროვები საეკლესიო ქონების და ძვირფასი ნივთების წამოღებამ. ტაძარი უხატოდ რჩებოდა, ძალა ეკარგებოდა ერთსაც და მეორესაც. საქართველოსთვის კი ამას შეიძლებოდა კატასტროფა მოეტანა. პატრიარქმა თავად მთავრობის მეთაური ინახულა და როდესაც მის კაბინეტში, ახსნა-განმარტებების შემდეგ, კვლავ ის მოისმინა ჟორდანიასაგან, რასაც მთავრობა პრაქტიკულად აკეთებდა, ისე გაცეცხლდა, რომ ლანძღვა-გინება დაუწყო ხელისუფლებას და კინაღამ ხელით შეეხო თავმჯდომარეს[33].

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე, რელიგიის მდგომარეობაზე წერდა მწერალი დავით კასრაძე წერილში - „აჯანყებული ტრადიცია".

მწერალი ამბობდა, რომ უძველესი ტრადიციების ნგრევა დაიწყო. ეს მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს, მკვდრებს მარხავდნენ უზიარებლად, უმღვდელოდ, „მარსელიოზას" სიმღერითა და თოფების ხათქახუთქით მიაცილებენ მიცვალებულებსო. ამგვარ უზნეობას მხარი არ დაუჭირა ორმა მამულიშვილმა, მთავრობის ორმა წევრმა (ნოე ჟორდანია, ნოე ჩხეიძე), დიდი მწუხარების ჟამს, ვაჟიშვილების უდროოდ დამკარგავმა ამ ადამიანებმა არ დაივიწყეს მამა-პაპური, მართლმადიდე-

ბლური ტრადიცია და შვილები ამ ტრადიციით დაკრძალესო. მწერალი ამბობდა, რომ მთელი სამგლოვიარო მსვლელობა ორივე შემთხვევაში ხდებოდა საეკლესიო მამების მონაწილეობით. ამით მთავრობის ამ დიდმა პირებმა მაგალითი მისცეს ხალხს, ეს არის სულიერი ძახილი არისო, „რომელსაც განწირულებით ჩაბღაუჭებია ნაჯახდარტყმული და წატორტმანებული მამათა ტრადიცია, რომელიც წამოწევისთანავე აჯანყებულა და თავის დაკარგულის ადგილის დაჭერას მოითხოვს ჩვენს ცხოვრებაშიო"[34].

ამ წერილით მწერალი ფიქრობდა ზეგავლენის მოხდენას მთავრობაზე, რომელმაც შეუწყო ხელი და გამოიწვია რელიგიის ამგვარი უპატიო მდგომარეობა, მაგრამ ამაოდ. როდესაც ხალხის სურვილი გაითვალისწინა კათალიკოს-პატრიარქმა და შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე საღვთო სჯულის სწავლების აღდგენაზე სკოლებში, 1920 წლის 7 სექტემბერს სამინისტრომ ამ შუამდგომლობის აღსრულებაზე უარი განაცხადა. პასუხი კატეგორიული იყო: 1918 წლის 26 ნოემბრის კანონით საღვთო სჯულის სწავლება გაუქმებულია, ამიტომ განათლების სამინისტროს არ შეუძლია კათალიკოს პატრიარქის - ლეონიდის ამ საკითხზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაო[35].

დეკანოზი პ. კარბელაშვილი წერილში - „საქართველოს სამღვდელოებისათვის" - რწმენისა და სარწმუნოებისადმი მთავრობის ამგვარ გულგრილ დამოკიდებულებას ადარებდა სულიერ გახრწნას და ამბობდა: „ამაზე მეტი მტრობა არც აღმოსავლეთის ბარბაროსებს ჩაუდენიათ და არც რუსებს ქართველების მიმართ"-ო[36].

როდესაც განათლების სამინისტროსადმი სასულიერო სასწავლებლების გადაცემის საკითხი დადგა, საეკლესიო უწყება მაშინვე შეშფოთდა და იგრძნო, რა საშიშროებაც იდგა ამის უკან. შესაძლო იყო, მთავრობის უწყებაში გადასულ ამ სასწავლებლებს თავიანთი მისია - საეკლესიო კადრების აღზრდა - ვეღარ შეესრულებინათ,

რადგან ამაში საერო პირთა ჩარევა შეუშლიდათ ხელს. ეს კარგად ჩანდა სახალხო განათლების მინისტრისადმი დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიმართვაში 1918 წლის 27 ივლისს.

დეკანოზი აუწყებდა მინისტრს, რომ საქართველოს ეკლესიის უწყებაში იმჟამად იმყოფებოდა: თბილისის სასულიერო სემინარია, ხუთი სასულიერო სასწავლებელი: თბილისის, გორის, თელავის, ოზურგეთის და სენაკის (ქუთაისის სასწავლებელი უკვე გადასული იყო სამინისტროს გამგებლობაში), ორი რვაკლასიანი საეპარქიო ქალთა სასწავლებელი - ტფილისისა და ქუთაისის, ბოდბის ქალთა საოსტატო სემინარია და მცხეთის წმ. ნინოს ოთხკლასიანი ქალთა სასწავლებელი[37].

საკათალიკოსო საბჭო იმედოვნებდა, რომ სამინისტრო არ შეცვლიდა ამ სკოლების ტიპს. „სასულიერო უწყებისათვის ეს მითაა საინტერესო, - ეწერა მიმართვაში, - რომ შეუძლებელია ეკლესია არსებობდეს და მას არ ჰქონდეს არცერთი ისეთი სასწავლებელი, რომელიც განათლებულ სამღვდელო კანდიდატებს არ იძლეოდეს".

აღნიშნული სასწავლებლების გადაცემის შემდეგ, საკათალიკოსო საბჭო გარკვეული პირობების ასრულებას ითხოვდა სამინისტროსაგან: სასულიერო სასწავლებლების შენობებისა და ქონების ეკლესიის საკუთრებად დატოვებას, სასწავლებლების შემდეგი სახით რეორგანიზაციას: თბილისის სასულიერო სემინარია და გიმნაზია უნდა შეერთებულიყო და ისეთ სასწავლებლად გადაკეთებულიყო, სადაც იქნებოდა: სრულუფლებიანი 8 კლასიანი გიმნაზია სასულიერო სასწავლებლით, სემინარიის ოთხი კლასით და ორკლასიანი საღვთისმეტყველო კურსები, სადაც შევიდოდნენ როგორც ამ გიმნაზიის, ისე სხვა სასწავლებლების კურსდამთავრებულები. ამგვარ სასწავლებლებში 30-40% ადგილებისა უნდა დათმობოდა ეკლესიის მსახურთა შვილებს, რომლებიც თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ სწავლის ქირისაგან, „ამას მოითხოვს სამღვდელოების საგანმანათლებლო

ინტერესები და სამართლიანობა", - ასკვნიდა დეკანოზი კ. ცინცაძე[38].

საკათალიკოსო საბჭოს ეუწყა, რომ სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში სასულიერო სასწავლებლების გადასვლა იმ ქონების გადასვლასაც ნიშნავდა, რაც ამ სასწავლებლებს ეკუთვნოდა[39].

საკათალიკოსო საბჭო განსაკუთრებით შეაშფოთა თბილისის სასულიერო სემინარიის ქონების დაკარგვის საფრთხემ. ეს შენობა იჯარით 1919 წლის დასაწყისში გადაცემიათ ინგლისელებს, მათი წასვლის შემდეგ კი საკათალიკოსო საბჭოს დიდი შრომა დასჭირვებია, რომ ქუჩის მძარცველებისაგან დაეფარა იგი, დაუქირავებიათ დარაჯები, შეუგროვებიათ და დაუცავთ შენობაში გაფანტული ნივთები, დიდი ფული და ძალა დაგვეხარჯა, რომ სამღვდელოების კუთვნილი ქონება დაგვეცვაო, მის შემდეგ კი, რაც ეს შენობა სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა, საკათალიკოსო საბჭოს მოსურვებია ზოგიერთი ნივთის გადატანა, ნაწილს კი სტუდენტობას ჩუქნიდა, მაგრამ საკათალიკოსო საბჭოს დაუკითხავად, სამინისტროს ყველაფერი გადაუცია უნივერსიტეტისათვის, რამაც საპროტესტო წერილის დაწერა გამოიწვია. „შემდეგში პატივისცემით გთხოვთ ასეთ განკარგულებას ნულარ ექნება ჩვენდამი ადგილიო", - ნათქვამი იყო დეკანოზ ნ. თალაკვაძის მიერ შედგენილ საკათალიკოსო საბჭოს მიმართვაში[40].

სასულიერო სასწავლებლების ქონების კუთვნილების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი 1919 წლის №90-ში წერდა:

„როდესაც სასულიერო უწყების სასწავლებლები, პარლამენტის დადგენილების თანახმად, განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა, ბუნებრივად დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა დარჩენოდა ის ქონება, რომლითაც ესა თუ ის სასწავლებელი სასულიერო უწყებისაგან სარგებლობდა. ამ საკითხის თაობაზე ერთმა-

ნეთს ედავებოდა სასულიერო უწყება და განათლების სამინისტრო.

ხსენებული საკითხი უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან განათლების სამინისტრომ აღნიშნული საკითხის შესახებ შემდეგი კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: რადგან ამათუიმ სასწავლებლის სასულიერო უწყებიდან განათლების სამინისტროს ხელში გადასვლა ნიშნავს არამარტო მოწაფეებისა და მასწავლებლების სამინისტროს უწყებაში გადასვლას, არამედ იმ უძრავ-მოძრავი ქონებისას, რომლითაც ესა თუ ის სასწავლებელი სარგებლობდა სასულიერო უწყებისაგან, ამიტომ ყოფილ სასულიერო სასწავლებელთა ქონებაც უნდა ჩაითვალოს განათლების სამინისტროს უწყების კუთვნილებათ. ამ დადგენილების შესაფერი განკარგულებანი სამინისტრომ უკვე დაუგზავნა ყოფილ სასულიერო სასწავლებლებს სისრულეში მოსაყვანათ და შემდეგში სახელმძღვანელოთ. უკვე დადგენილება ეცნობა საკათალიკოსო საბჭოსაც[41].ასევე შეშფოთება გამოიწვია სიღნაღის ერობისათვის ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სემინარიის ქონების ჩაბარებამ. ამ დროს განათლების მინისტრი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე, ეს იყო 1921 წლის იანვარში, როდესაც მდგომარეობა ისე დაიძაბა საქართველოს ირგვლივ, რომ ყველაფერი სამხედრო ყაიდაზე იყო გადასული. ზოგჯერ ძალადობის მეთოდებსაც იყენებდნენ სასულიერო სასწავლებლების მიმართ, რასაც მოწმობს კათალიკოს-პატრიარქის - ლეონიდეს მიერ განათლების მინისტრისადმი 1921 წლის 24 იანვარს გაგზავნილი წერილი. იგი გრიგოლ ლორთქიფანიძეს მიუთითებდა ძალადობის იმ მომენტზე, რასაც ბოდბის მონასტრის წინამძღვრის, ნინოს თბილისში ყოფნისას ამ მონასტერში ჰქონდა ადგილი[42].

რელიგიის კანონით, საეკლესიო ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებამ და საღმრთო სჯულის სწავლების აკრძალვამ განსაკუთრებული უკმაყოფილება აჭარის ქართველობაში გამოიწვია. გაზეთი „სამუს-

ლიმანო საქართველო" წერდა, რომ ეს კანონი, მისი მე-4, მე-5 და მე-7 მუხლები დიდ არევ-დარევას გამოიწვევდა მუსულმან ქართველებში. სახელმწიფო უპირისპირდებოდა შარიათს, მის შექმნილ ვაპუფებს საკუთრებად აცხადებდა, შარიათთან დაპირისპირებას გაზეთი საშინელებად მიიჩნევდა, რადგან მუსულმანი ადამიანისათვის ეს ტრაგედია იყო და იგი განუდგებოდა ისეთ მთავრობას, ვინც შარიათს არ ცნობდა, მეტიც, მის ხელყოფას დააპირებდა, „შარიათისთვის ყველა მუსულმანი თავის დადებას და სიკვდილს სიხარულით შეეგებებაო",- წერდა გაზეთი[43].

მთავრობა იძულებული გახდა, მუსულმანურ-ქართულ და არაქართულ სკოლებში დაეშვა სჯულის სწავლება, რასაც აღნიშნავდა თავის მოხსენებაში სამინისტროს დაბალდაწყებითი სკოლების მთავარგამგე გიორგი ჭუმბურიძე, მთავარგამგე ამ მოხსენებისათვის სასტიკად გააკრიტიკა სომხურმა გაზეთმა „ნორ აშხატავორმა", რომელმაც ეს ფაქტი მიიჩნია სომეხთა ეროვნული საბჭოსა და სომხური სახალხო სკოლის დისკრედიტაციის ცდად. სომხური გაზეთი განსაკუთრებით იყო აღშფოთებული მთავარგამგის სიტყვების გამო - სომხურ სკოლებს საეჭვო მიმართულება აქვთ საქართველოშიო. ამ ფაქტს მიიჩნევდა ძველი დროის გაგრძელებად, როდესაც, თითქოს, სომხური სკოლის დახურვა სურდათ, ჭუმბურიძე, ვითომცდა დემოკრატიული ინტერესების დამცველი, სინამდვილეში დიდად არ განსხვავდება იმ ძველებური ტიპებისაგანო, გაზეთი მიუთითებდა „თათრულ" სკოლებში საღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვების ფაქტს და სომხური სკოლების შევიწროებას ამ მხრივ[44]. სინამდვილეში არც სომხური და არც აზერბაიჯანული სკოლების პროგრამებიდან არ ამოუღიათ რელიგიის სწავლება. საქართველოში, როგორც სამწუხარო წესი, იჩაგრებოდა მხოლოდ ქართული სკოლა, იდევნებოდა მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციაზე განათლების სამინისტროს თავიანთი თვალსაზრისები წარუდგინეს თბილისის სასულიერო ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა ანტონ ნატროშვილმა და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ.

ანტონ ნატროშვილი, აღწერდა რა იმჟამად მოქმედ სასულიერო სასწავლებელთა ტიპებსა და მათ სასწავლო პროგრამებს, აღნიშნავდა, რომ ეს ყველაფერი შეესაბამებოდა საშუალო საუკუნეების სწავლების დონეს და არა მეოცე საუკუნისას, რომ ამ სკოლებში აღრეული იყო ტექნიკური და თეოლოგიური საგნების სწავლება, რის გამოც ეს სასწავლებლები არც ზოგადსაგანმანათლებლო ტიპად ჩაითვლებოდა და არც საღვთისმეტყველო ტიპად. სკოლები მოწყვეტილნი იყვნენ თანამედროვე პედაგოგიურ მიღწევებს, არ იყენებდნენ ცნობილი პედაგოგების - კომენსკის, როზოვის, რუსოს, პესტალოცის, ლისტერვეგის და სხვათა თეორიულ მონაპოვრებს, მოსწავლეთა მონაწილეობას რევოლუციურ გამოსვლებში სასწავლებელთა ეს დაბალი დონეც განაპირობებდა. ამ თვალსაზრისით, იგი აუცილებლობად თვლიდა სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციას შემდეგი სახით: სასწავლებლის 4 კლასიანი საფეხური გადაკეთდებოდა 8 კლასიან გიმნაზიად, რომელსაც სამი წლის მანძილზე თანდათან მიემატებოდა კლასები.

სემინარიის კურსდამთავრებულებს სწავლა უნდა გაეგრძელებინათ უნივერსიტეტში, სადაც დაარსდებოდა თეოლოგიის ფაკულტეტი, სემინარიები თანდათან გაუქმდებოდა, დარჩებოდა გიმნაზია და უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი[45].

სწორედ ამ სასწავლებელში, თბილისის სასულიერო ვაჟთა გიმნაზიაში მომხდარმა განხეთქილებამ მასწავლებლებსა და დირექტორს შორის დიდი მასშტაბი მიიღო, მასწავლებლებმა მოითხოვეს ნატროშვილის გადადგომა და კორნელი კეკელიძის დანიშვნა, რაც ანტონ ნატ-

როშვილმა სამინისტროში გააპროტესტა[46]. ამბოხებული მასწავლებლები სასწავლებლიდან წავიდნენ, მათ ადგილზე ახალი პედაგოგები მოიწვიეს, რომელთა შორის იყო, მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი,ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი - გიორგი ლეონიძე[47].

სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციის საკითხი საინტერესოდ იყო დასმული კორნელი კეკელიძის მოსხენებაში, მთლიანად მოვიტანთ ამ ვრცელ დოკუმენტს:

საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს ბ. გიორგი ლასხიშვილს:

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, დეკანოზ კ. კეკელიძის პირადი მოხსენება.

თანახმად სიტყვიერი თქვენი დავალებისა, წარმოგიდგენთ რამდენიმე ჩემს საკუთარ მოსაზრებას სასულიერო უწყების სასწავლებელთა განათლების სამინისტროში გადასვლის შესახებ.

სასწავლებელთა მართვა-გამგეობის გასაერთიანებლად ყველა უწყების შკოლა, რომელიც სახელმწიფოსაგან ან მატერიალურ დახმარებას ღებულობს, ან უფლებას, 2 ივლისის კანონით, ვალდებულია განათლების სამინისტროში გადავიდეს. ამ კანონს, რასაკვირველია, სასულიერო უწყებაც უნდა დაემორჩილოს, ვინაიდან მისი შვილები სახელმწიფოსაგან ღებულობენ როგორც დახმარებას, ისე უფლებას. მაგრამ სასულიერო უწყება, ამასთანავე იმედოვნებს, რომ ამ გადასვლის დროს სამართლიანობის პრინციპი იქნება დაცული და საქართველოს ეკლესიის ინტერესები არ დაიჩაგრება. მე ამ შემთხვევაში იმდენად ეკლესიის ქონებრივი ინტერესები (სასწავლებელთა შენობები და ინვენტარი, რომელთა შესახებ შეთანხმება ადვილია) არა მაქვს სახეში, რამდენადაც მისი საგანმანათლებლო საპროფესიო საჭიროებანი. უეჭველია, სხვა უწყების სასწავლებლები, როგორც მაგალითად საკომერციო, სამიწათმზომლო, სატეხნიკო, განათლების სამინისტროში გადასვლით თავიანთ ფიზიონომი-

ას იმდენად არ დაჰკარგავენ, რომ მათ ვერ შეძლონ იმ მიზნების სამსახური, რომელნიც მათ დასახული აქვთ. ამ მხრივ, გამონაკლისს არ უნდა შეადგენდნენ სასულიერო უწყების სასწავლებლები, რომელთაც მიზნად აქვთ ზოგადი ხასიათის განათლებასთან იმდენი საპროფესიო ცოდნაც მიაწოდონ თავიანთ შეგირდებს, რომ მათ, სურვილისამებრ, შეძლონ ეკლესიის სამსახურიც. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ამ სასწავლებელთა ვითარებას და მდგომარეობას, შესაძლებელი იქნება ისეთი გზის გამონახვა, რომ 2 ივლისის კანონი - იქნება სისრულეში მოყვანილი და ეკლესიის ინტერესებიც დაცული.

სასულიერო უწყებას ამჟამად აქვს ხუთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი: ტფილისის, გორის, თელავის, ოზურგეთის და სენაკის და ერთი სემინარია - ტფილისისა. თუ მართლა სამინისტროში უკვე გადაწყვეტილია სასულიერო სასწავლებლების ადგილობრივ გიმნაზიებთან შეერთება, მაშინ სემინარიაც ვერ ასცდება გადაკეთებას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უშეგირდოდ დარჩება. ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი და პედაგოგიური მხრით ხელსაყრელი იქნება, თუ თანახმად 1917 წლის საეკლესიო კრების დადგენილებისა, ტფილისის სასულიერო სასწავლებელი სემინარიას შეუერთდება. მაშინ ჩვენ მივიღებთ ერთ მთლიან სასწავლებელს, რომელშიც იქნება: 1. რვაკლასიანი გიმნაზია და 2. ორი საღვთისმეტყველო კლასი, რომელშიც სწავლას განაგრძობს ის, ვინც მოისურვებს. ასეთი კომბინაცია შესაძლებელია, როგორც შეგირდთა რაოდენობით (ორივე სასწავლებელში ეხლა 400-500 შეგირდია), ისე პროგრამებითაც. საქმე იმაშია, რომ სასულიერო სასწავლებელი და სემინარიის პირველი ოთხი კლასი, პროგრამის მხრივ, არაფერს სპეციფიკურს საღვთისმეტყველოს არ შეიცავენ, არსებითად აქ ჩვენ იგივე გიმნაზიის პროგრამასთან გვაქვს საქმე, განსხვავება უფრო საგნების კლასობრივად დანაწილებაშია: საღვთისმეტყველო საგნებს სპეცი-

ალურად გადიან მხოლოდ სემინარიის მე-5 და მე-6 კლასებში.

ამ შეერთებული სასწავლებლის გიმნაზიურ კლასებში საღვთო სჯულს დათმობილი უნდა ჰქონდეს განსაზღვრული რიცხვი გაკვეთილებისა, არანაკლებ იმისა, რაც დღეს აქვს (კლასში 2 გაკვეთილი) და თან დატოვებული უნდა იქნას ის საგნები, რომელთაც სემინარიაში ასწავლიან და გიმნაზიაში კი არა, სახელდობრ, პედაგოგიკა (3 გაკვეთილი) და ფილოსოფიის შესავალი ფილოსოფიურ მოძღვრებათა მიმოხილვით (4 გაკვეთილი). სხვა აუცილებელ ცვლილებას არსებული გიმნაზიის პროგრამაში, რაც მიღებული იქნება ჩვენს გიმნაზიაშიც, უეჭველია, თვით სამინისტრო მოახდენს, მე აქ ნებას მივცემ ჩემს თავს რამდენიმე შენიშვნა მოვიტანო, რაც, შეიძლება, მასალად გამოადგეს პროგრამების გადამსინჯველ კომისიას.

1. პირველ ყოვლისა საკითხი უნდა დაისვას ენების შესახებ, კერძოდ სავალდებულო იქნება თუ არა რუსული ენა ჩვენს შკოლებში? თუ დარჩება - 4 უცხო ენას ისწავლიან ახალგაზრდები - გერმანულს, ფრანგულს, რუსულს და ლათინურს, რაც აუტანელი ბარგი იქნება მათთვის. ჩემი აზრით, ლათინური გაკვეთილები ყოველ კლასში ორამდე უნდა დავიდეს, სრულიად საკმაო იქნება, რაც შეეხება ახალ ენებს, სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ 2, ერთი - გერმანული, მეორე - ან ფრანგული, ან რუსული.

2. არსებული გიმნაზიების პროგრამებში დიდი ადგილი უჭირავს რუსული მწერლობის ისტორიას, რაც, უეჭველად, შეცვლილი უნდა იქნეს, ჩვენს გიმნაზიებში უნდა იქნეს შემოღებული „უცხოეთის მწერლობის ისტორია", რომელშიც, სხვათაშორის, რუსეთის მწერლობის განხილვაც შევა.

3. შემოღებული უნდა იქნას განსაკუთრებული კათედრა ქართული ენისა, სიტყვიერებისა და მწერლობის ისტორიისა, რისთვისაც 24 საათი საკმარისი იქნება.

4. არსებული პროგრამების მიხედვით, ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა გიმნაზიებში გადაქცეულია თითქმის მარტო რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლად. ეხლაც, რასაკვირველია, მათ ადგილს დაიჭერს ისტორია და გეოგრაფია. ყოველშემთხვევაში ამ საგნებში მასალის დანაწილება ისე შედგება, რომ VII-VIII კლასებში მათ ადგილი აღარ ექნება.

5. მართალია, განმეორებას შეგირდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენს შკოლაში ბავშვებს იმდენი მასალა ექნებათ შესწავლილი, რომ საგანგებო განმეორებისათვის დრო აღარ ეყოფათ, ამიტომ მათემატიკის განმეორებითი კურსი ეხლანდელი გიმნაზიის მე-8 კლასში შეიძლება გაუქმებულ იქნეს.

რაც შეეხება საღვთისმეტყველო კლასებს ამ სასწავლებელში, აქ დარჩება არსებული პროგრამა, ჩვენი ეკლესიის მოთხოვნასთან შეფარდებული. ეკლესიის არსებობა შეუძლებელია, თუ იმას სამღვდელო პირთა მოსამზადებლად სასწავლებელი არ აქვს, ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა საქართველოს ეკლესიას, რომლისაგან ის ღებულობს ყველა მის სასწავლებელს, ორ საღვთისმეტყველო კლასს მაინც შეუნახავს, მით უმეტეს, რომ, თავის დროზე, ეს ორი კლასი შესაძლებელია გადაკეთდეს ქართული უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტად, რასაც ადგილი აქვს ევროპის თითქმის ყველა უნივერსიტეტში. დასასრულ, უფროსად ამ სასწავლებლისა, რომელიც შეიცავს გიმნაზიასა და საღვთისმეტყველო კლასებს, ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელსაც გიმნაზიის გამგეობაც შეეძლება და საღვთისმეტყველო კლასების ხელმძღვანელობაც.

რაც შეეხება სასწავლებლის შენახვას, აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. საეკლესიო უწყების სასწავლებლებში, კერძოდ, სემინარიაში, დიდი ხანია განხორციელებულია ეგოდენ სანუკვარი პრინციპი სწავლა-აღზრდისა: აქ სწავლის ფულს არ იხდიან არც სასულიერონი და არც საერონი. ეს იმიტომ, რომ ამ სას-

წავლებლებში აძლევენ შვილებს უმეტესწილად სოფლის უმწეო სამღვდელოება, შეუძლო გლეხობა და მოქალაქეთა დაბალი და ღარიბი წრეები, ერთი სიტყვით, აქ დაბანაკებულია დემოკრატიული ელემენტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რასაკვირველია, გიმნაზიაში სწავლის ფულს ეს ელემენტი ვერასდროს ვერ გადაიხდის, ამიტომ აღნიშნულ სასწავლებლებში, მათი შეერთებისა და გადაკეთების შემდეგაც, სწავლა-აღზრდა უფასო უნდა დარჩეს. აქედან თავისთავად იგულისხმება, ამ გადაკეთებულ სასწავლებელს არ ექნება ე. წ. „ადგილობრივი წყარო", საიდანაც გიმნაზიებში თითქმის ნახევარზე მეტი მოთხოვნილება კმაყოფილდება. აქ ყოველგვარი საჭიროება ხაზინიდან უნდა დაკმაყოფილდეს. ამ გარემოებამ ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს, ის ახალ ხარჯებს ხაზინიდან არ მოითხოვს, ვინაიდან ა. კ. კომისარიატის დადგენილებით (1918 წ. 12 იანვარი) თბილისის სემინარიას ხაზინიდან წლიურად ეძლევა 133613 მანეთი, ხოლო სასულიერო სასწავლებელს 31795 მან., სულ ორივეს 165 408 მან.

ამაში არ შედის 3 მარტის კანონით განსაზღვრული დახმარება, ეს თანხა კი სრულიად საკმარისი იქნება ამ სასწავლებლის შესანახად"[48].

ამ ვრცელ მიმართვას თან ერთვის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისაგან შემდგარი 4 თეზისი.

განათლების სამინისტრომ იმსჯელა ამ საკითხებზე და უარი განაცხადა სასულიერო სასწავლებლების სახელმწიფო დაფინანსებაზე[49].

სახელმწიფოსა და საკათალიკოსო საბჭოს შორის დავა საეკლესიო ქონების კუთვნილების გამო სამართლებრივ სფეროშიც გადავიდა: სამღვდელოებას მოსთხოვეს ცნობები, რომ ეს ქონება მათი თანხებით იყო შეძენილი. ასეთი ცნობების წარმოდგენა არც ისე ადვილი იყო, რადგან საეკლესიო ქონება უძველესი იყო და ხანდაზმული ცნობების შეგროვება გაჭირდებოდა, მაგრამ ეკლესია ცდილობდა ასეთი საბუთების წარდგენას.

1919 წლის 10 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიმართავდა და დაწვრილებით აღწერდა ზოგი სასულიერო სასწავლებლის შენობის ისტორიას.

„თვით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და მისმა განათლების სამინისტრომ უსაბუთოდაც სრული დადასტურებით იციან, რომ საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას თბილისში, ქუთაისში, ახალსენაკში, გორში, თელავში და ოზურგეთში ცალკე ჰქონდა საკუთარი საშუალო და ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლები მათი შვილების, ვაჟთა და ქალთა აღსაზრდელად, და რომ ამა სასწავლებელთა შენობები ეზოებითურთ, მთელი მათი საჭირო ავეჯეულობა - ქონებით შეადგენდა და შეადგენს იმავე სამღვდელოების კერძო პირადულ საკუთრებას, როგორც მისგანვე შეძენილი, სახელმწიფო ხაზინისა და ერის დაუხმარებლად, - წერდა კათალიკოს-პატრიარქი.

ის მწუხარებას გამოთქვამდა ამ სასწავლებლების გიმნაზიებად გადაკეთების გამო, მასზე, რომ მთელი მათი ქონება გადავიდა სასწავლებლებთან ერთად განათლების სამინისტროს უწყებაში. კათალიკოსი მიუთითებდა, რომ ამან სამღვდელოების პროტესტი, მთავრობასა და სახალხო განათლების სამინისტროში შუამდგომლობების აღძვრა გამოიწვია. შეიკრიბა საბუთები ამ ქონების საკუთრებაზე. შეკრებილი საბუთებიდან ეკლესიის მწყემსმთავარს მოჰქონდა შემდეგი:

1. ძველი სასულიერო სემინარია, საქართველოს სასულიერო მთავრობას უყიდია მისი ეზოიანად 1840 წელს ზუბალაშვილისაგან, მასში მიუციათ 82 ათასი მანეთი. ადგილობრივ სამღვდელოებას ეს თანხა გადაუხდია ე. წ. „საეკლესიო კასისაგან". ასევეა დასახელებული ფაქტები თბილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის, თბილისის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის, ქუთაისის საეპარქიო ქალთა გაბრიელის 8 - კლასიანი სასწავლებლის, სამეგრელოს სასულიერო 4 - კლასიანი სასწავლე-

ბლის, გორის, თელავის, იმერეთის 4 - კლასიანი სასწავლებლების შენობების შეძენაზე, ნათქვამია, რომ ეს შენობები ქართული ეკლესიის კუთვნილებას შეადგენდა და გადაჭრით ითხოვდა მათ დატოვებას საეკლესიო უწყებაში[50].

დოკუმენტს ხელს აწერდნენ საკათალიკოსო საბჭოს თავმჯდომარე კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი და კანცელარიის გამგე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

უფრო დაწვრილებით, სასულიერო სასწავლებლების ქონების შეძენა - მდგომარეობაზე, ლაპარაკია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტის - დ. პ. კვირკველიასადმი საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარდგენილ ვრცელ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 3 იანვრით და ხელს აწერს ამევე საბჭოს წევრი, დეკანოზი ნ. თალაკვაძე[51].

საქართველოს, კათალიკოს-პატრიარქმა რამდენჯერმე მიმართა მთავრობას, რათა საეკლესიო ქონება დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას52. მართალია, ეკლესია ამ ქონებას, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლების შენობებს აქირავებდა საერო სკოლებზე, მაგრამ ისე მცირე ფასად, რომ ეს შეღავათი იყო დამქირავებლისათვის, თავად ეკლესიას კი, იმ საერთო გაჭირვების ჟამს, ეს შემოსული მცირე თანხაც ეხმარებოდა არსებობაში. ამას მოწმობს გორის ქალთა გიმნაზიის დირექტორის მიმართვა განათლების სამინისტროსადმი, ამავე ქალაქში არსებული ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობის დაქირავების შესახებ, 1920 წლის ივლისში; ეს შენობა მათ 4000 მანეთად დაუქირავებიათ, მაშინ, როდესაც გორში ერთი ოთახი ქირავდებოდა 1000-2000 მანეთად; ქალთა გიმნაზიის დირექტორი ამას უდიდეს შეღავათად თვლიდა[53].

ეკლესიის ქონებას გაცილებით ცუდად იყენებდნენ მისი ახალი საერო მფლობელები. ყველაფერ ამას დაუფარავად უხსნიდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდო-

მარის მოადგილეს - გრიგოლ ლორთქიფანიძეს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი (დოკუმენტი 1920 წლის 3 ენკენისთვითაა დათარიღებული). მიმართვაში ვკითხულობთ: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეკლესიას, როგორც ერთ-ერთს უძველეს ორგანიზაციას, ჰქონდა და აქვს უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მორწმუნეთა შრომის, მუყაითობისა და მაღალი სარწმუნოებრივი გრძნობის შედეგი და დამამტკიცებელია.

ჩვენს რესპუბლიკაში აღიარებულია და იქმნება დაკანონებული სინდისის თავისუფლება და ამის გამო წარმოუდგენელია ჩვენი ეკლესიის დევნა. ამას მოითხოვს სამართლიანობაც: ეკლესიამ შეუნარჩუნა ჩვენს სამშობლოს ეროვნული სახე, საფუძველი ჩაუყარა და განუვითარა მაღალი ქრისტიანული კულტურა. უარყოფა და განიავება დღევანდელის კულტურის საფუძველისა, საზარალო იქნება ჩვენი ერისათვის, ვინაიდან დღევანდელ ცხოვრების პირობებში პოლიტიკური ცვალებადობა არც ეგრე შეუძლებელია, ეკლესიის მუდმივობა კი ისტორიით და ცხოვრებით დადასტურებელია: იმ ქარცეცხლში, რომელიც ჩვენმა ერმა განვლო პოლიტიკურად, მისი სახსენებელიც არ იქნებოდა, მას რომ ეკლესია არ მოვლენოდა თავისი ორგანიზაციით, კულტურით და შეგნებით.

მოაწევინა რა ჩვენმა ეკლესიამ სამშობლოს დამოუკიდებლობამდე (რომელიც ჯერ თვითონ აღიდგინა), მას იმედი ჰქონდა, რომ თავისუფალ სახელმწიფოში იგი მოიპოვებდა წყნარ ნავთსაყუდელს. სინამდვილემ კი ეს მოლოდინი არ გაამართლა. მაშინ, როცა ებრაელთა, რუსთა, მუსლიმანთა, მწვალებელთა, სომეხ - გრიგორიანელთა და სხვათა საეკლესიო ქონება ხელშეუხებელია, მხოლოდ ჩვენი ეკლესიის კაპეიკობით, ხშირად ცრემლით ჩამოთხოვილი და ოფლით ნაშოვნი ქონება არ არის სრულს ჩვენს განკარგულებაში და არცაა გარანტია, რომ ბოლო მოეღება ჩვენი ეკლესიის ქონების ძალით მითვისებას.

უმეტეს სურვილს ჩვენი ეკლესიის შევიწროებისას და მისი ქონების მითვისებისას იჩენს, სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო, ე. ი. სწორედ ის სამინისტრო, რომლის მაგიერობასაც სახელოვნად ეწეოდა მრავალ საუკუნეთ განმავლობაში ეკლესია. ეს მით უფრო სამწუხარო და შეუწყნარებელია, რომ ჩვენი ეკლესია არც წარსულში და არც აწმყოში არ ყოფილა და არც არის გამომხატველი და მატარებელი ეგრეთ წოდებული კლერიკალიზმისა. განათლების სამინისტროს ავიწყდება, რომ ჩვენი ეკლესიის გაპარტახებით და განიავებით და მასთან ბრძოლის გამოცხადებით, იგი სანადელს ვერ მიაღწევს, წინააღმდეგ - შესაძლებელი არის, რომ უკმაყოფილება და წინააღმდეგობა გამოიწვიოს. რასაკვირველია, ეს პოლიტიკური საკითხია და ამისათვის ვაქცევ თქვენს განათლებულ ყურადღებას ამ საკითხებზე. მე არა ვარ მომხრე იმისი, რომ კვლავ გაისმას უკმაყოფილების ხმა ერის მიერ არჩეულ მთავრობის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა ამა წლის საეკლესიო კრებაზედ, რომელიც გამომხატველია ჩვენი ერის 80%-ის მაინც და რომელმაც განაჩინა: ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, დატოვებულ იქნას ეკლესიის სრულ განკარგულებაში მის მიერ გრძელი ისტორიის განმავლობაში შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონება, თუ სხვა რამე, რაც კი შეადგენს ეკლესიის კუთვნილებას. ამასთან ერთად, არ შემიძლიან დაგიმალოთ, რომ არც ისე დიდი ქონება აქვს ჩვენს ეკლესიას, რომ სახელმწიფო მისი ჩამორთმევით გამდიდრდეს და ღირდეს მორწმუნე ერის მის გამო წყენინება და გაღიზიანება.

ამ საკითხის გამო უკვე იყო საკათალიკოსო საბჭოს მიერ სათანადო შუამდგომლობა აღძრული, ამჟამად კი გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულ დადგენილებას სრულიად საქართველოს ეკლესიის მეორე კრებისას, პატივისცემით გთხოვთ, მოწყალეო ბატონო, კეთილ ინებოთ განკარგულების გაცემა, რათა მომავალში ადგილი არ ჰქონდეს ძალადობას ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ, ხოლო ის

ქონება, რომელიც დღეს იმყოფება განათლების სამინისტროს განკარგულებაში, ან დაუბრუნოს ეკლესიას, ან მიეცეს მას სახელმწიფო ხაზინიდან შესაფერისი ქირა და გარანტია, რომ ყოველთვის ეს ქონება დაცულ და მოვლილ იქნება, როგორც ეკლესიის კუთვნილი ქონება.

მოვიწევ რა თქვენ ზედა ღვთის მადლსა და კურთხევას, დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი,

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი"[34].

1920 წლის იანვარში, თბილისში, შეიკრიბა მორწმუნეთა კრება კათალიკოს-პატრიარქის - ლეონიდის მეთაურობით.

აღინიშნა, რომ რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას ორგანიზებულად უნდა შეხვედროდა საქართველოს ეკლესია, არ მიეცა საშუალება ეკლესიის დაცემის. „ჩვენ ყველანი შევკავშირდეთ და ხელი შევუწყოთ ზნეობა-სარწმუნოების განმტკიცებას", - აღნიშნა კათალიკოს-პატრიარქმა, მორწმუნეთა საზოგადოების წესდების შედგენა დაევალა ჯგუფს. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ თავად უწმინდესი აირჩიეს, მდივნად - დ. დავითაშვილი. კომისიის წევრებად სასულიერო პირთაგან კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ დაასახელა დეკანოზები, პროფესორი კორნელი კეკელიძე, იასონ კაპანაძე და კალისტრატე ცინცაძე.

საერო პირთაგან - კრებაზე მყოფი გენერალი ლავრენტი ბალუაშვილი და ივანე რატიშვილი, გარედან მოწვეულ პირებად დაასახელეს პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იასონ ჯავახიშვილი. მათ კომისიის წევრობა თვით უწმინდესმა თხოვა[35].

გაზეთ „საქართველოს" იმავე ნომერში, სადაც მორწმუნეთა საზოგადოების შექმნაზეა საუბარი, მოთავსებულია მღვდელ ალექსანდრე ოქროპირიძის წერილი: „საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაღუპვა მოელის". ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან, სა-

ღვთო სჯულის ამოღებას სასკოლო პროგრამიდან, სასულიერო სასწავლებლების დახურვას იგი ერის დაღუპვად თვლიდა და ბოროტებად მიაჩნდა ამ დროს ინტელიგენციის დუმილი, „რადგან სარწმუნოების, ეკლესიის დაღუპვა დაღუპავს ერს, რომელმაც სარწმუნოების წყალობით შეინარჩუნა ის, რითაც დღეს ამაყობს და არსებობს"-ო, წერდა წმინდა მამა[56].

იმავე გაზეთში მოთავსებული წერილი „ჩვენი ეკლესიის ცხოვრებიდან" აკრიტიკებდა სახელმწიფოს დამოკიდებულებას ეკლესიისადმი და წერდა: „რესპულიკები, უნივერსიტეტები და ახალი მიმდინარეობანი სხვა ქვეყნებშიდაც დაარსეს, მაგრამ იქ ეკლესია როდი მოსპობილა, სარწმუნოება როდი დაცემულა, სასულიერო სემინარია - ბიბლიოთეკები როდი დაუხურავთ ან ჩამოურთმევიათ... ყველაფერი თავის ადგილზე და თავის დროზე სჭირდება კეთილმოწყობილ სახელმწიფოს და დარბაისლად განწყობილ ერს"[57].

იკარგებოდა ქართული ეკლესიის როლი სწავლა-განათლების საქმეში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, სასულიერო სასწავლებლები სახელოვან ადამიანებს ზრდიდნენ, აძლევდნენ ღრმა განათლებას, აზიარებდა ზნეობრივ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებას. არ შეიძლებოდა ამ სასწავლებლების მნიშვნელობის დაკნინება თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის განსაკუთრებულად ეხმარებოდნენ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, ნიჭიერებს ასწავლიდნენ და საზღვარგარეთ გზავნიდნენ. იტალიური მისიისა და პაპის ლეგატის დახმარებით კათოლიკური ეკლესიის მიერ ბევრი ახალგაზრდა იქნა გაგზავნილი ევროპაში სასწავლებლად. ორი ასეთი ახალგაზრდის შესახებ შუამდგომლობას განათლების სამინისტროს წინაშე აღძრავდა ცნობილი მწერალი - კონსტანტინე გამსახურდია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნებას მივცემ ჩემს თავს თქვენს წინაშე შუამდგომლობა აღვძრა ორი კათოლიკე ქართველის -

ვასო სალათიერაშვილისა და კონსტანტინე გელაზარაშ-
ვილის შესახებ.

ვასო სალათიერაშვილი 1917 წელს სხვა ობოლ ქა-
რთველ ბავშვებთან ერთად ჩამოიყვანა „საქართველოს
განთავისუფლების კომიტეტმა" ბერლინში. მე ვამოწმებ,
რომ ეს ბავშვები იზრდებოდნენ ქართველ კათოლიკეთა
მონასტერში სტამბოლში, შემდეგ კომიტეტმა იშუამდ-
გომლა გერმანიის მთავრობის წინაშე, რომ ამ უპატრონო
ქართველი ბავშვებისათვის მზრუნველობა აღმოეჩინა,
მთავრობამ ქართველი ბავშვები გაგზავნა ბავარიის ეთა-
ლის მონასტერში. 1919 წლის ივლისს მონასტრის მზრუ-
ნველმა მოსწერა ბერლინის საელჩოს, რომ მონასტერს
არ შეუძლია ქართველი ბავშვების მოვლა უსახსრობის
გამო. ივლისის 25-ს ბერლინელმა წარმომადგენელმა ჩა-
მაბარა ყმაწვილები, რათა ისინი ჰამბურგიდან - ფოთს
მიმავალ სამხედრო ტრანსპორტთან ერთად საქართვე-
ლოს მომეყვანა. ვამოწმებ, როგორც სამხედრო ტრანს-
პორტის ყოფილი უფროსი, რომ ვასო სალათიერაშვილი
ფრიად მუყაითი ჭაბუკია, გარდა ამისა, იცის ფრანგული,
ლათინური, ძველი ბერძნული და გერმანული ენები, მას
სწადია გერმანიაში სწავლის მიღება, აგრეთვე კონსტან-
ტინე გელაზარაშვილიც ენების მცოდნეა.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, დაუნიშნოთ
სტიპენდია ამ ყმაწვილებს, რათა მათ შეეძლოთ, სწავლის
დამთავრების შემდეგ, ჩვენს რესპუბლიკას ემსახურონ.
ამ საქმის ვითარება დეტალურად მოეხსენება განათლე-
ბის სამინისტროს დირექტორს ვუკოლ ბერიძეს.

პატივისცემით ფილ. დოქტორი.

კ. გამსახურდია"[58].

1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კანონების გადა-
მსინჯავმა კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი ეკლესი-
ის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. მთავრობამ
მიიღო ეს კანონი, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა ოპო-
ზიციური მდგომარეობა ქართულ მოწინავე საზოგადოე-
ბრივ აზრთან, ეროვნული ოპოზიცია სამართლიანად აკ-

რიტიკებდა ხელისუფლების სოციალისტურ იდეოლოგიას, მის დამოკიდებულებას სასულიერო ცხოვრების მიმართ, ეროვნული ტრადიციების რღვევას, რასაც არ შეიძლებოდა სამერმისოდ ცუდი შედეგი არ მოეტანა. რელიგიური გრძნობების გარეშე, ბიბლიისა და სხვა წმინდა წიგნების გააზრების გარეშე გაზრდილი მომავალი თაობები ვერ ააშენებდნენ დამოუკიდებელ ქვეყანას, ვერ შექმნიდნენ ზნეობრივად სრულყოფილ საზოგადოებას.

10. სახელმწიფოებრივი მიდგომა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება და სასკოლო რეფორმის განხორციელება მომდინარეობდა იმ მეტად რთულ დროში, როდესაც საქართველოში განათლების დაბალი დონე იყო, ბევრი იყო წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების შექმნას.

მნიშვნელოვან კულუტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა კავკასიის პედაგოგიური მუზეუმი, რომელიც იყო სასწავლო-საჩვენებელი დაწესებულება. მუზეუმის დირექტორი იყო გ. ზინჩენკო.

მუზეუმი 1903 წელს გაიხსნა და 6 განყოფილებისაგან შედგებოდა, 1907 წელს კი ნ. რუდოლფმა დაიწყო მისი რეორგანიზაცია და იგი გადააკეთა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმად. განსაკუთრებულ მნიშვნელობის იყო მუზეუმის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, სადაც 23 300-ზე მეტი წიგნი შედიოდა. 1919 წლის 3 მაისის განკარგულებით, - სახალხო განათლების სამინისტრომ მოახდინა მუზეუმის რევიზია, ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. რო-

გორც შემოწმების ოქმიდან გაირკვა, რუდოლფს ბოლომდე ვერ მიუყვანია რეორგანიზაციის საქმე, რადგან ბევრი განყოფილება გაუქმებული ყოფილა, ბევრი ნივთი გაფანტული, ან დაკარგული. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ მუზეუმი, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, წარმოადგენდა ძვირფას განძს საქართველოში სწავლა-განათლებისათვის და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განათლების ახალ სისტემას ეყრებოდა საფუძველი და საქართველო თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს"[1].

კომისიის სახელით, ალ. ჯავახიშვილი „ამ მუზეუმის ასაღორძინებლად და სწავლა-განათლების სასარგებლო დაწესებულებად მისი გადაქცევისათვის" საჭიროდ მიიჩნევდა მის ხელახალ ორგანიზებას, შესაფერისი ბინის გამონახვას, სადაც სამუზეუმო ნივთების შენახვისა და გამოფენის საუკეთესო პირობები იქნებოდა, ნივთების მოწესრიგებას, ახალ მუზეუმში ლექცია-საუბრებისათვის საჭირო აუდიტორიის მოწყობას. იგი აუცილებლობად თვლიდა მუზეუმში ქართული და საზოგადოდ, კავკასიური განყოფილების შექმნას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ადგილობრივი ბუნება, მცხოვრებლები (ეთნიკური ტიპები), მოსახლეობის საქმიანობა, ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური განვითარება.

აღწერილი უნდა ყოფილიყო მუზეუმის მთელი ქონება, შემდგარიყო კატალოგები, თუ ამას მიაქცევდა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას, მაშინ შემდეგისათვის მაინც იქნებოდა უზრუნველყოფილი მუზეუმის ქონების დაცვა, მითუმეტესო, - წერდა რევიზორი, - „რომ მის კოლექციებს ატყვია გაზიდვა-გატაცების ბეჭედი". ამისათვის იგი თხოვდა სამინისტროს მუზეუმის მზრუნველი მართვა - გამგეობის შექმნას, რათა კავკასიის პედაგოგიური მუზეუმი გაფართოებულიყო, შევსებულიყო და ქცეულიყო „რესპუბლიკის სასარგებლო დაწესებულებად"[2]. ამ რევიზიის შემდეგ მართლაც შეიქმნა

ასეთი კომიტეტი და მას სათავეში თავად ალექსანდრე ჯავახიშვილი ჩაუყენეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის განათლების სამინისტროში სპეციალური კომისია შეიქმნა.

სამინისტროს კომისია, დაბალ სკოლათა მთავარგამგის გიორგი ჭუმბურიძისა და თბილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის დირექტორის - ნ. მგელაძის ხელმძღვანელობით ვარაუდობდნენ, რომ კომისია, თუ ხელისშენყობა ექნებოდა, ძალზე ეფექტურად და „სამშობლოსათვის სასარგებლოდ" იმუშავებდა[3].

რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების II ყრილობაზე 1919 წლის 24 სექტემბერს, სკოლის გარეშე კულუტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ განათლების სამინისტროს დავალებით მოხსენება გააკეთა ვარლამ ბურჯანაძემ.

„საყოველთაო სწავლების შემოღება და ცხოვრებაში მისი გატარება, - აღნიშნა მომხსენებელმა, - გვიხდება სწორედ იმ დროს, როცა რესპუბლიკის მოზარდ მოქალაქეთა უმრავლესობა ანბანის, წერა-კითხვის უცოდინართაგან შედგება. ამიტომ, განათლების სამინისტრომ ძირითად საკითხად მიიჩნია მოზრდილ მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის გავრცელება სისტემატური მუშაობით და ამ მიზნით სკოლის გარეშე განათლების ორგანიზაცია. ეს საქმე უნდა იკისრონ თვითმმართველობის ორგანოებმა".

სკოლისგარეშე დარჩენილი მოსახლეობა მომხსენებელმა 3 ნაწილად დაჰყო: 1. წერა-კითხვის უცოდინარი მოზრდილი ადამიანები. 2. დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულნი და სწავლის გაგრძელების მსურველნი და 3. მთელი დანარჩენი ნაწილი წერა-კითხვის მცოდნე სკოლის ასაკს გადაცილებული მცხოვრებლები. I კატეგორიის ადამიანებისათვის უნდა გახსნილიყო საკვირაო ელემენტარული და მოძრავი სკოლები, II კატეგორიისათვის უმაღლესდაწყებითი სკოლები, გაფართოებული

კურსით და III კატეგორიისათვის უნდა მოწყობილიყო განსაკუთრებული კურსები.

დასახელებულ დაწესებულებებთან უნდა დაარსებულიყო ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, გახსნილიყო სახალხო კურსები, ჩატარებულიყო ლექციები და სხვ[4].

თითოეულ დაწყებით სკოლასთან არსებობდა საკვირაო სკოლა. მეცადინეობას სკოლაში აწარმოებდნენ ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები განსაკუთრებული გასამრჯელოთი. საკვირაო სკოლების საერთო ხელმძღვანელობას მაზრაში კისრულობდა სამაზრო ერობის გამგეობა, ხოლო სათემო ერთეულების სამოქმედო რაიონებში თვით წვრილი ერთეულების გამგეობები.

რესპუბლიკის იმ რაიონებში (მაგ: დუშეთის მაზრა, თიანეთის, კახეთის, სვანეთის, ლეჩხუმის), სადაც დაწყებით სკოლათა რიცხვი მცირე იყო, წერა-კითხვა უნდა გავრცელებულიყო მოძრავი სკოლების საშუალებით. ამ მიზნისათვის სამაზრო ერობა იწვევდა განსაკუთრებულ გამოცდილ მასწავლებლებს, რომელთაც აძლევდა ყოველგვარ საჭირო ხელსაწყო მასალასა და სასწავლო ნივთებს. ეს მასწავლებლები წინდაწინ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით აწარმოებდნენ სწავლებას სხვადასხვა სოფელში, ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ და ასწავლიდნენ, თვითონ ადგენდნენ წერა-კითხვის მცოდნე პირთაგან ჯგუფებს, რომელთაც აკისრებდნენ წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში.

საღამოს კურსები და სკოლები

დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთათვის თითოეულ რაიონში იმართებოდა უ/დაწყებითი სკოლები, ან კურსები. აღნიშნულ სკოლებში ან კურსებზე მეცადინეობას ატარებდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ არსებული პროგრამით. მათ მეთვალყურეობდნენ სამაზრო ერობის ინსტრუქტორები.

სახალხო კითხვები და ლექციები

თითოეულ რაიონსა და სოფელში იმართებოდა სახალხო კითხვები. ამისათვის დგებოდა გეგმა და სია იმ მასალისა, რაც წაკითხული იქნებოდა ცალკეულ სოფლებში. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მოთხოვნა, კითხვების დროს გამოყენებული უნდა ყოფილიყო კინემატოგრაფი, რომელსაც იძენდა სამაზრო ერობა, მასვე უნდა დაემზადებინა ე. წ. „ბუნდოვანი სურათები" და შეეძინა რამდენიმე „ჯადოფარანი" - ღამით გამოსაყენებლად[5].

ბიბლიოთეკა-სამკითხველოები

სისტემატური ხასიათი უნდა მისცემოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობას. თითოეულ სკოლასთან უნდა გახსნილიყო სამკითხველო, ხოლო თითოეულ რაიონში ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა უნდა გაეხსნა ერობას. სამაზრო ერობის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან მოწყობილიყო საბიბლიოთეკო კომისია, რომელიც გაუწევდა საერთო ხელმძღვანელობას მაზრაში არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, შეიმუშავებდა ბიბლიოთეკის ქსელს, შეადგენდა ინსტრუქციებს და სხვ.

სახალხო თეატრი

სამაზრო ერობებს უნდა შეედგინათ სცენისმოყვართა ჯგუფები, გარკვეული გასამრჯელოთი. სამაზრო ერობა ნიშნავდა სკოლისგარეშე განათლების საერთო ხელმძღვანელს - ინსტრუქტორს, რომელიც ადგენდა მუშაობის გეგმას, რასაც იხილავდა და ამტკიცებდა ერობის გამგეობასთან არსებული სასკოლო ან სამოსწავლო კომისია.

საქართველოს განათლების სამინისტრო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის გარეშე განათლების სწორ ორგანიზაციას, მიმართავდა ერობებს - დროზე შეემუშავებინათ სამუშაო გეგმები, თავის მხრივ კი, კისრულობდა ფულად დახმარებას დასახული მიზნის განსახორციელებლად[6].

სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო უნივერსიტეტი საქართველოში უკვე XX ს-ის დასაწყისიდან ფუნქციონირებდა. 1920 წელს დაიწყო მისი რეორგანიზაცია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის - ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. სარეორგანიზაციოდ აირჩა სპეციალური კომიტეტი. განზრახული იყო პროვინციებში 11 სახალხო უნივერსიტეტის მოწყობა. მათ უხელმძღვანელებდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტი[7].

მთავრობას უჭირდა სახ. უნივერსიტეტის დაფინანსება, ამიტომ იგი შემწეობას თხოვდა მოსახლეობას. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" წერდა: „ჩვენი სახელმწიფო ხაზინა დღეს ღარიბია, ამისათვის, როგორც დიდი არ უნდა იყოს მთავრობის სურვილი ხალხის კულტურული განათლებისათვის დასახმარებლად, ის მაინც სუსტია, თუ მას გვერდში საზოგადოება არ ამოუდგება. ამ საქმეს უშველის ისევ და ისევ საზოგადოებრივი დახმარება, თითო-ოროლა პირისათვის დღეს უფრო ადვილია გაიღოს რამოდენიმე მანეთი, ვინემ სახელმწიფოსთვის".

წერილი მოუწოდებდა მოსახლეობას სახალხო უნივერსიტეტის დასახმარებლად[8].

სახალხო უნივერსიტეტის დიდ როლზე ერის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში საუბრობდა პუბლიცისტი ივანე როსტომაშვილი ამავე გაზეთის რუბრიკაში - „სახალხო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი"[9].

განსაკურთრებულ ყურადღებას იქცევდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქართულ ჯარში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოს სჭირდებოდა ჯარისკაცთა ეროვნული ცნობიერება, უამისოდ ჯარი ვერ იქნებოდა ბრძოლისუნარიანი, პატრიოტული სულისკვეთების, რაც გამარჯვების უპირველესი საწინდარია.

ქართულ ჯარში ხშირად ან წერა-კითხვის უცოდინარი და ეროვნულ საკითხში გაუცნობიერებელი ახალგაზრდები მიდიოდნენ, ანდა რუსულ ან სომხურ სკოლადამთავრებულნი, რომელთა შეხედულებები საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ნაკლებად ემთხვეოდა. ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უაღრესად კრიტიკულ ჟამს - 1918-1920 წლებში არმია შეგნებულ მფარველ ძალად უნდა მოვლენოდა ქვეყანას, ამიტომ ჯარისკაცთა შორის იდეურ-აღმზრდელობით და პატრიოტულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ლაშქრული სიმღერები, რომლებსაც კომპოზიტორები ჯარისკაცებისათვის ქმნიდნენ, ფრონტზე სრულდებოდა და არა თეატრებში, მათი სულისკვეთება უნდა ყოფილიყო გასაგები შემსრულებლისათვის და არაჩვეულებრივი ტექსტიც უნდა დახმარებოდა მსმენელს კომპოზიტორის იდეის აღქმაში.

ყველაფერ ამას ემსახურებოდა სამხედრო.სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის საქმიანობა. სექციას შემუშავებული ჰქონდა მუშაობის პროგრამა, სადაც შერჩეული იყო სასწავლო საგნები, ლექციების პროგრამები და სხვა ღონისძიებანი ჯარისკაცთა განათლების დონისა და კულტურის ასამაღლებლად. სექციის საქმიანობა შემდეგ საფეხურებს მოიცავდა:

1. საგუნდო სკოლა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული წერა-კთხვის შესწავლა და არითმეტიკაში ელემენტარული ცოდნის მიღება.

2. საათასეულო სკოლა, რომელიც სწავლების II საფეხურს წარმოადგენდა. აქ სწავლა წარმოებდა საუბრე-

ბის საშუალებით, როგორც წერა-კითხვის მცოდნეთა და არამცოდნეთათვის, ისე 3-4 კლასდამთავრებულ ჯარისკაცთათვისაც.

3. ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. აქ საუბრები იყო რთულ პოლიტიკურ საკითხებზე, უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე, ხდებოდა ქართული სიტყვიერების მიმოხილვა, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. ამ საგნებში ჰქონდათ სპეციალური პროგრამები. განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ გ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით დაათვალიერა 6 სხვადასხვა ჯარის ნაწილი, იმ ათიდან, რომელთა შესახებ ცნობები იქნა წარდგენილი განათლების სამინისტროში ჯარისკაცთა კულტ-საგანმანათლებლო სექციის მიერ. ეს ნაწილები იყო: სადარაჯო ათასეული, მეხუთე- მეშვიდე ათასეულები, მესანგრეთა ათასეული, საავტომობილო და უმწყობრო გუნდები. კომისიამ არ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად წერა-კითხვის სწავლების დონე ჯარში, აღნიშნა, რომ ზეპირსიტყვიერ ლექცია-საუბრებს მეტ ყურადღებას აქცევდნენ, საჭირო კი იყო ჯარისკაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

4. ჯარში იყო მოძრავი და უძრავი წიგნსაცავები, სადაც საინტერესო წიგნები ინახებოდა საბრძოლო ხელოვნებასა, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის და სხვ. ჯარში სულ 18 ათასი წიგნი ჰქონდათ, ჯარისკაცებს ურიგებდნენ რვეულებს, კალმისტრებს და ფანქრებს.

კომისიამ დაინუნა როგორც წიგნების რაოდენობა, ასევე მათი ხასიათი და შედგენილი კატალოგი. წიგნები უმთავრესად შემოწირულობებით იყო ჯარის ბიბლიოთეკაში შემოსული.

5. ჯარში ყოველდღიურად ვრცელდებოდა ჟურნალ-გაზეთები. თითო ათასეულს ურიგდებოდა 8-8 ცალი გაზეთი ყოველდღიურად. ესენი იყვნენ „ერთობა", „სახალხო საქმე"; და „საქართველო", საარტილერიო დივიზიებს ამავე გაზეთის 3-3 ცალი, სანაპირო ჯარების

შტაბს 48 ცალი თითო გაზეთისა, სულ, დოკუმენტის ცნობით, ჯარში ყოველდღე 666 გაზეთი რიგდებოდა. სულ გაზეთები ურიგდებოდა 38 ერთეულს, ყოველკვირეული ჟურნალი „მხედარი" - ყველა ნაწილს ეგზავნებოდა 108 ცალი, „ბორბა" კი - 6.

ომის დროსაც იგზავნებოდა გაზეთები ფრონტზე.

სექციას ჰქონდა საკუთარი გამომცემლობა, სადაც გამოდიოდა „მხედარი", გამოუციათ კიდევ წიგნი „მარკოზი", რაც გააკრიტიკა კომისიამ, მომენტის შესაფერსი წიგნი არააო.

გააკრიტიკეს ასევე ჟურნალი „მხედარი", მასში დაბეჭდილი ნაწარმოებები ჩათვალეს „არაკომპეტენტურად", ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ჟურნალში ხშირად ახალგაზრდა ჯარისკაცთა ნაწერები იბეჭდებოდა. ეს კი მაღალინტელექტუალური და მხატვრული ღირსებების ნაწერები არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

6. ჯარისკაცებს ჰქონდათ თავიანთი თეატრები, სადაც იმართებოდა წარმოდგენები. ეს თეატრები იყო შექმნილი დროებით, სხვადასხვა ნაწილებში, სადაც ადგილობრივი ძალებით იდგმებოდა სპექტაკლები. ისინი, მხატვრული ღირსების მიუხედავად, ჯარისკაცებში დიდ მოწონებას იმსახურებდნენ.

7. მნიშვნელოვანი იყო ჯარში კინემატოგრაფის არსებობა.

ომის დროს - სომხეთთან, თურქეთთან, რუსებთან, კინემატოგრაფები წვევიან ფრონტებს, უჩვენებიათ სურათები და გადაუღიათ კიდეც მიმდინარე მოვლენები.

ამ დროს გადაიღეს: „26 მაისი", „გვარდიის დღე", „დამფუძნებელი კრების გახსნა", „ადერბეიჯანის ფრონტი", „ბათუმის საქართველოსთან შემოერთების ზეიმი" და სხვ.

რა თქმა უნდა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ჯარში ჰქონდა ხელისშემშლელი პირობებიც. ეს იყო: 1. მუდმივი ომიანობის გამო ჯარის ხშირი გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე. 2. მოსამსახურეთა სი-

მცირე (მასწავლებლების ნაკლებობა). 3. მიმოსვლის საშუალებათა მოუწესრიგებლობა. 4. ფულის დროზე მიუღებლობა და სხვ.

11. „საპროფესიო და სატეხნიკო" სკოლები

დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიიქცია სპეციალისტების აღზრდას და საამისოდ დააარსა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ამავე მიზნით ახალგაზრდები მთავრობის სტიპენდიით იგზავნებოდნენ საზღვარგარეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში. ხაზინიდან გამოყოფილი იქნა 1 მილიონი მანეთი ახალგაზრდების მოსამზადებლად სპეციალურ დარგებში[1].

დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროფესიული განათლების შესახებ სპეციალურად იმსჯელა 1918 წლის 3 დეკემბრის განათლების სამინისტროს საბჭოს სხდომამ.

სხდომას ესწრებოდნენ: განათლების მინისტრი გ. მ. ლასხიშვილი, მინისტრის ამხანაგი ალ. ბ. მდივანი, დაბალ სკოლათა მთავარგამგე გ. ა. ჭუმბურიძე, კანცელარიის დირექტორი ვ. მ. ბერიძე, მდივანი კ. აბაშიძე.

მოხსენება წაიკითხა მინისტრის ამხანაგმა - ალ. მდივანმა. შესავალშივე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება საქართველოს რესპუბლიკაში სრულიად განუვითარებელი იყო: სულ რამდენიმე სკოლა არსებობდა და ისინიც დაბალ დონეზე მუშაობდნენ. არ იყო კადრი, რომელიც ხელს შეუწყობდა განათლების ამ სისტემის მოწყობას, არც ორგანიზატორი ჰყავდა ამ საქმეს და არც მომზადებულ მასწავლებელთა კონტინგენტი. საამისოდ სამინისტროს მიაჩნდა განსაკუთრებული

ზომების მიღების აუცილებლობა, ვინაიდან განახლებულ პოლიტიკურ ცხოვრებას ესაჭიროებოდა პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილი ხალხი. მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ ახლად ჩამოყალიბებული ერობები და ქალაქის თვითმმართველობები იზრუნებდნენ პროფესიული განათლების ასამაღლებლად და შეარჩევდნენ საქართველოს ყველა რეგიონისათვის აუცილებელი პროფესიონალური სკოლების ტიპებს. ამ საქმეში ერობებს ხელმძღვანელობას გაუწევდა განათლების სამინისტრო. გარდა ამისა, საჭიროდ თვლიდნენ, რომ უცხოეთში გაეგზავნათ დაბალ, საშუალო და უმაღლეს პროფესიონალურ ცოდნის შესაძენად ახალგაზრდების საკმარისი რიცხვი, რისთვისაც რესპუბლიკის მთავრობას უნდა გამოეყო შესაბამისი თანხა.

სამინისტროს აღნიშნულმა სხდომამ მიიღო დადგენილება:

1. ეცნობებინათ ერობებისათვის რომ გამოემუშავებინათ ადგილობრივ სასურველ საპროფესიო სკოლის ტიპი და, საერთოდ, წამოეყენებინათ საპროფესიო განათლების მოწყობის შესახებ მოსაზრებანი.

2. შემუშავებულიყო მოხსენება უცხოეთში პროფესიონალური განათლების მისაღებად ახალგაზრდობის გასაგზავნად და ეს მოხსენება წარდგენილიყო მთავრობაში და დამფუძნებელ კრებაში.

3. გადაკეთებულიყო ბორჯომის სახელოსნო სკოლა საშუალო-ტექნიკურ სკოლად. გარდა ამისა, გარკვეულიყო, თუ რა სახის პროფესიონალურ სკოლათა გახსნა იყო შესაძლებელი მომავალი სასწავლო წლიდან[2].

პროფესიული სკოლების დაარსების აუცილებლობასა და მის პერსპექტივებზე იყო საუბარი მიხეილ თაქთაქიშვილის წერილში - „სპეციალური სკოლა"[3].

პუბლიცისტის აზრით, ქართველებს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ცუდი ჩვევა ჰქონდათ: შვილები გიმნაზიაში შეჰყავდათ ან უნივერსიტეტებში, სპეციალურ სკოლას კი გაურბოდნენ. როდესაც ილია ჭავჭავაძემ

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის გადაკეთება მოითხოვა სპეციალურ სკოლად, მას საზოგადოების გარკვეული ნაწილი წინ აღუდგა, თუმცა კარგად იცოდნენ მისი დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

იგი ასახელებს ქუთაისის საკომერციო სკოლას, რომელიც 1915 წელს გაიხსნა და ერთადერთ ამ ტიპის სასწავლებელს წამროადგენდა ამ პერიოდის დას. საქართველოში[4]. პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობამ სპეციალური დეკლარაციით აღნიშნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელების აუცილებლობა. ასეთი სკოლების შექმნის შეფერხებას იგი რუსული განათლების სისტემას აბრალებდა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ქართული განათლების სისტემაზე. ეს გავლენა, პუბლიცისტის თქმით, შემდეგი ნიშნებით გამოიხატებოდა:

1. რუსული სკოლა არ იყო აგებული თავისუფალი სკოლის პრინციპებზე. მას მუდამ რაიმე პოლიტიკური აზრი და მისწრაფება ედო საფუძვლად.

2. რუსული - ტოლსტოისა და დელიანოვის სკოლა არ იყო სახალხო, მისი მიზანი იყო სახელმწიფო მოხელეების მომზადება, თავადაზნაურთა სკოლებში შესვლა გაადვილებული იყო მხოლოდ თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილებისათვის.

3. მასწავლებელი დაჩაგრული იყო როგორც უფლებრივად, ასევე ნივთიერად. მას არც განათლება ჰყოფნიდა და არც პრინციპულობა, - შეწინააღმდეგებოდა უვარგის სწავლების სისტემას.

4. ამას ემატებოდა სკოლის სიღარიბე. 150-200 მილიონიანი რუსეთის განათლებისათვის მცირე თანხები იყო გამოყოფილი. პოლიტიკური ცხოვრების დანგრევის შემდეგ ეს სკოლაც დაინგრა. საქართველოში უფრო მახინჯი სკოლა იყო, რადგან განათლების უარყოფით თვისებებთან ერთად მას ემატებოდა ნაციონალური შოვინი-

ზმის დანერგვა ქართულ სკოლაში. მას არ ჰქონდა ნორმალური სასწავლო შენობები, ინვენტარი და ა. შ. სპეციალური სკოლა კი უფრო მეტ ინვენტარსა და ფინანსებს მოითხოვდა, რაც მას არ ჰქონდა. მიხეილ თაქთაქიშვილმა ის ობიექტური მიზეზები, რაც ხელს უშლიდა სპეციალური სკოლის წინსვლას, ასე ჩამოაყალიბა:

1. ნახევარი საუკუნის მანძილზე სკოლების ჩამორჩენა, რაც ხელს უშლიდა სპეციალური სკოლების დაარსებას.

2. სპეციალური სკოლებისათვის საჭირო მასწავლებლების სიმცირე.

3. პოლიტიკური ტენდენციის გამო სპეციალური სკოლის პროგრამაში შეტანილი ზოგიერთი საგნის ზედმეტ ტვირთად გახდომა მოწაფეთათვის:

4. ნივთიერი სიღარიბის გამო სპეციალური სკოლების უვარგისობა[5].

პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა რუსეთს, როდესაც კავკასიაში განათლების სპეციალურ მზრუნველად იანოვსკი გამოგზავნა. 30 წელი იყო იგი ამ პოსტზე, თავის თანამოაზრეებთან ერთად ებრძოდა გოგებაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ მოწინავე საზოგადოებრივ აზრს სახალხო განათლების შესახებ, იანოვსკის სკოლა ქართველი ხალხის რუსიფიკაციას უწყობდა ხელს, რუსეთის იმპერიულ ქვაბში ქართველი ერის ასიმილაციას. რა თქმა უნდა, იანოვსკის არ სურდა სპეციალური სკოლა, რადგან იგი დიდ ხარჯებს ითხოვდა და ქართველი ერის ცხოვრებაში კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, ქართული საზოგადოებაც ისე გაერთო მასთან ბრძოლაში, სპეციალური სკოლა გადაავიწყდა კიდეც[6]. იანოვსკის შემდეგ კავკასიის მზრუნველად დანიშნულმა ნ. რუდოლფმაც არ თუ ვერ დააარსა ასეთი სკოლა. იგი მტრულადაც კი იყო განწყობილი ასეთი სკოლისადმი, აარსებდა პირველდაწყებით სასწავლებლებს, სადაც ისწავლებოდა უცხო ენები, ფრანგული, გერმანული და რუსული. რაჭა-

ლეჩხუმში ან სადმე სხვაგან, საქართველოს მთაში, რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთ სკოლებს, ცხადია.

თუ ხელისშემწყობი არა ჰყავს, თვით ცხოვრება უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ სპეციალურ სკოლას ყველაფერი ხელს უშლიდა, მთავარი კი იყო ის, რომ მრეწველობა, ქარხნები ისეთ დონეზე არ იყო, რომ ასეთი ტიპის სკოლის შექმნისათვის დაედო საფუძველი[7]. ამ ხარვეზის შევსება განიზრახა საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ და 1918-21 წლებში მრავალი ახალი ასეთი ტიპის სასწავლებელი გახსნა, თუ განაახლა, - წერდა ავტორი.

1918 წლის 20 აგვისტოს განათლების სამინისტრომ „ვაჭრობისა და მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის" მთავრობას წარუდგინა მოხსენება ამ სახის სასწავლებლების დაარსების შესახებ, 24 აგვისტოს მთავრობამ განიხილა და მოიწონა ეს მოხსენება.

აღინიშნა, რომ სპეციალურ სასწავლებლებში, თბილისში, მცირე რაოდენობის ქართველები სწავლობდნენ, მხოლოდ ხონისა და ბორჯომის სასწავლებლებში იყვნენ ქართველი მოწაფეები უმრავლესობა.

მიმართვა შედგენილი იყო მინისტრთა საბჭოს 15 აგვისტოს გადაწყვეტილების მიხედვით.

ამ დოკუმენტით, 1918 წლის დასაწყისში საქართველოში გაერთიანების პროცესის შემდეგ დარჩა და მოქმედებდა შემდეგი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები:

1. მიწისმზომელთა სასწავლებელი, რომელიც იყო თბილისში, აქ იყო 154 მოწაფე, აქედან რუსი - 110, ქართველი - 20; დადგენილებით ეს სასწავლებელი უნდა გაეროვნებულიყო, I კლასში ჩატარებულიყო მისაღები გამოცდები, დანარჩენ კლასებში სწავლა გაგრძელდებოდა რუსულად, მაგრამ თანდათან გაქართულდებოდა.

2. რკინიგზის საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი. აქ იყო 71 მოწაფე, მათში რუსი - 42, ქართველი - 18. საბჭომ საჭიროდ ცნო: ა) დარჩენილიყო ეს სასწავლებელი

მთავრობის სასწავლებლად, ბ) მომხდარიყო გაეროვნება I კლასისა და გ) II კლასში სწავლა გაგრძელებულიყო რუსულად (3-4 კლასები ჯერ არ იყო გახსნილი).

3. ტფილისის I და II კომერციული სასწავლებლები. I-ში ითვლებოდა 644 მოწაფე, აქედან სომეხი - 453, ქართველი - 84, II-ში - 407, სომეხი - 188, ქართველი - 132.

უნდა გამხდარიყო I კლასის გაეროვნება, სასწავლებელი მთავრობის ხარჯზე უნდა გადასულიყო.

4. ტფილისის სავაჭრო სასწავლებელი. 1917-18 წლებში აქ იყო 312 მოწაფე, აქედან, სომეხი - 255, ქართველი - 67.

საფერშლო სასწავლებელი ნავთლუღში და მიხეილის საავადმყოფოსთან. საფერშლო ნავთლუღში უნდა დახურულიყო და მხოლოდ მიხეილის საავადმყოფოსთან დარჩებოდა.

6. ქუთაისის კომერციული სასწავლებელი. 1918 წლის შემდეგ იგი 2 მოსამზადებელი და 4 ძირითადი კლასისაგან შედგებოდა. ამ სასწავლო წელს მოხდა მისი სრული გაეროვნება. სურვილი იყო, რომ იგი მთავრობის სასწავლებლად გამოცხადებულიყო.

7. ბორჯომის, ხონის და ფოთის სახელოსნო სასწავლებლები - თანდათან უნდა გაკეთებულიყვნენ სატეხნიკო სასწავლებლებად.

8. გორის სასულიერო სასწავლებელი უნდა გადაკეთებულიყო 1918-19 სასწ. წელს სამეურნეო სასწავლებლად[8].

პროფესიული სასწავლებლებისათვის შედგა სპეციალური დებულება, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. გათვალისწინებული იყო ცალკეული სასწავლებლის ინდივიდუალური ხასიათი და მუშაობის პირობები. სანიმუშოდ გამოდგება ბორჯომისა და ხონის სასწავლებელთა დებულებანი, რაც ერთმანეთს ემთხვეოდა, რადგან ამ ორი სასწავლებლის პროფილიც და მუშაობის განაწესიც სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს[9].

ასეთ სურათს იძლეოდა მიხეილ თაქთაქიშვილის წერილი საქართველოში პროფესიული განათლების სისტემისას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ საერთო კანონი 1919 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

პროფესიული სკოლებიდან აღსანიშნავია ქუთაისის შრომის სკოლა, რომელიც ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაციას დაუარსებია 1918 წელს ოსმალეთთან ბრძოლების დროს. ეს იყო ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც, სასწავლო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ყოველგვარ ხელსაქმეს, მოწვეული ჰყავდათ კარგი სპეციალისტები, ამ სკოლაში დამზადებული ქსოვილი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა ფაბრიკებში მოქსოვილს, ფასიც მასზე ხელმისაწვდომი იყო. სკოლას არ ჰქონდა მუშაობის ნორმალური პირობები, რის გამოც გაზეთ „ერთობის" პუბლიცისტი (ი. სადემეტროველი) თხოვდა ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობას და სხვა ორგანიზაციებს სკოლისათვის დახმარების გაწევას[10].

საქართველოში სპეციალური სკოლების დაარსებას მხარს უჭერდა და ახალგაზრდების დასპეციალისტებაში დიდი როლი ითამაშა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლობამ.

ანტანტის გამარჯვების შემდეგ, შეთანხმების სახელმწიფოები იკვლევდნენ იმ ბუნებრივ სიმდიდრეებს, რაც ჩვენში იყო. მათ კარგად დაინახეს საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური პოტენციალი და სამეურნეო-ტექნიკურ სპეციალისტთა მომზადების აუცილებლობა.

ამ მხრივ თავის სიტყვა თქვა იტალიის მისიამაც, რომელმაც განიზრახა სპეციალური სკოლების გახსნა საქართველოში. ამ მიზნით პაპის ლეგატმაც კი იმოგზაურა ჩვენში და ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეადგინა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

იტალიის მისიამ 1919 წლის 1 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა მისიის შემადგენლობის სია[11] და რომის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლის - დელფიუშეს მომართვის პირი, რომლის II

მუხლი შეეხებოდა საქართველოში სწავლა-განათლების მოგვარებას[12].

საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი განათლების მინისტრის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათში განხილული იყო ეს მუხლი და ნათქვამი იყო, რომ დელფიუშეს მიმართვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოში საპროფესიო-სატეხნიკო სკოლების გავრცელებას. განათლების მინისტრი თვლიდა, რომ იტალიის დაინტერესება ამ მხრივ ბევრ სარგებლობას მოიტანდა, რადგან იტალია ევროპის ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, რომელიც ევროპის ტექნიკურ პროგრესთან ახლოს იდგა და თავისი ინიციატივითაც იყო ცნობილი. მინისტრი იმედოვნებდა, რომ ამ საკითხს ვერაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ ითხოვდა იმ საფუძვლების განსაზღვრას, რომელზედაც სასურველი და შესაძლებელი იქნებოდა აგება რომის ტახტის მისიის სასკოლო მოღვაწეობისა საქართველოში.

1. მინისტრის აზრით იტალიელების მიერ სკოლების გახსნა უნდა მომხდარიყო რესპუბლიკის სკოლებისათვის არჩეული საერთო წესით.

2. ამ სკოლებს იგივე უფლებები უნდა ჰქონოდა, როგორც რესპუბლიკის ყველა კერძო სკოლას.

3. ყველა სასწავლებელი უნდა დაქვემდებარებოდა საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, თავის სასწავლო გეგმები შეეფარდებინა იმავე ტიპის სახაზინო სასწავლებლების გეგმებთან[13].

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დას. საქართველოს სპეციალისტთა კადრების მომზადებაში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. მას ეკუთვნოდა ანანოვის აჯამეთის მამული. სკოლას ჰქონდა უამრავი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და დანადგარი.

1919 წელს სკოლა საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა - სკოლის მმართველი ამ დროს იყო ალექსანდრე დავითის ძე შარაშიძე[14].

სკოლასთან არსებობდა მეტეოროლოგიური სადგური, საქართველოს ტექნიკური ობსერვატორია ამ სადგურის მუშაობას დიდ როლს ანიჭებდა.

სკოლაში ასწავლიდნენ მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, მელვინეობას, სოკოს მოყვანას, გეოდეზიას, მინისმზომელობას, საბეითლო საქმეს და სხვ. მასწავლებლებად იყვნენ როგორც მცოდნე სპეციალისტები, ასევე პრაქტიკოსები, ისინი ვინც დიდ გამოცდილებას ფლობდნენ ამა თუ იმ დარგში, მაგალითად, ქამა სოკოს მოყვანას, სარდაფების მოწყობას ასწავლიდა პოლკოვნიკი ივანე სერგოს ძე ქავთარაძე[15].

სკოლას ჰქონდა დიდი მეურნეობა. ამისდა მიხედვით შემოსავალიც დიდი ჰქონდა (492250 მანეთი).

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა იმყოფებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში. სკოლის მამულში მოყვანილი სიმინდი, თივა და სხვა ჭირნახული, იყიდებოდა.

1920-21 წლებში სასწავლებელში იყო 31 თანამშრომელი, რომელთა ხელფასი შეადგენდა 651480 მანეთს.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის კომერციული სასწავლებელი. ამ სასწავლებელში მისაღები გამოცდების განსაკუთრებული ფორმა ჰქონდათ. აქ იყო უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი და პირველი ოთხი კლასი: მოსამზადებელ კლასებში მოწაფეები მისაღები გამოცდების ნაცვლად „მისაღები მეცადინეობით" ირიცხებოდნენ. წესი ასეთი მეცადინეობისა იმაში გამოიხატებოდა, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში სასწავლებელში შესვლის მსურველთათვის ინიშნებოდა საკლასო მეცადინეობა, რომლის დროსაც მასწავლებლებს სრული საშუალება ჰქონდათ ყოველმხრივ, ყოველშემთხვევაში უკეთ, ვიდრე გამოცდების დროს, გაეცნოთ მოსწავლეები. დრო ამგვარი მეცადინეობისა განსაზღვრული არასოდეს არ ყოფილა. მეცადინეობა მაშინ მთავრდებოდა, როდესაც მასწავლებლები სავსებით გაარკვევდნენ ვითარებას, ვინ უნდა მიეღოთ. მაგრამ ხშირად ყველაფერი

4-5 დღეში მთავრდებოდა, რადგან ყოველდღიური მუშაობით მასწავლებლები სწრაფად არკვევდნენ ბავშვების შესაძლებლობას, საშუალება ჰქონდათ ყოველ დღე და საათს მათი გამოკითხვისა. ასეთი მისაღები გამოცდების ფორმა იყო ძალზე შედეგიანი: ჯერ ერთი, გამოუცდელი ბავშვები ამით ცდებოდნენ სულიერ დაძაბულობას, რაც გამოცდებს ახლავს, მეორეც, შემთხვევითობა, რასაც გამოცდის დროს აქვს ადგილი, გამორიცხული იყო. დაკვირვებანი დისციპლინასა და ცოდნაზე, რაც მასწავლებლებს ასეთი მეცადინეობების დროს ჰქონდათ, ყოველთვის მართლდებოდა სწავლის შემდგომ პერიოდებში.

ამასთან სკოლას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მშობლებთან, მასწავლებლები და სკოლის მზრუნველები საჭირო ცნობებს მოსწავლეთა წარმატებაზე გადასცემდნენ მშობელთა საბჭოს. აწარმოებდნენ რეგისტრაციას სუსტი მოსწრების მოწაფეებისას.

სკოლაში უარყოფილი იყო წარმატების ციფრობრივი ნიშნებით აღნიშვნა, რამაც დაძაბულობა განმუხტა.

1918-1919 წლის ქუთაისის კომერციულ სასწავლებლის პედაგოგიურ კომიტეტს ჰქონდა 22 სხდომა. გატარდა ღონისძიებანი გაეროვნებასთან დაკავშირებით. ამ სასწავლო წელს სასწავლო პროგრამაში ვერ შეიტანეს ფიზკულტურა - სავარჯიშო დარბაზის უქონლობის გამო. 1919-20 სასწ. წელს კი ეს ხარვეზი გამოსწორდა.

უმცროსი სასკოლო ასაკის მზრუნველები მიჰყვებოდნენ თავის კლასს, ხოლო უფროს მოსამზადებელ კლასში გადასვლის შემდეგ მზრუნველი უბრუნდებოდა ისევ უმცროს მოსამზადებელ კლასს. ეს ღონისძიება სკოლის ხელმძღვანელობამ საუკეთესო გზად ჩათვალა ბავშვების ზნეობრივი ფორმირებისათვის.

სწავლა-აღზრდის საერთო პროცესში სასწავლებელი დიდ ადგილს უთმობდა ექსკურსიებს, ექსკურსიის პროგრამას ადგენდნენ მასწავლებლები (მზრუნველები) და უდგენდნენ დირექციას.

1918-19 სასწ. წელს მოწყობილა ექსკურსიები შემდეგ ადგილებში: ჯილების სანინააღმდეგო შრატის დასამზადებელ სადგურზე, არქიელის გორაზე ძველი ციხის დასათვალიერებლად, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე, აგურის ქარხანაში, პროფკის ტყეში, რიონის პირზე, გელათში და სხვაგან. შორი ექსკურსიების მოწყობა უჭირდათ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა თუ ეპიდემიების გავრცელების გამო.

ამ სასწავლებლის დირექტორი იყო 1918-19 სასწავლო წლამდე მიხეილ თაქთაქიშვილი, 1919 წელს 1 მარტს მან თავი გაანება მუშაობას და დირექტორად აირჩიეს მისი მოადგილე ა. ზ. ჩხენკელი, იგი აირჩია პედაგოგიურმა კოლექტივმა და აცნობა სამზრუნველო საბჭოს. განათლების მინისტრის 1919 წლის №29 განკარგულებით ჩხენკელი დაინიშნა დირექტორად.

სკოლას ეხმარებოდა მზრუნველთა საბჭო. მას ირჩევდა ქუთაისის გუბერნიაში საკომერციო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. 1918 წლიდან სამზრუნველო საბჭო ველარ აკმაყოფილებდა სკოლის მატერიალურ მოთხოვნილებას. მიზეზი ამისა იყო ისიც, რომ საბჭოს გაუვიდა ვადა, რა ვადითაც იყო არჩეული, ახალი არჩევნები კი ვერ ჩატარდა, ამასთანავე მას გამოაკლდა ისეთი წევრები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა სამზრუნველო საბჭოს მუშაობაში. ამიტომ 1919 წლისათვის თვით სამზრუნველო საბჭო დაეთანხმა სასწავლებელს - ეთხოვათ მთავრობისათვის დახმარება. რა თქმა უნდა ძნელი იყო მთავრობისაგან სრულყოფილი დახმარების მიღება, ხაზინის ხარჯზე სასწავლებლის გადაყვანა, ერთდროული დახმარება კი ყველა პრობლემას ვერ მოხსნიდა, ამიტომ მოწვეული იქნა საზოგადო კრება და აირჩა ახალი სამზრუნველო საბჭო, რომელმაც დაიწყო ძიება მუდმივი შემოსავლისა. გადაწყდა, რომ ასეთ წყაროდ ქცეულიყო 15 პროცენტიანი გადასახადი სამრეწველო მოწმობებზე 1919 წლის 1 იანვრიდან[16]. ქუთაისის კომერციულ სასწავლებლებში სპეციალურ საგნებთან

ერთად გაძლიერებულად ისწავლებოდა უცხო ენები. პედაგოგიური საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით 1919 წლის 29 აპრილს აღინიშნა, რომ კომერციული სასწავლებლების მონაფეებს მომავალი სპეციალობისათვის აუცილებლად ჭირდებოდათ უცხო ენის თავისუფალი ფლობა, ამიტომ მათთვის დაწესდა მეხუთე კლასიდან გადასაყვანი გამოცდები ამ საგნებში. უცხო ენათა სწავლებას უნდა მისცემოდა პარქტიკული ხასიათი, ამისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო სურათების აღწერა, პატარა წიგნაკების კითხვა და თავისუფალი საუბარი, რისთვისაც კვირაში 1, 1/2 საათი დრო ეთმობოდა თითოეულ კლასს[17].

ქუთაისის კომერციულ სასწავლებელს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ 1918 წლიდან მას გაუჭირდა არსებობა, განსაკუთრებით 1919 წელს, იგი დახურვის პირას მივიდა, რასაც მიეძღვნა პედაგოგიური კომიტეტის სხდომა 1919 წლის 9 ნოემბერს. სხდომას დაესწრნენ სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სპირიდონ ლეკვეიშვილი, პედაგოგები: ს. ეზიკაშვილი, ს. თოფურია, მ. ორახელაშვილი, ს. მჭედლიძე, ნ. ხელაძე, ა. სულამანიძე და გ. მესხი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ 1915 წლამდე სასწავლებელს, დებულების ძალით ინახავდა „სამზრუნველო საბჭო", რომელიც სასწავლებელს მატერიალურად უზრუნველყოფდა.

1919 წელს სამზრუნველო საბჭოს სრულებით აუღია ხელი სასწავლებელზე, სკოლა აუტანელ გასაჭირში ჩავარდნილა, მხოლოდ მოწაფეების შენატანი თანხებით ვეღარ ახერხებდა არსებობას და დახურვამდე მისულა, ეს მაშინო, აღნიშნავდა პედაგოგიური საბჭო, - როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს პროფესიონალური სკოლა განსაკუთრებით ჭირდებაო.

პედაგოგიური საბჭო ადგენდა, რომ განათლების სამინისტროსთვის წარედგინათ თხოვნა, რათა 1919

წელს სრულ სახაზინო ხარჯზე გადაეყვანათ იგი და მინიჭებოდა მთავრობის გიმნაზიის ტოლი უფლებები[18].

სამინისტრომ ვერ დააკმაყოფილა სასწავლებლის თხოვნა, მაგრამ მას მისცა ერთდროული დახმარებისათვის - 50 ათასი მანეთი.

ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში ხატვას ასწავლიდა გრიგოლ მესხი, მაშინ ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვარი, რომელმაც 1914 წელს პირველი წიგნის გამოვლის შემდეგ, დახატა ჭაბუკი გალაკტიონის პორტრეტი საფიჩხიის სასაფლაოზე. სურათი მნიშვნელოვანია არა მარტო მხატვრული ღირებულებით, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან იგი გალაკტიონის პირველი მხატვრული პორტრეტია და ასახავს პოეტის ჭაბუკობის პერიოდს.

ქუთაისის არქივში დაცულია მხატვარ გრიგოლ მესხის პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მასალები, მისი ხელით შედგენილი სასწავლო პროგრამა ხატვაში[19].

ქუთაისის საკომერციო სასწავლებელში ასწავლიდნენ:

1. არკადი ჩხენკელი - უმაღლესი განათლებით - ასწავლიდა გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას.

2. სპირიდონ ლეკვეიშვილი - საშუალო განათლების (თბილისის სასულიერო სემინარია დამთავრებული) - ასწავლიდა ქართულ ენას და ისტორიას.

3. სიმონ ეზიკაშვილი - უმაღლესი განათლების იქონე, - არითმეტიკა -ალგებრა-გეომეტრიის მასწავლებელი.

4. სერგო თოფურია - უმაღლეს დაწყ. სასწ. კურსდამთავრებული - ასწავლიდა ქართულ ენას, რუსულს, ისტორიას.

5. სიმონ მჭედლიძე - საშ გან. მასწავლებლის წოდებით - არითმეტიკა, ქართული ენა, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი.

6. ანტონ სულამანიძე - საშუალო განათლებით, - არითმეტიკა, ქართული ენა და ხატვის მასწავლებელი.

7. ნინო ხელაძე - უმაღლესი განათლებით - ფრანგული ენა.

8. მარიამ ორახელაშვილისა - საშ. განათლებით, - გერმანული ენა.

9. გრიგოლ მესხი - სწავლობდა მოსკოვის საქანდაკო და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, კურსი არ დაუმთავრებია - ასწავლიდა ხატვა-ხაზვას[20].

ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის მასწავლებლები 1918 წლის 9 დეკემბრის მიმართვით განათლების მინისტრისადმი ითხოვდნენ შენობას, მაშინდელი საგუბერნიო კომისარიატის ბინაზე (სახლი პრინცი ოლდენბურგის - ფოსტის ქუჩაზე), რომელიც მთავრობის დადგენილებით უქმდებოდა მომვალი წლიდან[21].

ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში ქართულ ენას და ისტორიას ასწავლიდნენ სიმონ მჭედლიძე, სერგო თოფურია და დეკანოზი სპირიდონ ლეკვეიშვილი. ამ საგნებს ასწავლიდნენ I კლასიდან. პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ ბავშვი სრულად გაცნობიერებულიყო ქართულ მწერლობასა და მშობლიურ ისტორიაში. სანიმუშოდ მოვიტანთ II კლასის პროგრამას ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში.

ქართული ენა:

დედაშვილობა-ჭავჭავაძისა. სახრჩობელაზედ - მისივე. კაკო ყაჩაღი (ზოგერთი ადგილი ზეპირად): - ჩემი სიყმაწვილე (ბატონყმობის დროიდან) - მისივე.

ობოლი - ნიკოლაიშვილისა.

თინას გიშერა - მგალობლიშვილისა; ჩემო შვინდავ - არაგვისპირელისა, ქაჯანა - ლომოურისა; მაგდანას ლურჯა - ეკ. გაბაშვილისა; შრომის შვილი - ლექსი გ. ქუჩიშვილისა; მწუხრი სულისა - მისივე; განკარგულება - ნინოშვილისა; ფრთონის მსხვერპლნი - მისივე; რას შემომცქერ ძმობილო - ლექსი რ. ერისთავისა. საბრუას სახლ-კარობა და შეძლება - მისივე; მოძღვარი - ა. ყაზბეგისა; გოგია მეჩონგურე - აკაკი წერეთელი; ქართველი

ქალი - მისივე; სიზმარი - მისივე; ამოდის, ნათდება - ვაჟა-ფშაველასი; დათვი - ამბავი, მისივე; შემოდგომა - ი. ევდოშვილისა; შემოდგომა - ვაჟა-ფშაველასი; ზამთარი - ი. ევდოშვილისა; მოიპარება ზამთარი - აკაკისა; გაზაფხული - ი. ევდოშვილისა; პირველი სხივი - ლექსი მისივე; ზაფხული - მისივე; ძლივს - ქუჩიშვილისა; არაკები: სპილო და ფინია, ბატები, მგელი და მელა, გუგული და გვრიტი, კატა და ლომი, ვირი და მგელი, არწივი და თხუნელა - სოფლელნი და მდინარე - გრ. ორბელიანისა.

გრამატიკიდან: სიტყვის ნაწილები, წინადადება და მისი ნაწილები, ბრუნვება[22].

II კლსის პროგრამა საქართველოს ისტორიაში:

საქართველო და მისი მეზობლები ძველად. მართვა-გამგეობა საქართველოში ძველად: მამასახლისობა, ფარნაოზის გამეფება, ქრისტიანობა საქართველოში და წმ. ნინო, მირიან მეფე, ვახტანგ გორგასლანი, არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობა. დავით კურაპალატი. ბაგრატ მესამე და მისი ღვაწლი.

დიმიტრი I და გიორგი III. თამარ მეფე და მისი ღვაწლი. გიორგი ლაშა. მონგოლთა ბატონობა. საქართველოს გაყოფა ორ სამეფოდ. დიმიტრი თავდადებული. საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. ბაგრატ V დიდი. საქართველოს დანაწილება. რუსეთი და საქართველო. შაჰ-აბაზ დიდი. ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ I. კახეთის აოხრება. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და მისი თავგადასავალი. შეთქმულება სპარსელთა წინააღმდეგ. გიორგი XI და ვახტანგ სჯულმდებელი. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. ერეკლე II, კრწანისის ომი და ერეკლეს გარდაცვალება. გიორგი XII და საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. დედოფალთა და ბატონიშვილთა გადასახლება რუსეთს. რუსეთის მართვა-გამგეობის დამყარება[23].

გერმანულ ენას ამ სასწავლებელში ასწავლიდა ცნობილი რევოლუციონერი მარიამ მიქელაძე-ორახელა-შვილისა[24].

მოვიყვანთ გრიგოლ მესხის მიერ შედგენილ ხატვის პროგრამას კომერციული სასწავლებლის მოწაფეთა-თვის 1918-1919 სასწავლო წელს.

უმცროსი განყოფილება:

წლის პირველი ნახევარი - ხელის ვარჯიშობა ხა-ზებში.

ელემენტარული ხატვა კუთხეებიან საგნებისა, მრგვალი მოყვანილობის საგნებისა.

წლის მეორე ნახევარი - ფერადები, მათი შეზავება და დახმარება.

უფროსი განყოფილება:

პირველი ნახევარწლის - ახსნა იმისა, თუ როგორია მოგონებითი, შთაბეჭდილებითი, შემოქმედებითი და და-სურათებითი ხატვა.

მეორე ნახევარწლის - თავისუფალი ხატვა, ხატვა დასურათებითი.

I კლასი

პირველი ნახევარწლის - ხატვა მოგონებითი, შთა-ბეჭდილებითი, შემოქმედებითი და დასურათებითი.

მოგონებითი ხატვა - მარტივი მოყვანილობის საგ-ნებიდან - სათამაშოებიდან, სასწ. ნივთებიდან, იარაღე-ბიდან, ავეჯიდან, ბუნებიდან. მაგალითად: კიბე, დროშა, გასაღები, ბოქლომი, ფანჯარა, ჩაქუჩი, ნაჯახი, ფოთო-ლი, შემუშავება ფოთლიდან არშიის სახისა;

მეორენახევარწლის - მოგონებითი ხატვის გაგრძე-ლება. ხატვა შთაბეჭდილებითი, შემოქმედებითი: საღა-მო, ზამთარი, გაზაფხული, დასურათება იგავ-არაკისა: ღორი მუხის ქვეშ.

II კლასი

პირველი ნახევარწლის: გაგრძელება მოგონებითი ხატვისა: ჭურჭლეულობა: დოქი, ჭიქა, ფინჯანი, სამურაბე ქილა, კოკა, ჭური, ავეჯი, იარაღები: ხერხი, ურემი, თოფი, ხანჯალი, ცელი, ნამგალი, ფორჩხი, ფიწალი. მცენარეულობიდან: პურის თავთავი, სიმინდი.

შემოქმედებითი და შთაბეჭდილებითი ხატვა წლის 4 დროის შესაფერისი იარაღებით.

მეორე ნახევარწლის: დასურათებითი ხატვა: მგელი და წერო, მელა და ყურძენი, ხატვა რთული მოყვანილობის ფოთლებისა და გამოგონებითი თხზვა მათგან არშიების სახეებისა, დასურათებითი ხატვა - „კიბო, გედი და თევზი".

III კლასი

პირველი ნახევარწლისა: დასაწყისი პირდაპირი ხატვისა მარტივი მოყვანილობის საგნებიდან. ახსნა საერთოდ მთელი ფორმის ხატვისა უწვრილმანებოდ. ადგილიდან გამოზომვა საგნის ნაწილებისა, სიმაღლე - სიფართისა. ახსნა ზოგიერთი პერსპექტიული მოვლენებისა. ჩრდილი-სინათლე. ფერი და მისი ცვალებადობა ჩრდილი-სინათლის გამო.

მეორე ნახევარწლისა: შთაბეჭდილებითი და დასურათებითი ხატვა. რთული თქმებისა, მოთხრობებიდან, ისტორიიდან, ლექსებიდან, პირდაპირი ხატვა ხილისა, ყვავილებისა, მწერების კოლექციებიდან, საუბარი მხატვრობის ისტორიიდან.

IV კლასი

პირველი ნახევარწლის: ხატვა პირდაპირი რთული მოყვანილობის საგნებიდან, საგნების ჯგუფებიდან, ოთახის ნაწილის მოხატვა პერსპექტივის მიხედვით, დასურათებითი, შთაბეჭდილებითი და შემოქმედებითი ხატვა-ქართულ ენისა და ისტორიის პროგრამებიდან აღებულ თქმებზე.

მეორე ნახევარწლის: ნაჩქარი ხატვა (*на броски*) ამხანაგისა, დაჭერა პოზისა, მოძრაობის სილუეტი, სურათის შეთხზვა, დაწყობა-დალაგება პერსპექტიული კანონების მიხედვით[25].

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი იყო ხონის სახელოსნო სასწავლებელი, მისი მმართველი იყო ჯერ გრიგოლ სოვლობოვი, შემდეგ კი ალექსანდრე ჩაჩავა.

ხონის სასწავლებლის მასწავლებელთა შემადგენლობა და მათი ხელფასები 1919-20 სასწ. წელს ასე გამოიყურებოდა:

1. ხონის სახელოსნო სასწავლებელი - მმართველი გრიგორი სოვლობოვი - ხელფასი 1465 მან. დამატება თვიურად 732.

2. სახელოსნოების გამგე - ლავრენტი ალ. კაკაბაძე - 793 - თვიური დამატება 396.

3. კონსტანტინე კაკაბაძე - ხელმძღვანელი საზეინკლო სახელოსნოსი - 560, - თვიური დამატება 280.

4. ალექსანდრე საღარეიშვილი - ზოგადი საგნების მასწავლებელი - 1040 - დამატება 520.

5. ნიკოლოზ ჩხენკელი - მოსამზ. კლასის მასწ. - თვიური ხელფასი 796 მან. 66 კაპ. - დამატება 398.

6. ილარიონ ღვინცაძე - მოსამზ. კლასის მასწ. - 796 მან. 66 კაპ. - 398 დამატება.

7. სოლომონ ინწკირველი - აღმზრდელი - ხელფასი 586 მან. 66 კაპ. - დამატ. 293.

8. მათე ბახტაძე - ექიმი - 226 მან. 66 კაპ. - დამატ. 113.

9. მარიამ ალ. გალდავაძე - საქმის მწარმოებელი და მოანგარიშე - ხელფასი 360 - დამატება 110.

10. დომენტი კაკაბაძე - მოხელე - ზეინკალი - ხელფასი 500 - დამატ. 250.

11. ენუქი ბახტაძე - მოხელე - დურგალი - ხელთ. 500 - დამატ. 250.

12. დავით რუხაძე - მჭედელი - 500 - 250

13. სილიბისტრო სანოძე - ეროს დამრტყმელი - 450 - 225.
